კვირის პალიტრა

ოპოზიციური გაზეთი

№ 26 (271) ◆ 26 ივნისი – 2 ივლისი, 2000 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.



ნარავის ჰგონია, რომ პრეზიდენტს არ გააჩნია ინფორმაცია უცხოეთში გახსნილ ანგარიშებზე...

...როგორ გგონიათ, ამერიკას რომ უნდოდეს ჩვენი ბიუჯეტის 300 მილიონიანი გარღვევის მოგვარება, გაუჭირდებოდა? არანაირად... მაგრამ არ აკეთებს, უნდა უფრო დაგვაკაბალოს.

...მე არც ამერიკელების დიქტატი მინდა საქართველოში და არც რუსებისა, არამედ ქართველებისა...

...რადგან რუსები ასეთ გართულებებზე მიდიან საქართველოსთან, შესაძლოა მთაწყოს შეიარაღებული კონფლიქტები საზღვარზე.

...გამორიცხულია, რომ პუტინი ვინმესგან მართვადი პრეზიდენტი იყოს...

გ.გ. 3

ოთხი-ხუთი წლის წინ აქედან მესაზღვრეები გაუყვანიათ. აზერბაიჯანელებსაც დრო უხელთათათ, ბაზრობა აუშენებიათ და ახლა უკმაყოფილებენ...

– „სტავკა" გადაიხადე და რაც გინდა გაიგან-შემოიგანე. თუ გინდა კახეთის მხარეს ჩახვალ.

– საქართველო-სომხეთის საზღვრის საქართველოს მხარე მთლიანად დანაღმულია...

დაფიქსირებულია, რომ ამ ნაღმზე აფეთქდა ჩვენი 17 თანამემამულე.

„მიწა ჩვენია, მაგრამ იქ ფენსაც არ გვადგმევინებენ"

გ.გ. 5

საიდუმლო დოკუმენტები

– ვორბახოვის საგანგებო დეპეშა გამსახურდიას სახელზე...

1990 წლის 27 დეკემბერი

გ.გ. 6

მკითხველებს ყველაზე მეტად საფრანგეთის ნაკრების თამაში მოსწონთ

მკითხველის პოზიცია

გ.გ. 31

საამხედრო თემაზე

– „კვირის პალიტრა" „COOPERATIVE [illegible]NER-2000"-ში მონაწილეობს. რეპორტაჟი, ანალიზი, პროგნოზი – თავს იჩენს ფულის კეთების ახალი წყარო...



გ.გ. 9

რას ვერჩენ ჩვენზე

ქართველი პარტიზანები

– „ვიდრე მოკვდებოდეს, მინდა არძინბას თვალებში ჩავხედო"...

– მეომარი ნაღმზე აძიგეთქდა... ფეხი სანახევროდ კანზე ჰკიდია... ქუთასისი მეუბნება, შვეულმფრენი არ მყავსო... ალარ შემიძლია ამ სურათის ყურება და თამამებრძოლის მოკვლა გადავწყვიტე... როგორ მოვკლა? დაჭრილ უაზროდ ჭაჭის სმა... უცებ აზრად მომივიდა – რუსებზე გავალ-მეთქი... მომიტანეს რაცია...

რას ვერჩენ ჩვენზე

საღ იმალებიან ჩვენი ბოევიკები?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა თბილისში მხოლოდ ერთ კაცს შეეძლო... ეს თენგიზ კიტოვანია.

მას განუცხადებია – პანკისში 1.500-ზე მეტი ბოევიკია და თუ მენდობით, შემიძლია გავყაროო...

– თავად ვნახე – მიდასტურებს გვარდიის ყოფილი მეთაური – მანქანებში ისხდნენ კბილებამდე შეიარაღებულნი...

გ.გ. 9-12

რა ვერ გაიყვეს ჟომპოზიტორებმა?

კონფლიქტები – „ხელოვნების ფრონტი".

გ.გ. 7

იქ ხელჩართული ომია გაჩაღებული...

„ახლაც ისე ვთაღლითობთ, როგორც კომუნისტების დროს"

„თუ ასე გაგრძელდა, დღევანდელობა სანატრელი გვექნება".

„საგადასახადო კოდექსი ხალხის მასხრად აგდებაა".

გ.გ. 7



...„მედისონ სკვერ გარდენის" მსმენელი დიდხანს არ უშვებდა სცენიდან...

– როცა სოხუმში ომი დაიწყო, როიალს მივუჯექი და ძალიან ხმამაღლა დავიწყე დაკვრა, მინდოდა ჩამეხშო გუგუნი... მერე ავტირდი...

...ბევრი ვერც ხვდება, რომ ეს ტანკენარი გოგონა დაბადებიდან ბრმაა.

გ.გ. 20

ფეხბურთის ისტორიიდან

როგორ მოისყიდეს ქვეყნა რომაელებმა ძველი ბერძნები

საბერძნეთის ნაკრების ყოფილი წევრების ადგილსამყოფელის ადგილის ადგილის ადგილ

რას გვიქადის... პოსკოვი?

ერთადერთი სასიამოვნო ინფორმაცია, რომელიც დსთ-ის ქვეყნების ლიდერთა სამიტიდან ჩამოიტანა ქართულმა დელეგაციამ, როგორც ჩანს, არის ის, რომ შევარდნაძე-პუტინის დახურულ კარს მიღმა გამართულ პირისპირ მოლაპარაკებაზე თურმე, პუტინს უთქვამს, — საქართველოდან რუსეთის ბაზების გატანის საკითხზე მოლაპარაკებები გაგრძელდეს „საქმიან, კონსტრუქციული და მეგობრულ“ ვითარებაში(!), რუსეთი სისხლხორცეულადაა დაინტერესებული საქართველოს სტაბილურობით და მოსკოვი განიხილავს რუსეთისადმი საქართველოს ვალის რესტრუქტურიზაციის საკითხსო!

პუტინ-შევარდნაძის პირისპირ შეხვედრის პარალელურად, დსთ-ის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა 2001 წლის 1 იანვრამდე გაუგრძელეს მანდატი ენგურზე მდგარ რუს „მშვიდობისმყოფელებს“, ხოლო მეორე მხრივ, დაისვა საკითხი ტაჯიკეთიდან ასევე წლების მანძილზე მდგომი და „მისია შესრულებული“ რუსეთის სამშვიდობო ჯარების გამოყვანის შესახებ! თუმცა, ჩვენ „დასამშვიდებლად“ ის გვრჩება, რომ ქართულმა მხარემ განაცხადა, — თუ მომავალშიც არ გადაიდგმება კონკრეტული ნაბიჯი აფხაზეთის კონფლიქტის მოსაწესრიგებლად, რუსი „მშვიდობისმყოფელებისთვის“ მანდატის გაგრძელებაზე კი არ იქნება საუბარი, არამედ საქართველო შეიძლება საერთოდ გავიდეს დსთ-ის შემდგენლობიდანო!

იმედოვნებდნენ, რომ ამ სამიტზე მოეწერებოდა ხელი დსთ-ის სივრცეში თავისუფალი ვაჭრობის ზონის შესახებ დოკუმენტს, მაგრამ მას მოსკოვმა ცივი წყალი გადაასხა — ჩვენს უზარმაზარ ბაზარს დოკუმენტის მიღების შემთხვევაში წალეკავს დსთ-ს სხვა ქვეყნების პროდუქცია, რაც დაასამარებს ადგილობრივ მეწარმეებსა და ქვეყნის ეკონომიკასო. სამაგიეროდ, რუსები მოითხოვენ ფარ-თომასშტაბიანი მოლაპარაკებების დაწყებას სავიზო რეჟიმის შემოღების შესახებ არა მხოლოდ საქართველოსთან, არამედ დსთ-ის სხვა ქვეყნებთანაც! როგორც ჩანს, რუსეთ-საქართველოს შორის სავიზო რეჟიმი გარდაუვალი იქნება!

ქართველი „სინჯარის ბავშვი“

თბილისის ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ისტორიული ფაქტი მოხდა. პირველად, კავკასიაში, ამ ინსტიტუტის მეცნიერებმა „გამოჩეკეს“ ე.წ. „სინჯარის ბავშვი“. ახალშობილი სრულიად ჯანმრთელი დაიბადა და ნორმალურად ვითარდება. ბავშვის დედა ბულგარელია, მამა — ქართველი და მათ ოთხი წელი არ ჰყავდათ შვილი. ბავშვის ჩასახვა კი საკმაოდ „მარტივად“ განხორციელდა. „სინჯარაში“, სადაც დედის კვერცხუჯრედისა და მამის სპერმის შერწყმის შედეგად მოხდა განაყოფიერება, ხოლო შემდეგ განაყოფიერებული ემბრიონი დანერგეს დედის საშვილოსნოში და ორსულობის ფიზიოლოგიური პროცესის განვითარებასაც შეუწყეს ხელი. გართულებების თავიდან აცილების მიზნით, ორსულობის სრული ციკლის 9 თვის დასრულებისთანავე, 3.350 გ წონის ბიჭუნა საკეისრო ოპერაციის წყალობით მოევლინა ქვეყანას... უახლოეს მომავალში ელიან კიდევ ექვსი „სინჯარის ბავშვის“ დაბადებას და ვარაუდობენ, რომ ასეთი მეთოდი დიდ ბედნიერებას მოუტანს უშვილობით გაწამებულ ქართულ ოჯახებს. პრობლემა მხოლოდ ის არის, რომ მთელი ეს პროცედურა ძვირი ჯდება, დაახლოებით 2.500 ლარი!

დაკავეს... ძებნილი

ნაირ-ნაირი ინტერპრეტაცია მიეცა ზვიადისტების ირგვლივ დაწყებულ სკანდალს, რომელიც ამბროლაურის რაიონის ყოფილი პრეფექტისა და კაკო ელიავას აჯანყების მონაწილის გოჩა ბიჭაშვილის დაკავებას მოჰყვა. თვითმხილველთა თქმით, ბიჭაშვილი თითქმის ყოველდღე დადიოდა პარლამენტში და პარლამენტის ეროვნული თანხმობის კომისიის წევრებთან ერთად ზვიადისტთა წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმეების შეწყვეტის საკითხებზე მუშაობდა; თუმცა, იგი 1998 წლის ოქტომბრიდან (ელიავას ამბოხის ჩახშობის დღიდან)... ძებნილი იყო. სწორედ ამიტომ აღიქვეს არაერთგვაროვნად ორი წლის მანძილზე ძებნილი ბიჭაშვილის დაკავების ეს ფაქტი სხვადასხვა პოლიტიკურმა და სახელისუფლებო ძალებმა! ერთერთი ვერსიით, რეფორმითა და გამოცდებით „შეწუხებული“ ძალოვნები პროვოკაციაზე მიდიან, რათა ზვიადისტების მორიგი დესტაბილიზაციის აგორება გამოიწვიონ და ამის ჩასახშობად არსებული სისტემის უცვლელად დატოვების აუცილებლობის საჭიროება დაამტკიცონ! ეს ვერსია კატეგორიულად უარყო კახა თარგამეძემ. მართალია, ბიჭაშვილი მეორე დღესვე გაათავისუფლეს, მაგრამ ამჯერად უკვე პატიმრობიდან გათავისუფლებულმა ზვიადისტებმა მოითხოვეს ციხეში დარჩენილთა გათავისუფლება, რათა შესრულდეს პრეზიდენტის დაპირება. წინაალმდეგ შემთხვევაში, მძაფრი საპროტესტო აქციებით იმუქრებიან.... პარლამენტარმა ვასილ მაღლაფერიძემ კი მოუწოდა საზღვარგარეთ მყოფ ზვიადისტებს, ჯერჯერობით თავი შეიკავონ საქართველოში ჩამოსვლაზე, მანამ, სანამ პროკურატურაში საბოლოოდ არ გაარკვევენ თითოეულ კონკრეტულ პირთან დაკავშირებულ საკითხებს...

კომისიამ შეიძლება ახალის ფარდა ამ „ჯიბგირობას“

პირველი სხდომა გამართა დიდი შეხლა-შემოხლის შედეგად შექმნილმა საპარლამენტო კომისიამ, რომელიც აღმასრულებელი ხელისუფლების დანაშაულებრივ საქმიანობას იძიებს. კომისია განიხილავს 1999 წლის ბიუჯეტის თანხების განაივების ფაქტებს და საბოლოო დასკვნას პარლამენტსა და საზოგადოებას სექტემბერში წარუდგენს. დავით გამყრელიძის თქმით, კომისია იმუშავებს არა მხოლოდ 300 მილიონიან გარღვევაზე, არამედ იმაზე, თუ რა იყო შემოსავლების რეალური რეზერვი ქვეყანაში და რატომ არ მოხდა მათი მობილიზება ბიუჯეტში. ანუ, ექსპერტები მოელიან, რომ კომისიამ შეიძლება, ბოლოს და ბოლოს, ახადოს ფარდა იმ „ჯიბგირობას“, რასაც სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისას აქვს ადგილი, ანუ როცა შეგნებულად მცირდება ქვეყანაში არსებული რეალური შემოსავლებისა და რეზერვის მაჩვენებელი, რისი პირდაპირი შედეგიცაა სიგარეტის, ბენზინის, პურის ფქვილისა და სხვა რეზერვის მაჩვენებელი. მოელიან იმასაც, რომ კომისია რეკომენდაციას მისცემს პარლამენტს, რათა მან არ დაამტკიცოს 1999 წლის ბიუჯეტის ანგარიში! ბიუჯეტის ანგარიშის არდამტკიცება კი პირდაპირ ხსნის გზას, რათა დაისვას აღმასრულებელ ხელისუფალთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი და საქმე გადაეცეს განპროკურატურას! კომისიის წევრები უკვე აღარც იმას გამორიცხავენ, რომ საბოლოო დასკვნაში შეიძლება დაფიქსირდეს მთავრობის წევრთა კონკრეტული გვარები!

კომისიის სხდომის შემდეგ ყველაზე კარგ გუნებაზე კობა დავითაშვილი იყო, რომელმაც პირველმა მოითხოვა მთავრობის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა და რის გამოც დიდი რისხვა დაიმსახურა „ზემოდან!“

მთავარი დარგყვა კონტროლის პალატისკენაა

„კონტროლის პალატა ყოველთვის დაიცავს პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს, მაგრამ კორუფციის შემთხვევაში შეუვალი იქნება ნებისმიერი თანამდებობის პირის მიმართ! პრეზიდენტმა მითითება მომცა: შემოწმებისას ვინც არ უნდა გამოვლინდეს, რეაგირების ფორმები უნდა იყოს დაუყოვნებლივი და დაუნდობელიო“, — ამ პირველი ოფიციალური განცხადებით წარუდგა მასმედიასა და საზოგადოებას კონტროლის პალატის ახალი თავმჯდომარე სულხან მოლაშვილი, რომელმაც პალატაში მისვლისთანავე გაანახევრა ავტოპარკი, „ისკრის“ სისტემის სამთავრობო და მობილური ტელეფონები და ამით კონტროლის პალატის ბიუჯეტს ათასობით ლარის ეკონომია მისცა...

რაც შეეხება უშუალოდ ამ უწყების საქმიანობას, მას ურთულეს ვითარებაში მოუწევს „საქმეების“ გარკვევა, რადგან ფინანსური კრიზისისა და კორუფციის გამო უკვე ყველა მაკონტროლებელი ორგანო ერთმანეთთანაა დაპირისპირებული, ხოლო მთავარი დარტყმა კონტროლის პალატისკენაა მიმართული. იგივე გენპროკურატურა კონტროლის პალატას მასალების გადაცემის ხელოვნურ შეჩერებაში ადანაშაულებს, ხოლო თავად კონტროლის პალატაში სულხან მოლაშვილის მისვლისთანავე აღმოჩნდა, რომ რამდენიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტაციები „აორთქლდა“. არადა, ეს დოკუმენტაცია, რომელიც ძირითადად ბანკების, კომერციული ფირმებისა და ორგანიზაციების რევიზიას ეხებოდა, სწორედ მაშინ „დაიკარგა“, როცა საქმეების გამოკვლევა თითქმის დასრულებული იყო(!).

ინფორმაცია პოსახლეობისათვის

დედაქალაქში გველების და ქვეწარმავლების მომრავლების შესახებ „კვირის პალიტრის“ საშუალებით უკვე გაუწყეთ. კვლავ შეგახსენებთ, რომ შექმნილია და მუშაობს ქ. თბილისის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურის ქვეწარმავლებთან მებრძოლი ხუთკაციანი ჯგუფი, რომლის წევრებიც მოსახლეობის შეტყობინებისთანავე უშუალოდ კონკრეტულ ადგილზე მიდიან და საჭირო ღონისძიებებს ატარებენ. როგორც ამ ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა, რეზო ჯანაშვილმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, — 1 ივნისიდან 17 ივნისამდე თბილისში გველის აღმოჩენის 34 შემთხვევა დაფიქსირებულა. მიუხედავად ამისა, შხამიანი გველი თბილისში ჯერ არ შეგვხვედრია, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი დედაქალაქის ტერიტორიაზე არ არსებობენ. ამიტომ მოსახლეობას დამშვიდების უფლებას ვერ ვაძლევთ. ბატონი რეზოს თქმით, შხამიანისა და უშხამო გველების გარჩევა შეშინებული ადამიანისთვის უცბად ძნელია. ყველა შემთხვევაში, მათი აღმოჩენისთანავე, აუცილებლად უნდა შეწყვიტოთ მოძრაობა და ძალიან ნელა გაშორდეთ იქაურობას. ყველაზე თვალში საცემი განსხვავება კი მათ შორის გახლავთ ის, რომ შხამიანი გველის კუდი გაცილებით მოკლეა და უცბად ვიწროვდება, ხოლო სხვა დანარჩენი გველებისა თანდათანობით კლებულობს სისქეში. როგორც ბატონმა რეზომ გვითხრა, ამჟამად შემოტანილია პოლივალენტური შრატის ამპულები და განაწილებულია თბილისის სხვადასხვა საავადმყოფოში, ხოლო მათი მოხმარება მოსახლეობისთვის, მიუხედავად სიძვირისა, უფასოა (ერთი ამპულა 80 ლარამდე ღირს). ასევე უფასოა ჯგუფთან დაკავშირება და ადგილზე გასვლა.

ჯგუფის წევრთა ტელეფონებია: **22-52-28; 97-52-45; 97-52-46; 97-52-47**.

დედაქალაქში გველის შემჩნევისას დარეკეთ ზემოაღნიშნულ ნომრებზე 24 საათის განმავლობაში.

საპროტესტო აქციები გრძელდება

თბილისისა და სხვა ქალაქების ქუჩებში გრძელდება ხალხმრავალი და ხმაურიანი საპროტესტო აქციები, სადაც ხალხი ითხოვს და ითხოვს კუთვნილ ხელფასს, პენსიას, შემწეობას თუ ადრე ჩინოვნიკთა დანაშაულებრივი ქმედებების გამო დაკარგულ დიდძალ თანხებს: უკვე მერამდენე მსვლელობა მოაწყვეს კოოპერაციული ბინათმშენებლობის ასოციაციის მოტყუებულმა წევრებმა ტრადიციული მარშრუტით, კანცელარია-პარლამენტი-ფინანსთა სამინისტრო, ერთადერთი მოთხოვნით: „დაგვიბრუნეთ ჩვენ მიერ ბინების მშენებლობისთვის შეტანილი ფული!“ ამჯერად, დემონსტრანტებმა ამ მოთხოვნას სხვა ლოზუნგებიც და ტრანსპარანტებიც მოაშველეს, რომელთაგან განსაკუთრებით გამოირჩეოდა პლაკატი — „ხელისუფლებავ, გეშინოდეს ხალხის რისხვის!“ აქციის მონაწილეები განსაკუთრებით აღაშფოთა გავრცელებულმა ინფორმაციამ, რომ ახალი ფინანსთა მინისტრი ბიუჯეტის სეკვესტრირებას აპირებს სწორედ კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისადმი განკუთვნილი თანხით, რომელიც 2000 წლის ბიუჯეტშია ჩადებული...

...დაკმაყოფილდნენ

შეიქმნა მემარჯვენე პოლიტიკურ ორგანიზაციათა ახალი გაერთიანება აკაკი ასათიანისა და ბესო ჯუღელის თავკაცობით, კერძოდ ტრადიციონალისტებმა და ლიბერალურ-ეკონომიკურმა პარტიამ ერთობლივი საკონსულტაციო საბჭო შექმნეს. გაერთიანების ლიდერები აცხადებენ, რომ ისინი ყველა სტრატეგიულ საკითხებში შეთანხმდნენ უკვე, ხოლო პირველ ეტაპზე საკონსულტაციო საბჭოს საქმიანობაში შევა მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-ეკონომიკური პროცესების ანალიზი. რაც შეეხება მომავალ არჩევნებს, ასათიანი და ჯუღელი არ გამორიცხავენ ერთიანი ბლოკით გამოსვლას! ასათიანმა და ჯუღელმა ასევე განაცხადეს, რომ ახლი გაერთიანების კარი ღიაა ყველა მემარჯვენე პოლიტიკური ორგანიზაციისათვის, ოღონდ ერთადერთი პირობით: გაერთიანებაში შესვლის მსურველ პარტიათა ლიდერებმა არ უნდა დაიწყონ ვაჭრობა საარჩევნო სიაში ადგილების რაოდენობით, კვოტებით, თანამდებობის განაწილებით და ა.შ.

ლინჩის წესით

კახეთში ლინჩის წესით კიდევ ერთ ადამიანს „აუგეს ანდერძი“, კერძოდ თელავის საგზაო პოლიციის თანამშრომლის მკვლელობაში ეჭვმიტანილ მალხაზ ყალამოვს! „საქმე“ იქიდან დაიწყო, რომ მიმდინარე წლის 16 ივნისს ნასვამი მალხაზ ყალამოვი საკუთარ მანქანაში ჯდებოდა, რომელიც თელავის პოლიციის ეზოში ჰყავდათ მიყვანილი, მაგრამ მას მანქანა არ გაატანეს. შედეგად ყალამოვმა მათ ხელყუმბარა ესროლა და პოლიციის თანამშრომელი ხოსიტაშვილი მოკლა. იმის გამო, რომ ხოსიტაშვილის ძმა და დეიდაშვილი იმავე პოლიციის თანამშრომლები იყვნენ, ინციდენტის თავიდან აცილების მიზნით დაკავებული დამნაშავე თელავიდან ყვარელში გადაიყვანეს. ხოლო, როცა ყვარლიდან საგარეჯოში მოჰყავდათ, ალაზნის ხიდთან, პოლიციის მანქანას 100-მდე ადამიანი გადაუდგა, მათ პოლიციელებს თავ-პირი დაამტვრიეს, ყალამოვი კი გადმოათრიეს და ქვებით და კეტებით ჩაქოლეს...

ხანძარი წყნეთში

23 ივნისს ხანძარი გაუჩნდა დაბა წყნეთის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ტყის საფარს. ვარაუდობენ, რომ ხანძარი ჩაუმქრალი სიგარეტის ნამწვმა გამოიწვია. ცეცხლი ჯერ გამხმარ ბალახს მოედო, შემდეგ კი ძლიერი ქარის შედეგად ტყის მასივს. დედაქალაქის თითქმის ყველა სახანძრო რაზმი რამდენიმე საათის მანძილზე აქრობდა ხანძარს, ხოლო წყნეთში უწყლობის გამო სახანძრო მანქანები წყლის რეზერვუარების შესავსებად თბილისში ჩამოდიოდნენ და შემდეგ კვლავ „ფრონტის ხაზს“ უბრუნდებოდნენ. მეხანძრეთა თავდადებამ შედეგი გამოიღო და ჯერ მოხერხდა ხანძრის ლოკალიზება, შემდეგ კი ლიკვიდაცია, თუმცა ზარალი სავალალოა — განადგურდა სამ ჰექტრამდე მწვანე საფარი!

სოლდაფონებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ

ვაკე-საბურთალოს გზაზე მდებარე სამხრეთ კავკასიაში რუსეთის ჯარების სარდლების შტაბებია (ყოფილი „ზაკვო“) თუ ვინმეს ერთხელ მაინც შეუთვალიერებია გარედან, აუცილებლად შეამჩნევდა შენობის ცენტრალურ შესასვლელთან წინ და უკან მოსიარულე, ან ერთ ადგილზე დაყუდებულ კბილებამდე შეიარაღებულ ჯარისკაცს (ყარაულს). ამას წინათ, ერთ-ერთ მათგანს თავი მუხლებში ჩაერგო და მგონი, ეძინა კიდეც...

ეტყობა, უსაქმობამ იმდენად შეაწუხა ამ სამხედრო პერსონალის ზოგიერთი წარმომადგენელი, რომ მათ, სათვალთვალო ობიექტად და მომავალი „ბრძოლის ასპარეზად“, ერთი ფრიად მნიშვნელოვანი უწყება შეარჩიეს და საქმესაც შეუდგნენ. კარგა ხნის დაზვერვითი სამუშაოების შემდეგ ორმა რუსმა სოლდაფონმა იქვე ბორცვზე მდებარე ფიზიკის ინსტიტუტს შეუტია (კომუნისტების დროს ამ გასაიდუმლოებულ და მკაცრად დაცულ დაწესებულებაში, საგანგებო საშვების გარეშე, ჩიტიც ვერ შეფრინდებოდა) და მიზანშიც მოარტყა.

პირველი იერიშისთანავე ქურდი-სოლდაფონები ინსტიტუტის კომპიუტერების განყოფილებაში აღმოჩნდნენ და ამ უძვირფასესი აპარატურის შეფუთვა-მომზადებასაც შეუდგნენ „შემდგომი ტრანსპორტირებისთვის“. მაგრამ, რომ იტყვიან, მზვერავ-მოიერიშე სოლდაფონებს ალექსანდრე ბალკინს და ალექსანდრ კურიაკინს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. ვაკის პოლიციამ ისინი დანაშაულის ფაქტზე გაქაჩა...

მართალია, რუსმა სამხედრო პროკურორებმა დამნაშავენი ჩაიბარეს და პირობაც დადეს, რომ მათ ჩვენი (ანუ რუსეთის) კანონმდებლობით გავასამართლებთო (მოიერიშეებს 5 წლამდე პატიმრობა ელით), მაგრამ გაასამართლებენ კი?! თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ რუსეთის არმიაში მძვინვარე ტოტალურ ქურდობაში არათუ ჯარისკაცები, არამედ ოფიცრები და გენერლებიც არიან ჩაბმულნი, ვინ გამორიცხავს, რომ ბალკინი და კურიაკინი თავიანთი უფროსების დავალებით არ მოქმედებდნენ?!



ჩინეთმა და ირანმა ხელი ხელს მისცეს

ჩინეთს ოფიციალური ვიზიტით ეწვია ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტი მოჰამედ ხათამი, რაც ისტორიულ მოვლენად აღიქვა მსოფლიომ. ჩინეთ-ირანის დაახლოებამ შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანოს აშშ-ისა და აზიის კონტინენტის ქვეყნების ურთიერთობებში. საქმე ის არის, რომ მას შემდეგ, რაც ვაშინგტონმა ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევის მოტივით ჩინეთს ემბარგო გამოუცხადა, ოფიციალური პეკინი დაიმუქრა, რომ მთავარი სავაჭრო პარტნიორების მოსაძებნად მას შორს წასვლა არ დასჭირდებოდა და და მალე ეს მუქარა აასრულა კიდეც, აშშ-ის მიერ ასევე „დაჩაგრულ“ ირანთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გააქტიურებით: 2000 წელს ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ბრუნვამ მილიარდ-ნახევარი დოლარით მოიმატა... პეკინში გამოსვლისას პრეზიდენტმა ხათამიმ ჩინელებსა და ირანელებს მსოფლიოს უდიდესი ერები უწოდა და ერთგვარი მუქარითაც განაცხადა, — 21-ე საუკუნე ჩვენი იქნებაო!

მართალია, ოფიციალური ვაშინგტონი საკმაოდ მშვიდად შეხვდა ამ ვიზიტს და ხათამის განცხადებებსაც, მაგრამ სამხრეთ კორეაში მყოფმა მადლენ ოლბრაითმა ასევე მშვიდად დაადასტურა, რომ აშშ-ის პრიორიტეტულ მიმართულებას აზიაში წარმოადგენს ამერიკის სამხედრო ბაზების გაძლიერება კორეის ნახევარკუნძულზე და წყნარი ოკეანის აუზში, შესაბამისად მშვიდობისა და დემოკრატიის პირობებში ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარება აზიის ქვეყნებთან...

განაჩენს ხალხის ძღერვარეჯა მოჰყვა

აშშ-ის ტეხასის შტატში სიკვდილით დასჯეს (შხამის ინექციით) 36 წლის გარი გრემი, რომელსაც 19 წლის წინ ჩადენილი მკვლელობისთვის განაჩენი რამდენიმე თვის წინ გამოუტანეს(!) დასჯის ღამეს ათასობით ტეხასელი მიაწყდა ციხეს საპროტესტო აქციით. ისინი უსამართლოდ მიიჩნევდნენ გრემისთვის გამოტანილ განაჩენს. საქმე ის არის, რომ სასამართლო დიდი ხმაურით მიმდინარეობდა. ასევე დიდი სკანდალი გამოიწვია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებამაც, რომელმაც მხარი დაუჭირა სასიკვდილო განაჩენს, ხოლო ხალხი ქუჩებში მაშინ გამოვიდა, როცა პრეზიდენტობის კანდიდატმა ჯორჯ ბუშ-უმცროსმაც სამართლიანად მიიჩნია სასამართლოს განაჩენი...

დრამატულად წარიმართა თავად სიკვდილის დასჯის პროცედურა. უკვე სასიკვდილო კატეტერგაკეთებული და მაგიდაზე დაბმული მსჯავრდებული უკანასკნელ წუთამდე აცხადებდა, რომ — ის უდანაშაულოა! ამან ის მოიტანა, რომ განაჩენის აღსრულება სამი საათი გადაიდო, თუმცა ამან საქმეს ვერ უშველა და გრემი დასჯეს. ამერიკელი დამკვირვებლები ვარაუდობენ, რომ ეს ფაქტი უარყოფითად იმოქმედებს ჯორჯ ბუშის წინასაარჩევნო კამპანიაზე.

გაიზარდა ნავთობის ფასი

მსოფლიო ბაზარზე კვლავ გაიზარდა ნავთობის ფასი, მიუხედავად ნავთობის მწარმოებელი ქვეყნების ორგანიზაციის (ოპეკის) მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა, 3%-ით გაიზარდოს ნავთობის მოპოვება. ერთი ბარელი ნავთობის ფასმა კი უკვე გადააჭარბა 32 დოლარს. აშშ-ის ენერგეტიკის მინისტრმა ბილ რიჩარდსონმა ივარაუდა, რომ ნავთობის მოპოვების გაზრდა 3%-ით საკმარისი არ იქნება ბენზინის ფასების კლებისთვის...

ესეც შვილი ჩრდილო კავკასიის!

რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის ბრძანებულებით, ჩრდილო კავკასიურ ფედერალურ ოლქს ახალი სახელი — იუჟნი დაერქვა.

„...კაცობრიობას ნამდვილი ჭკუიანი კაცები ერთობ ნაკლებად ურევია. ეს განსაკუთრებით ცხადი და ნათელია მონარქების, პრეზიდენტებისა და კანცლერებისათვის, რომელთა ენაზე ამას „ჭკუიანი კაცების პრობლემა“ ჰქვია, მაგრამ მათ წინაშე მუდამ დგას მეორე, გაცილებით მძიმე და მარადის გადაუჭრელი „გონებაშეზღუდული კაცების პრობლემაც“ — კაცობრიობის უდიდესი ჭირი!

– სახელმწიფოს მართვისთვის დაბადებულად თავის თავს სწორედ და უპირველესად ყოვლისა, შეზღუდული და სულიერად ხელმოკლე კაცები თვლიან. ისინი გასაოცარი შეუპოვრობით მიიწევენ წინ და მათგან უბედურებას აღწევენ კიდეც მიზანს — მართვის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან სადავეებს! ყოველივე ეს კი, ძირითადად მანიაკობიდან მოდის. მათი სანგრძლივი მოღვაწეობა, რალა თქმა უნდა, ერისა და სახელმწიფოს კისერზე გადადის“.

ჭაბუა ამირეჯიბი

უამრავ უბედურებასა და უზნეობასთან ერთად, საქართველო ბოლო ათწლეულშიც ვერ ასცდა „კაცობრიობის ამ უდიდეს ჭირს, გონებაშეზღუდული კაცების პრობლემას“. მეტიც, ამ ჭირმა ისე გაიდგა ფესვი ხელისუფლების ყველა შტოსა და სტრუქტურაში, რომ საბოლოო ჯამში, ხელთ შეგვრჩა მათი მხრიდან სახელმწიფოებრივი და ნაციონალური ინტერესების სრული და დანაშაულებრივი უგულებელყოფა, რისი კიდევ ერთი სავალალო შედეგიც ამ დღეებში მოიმკო ქვეყანამ და წლების მანძილზე გაჭირვებით მიღწეული მცირე მონაპოვარიც ქარს გაატანა...

დიახ, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა ოფიციალური განაჩენი გამოგვიტანა — საქართველომ დაკარგა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების ნდობა! ეს ნიშნავს იმასაც, რომ საქართველომ დაკარგა დასავლეთის და, საერთოდ, ცივილიზებული სამყაროს ნდობაც, რომლის მოსალოდნელ საშიშროებაზეც ბოლო თვეების მანძილზე „კვირის პალიტრის“ ღამის ყოველ ნომერში გვქონდა საუბარი. ხოლო ის ფაქტი, რომ ამ ნდობის დაკარგვის უმთავრეს მიზეზად სავალუტო ფონდის მისიამ საქართველოს ხელისუფლებაში მძვინვარე ტოტალური კორუფცია დაასახელა, საგანგებო ანალიზს მოითხოვს. აქ უკვე, საქმე ეხება არა მხოლოდ წვრილ თუ მსხვილ კონტრაბანდისტებს, გადასახადების არგადამხდელებს და მათ სახელისუფლებო „კრიშებს“, არამედ გაცილებით საშიში მასშტაბის მოვლენას, რომელიც პირდაპირ უკავშირდება დიდი სახელმწიფოების ინტერესების დაპირისპირებასა და მათი აგენტურის მოქმედებას საქართველოში. ამიტომ ჩვენთვის „გონებაშეზღუდული კაცების პრობლემაც“ იმაში მდგომარეობს, რომ მათ ვერ, ან არ აუღეს ალღო თანამედროვე მსოფლიო გლობალურ პროცესებს, რომელსაც დასაბამი მიეცა მალტაზე გორბაჩოვ-შევარდნაძისა და ბუშ-ბეიკერის ტანდემებს შორის მიღწეული შეთანხმებისას, რის შედეგადაც გადანაწილდა გავლენის სფეროები ორ ზესახელმწიფოს შორის. იქიდან დღემდე საქართველოში განვითარებული პროცესები პირდაპირ კავშირშია ათი წლის წინ გამოტანილ „განაჩენთან“. ვფიქრობ, ინტერესს მოკლებული არ იქნება იმ შეფასების გაცნობა, რომელსაც, მთელ ამ პროცესებს აძლევს პროფესიონალი მზვერავი, გენერალ-მაიორი **ანზორ მუსურაძე:**

— ჯერ ის ვთქვათ, რა არის კორუფცია? კორუფცია ნიშნავს მოსყიდვას, კერძოდ, მოსყიდვას თანამდებობის პირების, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეებისა! ვინ შეიძლება საქართველოში ჩაითვალოს მოსყიდულად და ვის მიერ არიან მოსყიდულები? მომსყიდველები არიან ის ქვეყნები, რომლებსაც თავიანთი ინტერესები აქვთ საქართველოში — რუსეთი, აშშ, თურქეთი, ირანი, ინგლისი... ბუნებრივია, მათი ინტერესები ეჯახება ერთმანეთს და შედეგად, ერთი ქვეყნის მიერ მოსყიდული თანამდებობის პირნი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები, ეწევიან ამ ქვეყნის ინტერესების ლობირებას და უპირისპირდებიან მეორე ქვეყნის მიერ მოსყიდულებს, რომლებიც, თავის მხრივ, ახორციელებენ ამ ქვეყნის ინტერესთა ლობირებას. ამიტომ, სანამ კავკასია და საქართველო მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოთა ინტერესების შეჯახების სფეროა, მანამდე კორუფცია, მოსყიდული ხალხი და „გონებაშეზღუდული კაცების პრობლემა“ აქ ყოველთვის იქნება. უფრო ნათელი რომ გახდეს რასთან გვაქვს საქმე, გაგაცნობთ რუსეთის საგარეო დაზვერვის ისტორიის საარქივო დოკუმენტების ფრაგმენტებს:

აი, რა საიდუმლო დავალებას აძლევდა 1828 წელს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ნესელროდე სპარსეთში რუსეთის ელჩად დანიშნულ ალექსანდრ გრიბოედოვს, რომელიც იმპერატორ ალექსანდრე პირველთან იყო შეთანხმებულ-დამტკიცებული:

— ... Сбор статистических и политических сведений о Персии, ее истории, географии, о состоянии ее экономики, торговли;

_ Сбор сведений о древних и современных караванных путях, идущих от Каспийского моря в Индию и сопредельные с нею страны...“

ამ საიდუმლო ინსტრუქციაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა ე.წ. საგანგებო ხარჯებს: „Для успешного исполнения всего, что Вам предначертано, необходимы связи в том крае, где Вы будете иметь постоянное пребывание, и содействие людей усердных. Самые вельможи и даже сыновья шахские нуждаются иногда в незначащем вспоможении наличными деньгами, от которых внезапно восстанавливается их вес и зависит нередко их спасение...“

— *გასაგებია, აქ ლაპარაკია აშკარა მოსყიდვაზე, მაგრამ ისიც ვთქვათ, თუ რა ვითარება იყო მაშინ...*

— დიახ, „საგანგებო ხარჯები“ განკუთვნილი იყო შაჰის კარის „ჩინოვნიკთა“ მოსასყიდად. მაგრამ, მაშინ რუსების პრობლემა ის იყო, რომ ინდოეთიდან სპარსეთამდე დომინირებდნენ ინგლისელები, რომლებსაც თავის მხრივ უკვე მოსყიდული ჰყავდათ სპარსეთის უმაღლესი თანამდებობის პირები. იმავე საარქივო მასალების გაცნობისას ნათელი ხდება და ამ აზრს იზიარებენ რუსი ისტორიკოსებიც, რომ 1829 წელს თეირანში რუსეთის საელჩოს განადგურება და გრიბოედოვის მკვლელობა სწორედ ინგლისის დაზვერვის მიერ მოსყიდული სპარსელი „ჩინოვნიკების“ მიერ იყო პროვოცირებული.

აი, რა მოხდა კონკრეტულად: „Вняв слезной мольбе евнуха из шахского гарема, армянина Мирзы Якуба, и двух плененных во время войны армянок спасавшихся от преследователей, Грибоедов дал им убежище в здании мисии.

Это послужило для персидских властей поводом возбудить религиозный фанатизм местного населения и начать антирусское выступление в Тегеране... 30 января огромная толпа разъяренных персов ворвалась на территорию российского посольства, убила всех, кто там находился... Многие склонны считать, что все это произошло не без помощи англичан!“

ინგლისი თავისი გავლენის განსამტკიცებლად მიმართავდა ყველა ხერხს — დაწყებულს წმინდა პროპაგანდისტული კამპანიიდან, რომელიც ამხელდა „რუსეთის აგრესიულ კურსს თავისი სამხრეთელი მეზობლებისადმი“ და დამთავრებულს რუსეთისადმი რეალური მუქარით, რომ „ეს სამხრეთელი მეზობლები იარაღით ხელში ალაგმავდნენ რუსეთის ექსპანსიას წინა და ცენტრალურ აზიაში.“ კიდევ ერთ დოკუმენტს გაგაცნობთ, რომელიც გრიბოედოვის მკვლელობის შემდეგ იმპერატორ ნიკოლოზ პირველის მიერ სპარსეთში მივლენილ „დიპლომატს“, სინამდვილეში კი, მზვერავს გენერალ-მაიორ დოლგორუკს ეკუთვნის. პეტერბურგში გაგზავნილ ერთ-ერთ ანგარიშში ის წერს: В Азии не так, как в Европе. Здесь каждый день является переменой в мыслях и весьма часто в действиях. Чтобы не дать дурного хода делам и чтобы иногда успеть предупредить какие-либо действия, нужно быть скоро и верно извещеным. Чтобы дойти ж до намечаемой цели, надобно иметь людей, а людей без денег и подарков невозможно приобрести...“

— *გრიბოედოვზე აღარაფერს გკითხავდით, მაგრამ ის ქართველების სიძე იყო და ალბათ არც გრიბოედოვისა და ნინო ჭავჭავაძის ლეგენდად ქცეულ სიყვარულს მიადგება რაიმე ჩრდილი, თუ ვიტყვით, რომ მას ქართველებისა და საქართველოს მიმართაც ექნებოდა მიღებული „Секретное поручение“, მით უმეტეს, რომ მაშინ სპარსეთის შაჰის კარზე იმყოფებოდა ერეკლე მეორის ძე, ბატონიშვილი ალექსანდრე, რომელიც ქართლ-კახეთის სამეფოს აღდგენისა და საქართველოდან რუსების გაძევებისთვის იბრძოდა. შესაბამისად, ფარული ურთიერთობა ჰქონდა ქართველ თავად-აზნაურობასთან, რომლის ლიდერადაც, სწორედ გრიბოედოვის სიმამრი ალექსანდრე ჭავჭავაძე მოიაზრებოდა...*

— რა თქმა უნდა, ვინ გამორიცხავს, რომ გრიბოედოვს არ ექნებოდა მსგავსი მითითება? ჯერჯერობით, ამის დამამტკიცებელი საარქივო მასალა არ გახსნილა, მაგრამ რამ უნდა გაგვკვირვოს, როცა თვით ნაპოლეონის დროინდელი საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, სახელგანთქმული ტალეირანი ჰყავდათ რუსებს მოსყიდული, რომელიც უშუალოდ იმპერატორ ალექსანდრეს აწვდიდა უმნიშვნელოვანეს ცნობებს. თუ იმავე ევრაზიულ სივრცეს და კერძოდ, წინა და ცენტრალურ აზიას ავიღებთ, განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ მაშინ ინგლისი უპირისპირდებოდა რუსეთს, დღეს კი აშშ! ამერიკა კი, უკვე არა მარტო საკუთარი, არამედ ინგლისისა და მთელი დასავლეთის ინტერესების დამცველად გვევლინება დღეს ამ რეგიონში, მათ შორის კავკასიაში...

— *და, რაღა თქმა უნდა, თანამედროვე რუსი და სხვა ქვეყნების „გრიბოედოვებითა“ და „დოლგორუკებით“ კვლავ სავსეა ჩვენი რეგიონი. გაფიქრებაც კი მზარავს, რა სურათი შეიძლება დაიხატოს, თუ 1990-2000 წლების საქართველოში მოქმედ მოსყიდულ ჩინოვნიკებს, პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებს მოვუყრით თავს... ამ ადამიანებს კი, ალბათ, წარმოდგენაც არა აქვთ, რომ ყველაფერი დაიწყო მალტიდან...*

— დიახ, მაშინ აშშ და საბჭოთა კავშირი შეთანხმდნენ, რომ ამერიკას და დასავლეთს რჩებოდა აღმოსავლეთ ევროპა ბალტიისპირეთითურთ და გაერთიანებული გერმანიით, საბჭოთა კავშირის გავლენის ქვეშ კი, ექცეოდა დღევანდელი დსთ-ის სივრცე. ეს ნიშნავდა დაზავებას, მაგრამ შემდგომმა პერიოდმა გვიჩვენა, რომ აშშ-ის ძალისხმევა მიმართული იქნა არა მარტო აღმოსავლეთ ევროპაზე, არამედ დღის წესრიგში დადგა ნატო-ს გაფართოება უკრაინისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მიმართულებითაც. რუსეთს მიაჩნია, რომ დასავლეთმა დაარღვია მალტის სიტყვიერი შეთანხმება და ესეც რომ არ იყოს, რუსეთი არავითარ შემთხვევაში არ შეურიგდება თავისი გავლენის სფეროების დაკარგვას და პუტინი ბოლომდე დაიცავს რუსეთის ნაციონალურ ინტერესებს. ამიტომ, ამ ჭიდილში დაპირისპირებული მხარეები იყენებენ ყველა ბერკეტს და საშუალებას ამ ქვეყნებზე, მათ შორის საქართველოზე, გავლენის შესანარჩუნებლად. ერთ-ერთ ასეთ მძლავრ ბერკეტს წარმოადგენს სწორედ უცხოელ „გრიბოედოვთა“ მიერ სახელისუფლებო სტრუქტურების წარმომადგენელთა მოსყიდვა, კორუფცია. ამასთან, თუ ამერიკელები აქ ინგლისელებსა და თურქებთან ერთად კოორდინირებულად მუშაობენ, იმავდროულად, ვთქვათ, რუსებთან კოორდინირებულად მოქმედებენ ირანელები, ანუ ამ ქვეყნების ინტერესების შეჯახება ხდება საქართველოში. უცხოეთის დაზვერვათა უპირველესი ყურადღების და მუშაობის ობიექტები კი გახლავთ: 1. პრეზიდენტის კანცელარია. 2. პრემიერ-მინისტრი და მისი კანცელარია. 3. საგარეო საქმეთა და ფინანსთა სამინისტროები. 4. პარლამენტი. 5. ძალოვანი სამინისტროები. ხოლო, თუ რუსეთი მე-19 საუკუნის დასაწყისში აძლევდა საიდუმლო დავალებებს თავის ემისრებს, დღეს არ მისცემს? იგივე ითქმის ამერიკელებზეც. ერთადერთი, რაც მათ უნდა დავუპირისპიროთ და რაც გადაგვარჩენს, არის ჩვენი სახელმწიფოებრივი ინტერესების დამცველი ნაციონალური საშინაო და საგარეო პოლიტიკა. მე არც ამერიკელების დიქტატი მინდა საქართველოში და არც რუსებისა, არამედ ქართველობისა. როცა რუსეთშიც და აქაც, მავანნი მისტირიან ძველ დროს და გაიძახიან — შევარდნაძემ შეუწყო ხელი სსრკ-ის დაშლასო, ჩემი ღრმა რწმენით, იმიტომ შეუწყო, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა მოეპოვებინა. მარტო ამ ფაქტის გამო, ყველა მისი მოქმედება გამართლებულად მიმაჩნია, მით უმეტეს, რომ მსგავსი ისტორიული კატაკლიზმების თავიდან აცილებას ვერავინ ვერ შეძლებდა. ასე იყო 1917 წლის რევოლუციისას, ასე მოხდა 1989-1991 წლებშიც. ჩვენ დიდი უბედურებები გადავიტანეთ, მაგრამ ეს მსხვერპლი და გაჭირვება ღირდა საიმისოდ, რომ დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო გვქონოდა. მე თავიდან-ბოლომდე მაქვს გაცნობიერებული ეს გლობალური პროცესი და მისი ანალიზიდან გამომდინარე ვამბობ ამას. მართალია, ძალიან გვიჭირს თითოეულ ჩვენგანს, მაგრამ ასეთი გაჭირვება გვერჩივნოს ვიღაცის მბრძანებლობას...

— *გასაგებია, ბატონო ანზორ, მაგრამ ნათქვამი ნაკლები შვებაა გაწამებულ-გაღატაკებული მოსახლეობისთვის, რომელიც ჭეშმარიტი პატრიოტია თავისი ქვეყნისა, განსხვავებით სახელისუფლებო სტრუქტურებში მოკალათებული არაკაცებისა...*

— კარგად მესმის მოსახლეობისა... მახსოვს, ინდირა განდის პრემიერობისას ინდოეთში პურის საშინელი დეფიციტი შეიქმნა და ათეულ მილიონობით ადამიანი გამოვიდა ქუჩებში მოთხოვნით — მოგვეცით პური! აი, მაშინ ინდირა განდიმ მიმართა ტელევიზიით ქვეყანას: „ჩემო შვილებო, დებო და ძმებო, არ მაქვს ეს პური! რომ მქონდეს, რად მინდა, ხომ მოგცემდით...“ არ არის ეს ფუჭი ქართულ სახელმწიფოში და რა ქნას პრეზიდენტმა? რომ იყოს, ეჭვი გეპარებათ, რომ გაისტუმრებდა საშინაო ვალებს? კი ბატონო, ამაში დამნაშავენი არიან სახელისუფლებო სტრუქტურები, ბევრი რამ შეცდომებისა და უნიათობის, გულგრილობის ბრალია. მძვინვარებს კორუფცია, რომელსაც თავად პრეზიდენტმა უწოდა „შავი ჭირი“ და რომელიც უნდა ამოიძირკვოს. დავალებებსაც აძლევს შესაბამის სტრუქტურებს და რა ქნას, ამოიღოს ხმალი და თავები დააჭრას? კი ბატონო, მოკვეთოს თავი 100-200 კაცს და გგონიათ, ამით აღმოიფხვრება კორუფცია, როცა ამდენი მძლავრი სახელმწიფოს ინტერესები ეჯახება ერთმანეთს საქართველოში?! მექსიკას 30 მილიარდი გარღვევა ჰქონდა ბიუჯეტში, მაგრამ აშშ დაეხმარა და ცოტა ხანში აუნაზღაურა ეს გარღვევა! ბრაზილიას უზარმაზარი საგარეო ვალი ჰქონდა, მაგრამ იმავე აშშ-ის ძალისხმევით, ჩამოაწერეს ეს ვალი! ახლა ვიკითხოთ: ამერიკას რომ უნდოდეს ჩვენი ბიუჯეტის 300 მილიონიანი გარღვევის მოგვარება, გაუჭირდებოდა? არანაირად. მაგრამ არ აკეთებს, რადგან სურს კიდევ უფრო დაგვაკაბალოს ფინანსურად და მხოლოდ მასზე ვიყოთ დამოკიდებულნი!

ახლა რუსეთს და დსთ-ის სამიტსაც შევეხოთ, სადაც უკვე სერიოზულად დაისვა საკითხი სავიზო რეჟიმის შემოღებაზე. თუ ეს მოხდა, გვინდა თუ არ გვინდა, იძულებულნი გავხდებით, გამოვიდეთ დსთ-დან, რადგან აზრი აღარ ექნება იქ ყოფნას. დსთ-დან გამოსვლა და სავიზო რეჟიმი კი არა მარტო უდიდეს გაჭირვებას დაატეხს თავს ასიათასობით რუსეთში მომუშავე ქართველს და მათ ოჯახებს საქართველოში, არამედ გამოიწვევს რუსეთიდან ყველანაირი პროდუქციის შემოტანაზე ფასების ზრდას, მათ შორის ენერგომატარებლებზე, ელექტროენერგიაზე... ადვილი წარმოსადგენია, რა ყოფაში ჩავარდება ისედაც კრიზისში მყოფი ქვეყანა. ყველაზე საშიში ის არის, რომ სავიზო რეჟიმის შემოღებამ და რუსეთთან პოლიტიკური ურთიერთობების გართულებამ შეიძლება გამოიწვიოს სამხედრო დაპირისპირება, ვთქვათ, საქართველო-ჩეჩნეთის საზღვარზე, აფხაზეთში, ცხინვალის რეგიონში, ჯავახეთში... ასეთ შემთხვევაში, გამიჯნული რუსეთი „ხელს დაიბანს“ და იტყვის — საქართველო ჩვენთვის უცხო სახელმწიფოა, მეტიც, შეიძლება დაამატონ, რომ საქართველო რუსეთისადმი მტრულად განწყობილი ქვეყანაა და ა.შ.

— *მაგრამ, მეორე მხრივ, ჩვენი დამოუკიდებლობის განმტკიცების და პოლიტიკური თვალსაზრისით, ეს კარგიცაა...*

— მართალია, ეკონომიკური და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით დიდ დარტყმას მივიღებთ, მაგრამ თუკი ასეთ ნაბიჯზე მიდიან რუსები, მაშინ რაც შეიძლება მალე უნდა გავაკეთოთ ეს და უნდა გავაკეთოთ სწორედ ქართველებმა და არა რუსებმა და გავემიჯნოთ ერთხელ და სამუდამოდ! ამიტომ ვამბობ, რომ კიდევ ძალიან ბევრის მოთმენა გვმართებს!

— *როდესაც პუტინი პირველად გამოჩნდა ელცინის გვერდით, თქვენ მას რუსეთის სპეცსამსახურების ელიტის წარმომადგენელი უწოდეთ „კვირის პალიტრაში“. დღეს, პუტინის, როგორც პრეზიდენტის ფენომენზე რას იტყოდით?*

— თქვენ გარდა ეს კითხვა საკმაოდ მაღალი დონის უცხოელმა კოლეგებმაც დამისვეს. ვუპასუხე: პუტინი ისეთივე მზვერავია, როგორც თქვენ, მე. ამიტომ, პუტინი არ გააკეთებს იმას, რასაც ჩვენ არ გავაკეთებთ და რუსეთისთვის გააკეთებს სწორედ იმას, რასაც ჩვენ გავაკეთებთ ჩვენი ქვეყნებისთვის. ანუ, ჩვენ, მზვერავებმა, შესანიშნავად ვიცით, რას გააკეთებს და რას არ გააკეთებს პუტინი-მეთქი — აქედან დასკვნა: პუტინი არის პროგნოზირებადი, მაგრამ არამართვადი! ელცინი კი, გახლდათ არაპროგნოზირებადი, მაგრამ იყო მართვადი გარემოცვის, თუ ადგილობრივი და უცხოეთის გარკვეული წრეების მიერ! დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვა — გამორიცხულია, რომ პუტინი ვინმესგან მართვადი პრეზიდენტი იყოს და ამის გათვალისწინება გვმართებს ყველას, საქართველოსაც, რომელსაც უახლოესი 5 წლის მანძილზე ამ არამართვად კაცთან ექნება საქმე და იმ ქვეყნებსაც კი, რომლებსაც რუსეთის მსგავსი ძალა და პოტენციალი აქვთ! პუტინის ფენომენი ის არის, რომ რუსეთის ნაციონალურ ინტერესებს აყენებს ყველაზე და ყველაფერზე წინ!

— *ვარაუდობენ, რომ შემოდგომაზე შეიძლება საშინაო პროცესები დაიწყოს... რა ინფორმაციას ფლობს დაზვერვის დეპარტამენტი მოსალოდნელი საფრთხის შესახებ? როგორც უშიშროების ყოფილ მინისტრს, აქვე მინდა გკითხოთ: დავიჯეროთ, კორუფციის, კერძოდ, უცხოეთის აგენტურის მიერ მოსყიდული ჩინოვნიკების დანაშაულებრივი ფაქტები, მასალები არ აქვს ამ უწყებას? რატომ არ ხდება მათი დაკავება-დასჯა?*

— დაზვერვის დეპარტამენტი, კანონის თანახმად, ემორჩილება პრეზიდენტს, ასრულებს მის დავალებებს და ანგარიშს აბარებს მხოლოდ და მხოლოდ პრეზიდენტს. ახლახან, პრეზიდენტმა დადებითად შეაფასა ქართული დაზვერვის მუშაობა. რაც შეეხება საფრთხეს, რადგან რუსები ასეთ გართულებებზე მიდიან საქართველოსთან, შესაძლოა, მოაწყონ შეიარაღებული კონფლიქტები საზღვარზე. ომს, ბუნებრივია, ვერ დაგვიწყებენ, მაგრამ უკიდურესად დაძაბავენ ვითარებას... საშინაო პრობლემები დაზვერვის კომპეტენციაში არ შედის, თუმცა ვიტყვი, რომ მოსალოდნელი დესტაბილიზაცია შეიძლება აგორდეს სწორედ იმ გაუთავებელი ლანძღვა-გინების შედეგად, რასაც ყოველდღე ვისმენთ და ვკითხულობთ მასმედიაში... დღეს ერთ მუშტად შეკვრა გვმართებს და არა ურთიერთბრალდებები და ლანძღვა-გინება... უშიშროების სამსახურის ფუნქცია სწორედ ის არის, რომ ებრძოლოს „შავ ჭირს“, კორუფციას. შესაბამისად, ჩემი აზრით, ამ სამსახურს უნდა ჰქონდეს დაახლოებით 20-მდე საქმე, სადაც დოკუმენტურადაა დამტკიცებული ამა თუ იმ პირის, პიროვნებათა ანტისახელმწიფოებრივი ქმედებები. როგორც წესი, ეს საქმეები უნდა მიეწოდოს უმაღლეს ხელისუფალს და უშუალოდ მასთან უნდა გაირკვეს, რა ვუყოთ ამ ხალხს — დავიჭიროთ, პროფილაქტიკურ ღონისძიებებს მივმართოთ, ქვეყნიდან გავაძევოთ, თუ რა ვქნათ?! კორუფცია უმაღლეს ეშელონებში ისეთი საკითხია, რომ გადაწყვეტილების მიღება მთლიანადაა დამოკიდებული პოლიტიკურ კონიუნქტურაზე, ანუ როგორც სჭირდება ქვეყნის ინტერესებს, გადაწყვეტილებაც ადეკვატურია! ეს ეხება უცხოეთის აგენტურასაც...

— *როცა პოლიტიკური კონიუნქტურა შეგვიწყობს ხელს, ქვეყნის და ხალხის ძარცვით გამდიდრებული, თუ უცხოეთის აგენტურის მიერ მოსყიდული ჩინოვნიკებისთვის პასუხის მოთხოვნა არ იქნება ძალიან გვიან? ან უცხოეთის ბანკებში ჩადებულ მილიარდებს ვინ დაუბრუნებს ქვეყანას?*

— მე ასე გიპასუხებთ: დარწმუნებული ვარ, რომ პრეზიდენტს ამომწურავი ინფორმაცია აქვს ყველა საკითხზე, მათ შორის, უცხოეთში არსებულ ანგარიშებზე. ქვეყნის მეთაურის და, საერთოდ, ადამიანის ერთ-ერთი ვაჟკაცური თვისება — მოთმინებაა, და განსაკუთრებით ისეთ ქვეყანაში, სადაც „ყველა ნაბიჭვარს აზნაურობა სწყურია და ყველა აზნაურს — მეფობა!“

ზურაბ მჭედლიშვილი

წმინდა ანთიმოზ ივერიელის ხსენება

წმიდა ანთიმოზ ივერიელი, რუსთველის ერთ-ერთი დიდი საზოგადო მოღვაწე და ერის სულიერი მამა, წარმოშობით გახლდათ ქართველი, სამცხე-საათაბაგოდან. მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ჭაბუკი მეფე არჩილს ახლდა რუსეთში. სამშაბლოში მომავალ კეკლუცულმა მთიულებმა შეიპყრეს და მონად გაყიდეს.

ანთიმოზი ტყვეობიდან გამოისყიდა იერუსალიმის პატრიარქმა დოსითეოზმა. პატრიარქთან ყოფნის პერიოდი ჭაბუკს მძლავრად განათლებია და ოსტატობის სრულყოფისათვის გამოუყენა და მალე შორს გაითქვა სახელი. 1690 წელს იგი მიწერა ვლახეთის მთავარმა კონსტანტინე ბრინკოვანუმ. ანთიმოზმა ვლახეთი მართლმადიდებლობის ცენტრად აქცია. მისი ხელმძღვანელობით რუმინეთში 20-ზე მეტი ეკლესია-მონასტერი აგო. მთავან განსაკუთრებით აღსანიშნავია ბუქარესტის ყოველთა წმინდანთა მონასტერი, რომლის მაცხოვრის კარიბჭე და ქანაზე ამოკვეთილი ჩუქურთმები თავად ანთიმოზ ივერიელის ნახელავია. მისი თაოსნობით გაჩაღებულმა სასტამბო საქმიანობამ მთელ რუმინეთში არნახულ წარმატებას მიაღწია. ივი იყო რუმინული სალიტერატურო ენის ერთ-ერთი ფუძემდებელი და გამორჩეული მწერალი.

წმ ანთიმოზი თავის ქართულ წარმომავლობას ყოველთვის ხაზს უსვამდა და სამშობლოსთან ურთიერთობა არასდროს შეწყვეტია. ივი დაჟმარა ქართლის მეფე ვახტანგ VI-ს ქართული სტამბის გამართვაში.

1708 წელს მას ხელი დასხეს უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტად ანთიმოზის მიტროპოლიტად დადგინება მთელი ქვეყნისთვის დიდი ბედნიერება იყო. ამ ფაქტთან დაკავშირებით ერთ-ერთი მონასტრის წინამძღვარი წერდა: „მოვიდა დიდი ადამიანი ვლახეთის მიწაზე. მოიტანა სინათლე ღვთაებრივმა ანთიმოზმა, უნგრო-ვლახეთის იერარქმა, შვილმან ბრძენ ივერთა მოდგმისა. ღმერთმა იგი დაუჯილდოვა სიბრძნის უშრეტი წყაროთი, რათა ეკეთებინა კეთილი საქმენი და თავისი სტამბით მოეტანა სარგებლობა ხალხისთვის ამქვეყნად".

მიტროპოლიტად კურთხევის დღიდან წმ. ანთიმოზმა დაუკვირვებელი ბრძოლა გამოუცხადა თურქ დამპყრობლებს რუმინელი ხალხის გასათავისუფლებლად გარშემო შემოკრიბა ვლახელ მოაზრთა ჯგუფი. მაგრამ თურქული ორიენტაციის ახალმა მთავარმა ანთიმოზი შეიპყრა, „ამაღვდელო ღირსება" აჰყარა და ჯოთარკა უბრალო ბერი, სინას მთაზე წმ. ეკატერინეს მონასტერში გაამწესა. წმ. ანთიმოზს სინას მთაზე მისვლა არ დაუკალდა, რადგან გზად მიმავალი ერთ ღამეს თურქმა ყაჩაღებმა შეიპყრეს მდინარე დუნაის ნაპირზე ალა-ალა აკუწეს და მდინარეს გატანეს მისი წმინდა ნაწილები.

1992 წელს რუმინეთის ეკლესიამ ანთიმოზ ივერიელი წმინდანად შერაცხა და მისი ხსენებით დღედ დაუწესა 27 სექტემბერი, წმინდანის აღსრულების დღე.

ქართული ეკლესია მის ხსენებას ახ. სტილით 26 ივნისს აღნიშნავს.

ანა ჩხეიძე

თბილისის საკონცერტო დარბაზებში

23 ივნისს კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა ევგენი მიქელაძის დაბადების 97 წლისთავისადმი მიძღვნილი კონცერტი. პროგრამაში იყო ვებერის უვერტიურა ოპერიდან „ობერონი", მოცარტის კონცერტი ორი როიალისათვის მი ბემოლ მაჟორი და მალერის №4 სიმფონია სოლ მაჟორი. დირიჟორი **ჰერბერტ ბაისელი** (გერმანია), სოლისტები: **თამარ ჯავახიშვილი** (სოპრანო) და **ნათია და თამარ ბერაიები**.

თამარ ჯავახიშვილი 1995 წლიდან ბათუმის საოპერო თეატრის წამყვანი სოლისტია, 1998 წელს მონაწილეობდა ფესტივალში „ბრავო", ხადაც მსოფლიოს ბრწყინვალე ვოკალისტებთან ერთად წარუდგა მსმენელს. მან მშვენივრად გაართვა თავი მალერის მუსიკის სირთულეს და წარმოაჩინა უდიდესი ვოკალურ-მუსიკალური შესაძლებლობანი. განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ დები ბერაიების ტრიუმფი. ისინი თბილისის სამუსიკო გიმნაზიის მოწაფეები არიან, მაგრამ მათი მუსიკალური მიღწევები ბევრ ჩამოყალიბებულ პროფესიონალსაც შეშურდება: 1997 წელს, სანქტ-პეტერბურგში გამართულ საფორტეპიანო დუეტების კონცერტზე მათ მოიპოვეს I პრემია და სპეციალური დიპლომი; იმავე წელს გახდნენ საერთაშორისო სატელევიზიო ფესტივალის „ბრავო, ბრავისიმო" (იტალია) — დიპლომანტები; 1999 წელს — ახალგაზრდული რესპუბლიკური კონკურსის ლაურეატები; 2000 წელს — რუსეთის პირველი ღია კონკურსის „ახალი სახელები" დიპლომანტები.

დები ბერაიები

დოდო ცინცაძე (სამუსიკო გიმნაზიის პედაგოგი): 6 წლის ასაკიდან ბავშვები ჩემი მოწაფეები არიან, მანამდე დედა ამეცადინებდათ. საერთოდ, ბერაიებს ტრადიციული, მუსიკალური ოჯახი აქვთ.

აღსანიშნავია, რომ ქალბატონი დოდო ცინცაძე „ნიჭიერთა ათწლედის" ერთ-ერთი საუკეთესო პედაგოგია, მისი კლასი გამოირჩევა ვირტუოზულობითა და ინტელექტუალიზმით. მისი ორივე შვილი პიანისტია. ერთერთი, თამარ სანიკიძე, კონცერტებს მართავს სხვადასხვა ქვეყანაში. ბერაიების კონცერტის წინა დღეს თამარს სოლო კონცერტი ჰქონდა მოსკოვში, რომელსაც ქალბატონი დოდოც ესწრებოდა, მაგრამ მეორე დღესვე გამოემგზავრა თბილისს, რათა თავისი მოწაფეებისათვის ფსიქოლოგიურად დაეჭირა მხარი.

თამარ ბერაია 12 წლისაა, ნათია — 13-ის. მიუხედავად რთული და უზარმაზარი რეპერტუარისა ორ როიალზე, ისინი სოლო პროგრამასაც ამზადებენ და წარმატებითაც...

— ქალბატონო დოდო, როგორ ასწრებენ გოგონები ესოდენ დიდი პროგრამის მომზადებას?

— ისინი, მიუხედავად ასაკისა, ძალიან კარგად კითხულობენ ნოტებს. ხელს მიწყობს ისიც, რომ ისინი დები არიან, ერთდროულობის, სუნთქვის და სხვა უამრავი პრობლემაც, მოხსნილია.

— ნათია და თამუნა, გართობას თუ ასწრებთ?

ნათია — მიყვარს ხატვა, კითხვა, კლასიკური მუსიკის მოსმენა.

თამარი — ბევრს ვკითხულობ, მუსიკის მოსმენა ჩვენთვის სავალდებულოცაა, გარდა ამისა, ფეხბურთის თამაშსაც ვასწრებ...

მიუხედავად დღევანდელი ყოფისა, ახალგაზრდობა მაინც აკეთებს თავის საქმეს, სწავლობს და იბრძვის, მაგრამ... „ახალი სახელების" შემოქმედებითი სკოლის გაკვეთილებზე მოსკოვში, საქართველოდან მხოლოდ დები ბერაიები იყვნენ მიწვეულნი. სკოლა იხდიდა მათი მგზავრობისა და იქ ცხოვრების თანხის ნახევარს, საქართველოს მხრიდან საჭირო იყო სულ მცირედი თანადგომა, მაგრამ... ეს მცირედიც არ აღმოაჩნდა სახელმწიფოს. სამწუხაროა, რადგან ასეთ ტალანტებს ნამდვილად ესაჭიროებათ სახელმწიფოებრივი თანადგომა!

მაისში თბილისში ჩატარდა მოზარდთა ხელოვნების ფესტივალი-კონკურსი „მთენი 2000". იგი აერთიანებდა ნორჩ ლიტერატორთა, მხატვართა, გამოყენებითი ხელოვნების მიმდევართა, ვოკალისტთა, საფორტეპიანო, სიმებიან და ჩასაბერ საკრავებზე შემსრულებელთა კონკურსებს. გამარჯვებულთა კონცერტები გაიმართა 1, 2 ივნისს, საქართველოს მუსიკალური საზოგადოების დარბაზში, თბილისის ისტორიის მუზეუმში („ქარვასლა") მოეწყო მონაწილეთა ნახატებისა და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების გამოფენა. 22 ივნისს კი, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში გაიმართა გამარჯვებულთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონია. კონკურსის ჟიური მეტად ავტორიტეტული გახლდათ. საკრავების მრავალფეროვნებამ და მუსიკოსების მაღალმა დონემ თითოეულ ადგილზე სამ-სამი სხვადასხვა საკრავზე შემსრულებლის გასვლა გაანაპირობა. გარდა პირველ, მეორე და მესამე ადგილზე გასული პრიზიორებისა, ნიჭიერ მოზარდებს გადაეცათ „იმედის პრიზები", ყოველ მონაწილეს კი სამახსოვრო დიპლომები და წიგნები. ვოკალისტთა შორის ორ კატეგორიად გაიმართა კონკურსი 15 წლამდე და უფროსი ასაკის მომღერლებს შორის. მეორე კატეგორიაში პირველი პრემია მოიპოვა კონსერვატორიასთან არსებული ექსპერიმენტული სკოლის XI კლასის მოსწავლემ **ნინო მაჩაიძემ** (სოპრანო, კოლორატურა). იგი მთელი ფესტივალის მშვენება გახლდათ.

— ნინო, ოჯახში გაქვს მუსიკალური ტრადიციები?

— არავითარი, პირველი მუსიკოსი ვარ. მამა — ეკონომისტი-პოლიტიკოსია, დედა — ფილოლოგი.

— როგორ აღმოაჩინე შენში სიმღერის ნიჭი?

— პატარაობიდანვე ვმღერი, შემდეგ პედაგოგებმა შირჩიეს, ვოკალს გავყოლოდი. უკვე 10 წელია ვმღერი.

ნინო მაჩაიძე

— თუ არ ვცდები, ეს შენი პირველი წარმატებაა...

— დიახ, პირველი კონკურსი და პირველი პრემია, დებიუტი შედგა... მეგობარმა შირჩია, ბედი მეცადა და გამიმართლა კიდეც. განსაკუთრებული სიმპათია დაიმსახურა **სოფიკო გორდელაძემ**. მან პიანისტთა I პრემია და ვოკალისტთა III ადგილი მოიპოვა.

სოფიკო გორდელაძე: ბავშვობიდანვე ვმღეროდი, მაგრამ დაკვრა მხოლოდ 3 წელია, რაც დავიწყე. პირველი წარმატება 2 წლის წინ, რესპუბლიკურ დათვალიერება-კონკურსზე მოვიპოვე (II ადგილი), ვოკალის პრემია კი ჩემთვის პირველია. ესწავლობ მუსიკალურ ათწლედში. კონსერვატორიაში ჯერ ალბათ საფორტეპიანოზე ჩავაბარებ, შემდეგ ვოკალურზე.

ფესტივალი „მთენი 2000"-ის აღმოჩენად იქცა გამოყენებითი ხელოვნების კონკურსის I ადგილის პრიზიორი, ფანქრის ნათალისაგან დამზადებული თოჯინების ავტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი თინათინ გორელაშვილი.

თინათინ გორელაშვილი: ერთხელ მაგიდასთან უსაქმოდ ვიჯექი. დედა გამიჯავრდა — იმეცადინეო. ამასობაში, კევი ფანქრის ნათალით სავსე საფერფლეში ჩავარდა, რომ ავიღე, რაღაცას მივამსგავსე... დაიბადა იდეა...

„მთენი 2000"-მა კიდევ ერთხელ სცადა ნორჩ ხელოვანთა დარწმუნება იმაში, რომ მოზარდთა შემოქმედება არის და იქნება ჩვენი ინტერესის საგანი.

ალექსანდრე ბერიძე

თბილისს დააკლდა ერთი სიცოცხლე...

თბილისს დააკლდა ერთი სიცოცხლე. თითქოს ყველაფერი იგივე დარჩა. ლაჟვარდი ცის ფერიც და დინჯი მტკვრის დინებაც. წელინადის დროებიც მშვიდად შეცვლიან ერთმანეთს. მხოლოდ მისი იუმორი ისე ლაღად აღარ გააცინებს არავის... და მაშინაც კი, როცა ტელევიზიით ჩანაწერს გვიჩვენებენ, სადაც ობოლა ციმაკურიძე თუ მისი თოჯინა ედუარდი ძალიან სასაცილო ამბებს მოგვიყვებიან, ღიმილის ნაცვლად ტკივილი დაგვეუფლება და სევდა...

ეს იქნება ობოლას აქ არყოფნის სევდა...

თავისი ხანმოკლე, მაგრამ ძალიან აზრიანი ცხოვრების მანძილზე სიკეთის მარცვალს აღვივებდა ჩვენს გულებში და ჩვენც, ფილარმონიის დარბაზში თუ შინ, ტელევიზორთან მსხდომები ვიღიმებოდით. ვივიწყებდით ცხოვრების სიმძიმეს, იმ წუთებში სადარდელს საერთოდ აღარ ვიხსენებდით და სიცილით ვამარცხებდით სასოწარკვეთასაც კი...

ძალიან დიდი სულიერი ძალა სჭირდებოდა ალბათ ობოლას...

მაინც გამოდიოდა... მაინც გვჩუქნიდა სიცოცხლისათვის აუცილებელ ღიმილს...

მისი ხუმრობის მიღმა კი აღარ ვიყურებოდით და ბევრ რამეს ალბათ ვერც ვამჩნევდით...

ახლა კი უეცრად ძილიდან გამოფხიზლებულივით შედრკა ქალაქი. ერთი მშვენიერი ბიჭის ღიმილი განიბანა ბევრისმნახველ მტკვარში და მიიმალა...

თბილისს დააკლდა, ძალიან დააკლდა ერთი სიკეთით ანთებული სიცოცხლე.

ლელა ჯიყაშვილი

სულთათანა განუსვენე ქრისტე ღმერთო, სულსა გალაკტიონისა...

40 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც XX საუკუნის საქართველოს უპირველესმა პოეტმა გალაკტიონ ტაბიძემ თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. ამის გამო დღემდე გალაკტიონს ქართული ეკლესია არ მოიხსენიებდა გარდაცვლილთა მოსახსენიებელში. თუმცა, „არავინ იცის ზუსტად, რა მოხდა მარტის იმ ცივსა და უსიამოვნო დღეს „ლეჩკომბინატად" წოდებულ საავადმყოფოში. ორმოცწლიანი გადასახედიდან ძალიან ძნელია რაიმეს დაბეჯითებით მტკიცება...

ეს იყო გაუცნობიერებელი ნაბიჯი, თვითკონტროლს სრულიად მოკლებული კაცის საქციელი, რომლის პასუხის მოთხოვნაც, ალბათ არ ეგების.

„თქვენო უწმინდესობავ,

ქართული სამედიცინო საზოგადოების სახელით უმორჩილესად გთხოვთ, თუკი რაიმე გამოსავალი არის ამ მდგომარეობიდან, თქვენი მადლიანი ლოცვა-კურთხევა მოიღოთ ამ მართლაც-და ღვთიური ხმის მგოსნის საფლავისათვის. გენიალური გალაკტიონის მბორგავი სული საოხსა და მოსვენებას ნატრობს", — ნათქვამია ექიმთა სხვადასხვა პროფესიული გაერთიანებების მიმართვაში საქართველოს პატრიარქის მიმართ — „ჩვენთვის, ქართველ მკურნალთათვის ნათელია გალაკტიონის სამედიცინო ანამნეზი და უეჭველია დასკვნა იმის შესახებ, რომ იმჟამინდელი მდგომარეობა სრულიად ათავისუფლებდა პოეტს პასუხისმგებლობისაგან კანონის, საზოგადოების, ეკლესიის, ზნეობისა და განგების წინაშე".

მანამდე კი, პირველად მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა გაერთიანება „ეფემერას" წარმომადგენლებმაც მიმართეს უწმინდესს იმავე თხოვნით, რომელთა გათვალისწინებითაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ ა.წ. 25 ივნისს, კვირას, 12 საათზე, სიონის საპატრიარქო ტაძარში პოეტების მეფეს, გალაკტიონ ტაბიძეს, წესი აუგო, ხოლო იმავე დღეს 15.00 საათზე, პოეტის საფლავზე, მთანმინდაზე, გადახდილ იქნა საეკლესიო პანაშვიდი.

— ეს არის გალაკტიონის მეორედ დაბადება, — ასე შეაფასა ეს მოვლენა გალაკტიონ ტაბიძის ძმისწულმა, პროფესორმა ნოდარ ტაბიძემ, — გალაკტიონი მიწას არ დანარცხებია. გალაკტიონი მიწას აუსხლტა, რათა ზეცად ამაღლებულიყო. გახსოვთ გალაკტიონის სტრიქონები: „დედაო ღვთისავე, მზეო მარიამ, როგორც ნანვიმარ სილაში ვარდი, ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია და შორეული ცის სილაჟვარდე". მივაყციოთ ყურადღება უკანასკნელ სიტყვებს. დიახ, სწორედ ამ საოცარ სიწმინდეში, ლაჟვარდებში ღტოლვა იყო დამახასიათებელი გალაკტიონისათვის. დღეს გალაკტიონის სული ჩვენთანაა.

ამიერიდან გალაკტიონ ტაბიძის სულის მოხსენიება საეკლესიო მიცვალებულთა მოსახსენიებელში ნებისმიერ მართლმადიდებელ ქრისტიანს შეუძლია.

„სულთათანა განუსვენე ქრისტე ღმერთო, სულსა მიცვალებულისა მონისა ამის შენისა, სადა იგი არა არს ჭირი, მწუხარება"...

ნინო ტარყაშვილი



„საზღვრის დაცვის დეპარტამენტი შესაძლოა დაიშალოს...“

ისევ სახელმწიფო საზღვრები... ეს თემა ერთნაირად „მტკივნეული“ აღმოჩნდა ამ საკითხთან დაკავშირებული ყველა კომპეტენტური პირისთვის — განურჩევლად ჩინისა და დამსახურებისა. ჟურნალისტური მოკვლევის ჩატარება, ფაქტობრივად, შიშველი ხელებით გვიხდება. ვერ ვახერხებთ სასურველი ინფორმაციების მოპოვებას, რადგან ამ საკითხებზე საუბარს შეთქმულებივით გაურბიან ჩვენი „საზღვრების ქომაგნი“. უფრო მეტიც, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის ერთ-ერთმა მოადგილემ გვითხრა, — ამ პრობლემის მოგვარება მათ კომპეტენციაში არ შედის და ვერც მინისტრი და ვერც მისი მოადგილეები ამასთან დაკავშირებით კონკრეტულ პასუხს ვერ გაგვცემენ.

საზღვრის დაცვის დეპარტამენტი ამჯერად აღარ შეგვიწუხებია იმ „იმედით“, რომ „დუმილს“ არ გადაიფიქრებდნენ. ამჯერად, ჩვენს აღმოსავლელ მეზობლებთან არსებული სასაზღვრო პრობლემებით დავინტერესდით.

რა ხდება საქართველო-სომხეთისა და საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრებთან?

რა გითხრათ, რით გაგახაროთ?! დოკუმენტები, რომელთა მოპოვებაც გაჭირვებით მოვახერხეთ, არცთუ საიმედო სურათს იძლევა. მივაკვლიეთ საქართველო-სომხეთის საზღვარზე 1993 წლიდან 1997 წლამდე მომხდარი ინციდენტების ნუსხას (მომდევნო წლებში აღნიშნული ფაქტები, სარწმუნო წყაროს ინფორმაციით, ოფიციალურად აღარ ფიქსირდებოდა. თუ რატომ, ეს, ვფიქრობთ, ცალკე განსჯის საგანია).

— 1994 წლის 16 აპრილს სოფ. ხანჯიგაზლოში საავტომობილო გზაზე, წითელი ხიდი-მარნეული, ავტომანქანა აფეთქდა ნაღმით. დაიღუპა საქართველოს 2 მოქალაქე (ეროვნებით ქართველები).

— 1994 წლის 15 სექტემბერს სასაზღვრო საგუშაგო „გუგუთი“-ს განწესმა დააკავა სომხეთის მოქალაქეები ტყის უკანონო ჩეხისას. დაკავებულების დასახსნელად სომხეთიდან გადმოვიდა რამდენიმე შეიარაღებული პირი და ავტომატური იარაღით ცეცხლი გაუხსნეს ქართველ მესაზღვრეებს. დაიღუპა 1 მესაზღვრე, დაიჭრა ორი.

— 1995 წლის 24 მაისს სოფ. ხანჯიგაზლოს მიდამოებში ნაღმის აფეთქების შედეგად დაიღუპა 8 კაცი.

— 1995 წლის 7 ივნისს, 17.30 საათზე, ბაბაქრის მთის მიდამოებში ავტომატური იარაღით სომხეთის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებმა დაცხრილეს სოფ. აღმამედლოს მეურნეობის ნახირი. მოკლეს 8 სული მსხვილფეხა საქონელი. სომხეთში გადაიტანეს 2 მოკლული ძროხა.

— 1996 წლის 10 სექტემბერს ბაბაქრის მთის მიდამოებში სომხეთის შეირაღებული ძალების წარმომადგენლებისაგან ნასროლი ტყვიით დაიღუპა საქართველოს მოქალაქე გუმანას ალია-ოღლი ალიევი.

— 1996 წლის 14 დეკემბერს, დაახლოებით 14.30 საათზე, სომხეთის სამხედრო მოსამსახურეებმა ცეცხლი გაუხსნეს მონადირეებს (საქართველო-აზერბაიჯან-სომხეთის საზღვრის პირდაპირ). დაიღუპა საქართველოს მოქალაქე ზაურ შაქროს ძე მეკოკიშვილი.

— 1997 წლის 6 მაისს, დაახლოებით 16.00 საათზე, სომხეთის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებმა ცეცხლი გაუხსნეს საზღვრის დასათვალიერებლად მყოფ ქართველ მესაზღვრეთა განწეს „მზირ“-ს.

სულ ამ პერიოდში სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქეებმა და სამხედრო სამსახურებმა გაიტაცებს 600-მდე სული მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი, მძევლად აიყვანეს საქართველოს 21 მოქალაქე. ნაღმის აფეთქებით დაიღუპა 17 კაცი.

აღბათ იკითხავთ, რა ნაღმებზეა საუბარიო.

რამდენიმე წლის წინ სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის მომიზეზებით, სამი სახელმწიფოს საზღვრის შესაყარზე საქართველოს ტერიტორიის მოზრდილი მონაკვეთი დანაღმეს(!) ვინ დანაღმა? — ცალკე სომხეთმა და ცალკე აზერბაიჯანმა, მაგრამ რა შუაშია საქართველო?! გასაგებია, ჩვენი მეზობლები თავიანთი სახელმწიფოების უსაფრთხოებაზე ზრუნავენ, მაგრამ განა შეიძლება, რომ ეს ჩვენი ქვეყნის ინტერესების ხარჯზე ხდებოდეს? მით უმეტეს, რომ ამ ტერიტორიებზე ნაღმების აფეთქებას არა ერთი საქართველოს მოქალაქის სიცოცხლე შეეწირა.

არანაკლებ გაურკვეველი სიტუაციაა წითელ ხიდთანაც. ხელოვნურად არის შექმნილი ე.წ. ნეიტრალური მონაკვეთი. ჩვენი მხრიდან დათმობის პოლიტიკა კი უკვე ძალიან სახიფათო მასშტაბებს იძენს. თუმც, როგორც კომპეტენტურმა პირებმა გვითხრეს, დაწყებულია ინტენსიური მოლაპარაკებები, რომლებმაც საბოლოოდ უნდა დაარეგულიროს საქართველოს სახელმწიფო საზღვრებთან შექმნილი ბუნებრივი თუ ხელოვნური პრობლემები. ოფიციალურ პირთა საუბარს ქვემოთ შემოგთავაზებთ, მანამდე კი გთავაზობთ ორ ინტერვიუს, რომლებიც სომხეთისა და აზერბაიჯანის საზღვარზე ჩავიწერეთ. გასაგები მიზეზების გამო ორივე ინტერვიუერის ანონიმურობას ვიცავთ. ერთ-ერთ მათგანს — მესაზღვრეს, რიგით ჯარისკაცს, ეროვნებით ქართველს აზერბაიჯანის საზღვართან, პოსტიდან ცოტა მოშორებით გავესაუბრეთ.

— დიდი ხანია, რაც აქ მსახურობ?

— არც ისე, წელიწადზე ცოტა მეტი იქნება.

— როგორი პირობებია, არ გიჭირს აქ ყოფნა?

— სხვა სამხედრო ნაწილებთან შედარებით, ჩვენთან უკეთესი პირობებია. პროდუქტი და სიგარეტი მაინც გვაქვს.

— ხელმძღვანელობამ რომ დაგინახოს, ჩვენ გველაპარაკები, სომ არ გისაყვედურებენ?

— ყოველ შემთხვევაში, არ მოეწონებათ!

— მოპირდაპირე მხარეს ვისი ბაზრობაა?

— ვერ ხედავთ? ვისი დროშაც არის, იმათი ბაზრობაა, აზერბაიჯანელების.

— დიდი ხანია, რაც აქ ეს ბაზრობა ფუნქციონირებს?

— დაახლოებით ოთხი-ხუთი წლის წინ აქედან მესაზღვრეები გაუყვანიათ. აზერბაიჯანელებსაც დრო უხელთიათ და ეს ბაზრობა აუშენებიათ. მიწა ჩვენია, მაგრამ იქ ფეხსაც არ გვადგმევინებენ.

— ხიდგალმა ამდენი მანქანა რატომ არის თავმოყრილი?

— მაგ ტერიტორიაზე ამბობენ, ნეიტრალური მონაკვეთიაო. ადრე ჩვენი პოსტი ხიდის ბოლოს იდგა. აზერბაიჯანელებს ეს არ მოეწონათ. ჩვენებიც ადგნენ და ეს ვაგონი უკან გადმოსწიეს.

„მიწა ჩვენია, მაგრამ იქ ფეხსაც არ გვადგმევინებენ...“

— ამბობენ, რომ აქ სადღაც ტერიტორია არის დანაღმულიო.

— ამბობენ კი არა, მართლა დანაღმულია. აი, მარნეულისკენ გზა რომ მიდის, მაგ სოფლის მოპირდაპირე მთელი ტერიტორია დანაღმულია — იქით ვერ გადავდივართ. ჩვენთან ერთი ოფიცერი მსახურობს. ის აფეთქებულა ადრე მანდ ნაღმით. თვითონ გადარჩა, მაგრამ მისი მეგობარი დაიღუპა.

— რატომ არ განაღმავენ?

— აბა, მე რა ვიცი? ეგ ჩვენს უფროსებს უნდა ჰკითხოთ.

— აზერბაიჯანელ მესაზღვრეებთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?

— ნორმალური. ისინიც ჩვენნაირი ჯარისკაცები არიან. ისე, აზერბაიჯანელ მესაზღვრეებს უფრო კარგად აქვთ საქმე. ისინი კაპიტალურ შენობაში მაინც არიან.

აზერბაიჯანის საზღვართან საქართველოს ტერიტორიის დაახლოებით 7 კილომეტრიანი პერიმეტრი დანაღმულია. ნაღმების განლაგების შესახებ ქართულ მხარეს არანაირი ინფორმაცია არ აქვს, რის გამოც ჩვენი მესაზღვრეები ტერიტორიის ამ მონაკვეთზე ფაქტობრივად ვერ მოძრაობენ. აქ კონტრაბანდის გადასვლა-გადმოსვლაზე თვალყურს მთლიანად აზერბაიჯანის მხარის კეთილსინდისიერების იმედზეა დარჩენილი (როგორც შეიტყვეთ, მათ იციან უსაფრთხო ბილიკები), მაგრამ თუ დღევანდელ რეალობას გავითვალისწინებთ, კონტრაბანდის შემოტანის ალბათობა ძალიან დიდია.

რაც შეეხება საქართველო-სომხეთის საზღვარს, აქაც არ არის სახარბიელო მდგომარეობა. საზღვრის ბაბაქრის ქედის მონაკვეთი ჩვენთვის მიუდგომელი აღმოჩნდა. როგორც გვითხრეს, იქ დგას სომხეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მსხვილი შენაერთი. საქართველოს მხარეს კი მიმდებარე ტერიტორია თურმე მთლიანად დანაღმულია. ეს ყველაფერი გვიამბო ეროვნებით აზერბაიჯანელმა, ადგილობრივმა მკვიდრმა — წვრილმა ბიზნესმენმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა.

— ვინაობის გამჟღავნება რატომ არ გსურთ?

— ვინაობა რომ გითხრათ, შეიძლება პრობლემები შემექმნას ჩემი ბიზნესის წარმოებაში. რა ძალა მაქვს. ერთ-ორ ლუკმა პურს ვჭამ ჩემი შრომით (თუმცა, ბოლოს ზრდილობისთვის სახელი მაინც გვითხრა — ალიკა მქვია, ეგ შეგიძლიათ დაწეროთო).

— მეზობელ სომხებთან როგორი ურთიერთობა გაქვთ, მათთან თუ ეწევით ბიზნესს?

— საქონელი ძირითადად აზერბაიჯანიდან შემომაქვს, მერე კი სადახლოს ბაზრობაზე სომხებს ვაბარებ.

— საზღვარზე პრობლემები არ გხვდებათ?

— არა, რა პრობლემა! ყველაფერს თავისი „სტავკა“ ადევს. გადაიხადე და წადი. არც იმას გეკითხებიან, რა შემოგაქვს და არც იმას — რა გაგაქვს. თანაც უკვე ყველას ვიცნობ და კარგი ურთიერთობები გვაქვს. ისე, აზერბაიჯანის მხარეს გასვლა უფრო იოლია. იქ ერთად დგას პოლიცია, მესაზღვრეები, მებაჟეები და სხვები. ერთხელ გადაიხდი ოფიციალურსა და არაოფიციალურსაც და მერე, თუ გინდა კასპიის ზღვამდე ჩახვალ — შენი შემწუხებელი არავინ არის. ასევეა სომხეთშიც, მაგრამ აზერბაიჯანელი რომ ვარ, იქ გასვლას უფრო ვერიდები — რა იცი, რა მოხდება.

— იმ დანაღმულ ტერიტორიებზე თქვენი სოფლიდან ვინმე ხომ არ აფეთქებულა?

— კი, იყო ასეთი შემთხვევები. დიდი საცოდაობა დატრიალდა. სომხეთის სამხედრო ნაწილები ზოგიერთ ადგილზე რამდენიმე ასეული მეტრით არის შემოჭრილი ჩვენს ტერიტორიაზე. დანაღმულიც ჩვენი მიწაა. ქართველი მესაზღვრეები კი მოიყვანეს აქ, მაგრამ საზღვრის გასწვრივ ყველგან გასვლას ვერ ბედავენ. წინა წლებში აქ ნაღმებით ბევრი ხალხი დაიღუპა. ერთხელ, ჩვენი მესაზღვრეები სომხებმა დაიჭირეს და წაიყვანეს. მერე ისევ გამოუშვეს. ისე, მესაზღვრეები თავს იმართლებენ, — უფროსობისგან იარაღის გამოყენება აკრძალული გვაქვსო. თუ ეს მართალია, კარგად ყოფილა ჩვენი საქმე.

ᲘᲜᲝ ᲑᲣᲠᲭᲐᲜᲐᲫᲔ — საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე:

— სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის დაწყებისთანავე ჩვენი ტერიტორია უსაფრთხოების მიზნით დაინაღმა. დღეს უკვე აქტიური მოლაპარაკებები მიმდინარეობს როგორც აზერბაიჯანის, ისე სომხეთის მხარეებთან აღნიშნული ტერიტორიის განაღმვის თაობაზე და იმედი მაქვს, რომ უახლოეს ხანში ეს პრობლემა მთლიანად მოიხსნება.

— კი, მაგრამ ჩვენს ტერიტორიას რატომ ნაღმავდნენ, თავიანთი ვერ დანაღმეს?

— ნამდვილად არ ვიცი, რა შეთანხმებები უსწრებდა წინ ამ პროცესს, მაგრამ დღეს აზერბაიჯანის მხარე მზად არის, საქართველოსთან მოლაპარაკებების საფუძველზე, აღნიშნული პრობლემა მოხსნას. ამით ორივე მხარეა დაინტერესებული და ხელის შემშლელი ფაქტორი პრაქტიკულად არ არსებობს. საჭიროა მხოლოდ დრო.

— დაახლოებით რამდენ ხანში ვარაუდობთ ამის მოგვარებას?

— საზღვრების საკითხებს მთელ რიგ ქვეყნებში წლობით არეგულირებენ ხოლმე. არ ვამბობ, რომ ჩვენც 10 წელი უნდა ველოდოთ ამ პრობლემის მოგვარებას, მაგრამ, ბუნებრივია, ერთ თვეშიც ვერ გადაიჭრება.

— როდესაც რომელიმე ქვეყნის ტერიტორიები ინაღმება მეზობელი სახელმწიფოების მიერ, რა სამართლებრივი ღონისძიებები უნდა გატარდეს ამ შემთხვევაში, თუნდაც იმავე უსაფრთხოების მიზნით?

— იცით რა, თქვენს ადგილზე ასეთ აქცენტს არ გავაკეთებდი ტერიტორიების დანაღმვასთან დაკავშირებით. იმიტომ, რომ აზერბაიჯანი არის ჩვენი მეგობარი სახელმწიფო. სამწუხაროდ, მოხდა დანაღმვა, მაგრამ დღესდღეობით ეს პრობლემა მოგვარებადია.

— აქამდე რატომ არ დადგა ჩვენი ტერიტორიის განაღმვის საკითხი, მით უმეტეს, რომ ამ ნაღმებით საქართველოს არა ერთი მოქალაქე აფეთქდა?

— ასეთი ინფორმაცია მე არ მაქვს. ჩემთვის არავის დღემდე მსგავსი არაფერი უცნობებია. თქვენ ეს ნამდვილად იცით?

— დიახ, ჩვენი ინფორმაციით, 17-მდე საქართველოს მოქალაქეა ნაღმით აფეთქებული.

— იცით რა, არა მგონია, რომ ეს სინამდვილეს შეესაბამებოდეს. იქ ამდენი კაცი მართლა რომ აფეთქებულიყო, ინფორმაცია ამის შესახებ აუცილებლად გვექნებოდა. და თუ ეს ფაქტები რეალობაა, მაშინ შესაბამის უწყებებს თავის დროზე უნდა მიეღოთ გამაფრთხილებელი ზომები და დაუყოვნებლივ დაეწყოთ მოლაპარაკებები აღნიშნული ტერიტორიის განაღმვასთან დაკავშირებით. ალბათ გარკვეულწილად ჩვენი ბრალიც არის, რომ ამდენი ხანი ეს საკითხი უფრო აქტიურად არ დავაყენეთ დღის წესრიგში. ამაში შესაბამისი უწყებები არიან დამნაშავენი. ამ ბრალს ჩემს თავზე ნამდვილად ვერ ავიღებ იმიტომ, რომ აქამდე ამ თემასთან არანაირი შეხება არ მქონია, მაგრამ, კიდევ ვიმეორებ, როგორც კი საქართველომ ეს საკითხი წამოჭრა, აზერბაიჯანის მხარე მაშინვე გაგებით შეხვდა. მადლობა ღმერთს, ამ შემთხვევაში ისეთი პარტნიორი გვყავს, რომ პრობლემა დარეგულირდება ყოველგვარი აჟიოტაჟისა და ზედმეტი ხმაურის გარეშე.

— წითელ ხიდთან დაკავშირებით რას იტყვით, რომელსაც, ფაქტობრივად, მთლიანად აზერბაიჯანელები აკონტროლებენ?

— წითელი ხიდის თაობაზე ამჟამად რაიმე კონკრეტული ინფორმაცია არ მაქვს.

— როგორც ვიცი, არც სომხეთის საზღვართან გვაქვს სიტუაცია მთლად „დალაგებული“.

— სომხეთთან შედარებით ნელი ტემპით მიდიოდა მოლაპარაკებების პროცესი. მათ მრავალგვარი მოსაზრება ჰქონდათ იმასთან დაკავშირებით, რომ შეიძლებოდა ამ საკითხის გარშემო რაღაც პრობლემები წამოჭრილიყო, ამიტომ ცოტა არ იყოს, თავს იკავებდნენ.

— რომელიმე მეზობელ სახელმწიფოსთან თუ გვაქვს საზღვარი მოწესრიგებული?

— თურქეთთან. აქ საზღვრების საკითხი, ფაქტობრივად, დარეგულირებულია. ეს არის ერთადერთი სახელმწიფო, სადაც ამ მხრივ პრობლემა არ არსებობს. საზღვარი აბსოლუტურად გამიჯნული და დელიმიტირებულია, ანუ არაფერი სადავო და გასაყოფი მათთან არ გვაქვს. გადასაწყვეტია ერთადერთი — დემარკაციის საკითხი — ყოფილი საბჭოთა კავშირის ნიშნულები უნდა შეიცვალოს ქართული სიმბოლიკით. ეს კი მხოლოდ და მხოლოდ თანხებთან არის დაკავშირებული.

ᲖᲐᲖᲐ ᲙᲐᲜᲓᲔᲚᲐᲙᲘ — სადემილიტაციო და სადემარკაციო კომისიის თავმჯდომარე:

— ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება სომხეთის და აზერბაიჯანის სახელმწიფოებთან დემილიტაციის თაობაზე. აქ საუბარია ტერიტორიების მონაცვლეობაზე, საზღვრების გასწორებასა და, ასე ვთქვათ, დაკანონებაზე. ამჯერად ჩვენი კომისია მუშაობს სოფელ ერისიმედის პრობლემებზე. ვაწარმოებთ აქტიურ მოლაპარაკებებს აზერბაიჯანის მხარესთან. როდესაც ერისიმედის შეუთანხმებელ მონაკვეთს შევათანხმებთ, მერე უკვე დავიწყებთ მუშაობას წითელი ხიდის პრობლემებზე.

— დღესდღეობით რა მდგომარეობაა წითელ ხიდზე?

— წითელ ხიდთან დაკავშირებით კომენტარებისგან თავს შევიკავებ, იმიტომ რომ აზერბაიჯანულ მხარესთან ამ თემაზე საუბარი ჯერ არ მქონია. როდესაც მათი პოზიცია მეცოდინება, ჩვენს პოზიციასაც მაშინ დავაფიქსირებ.

— სომხეთის და აზერბაიჯანის საზღვრებთან დანაღმული ტერიტორიების შესახებ თუ გაქვთ ინფორმაცია?

— ეს საკითხი არ შედის ჩემს კომპეტენციაში. ამ თემაზეც მხოლოდ მას შემდეგ ვილაპარაკებ, რაც აზერბაიჯანის და სომხეთის მხარეებთან მექნება შესაბამისი საუბრები. რაც შეეხება დემილიტაციის საკითხს, ჩვენ ვეყრდნობით იმ იურიდიულ ბაზას, რომელსაც ორივე მხარე აღიარებს. აქ არ არის ლაპარაკი იმაზე, რომ ვინმემ ვინმეს რევერანსი გაუკეთოს. არსებობს იურიდიული ბაზა, შესაბამისი საბუთები, იურიდიულ-სამართლებრივი დოკუმენტები, რომლითაც შევძლებთ ჩვენი პოზიციების დასაბუთებას.

P.S. ძალიან გვინდა გვეკუროდეს, რომ საქართველოს სახელმწიფო საზღვრებზე არსებული პრობლემები დარეგულირებადია, მაგრამ... ამ მხრივ ყველაფერი რიგზე რომ არ არის, ამის დასტურად, დანაღმულ ქართულ ტერიტორიებზე 17 საქართველოს მოქალაქის (რაც დაფიქსირებულია) აფეთქების ფაქტიც კმარა. იმედია, ჩვენი რესპონდენტებიც დაგვეთანხმებიან, რომ მაშინ როცა „ყველაფერი კარგად არის“, ადამიანები არ იღუპებიან.

ხათუნა ყვირალაშვილი

ABG

სიახლე საქართველოს აგრო-ბიზნეს ბანკისაგან

ევროკომისიის ფინანსური და ტექნიკური დახმარებით შექმნილი ბანკი შესაძლებლობას აძლევს სოფლის მეურნეობის, სურსათის წარმოებისა და ვაჭრობის სფეროში დასაქმებულ ორგანიზაციებსა და კერძო მეწარმეებს ისარგებლონ უფასო საბანკო მომსახურებით. ეს შეღავათი გავრცელდება მხოლოდ მათზე, ვინც მიმდინარე წელს გახდება ბანკის კლიენტი.

დაგვიკავშირდით ჩვენი მისამართია: თბილისი, ბუდაპეშტის 10 ტელეფონები: 25-08-20; 25-13-52

გორბაჩოვის საგანგებო დეპეშა გამსახურდიას სახელზე

1990 წელს ყოფილი საბჭოთა კავშირის პირველი და უკანასკნელი პრეზიდენტის მიხეილ გორბაჩოვის მიერ საქართველოს იმდროინდელი უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, ზვიად გამსახურდიას სახელზე გამოგზავნილი დეპეშის შესახებ საზოგადოებამ არაფერი იცის. აღნიშნული დოკუმენტი ააშკარავებს კრემლის ზრახვებს და კიდევ ერთხელ ცხადყოფს საქართველოს სუვერენიტეტის შებღალვის მცდელობას.

თუ რა მოხდა მაშინ, გვესაუბრება იმჟამინდელი პრემიერ-მინისტრი, ბატონი თენგიზ სიგუა.

ამასთან ერთად, გთავაზობთ ნაწყვეტს ბატონი აკაკი ასათიანის ინტერვიუდან.

თენგიზ სიგუა:

— 1990 წელს, მას შემდეგ, რაც საქართველოში ახალი ხელისუფლება მოვიდა, მთავრობამ მიიღო დადგენილებანი, რომლებიც ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელთა შეცვლის საკითხსაც ეხებოდა. ერთ-ერთი მთავარი საკითხი იყო უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელობის გამოცვლა. მაშინ უშიშროებას ხელმძღვანელობდა ბატონი ლორთქიფანიძე, პირველ მოადგილედ ჰყავდა რუსეთის წარმომადგენელი, რასაკვირველია, რუსი. იგი უპირველესი ინფორმატორი იყო და მოსკოვს აწვდიდა ცნობებს რესპუბლიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ, მათ შორის საიდუმლო ინფორმაციებს. ამიტომ, აუცილებლობად ჩავთვალეთ, ძველი ხელმძღვანელობა გამოგვეცვალა და უშიშროების მინისტრად დაგვენიშნა ოთარ ხატიაშვილი — უშიშროების კადრის გენერალი. იგი შორეულ აღმოსავლეთში უშიშროების უფროსი იყო და იქიდან გადმოიყვანეს საქართველოში, აჭარის უშიშროების უფროსად. მოგეხსენებათ, შორეული აღმოსავლეთი იაპონიას ესაზღვრება, აჭარა კი — თურქეთს. თურქეთი ნატოს წევრი სახელმწიფოა და საბჭოთა კავშირის ერთერთ მოწინააღმდეგედ ითვლებოდა. ცხადია, ოპერატიული თვალსაზრისით, ძალიან რთული უბნები იყო. ასე რომ, ამ დარგში ბატონი ოთარი ფრიად ავტორიტეტული პიროვნება გახლდათ.

რასაკვირველია, არავისთან არაფერი შეგვითანხმებია. რესპუბლიკაში ჩვენ თვითონ გადაეწყვიტეთ ეს საკითხი. ამას მოჰყვა მოსკოვის ძალიან მძაფრი რეაქცია. პირველად თავისი უკმაყოფილება გამოხატა იმჟამად საბჭოთა კავშირის უშიშროების მინისტრმა, კრუჩკოვმა, რომელიც უშუალოდ მე მელაპარაკა და საკმაოდ რადიკალური ტონითაც: ეს საკავშირო ცენტრალური კომიტეტის ნომენკლატურაა და რესპუბლიკის ხელმძღვანელობას ამის უფლება არავითარ შემთხვევაში არ ჰქონდაო. არ იკითხავთ, რაზე ჰქონდა პრეტენზია? მითხრა: „ვი ნაბრალი ლუდეი ს ულიცი“, ე.ი. ამხელა უშიშროების სამინისტროს ხელმძღვანელობაში არაპროფესიონალები მოიყვანეთო. ბატონი ოთარის ბიოგრაფიის კაცზე როგორ შეიძლება თქვა, რომ „ონ ჩელავეკ ს ულიცი?“ სინამდვილეში კრუჩკოვი იმან გააღიზიანა, რომ ის მისი, ასე ვთქვათ, მსტოვარი, აქაურობას მოვაშორეთ. ეს აშკარად ვეღარ თქვა და აბსურდული, გამოგონილი საბაბით შემოგვდავა. ასეთი მცდარი ინფორმაცია მიაწოდა საბჭოთა კავშირის პრემიერ-მინისტრს რიჟკოვს. იმავე საღამოს დამირეკა რიჟკოვმაც. ვუთხარი, — რომელ არაპროფესიონალიზმზეა ლაპარაკი-მეთქი და ბატონი ოთარის ბიოგრაფია დაწვრილებით გავაცანი. რიჟკოვმა უკან დაიხია, — თუ ეს ასეა, პრეტენზია არა გვაქვსო. მაშასადამე, რიჟკოვი დავარწმუნე, რომ კრუჩკოვი არასწორ ინფორმაციას აწვდიდა. მაგრამ, მიუხედავად კრუჩკოვსა და რიჟკოვთან საუბრებისა, გორბაჩოვმა ეს დეპეშა, რომელიც თქვენ გადმოგეცით, მაინც გამოგზავნა. ეს უკვე ბოლო აკორდი იყო. აქაც ჩანს, რომ სსრკ-ის პრეზიდენტი უკმაყოფილებას საკმაოდ რადიკალური ტონით გამოხატავს და პირდაპირ ავალებს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს, გააუქმოს თავისი დადგენილებები და აღადგინოს მოხსნილი პიროვნებები.

გორბაჩოვის დეპეშა ზვიად გამსახურდიას სახელზე მოვიდა და, რა თქმა უნდა, მე ეს არ ვიცოდი. ბატონმა ზვიადმა დამირეკა. იგი ოდნავ აღელვებულიც იყო. მითხრა, — მბრძანებლური დეპეშა მოვიდა გორბაჩოვისაგანო. რა საკითხზე-მეთქი? საკადრო საკითხებზე უშიშროებასა და შსს-შიო. სასწრაფოდ მივედი მასთან კაბინეტში და ეს დეპეშა მაშინ გადმომცა. ბატონ ზვიადს ვუთხარი, — რიჟკოვს ვესაუბრე და გარანტიაც მივიღე იმისა, რომ პრეტენზია აღარ ექნება. ის კრუჩკოვმა შეცდომაში შეიყვანა-მეთქი. ასევე, ვუთხარი, რომ დადგენილებებს, აღნიშნული უწყებების ხელმძღვანელთა მოხსნისა და დანიშვნის შესახებ, ხელს ვაწერ მე და ამ ღონისძიებაზე მთლიანად მე ვარ პასუხისმგებელი. დეპეშასაც სწორედ ასეთი წარწერა გავუკეთე.

ამით გავამხნევე და ვაგრძნობინე, რომ თუ გორბაჩოვის ამ დეპეშის გამო უკან დავიხიეთ, გავაუქმეთ მთავრობის წინა დადგენილებები და აღვადგინეთ ის ხალხი, ეს იქნება იმხელა დათმობა, რომ შემდეგ უკვე ნებისმიერ სხვა საკითხზე საბოლოოდ კისერზე დაგვასხდებიან-მეთქი. ყოველივე ამის გამო, ეს საკითხი ძალზე პრინციპული იყო — არ დაგვეთმო და არც დავთმეთ.

დეპეშა მინისტრთა საბჭოში წამოვიღე. ჩვენი მინისტრების თაობაზე დადგენილებები არქივიდან ამოვიღე და ეს წავაწერე.

რა თქმა უნდა, ყველა ჩემი ნაბიჯი და კანდიდატურების მოხსნა-დანიშვნის საკითხი ზვიად გამსახურდიასთან შეთანხმებული იყო. საბოლოოდ კი, მას პარლამენტი ამტკიცებდა.

შს მინისტრის დანიშვნის საკითხი ასე არ გართულებულა. გენერალი გორგოძე თანამდებობიდან საკუთარი სურვილით გადადგა. ზეწოლა ძირითადად უშიშროებაზე იყო, იმიტომ, რომ რესპუბლიკიდან ინფორმაცია სწორედ აქედან გადიოდა. ამიტომ გითხარით და კიდევ ვიმეორებ, მთავარი პრობლემა იყო ის პირველი მოადგილე


ПРАВИТЕЛЬСТВЕННАЯ ТЕЛЕГРАММА

МИНИСТЕРСТВО СВЯЗИ СССР

ПРИЕМ. ПЕРЕДАЧА.

316

МОСКВА 132/23125 136 27/11 2246=

ВЫСШАЯ ПРАВИТЕЛЬСТВЕННАЯ УВЕДОМЛЕНИЕ ТЕЛЕГРАФОМ

ТБИЛИСИ ЛИЧНО ПРЕДСЕДАТЕЛЯ ВЕРХОВНОГО СОВЕТА РЕСПУБЛИКИ ГРУЗИЯ

ГАМСАХУРДИА З.К.=

СТАЛО ИЗВЕСТНО ЭПТ ЧТО СЕГОДНЯ ЭПТ 27 НОЯБРЯ ЭПТ БЕЗ СОГЛАСОВАНИЯ И ПРЕДВАРИТЕЛЬНОГО ОБСУЖДЕНИЯ С СООТВЕТСТВУЮЩИМИ ЦЕНТРАМИ ВЕДОМСТВАМИ СТРАНЫ ПРОИЗВЕДЕНА СМЕНА РУКОВОДСТВА МВД И КГБ ГРУЗИИ ТЧК ЛИЧНОМУ СОСТАВУ ЭТИХ ВЕДОМСТВ ДАНЫ УКАЗАНИЯ ЭПТ ПОЛНОСТЬЮ ПРОТИВОРЕЧАЩИЕ НОРМАТИВНО-ПРАВОВЫМ АКТАМ ЭПТ КОТОРЫМИ ОНИ РУКОВОДСТВУЮТСЯ В СВОЕЙ РАБОТЕ ТЧК ВСЕ ЭТО ВЫЗЫВАЕТ СЕРЬЕЗНУЮ ОЗАБОЧЕННОСТЬ ЭПТ ТЕМ БОЛЕЕ ЧТО РЕЧЬ ИДЕТ О СОЮЗНО-РЕСПУБЛИКАНСКИХ МИНИСТЕРСТВЕ И КОМИТЕТЕ ТЧК ПРЕДЛАГАЮ ПРИОСТАНОВИТЬ ДЕЙСТВИЕ ПРИНЯТЫХ НЕПРАВОМЕРНЫХ РЕШЕНИЙ И ДО НЕОБХОДИМЫХ СОГЛАСОВАНИЙ ЭТИХ ВОПРОСОВ С ЦЕНТРОМ ВОССТАНОВИТЬ ДОЛЖНОСТИХ РУКОВОДИТЕЛЕЙ МВД И КГБ РЕСПУБЛИКИ ЭПТ А ТАКЖЕ ЛИЧНЫЙ СОСТАВ ЭПТ КАК ЭТО БЫЛО ДО 27 НОЯБРЯ С.Г. В ПРОТИВНОМ СЛУЧАЕ-ОСТАВЛЯЮ ЗА СОБОЙ ПРАВО ПОСТУПИТЬ В СООТВЕТСТВИИ С ДЕЙСТВУЮЩИМ ЗАКОНОДАТЕЛЬСТВОМ-ПРЕЗИДЕНТ СОЮЗА СОВЕТСКИХ СОЦИАЛИСТИЧЕСКИХ РЕСПУБЛИК М. ГОРБАЧЕВ

27 НОЯБРЯ 1990 ГОДА-

(გვარი ახლაც კარგად მახსოვს, გენერალი ვოიციცკი), მთელი ინფორმაცია მისგან გადიოდა. სხვათა შორის, 1989 წლის 9 აპრილის პერიოდში აქ დატრიალებულ ტრაგედიაში ძალიან დიდი მონაწილეობა სწორედ ამ რუსმა კგბ-ს თანამშრომელმა მიიღო — აქედან არასწორი ინფორმაციები გაგზავნა მოსკოვში.

1990 წლისთვის ჩვენ ბატონ ოთარს ვთხოვეთ, ისევ დაბრუნებულიყო ორგანოებში და შეესრულებინა მინისტრის მოვალეობა. იგი ამ დროისათვის უშიშროების ორგანოებიდან დათხოვილი იყო იმიტომ, რომ 1989 წლის 9 აპრილის ტრაგიკულ დღეებში დიდი მამულიშვილობა გამოიჩინა, არ ასრულებდა იმ დავალებებს, რომლებსაც მას აძლევდნენ (სხვათა შორის, მისი ის რუსი კოლეგაც). კონკრეტულად ეს იყო: ცრუ ინფორმაციების გავრცელება, ზემდგომ ორგანოებში არასწორი ინფორმაციების გაგზავნა და აქაც შესაბამისი სამუშაოს ჩატარება, რაზეც ბატონმა ოთარმა უარი განაცხადა და ის პოზიცია დაიჭირა, რომელიც ქართველ კაცს შეშვენის — ქართველი ერის გვერდით დადგა. „ურჩობისთვის“ იგი უშიშროების ორგანოებს ჩამოაშორეს. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ, — უშიშროების ორგანოების სათავეში ასეთი პატრიოტი კაცი უნდა იყოსო და ბატონ ოთარს ვთხოვეთ, უშიშროების სამინისტრო ჩაებარებინა. დაუკვირდით, ჯერ ხომ 1990 წელი იდგა, სსრკ ოფიციალურად დაშლილი არ იყო. არსად ეწერა, მაგრამ დაუწერელი კანონი გახლდათ — უშიშროების მინისტრი და მისი მოადგილეები აუცილებლად საკავშირო ცკ-ის ნომენკლატურა უნდა ყოფილიყო და თითოეულის კანდიდატურა მასთან უნდა შეგვეთანხმებინა. მაგრამ ჩვენ, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, არ ვცანით საჭიროდ და დაუყოვნებლივ გადავდგით ეს ნაბიჯი.

სხვათა შორის, საკავშირო ორგანოებს ნაკლებად აინტერესებდათ, საქართველოში ვინ იქნებოდა, ვთქვათ, განათლების ან ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი. რასაკვირველია, მთავარი იყო უშიშროება და ეს შეეხებოდა არა მხოლოდ საქართველოს უშიშროების მინისტრის პოსტს.

სერიოზულ პრობლემად იქცა აფხაზეთის უშიშროების უფროსის დანიშვნაც. საქმე ის გახლავთ, რომ აფხაზეთი არ იყო „ჩვეულებრივი“ ავტონომიური რესპუბლიკა. საკავშირო ორგანოების ხელმძღვანელები, მაღალი რანგის ჩინოვნიკები და არა მხოლოდ საბჭოელები, არამედ უცხოელებიც, ხშირად ზაფხულის არდადეგებს აფხაზეთში ატარებდნენ. ამიტომ საკავშირო ორგანოები აფხაზეთის მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდნენ. იქაც ძალიან გართულდა უშიშროების ხელმძღვანელის დანიშვნა. ყურადღება მიაქციეთ, — აფხაზეთის უშიშროებაზე ვსაუბრობ! მოგვიანებით, მე და ბატონი ოთარი შევხვდით კრუჩკოვს და საკმაო დავის შემდეგ ძლივს დავითანხმეთ, რომ აფხაზეთის უშიშროების თავმჯდომარედ დაგვენიშნა ბატონი ავთანდილ იოსელიანი. ის იმჟამად იქ თავმჯდომარის მოადგილე იყო.

განმარტებისათვის გეტყვით: ჩვენ შეთანხმებას საჭიროდ არ ვთვლიდით. მოსკოვში სხვა საკითხების გამო ვიყავი ჩასული. მივიღეთ ინფორმაცია, რომ საკავშირო ორგანოებს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდათ იქ აფხაზი ეროვნების კაცის დანიშვნა. თავგამოდებით ვიცავდით აზრს — რადგან ბატონი ოთარი საქართველოს უშიშროების ხელმძღვანელად დაინიშნა, მას ადგილებზე თავისი დასაყრდენი ხალხი უნდა ჰყოლოდა.

აფხაზეთში იყო მცდელობა — ისეთი თანამდებობები, როგორიცაა: აფხაზეთის პროკურორი, უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, შინაგან საქმეთა მინისტრი და, რაც მთავარია, უშიშროების ხელმძღვანელი — სეპარატისტებს ჩაეგდოთ ხელში. ამის საშუალება, ცხადია, ჩვენ არ მივეცით.

მეტსაც გეტყვით: არა მარტო აფხაზეთის, არამედ გაგრის უშიშროების საკითხიც თურმე ადრე მოსკოვში წყდებოდა, თანაც პოლიტბიუროს დონეზე! ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკურორტო ზონაა და, კიდევ ვიმეორებ, იქ ისვენებდა მთელი პოლიტიკური და სახელმწიფო ელიტა არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ უცხოეთის სახელმწიფოებისაც. ამიტომ მას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ გაგრაშიც ქართველი კაცი დავნიშნეთ, ბატონი იური კუშელავა. რაც შეეხება აჭარას, იქ დარჩა ის, ვინც იყო — ბატონი ჯაიანი. ეს პრობლემას არ წარმოადგენდა.

ნაწყვეტი აკაკი ასათიანის ინტერვიუდან:

— შსს და უშიშროების მინისტრების დანიშვნისას სერიოზული უსიამოვნება გვქონდა საკავშირო მთავრობასთან. ჩამოვიდა საკავშირო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის, კრუჩკოვის მოადგილე ბაბკოვი. საკმაოდ დიდი პრეტენზიები ჰქონდა. შემდეგ, მოსკოვში, ამის თაობაზე კრუჩკოვთან მეც მქონდა შეხლა-შემოხლა. საქმე ის იყო, რომ ოფიციალურად ჩვენ დავნიშნეთ უშიშროებისა და შსს მინისტრები. ისინი ამბობდნენ, — დაუწერელი კანონის თანახმად, ეს ამბავი უნდა შეგვითანხმოთო. ვუპასუხეთ: რაც კანონში წერია, იმას ვასრულებთ, დაუწერელი კანონები არ ვიცითო! დამემუქრნენ, — მაშინ უშიშროებას არ დავაფინანსებთო. მე ვუთხარი, — თუ არ დააფინანსებთ, არც იარსებებს. ჩვენ ხომ არ დავაფინანსებთ ჩვენს საწინააღმდეგო უწყებას-მეთქი. თქვენ წარმოიდგინეთ, არგუმენტი ვერ იპოვეს.

ბატონი ოთარ ხატიაშვილი უშიშროების გენერალი იყო. ვუთხარი კიდეც, — კი მაგრამ, რას მედავებით, ისევ უშიშროების გენერალი არ დავნიშნეთ უშიშროების ხელმძღვანელად-მეთქი?!

რეალური არგუმენტი არ ჰქონდათ. უბრალოდ, გაცოფებულები იყვნენ. აქ ჩამოვიდნენ. ბატონი ზვიადის კაბინეტში ამაზე უფრო სერიოზული (გაეცინა, — *ბ.ჯ.*) პრობლემები იყო. ბოლოს, უკან დაიხიეს და, ცხადია, ფარულ მეთოდებზე გადავიდნენ.

1989 წლის 9 აპრილს ბატონი ოთარი მოხსნეს და ზვიადმა დააბრუნა. ბატონი ზვიადი ენდობოდა კაცს, რომელსაც ღირსეული პოზიცია ეკავა.

ხვიჩა ჯოჯუა

„ეს იქნებოდა არაჩვეულებრივი თვითმკვლელობა“

ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობისა და ექსპრეზიდენტის განდევნის შემდეგ ქართულ პოლიტიკურ სპექტრს ე.წ. „ზვიდისტების“ სახით აქტიური ოპოზიციური ძალა შეემატა, რომელთაგან ნაწილი ციხეში მოხვდა, ნაწილი სამშობლოს გარეთ გაიხიზნა, ნაწილი კი აქ დარჩა. 1992 წლიდან მოყოლებული ხელისუფლებას დისკომფორტს უქმნიდა ექსპრეზიდენტის მომხრეებისგან „პუტჩისტების“ ძახილი და პოლიტპატიმრების ციხის აქციები. რჩებოდა ერთადერთი გზა — შერიგება.

ხელისუფლებას მხოლოდ 8 წლის შემდეგ ეყო ძალა, რომ ეღიარებინა გამსახურდიას მთავრობის იარაღით დამხობის ფაქტი. ამის შემდეგ ეროვნული თანხმობის პროცესი დაიწყო — 1991-92 წლების ტრაგიკული მოვლენების შედეგად გამოწვეული კონფრონტაციის პერიოდში ჩადენილი ქმედებების გამო მსჯავრდებული 67 ადამიანი გათავისუფლდა. თუმცა, ციხეში ისევ დარჩა ასობით ადამიანი, ხოლო ქვეყნის გარეთ — პოლიტიკური დევნილები.

რამდენიმე დღის წინ პარლამენტის ეროვნული თანხმობის კომისიამ პროკურატურას იმ პოლიტპატიმრების ახალი სია წარუდგინა, რომელთა საქმეები უნდა გადაისინჯოს. ვესაუბრებით ამ კომისიის თავმჯდომარეს **ვასილ მაღლაფერიძეს.**


ვასილ მაღლაფერიძე


ბიძინა გუჯაბიძე

— საუბარია პრეზიდენტის რეაბილიტაციაზეც, რამდენად სწორი იყო ამ საკითხის დასმა?

— გამსახურდიას მიმართ საქმე აღიძრა სამშობლოს ღალატისა და შეიარაღებული ფორმირების შექმნის ბრალდებით. მისი გარდაცვალების გამო საქმე შეწყვეტილია, მაგრამ იგი იურიდიულად არ არის დასრულებული. სწორედ ამიტომ დაისვა მისი რეაბილიტაციის საკითხი. დროა მოიხსნას დამარცხებულ-გამარჯვებულის კომპლექსი. არ შეიძლება ადამიანი აღმატებული ან დამცირებული იყოს პოლიტიკური ნიშნით.

ვახტანგ ხმალაძე, ფრაქცია „მრეწველები“: — ის პოლიტპატიმრები, რომელთა დანაშაული 1991-92 წლების მოვლენებს უკავშირდება, უნდა გათავისუფლდნენ. ხოლო რაც შეეხება ექსპრეზიდენტის რეაბილიტაციას, გარდაცვლილის მიმართ საქმის აღძვრა არ შეიძლება, მაგრამ საქმე შესაძლოა აღიძრას ფაქტის გამო და ფაქტში ფიგურირებდეს გარდაცვლილი პიროვნება. მაშინ მარეაბილიტირებელი გარემოება უნდა მიუყენო ფაქტს, მომხდარს და ის შესაბამისად გავრცელდება იმ პიროვნებებზე, რომლებიც ამ ფაქტთან არიან დაკავშირებულნი.

გამსახურდიას პოლიტიკური რეაბილიტაცია ჩემთვის სავსებით მისაღები და გასაგებია, მაგრამ ამჟამად საუბარია მის სამართლებრივ რეაბილიტაციაზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უკვე გათავისუფლებულია რამდენიმე ათეული ექსპრეზიდენტის მომხრე. მათ შორის არის ლანჩხუთის ყოფილი მმართველი, პოლიტპატიმარი ბიძინა გუჯაბიძე.

ბიძინა გუჯაბიძე: „6 წელი და 3 თვე მოვიხადე სამშობლოს ღალატისა და ბანდიტიზმის მუხლით. ამიყვანეს სართიჭალაში, სიმამრის სახლში. მეზობელმა დამაყენა თავზე სუკის თანამშრომლები. მითხრეს, რომელიღაც განყოფილების გამგეს უნდა თქვენთან გასაუბრებაო. შემეშინდა. არეული დრო იყო, მხედრიონი და გვარდია ერთმანეთში იყო აზელილი, ვერ გაიგებდი, ვინ ვის უსწორებდა ანგარიშს. ვიფიქრე, — ვიღაცას არ მიუგდონ ჩემი თავი-მეთქი. დავაწერინე ხელწერილი, რომ გასაუბრებისთვის მივყავდი. რამდენიმე საათში მივხვდი, როცა სამხედრო პროკურატურაში გადამიყვანეს, ეს ფანდი იყო. იქ 8 დღე დავყავი, მერე ციხეში გადამიყვანეს.

— თქვენ 1993 წლის გადატრიალებაში მონაწილეობისთვის წაგიყენეს ბრალი?

— დიახ. 1993 წელს დასავლეთ საქართველოში შემოვიდნენ პრეზიდენტის მომხრე ეროვნული გვარდიის ნაწილები ლოთი ქობალიას მეთაურობით. ერთი ტყვია არ გავარდნილა, გვარდიელები კორექტულად იქცეოდნენ. სამეგრელოსა და გურიის ორ რაიონში — ოზურგეთსა და ლანჩხუთში გამსახურდიას ხელისუფლება აღდგა. 19 ნოემბერს ბ-ნი ზვიადი ჩამობრძანდა ლანჩხუთში და მმართველად დამნიშნა. ხელისუფლებაში 4 დღე ვიყავით. მაშინ რუსეთის სპეცდანიშნულების ძალებმა დაიკავეს მთავარი მაგისტრალი. ნახევარ კილომეტრზე გაჭიმული მათი კოლონა (ბეტეერებითა და ტანკებით) განუწყვეტლივ მოძრაობდა ბათუმსა და ქუთაისს შორის, რომ ჩვენი გვარდიისთვის არ მიეცა გადაადგილების საშუალება. რუსებმა შემოგვთავაზეს, — თუ ფულს გადაგვიხდით, თქვენს მხარეს დავდგებითო.

(გაგრძელება იხ. გვ.8)

რა ვერ გაიყვეს კომპოზიტორებმა?

ნათქვამია, — ომის დროს მუზები სდუმანო... დღეს საქართველოში ომი არ არის, მაგრამ ფაქტია, რომ ხელოვანნი ნაკლებად იცლიან მუზების სამსახურისთვის. შემოქმედებითი კავშირებიდან ბოლო დროს ნაზ ჰანგებსა და ფრთიან გამოთქმებზე მეტად საბრძოლო ყიჟინა მოისმის. არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ „ხელოვნების ფრონტი“ ბრძოლის ველს დაემსგავსა, — იქ ხელჩართული ომია გაჩაღებული.

განხეთქილების ვაშლი ჯერ მწერალთა კავშირში ჩავარდა. რამდენიმე თვის შემდეგ მწერლებს მხარი მუსიკოსებმა აუბეს — მღელვარების ეპიცენტრმა კომპოზიტორთა კავშირში გადაინაცვლა.



ზემოხსენებული სკანდალის და აჟიოტაჟის მიზეზი კი ფული, უფრო სწორად კი, კავშირის ქონებაა.

კონტროლის პალატამ მწერალთა კავშირის საქმეები უკვე გამოამზეურა, მალე კომპოზიტორთა ჯერი დადგება.

ა/წ 14 თებერვალს კონტროლის პალატამ კომპოზიტორთა კავშირის შემოწმება დაიწყო. ამის მიზეზი შეიქნა კავშირის თანამშრომელთა განცხადება, რომელიც აქ დატრიალებულ ფინანსურ მაქინაციებს ეხებოდა. კონტროლის პალატამ ორთვე-ნახევარი მოანდომა საკითხის შესწავლას და შესაბამისი აქტიც შეადგინა. თუმცა ეს აქტი, როგორც შევიტყვეთ, დღემდე არ გადაუციათ კომპოზიტორთა კავშირისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ამ დოკუმენტს დღის სინათლე „ოფიციალურად“ არ უნახავს, მაინც მოვახერხეთ მისი მოძიება და გავარკვიეთ, რომ კომპოზიტორთა კავშირს აღმოჩენილი დარღვევებისთვის მარტო ჯარიმის სახით მოუწევს 64.942 ლარის გადახდა.

ამ შემთხვევაში ზედაპირზე დევს კომპოზიტორთა კავშირში მომხდარი ეკონომიკური დანაშაული, მაგრამ ჩვენთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია (და მტკივნეულიც), რაც ფარდის მიღმა, კულისებში ხდება — კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარის ვაჟა-აზარაშვილისა და მისი ყოფილი მოადგილის (ზოგადი დოკუმენტის თანახმად, კავშირის მდივნის) ნუნუ გაბუნიას დაპირისპირება.

ნუნუ გაბუნია: „ჩვენი წინამორბედებისგან საკმაო ქონება დაგვრჩა. გარდა კავშირის შენობის ფართისა, გვქონდა საქსოვი ფაბრიკა, ქაღალდის კომბინატი „ჩანგი“, თერმოპლასტების საამქრო, ბორჯომის შემოქმედებითი სახლი. ორი წლის წინ კავშირის თავმჯდომარედ ავირჩიეთ ვაჟა აზარაშვილი, მოადგილედ — კახა ცაბაძე, რომელმაც მუსფონდის დირექტორად მოიყვანა თავისი მეგობარი გიგა თაგაური. შარშან, ივნისიდან, ამ პიროვნებებმა დაწყეს კავშირის ქონების გაყიდვა. საქსოვი ფაბრიკა, რომელიც სამოქალაქო ომს გადაურჩა, ამათ დროს გაიძარცვა, თერმოპლასტების საამქროდან გაიტანეს დანადგარები და გაყიდეს. ყველაფერი ეს მე ნოემბერში გავიგე. როცა ამის თაობაზე კახას ვკითხე, მიპასუხა, — როგორ გეკადრებათ, ქალბატონო ნუნუ, ჭორებს არ აჰყვეთო? ვუთხარი, — ხვალვე ავიდეთ და საწარმო ვნახოთო-მეთქი. მეორე დღეს კახა ცაბაძე სულ არ გამოჩენილა. გიგა თაგაურმა კი მითხრა, — ერთი დანადგარი გავყიდეთო. სინამდვილეში კი 16 დანადგარი გაყიდულა. ვაჟა ამ საკითხს ძალიან გულგრილად უყურებს, — ესენი ჩემი ერთგული ხალხიაო, — ამბობს. ამ ორი პიროვნების ხელში ის მარიონეტადაა ქცეული. განცხადება, — „ჩანგი“ იმიტომ გავყიდეთ, რომ ბორჯომის სახლი შეგვენარჩუნებინაო, ტყუილია. კავშირს მარტო იჯარის თანხა შემოსდის ყოველთვიურად 2005 აშშ დოლარი. მხოლოდ 3 თვის ფული ეყოფოდა ბორჯომის მიწის შესყიდვას. გარდა ამისა, ყოველთვიურად მუსფონდს 700ჯ მოაქვს და აქედან 1 თეთრიც არ მოხმარებია კომპოზიტორთა კავშირს. თუმცა, ვიცი, დოკუმენტურად ყველაფერი წესიერად ექნებათ. ისინი დოკუმენტების შექმნის ოსტატები არიან.

— თქვენი და კავშირის თავმჯდომარის დაპირისპირების მიზეზი რა გახდა?

— მე ყველაფრის გაყიდვის წინააღმდეგი ვიყავი. მართლა რომ ბორჯომის სახლის შესანარჩუნებლად გაყიდულიყო „ჩანგი“, გავჩუმდებოდი. ვაჟა არ უნდა აჰყოლოდა ამ ხალხს, როგორ შეიძლებოდა მათი ნდობა?

583 ათასად შეფასებული კომბინატი 125 ათასად გაყიდეს. არადა საწარმო მომგებიანი იყო. ეგენი დარბოდნენ კონტროლის პალატაში და ეხვეწებოდნენ, — არ მოხვიდეთ, არ შეგვამოწმოთო. სათითაოდ აწუხებდნენ კავშირის წევრებს, — თქვით, რომ „ჩანგის“ დაბრუნება არ გინდათო. ამიტომ დაწერა ანზორ ერქომაიშვილმა განცხადება კავშირიდან წასვლაზე.

— კონტროლის პალატის შემოსვლას კომპოზიტორთა კავშირში აზარაშვილი თქვენ გაბრალებთ.

— ეს რომ ჩემი ჩარევით მომხდარიყო, რევიზია ასე არ გაჭიანურდებოდა. კონტროლის პალატაში განცხადება შვიდმა სამსახურიდან დათხოვილმა თანამშრომელმა შეიტანა. ერთი თვე ვეუბნებოდი ვაჟას — განცხადება შეაქვთ-მეთქი, არ მომისმინა. როცა დავინახეთ, რომ სიმართლე არ გაირკვა, მეორე განცხადებაზე ჩვენ, გამგეობის წევრებმაც მოვაწერეთ ხელი. მიმძიმს ვაჟაზე ცუდის თქმა. არ მსიამოვნებს, რასაც მასზე ყვებიან. კაცმა, რომელიც ტიროდა, — 50 თეთრი არ მაქვს, რომ სამსახურში მოვიდეო, საცხოვრებელ ფართს ერთი სართული დააშენა და მანსარდსაც უკეთებს.

მე რომ კენჭისყრის დროს მხარი არ დამეჭირა ვაჟასათვის, ის დღეს თავმჯდომარე არ იქნებოდა.

ვაჟა აზარაშვილი: „რა უნდა ნუნუს? ალბათ ჩემი ადგილი... ადრე არანაირი დაპირისპირება არ გვქონია. მაგრამ ერთი წლის წინ, წინასაარჩევნო პერიოდში, ნუნუს რეკომენდაციით, ჩვენი საკონცერტო დარბაზი ლტოლვილებს დავუთმეთ ღონისძიებისთვის. წინა დღეს ვიღაცამ დამირეკა და ლტოლვილების სახელით ღონისძიებაზე მიმიწვია. ბედად, ცოტა ადრე მივედი. დარბაზში ლტოლვილებზე მეტნი „აღორძინების კავშირის“ წევრები დამხვდნენ. ნუნუს ქალიშვილს, რომელიც ამ პარტიის წევრია, ვკითხე, — დედა სად არის-მეთქი. შეიძლება არც მოვიდესო, — მიპასუხა. მაშინვე უკან გავბრუნდი. დარბაზში, როგორც მოგვიანებით შევიტყვე, პოლიტიკური დისკუსიები გაუმართავთ და ერთი შესლა-შემოხლა ყოფილა. მას უნდოდა იქ შევეტყუებინე, რომ „აღორძინების კავშირის“ მომხრეობა დაებრალებინათ. ხედავთ, რა ხაფანგი დამიდო? დავურეკე, — ეს რა გააკეთე-მეთქი. მერე, შეხვედრისას, პრეზიდენტს ავუხსენი, რომ ჩემი არც ერთი წევრი იქ არ ყოფილა. ნუნუს კი ვუთხარი, — ჩვენ ერთად ვეღარ ვიმუშავებთ-მეთქი. ამას დაემატა „ჩანგის“ გამო დაპირისპირება. ჩვენი ამერიკელი მოიჯარე დაინტერესებული იყო ბორჯომის სახლის შესყიდვით, სამაგიეროდ, მოგების 20%-ს გვპირდებოდა. ნუნუმ თქვა, — ამერიკელი არასანდო პიროვნებააო. ცოტა ხნის შემდეგ კი იგივე პიროვნება მომიყვანა და მითხრა, — „ჩანგი“ მივყიდოთო. თუ ის კაცი ბორჯომის საქმეში არასაიმედო იყო, „ჩანგის“ ამბავში გამოსწორდა? ამ საწარმოს დაკარგვის გამო ნუნუმ უნდა აგოს პასუხი. „ჩანგი“ მისი მდივნობის დროს გაიყიდა, ჩემს მოსვლამდე.

— რამდენადაც ვიცი, თქვენ პრესაში გამოქვეყნებული ინტერვიუები არ აპატიეთ ქ-ნ ნუნუს?

— „ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა“ და... ან ნუნუს პასკვილები... თუ მართლა ისეთი კაცი ვარ, მაშინ თავი მაქვს მოსაჭრელი. ყველა მიცნობს, ვინცა ვარ. სიყვარულის მეტი ხალხში არაფერი დამითესია. მოდით, ჩემი სახლი ნახეთ და მერე ქალბატონ ნუნუს სახლში მიბრძანდით. სხვის ჯიბეში არ ვიხედები და არც ჩავიხედებოდი, ჩემთვის რომ შეურაცხყოფა არ მოეყენებინა. სწორედ ამ შეურაცხყოფის გამო გავათავისუფლე სამსახურიდან.

— თურმე, სწორედ თქვენი ოპონენტის მხარდაჭერით გამხდარხართ თავმჯდომარე...

— მას რომ თავისი კანდიდატურა კენჭისყრის დროს მოეხსნა, მაშინ ვირწმუნებდი მაგას. ეგეც გასარკვევია, დამითმო კი? ახლა რომ ჩემს ფულზე ალაპარაკდა, არ რცხვენია?.. სადა მაქვს, ხალხო, იმის ფული, რომ სახლი ავაშენო, პურის ფულს ძლივს ვაგროვებ!.. ჩემი სიძე მუშაობს კარგ ადგილზე, თავისი ძმაც ეხმარება და მათ დააშენეს სახლს ერთი სართული.

ერთ ამბავს მოგიყვებით: 6 წლის წინ, არეულობის დროს, უცნობი ბიჭები მომადგნენ კარზე. შინ შევიპატიჟე, — ვიფიქრე, რომელიმე პარტიის წევრები იქნებიან-მეთქი. კარგა ხანს ვისაუბრეთ. უცებ მეუბნებიან — კარგი კაცი ყოფილხარ და ასე უნდა ცხოვრობდეო?! გავიდა ერთი და ციხეში გაკეთებული „ჩეკანკა“ ამოიტანა. ჩვენ რომ წავალთ, ცოტა ხნის მერე დარეკე მილიციაშიო. კაცი ვარ თუ გუდურა, ეგ რომ გავაკეთო-მეთქი, — ვუთხარი. ქურდები იყვნენ. იმ ხანებში მანქანა გავყიდე ძალიან იაფად და, ეტყობა, ვიღაცამ „ნაკოლი“ მისცა.

კახა ცაბაძე: „1993 წლიდან კავშირის მდივანი ქ-ნი ნუნუ იყო. მის დროს მიაქირავეს კაზინოს 700 კვმ ფართი 100 დოლარად, იქ 100 ლარად — კომბინატი გაიცა, ბორჯომის სახლი ისე გასცეს იჯარით, რომ ხელშეკრულებაში საიჯარო თანხაც არ მიუთითებიათ. ამ საქმეების გადახედვა რომ მოვინდომეთ, ქ-ნი ნუნუ გაღიზიანდა. არ ვიცი, რატომ არ უნდა უხაროდეს ადამიანს, რომ ვიბრუნებთ 8 სართულიან ბორჯომის სახლს და 10 კოტეჯს. გარკვეული პერიოდი ჩვენ ერთად ვმუშაობდით, მერე მან ნელ-ნელა ძირგამომთხრელი საქმიანობა დაიწყო, კვანტის დადება სცადა. მოსინჯა, რამდენს გაუძლებდა ბ-ნი ვაჟა.

— თქვენი აზრით, რისთვის იბრძვის ქ-ნი ნუნუ?

— ამბობს, კახამ ჩემი თავი შეაძულა ვაჟასო. მას რომ თავმჯდომარეობა უნდოდა და კენჭს იყრიდა, ჩემი ბრალია? ეტყობა, იცის, რასაც გააკეთებს ამ სკამზე ჯდომის დროს — გასცემს ბორჯომის სახლს, გაყიდის „ჩანგს“ და ა.შ. თორემ იმისთვის ნამდვილად არ იბრძოლებს, რომ ჩვენსავით 2 წელი სასამართლოში ირბინოს დაკარგული ქონების დასაბრუნებლად.

იზო რიკაძე

„...ახლაც იხე ვთაღლითობთ, როგორც კომუნისტების დროს“

ფრაქცია „მრეწველებმა“ შესაძლოა პარლამენტი დატოვონ. ამის მიზეზი ის იქნება, რომ გაპარლამენტარებული ბიზნესმენები ხელისუფლებაში ყოფნის აზრს ვერ ხედავენ. „15 კაცი 200-ის წინააღმდეგ ეს უთანასწორო ბრძოლაა“ — აცხადებს გოგი თოფაძე.

„მრეწველების“ მოთხოვნა საგადასახადო კოდექსში ცვლილებების თაობაზე ჯერ ისევ მოთხოვნის დონეზეა. მის განხილვას სახელისუფლებო პარტია არ აპირებს (ჯერჯერობით მაინც). როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, რამდენიმე დღის წინ თოფაძე სავალუტო ფონდის წარმომადგენლებს უშუალოდ შეხვდა და შეეცადა საგადასახადო კოდექსის გადახედვის აუცილებლობაში დაერწმუნებინა. თოფაძე შეხვედრიდან უკმაყოფილო წამოვიდა. სავალუტო ფონდმა კოდექსის მხოლოდ დეკორატიული ცვლილებები მოიწონა. „საწარმოები კი ყოველდღე იხურება“ — ამბობს მრეწველთა აღშფოთებული ლიდერი. მრეწველები ახლა არა მარტო მოქკავშირისა და საგადასახადო კოდექსის წინააღმდეგ გამოდიან, არამედ სავალუტო ფონდსაც დაუპირისპირდნენ. და რაც ყველაზე საყურადღებოა, საზოგადოებაში უმართავი პროცესების დაწყება იწინასწარმეტყველეს.

გოგი თოფაძე: მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ შეიძლება უმართავი პროცესები დაიწყოს. საქართველოში უმუშევართა არმია იზრდება. საწარმოები იხურება და ათასობით ადამიანი ულუკმაპუროდ რჩება. თუ ასე გაგრძელდა, დღევანდელობა ხვალ სანატრელი გვექნება. ასეთ შედეგებს მმართველი პარტია სავალუტო ფონდს აბრალებს. სავალუტო ფონდი ჩვენს კორუმპირებულ ხელისუფლებას. ხელისუფლებასთან ყველაფერი გავარკვიეთ — არაფრით არ სურთ კოდექსის შეცვლა, სავალუტო ფონდს კი, ამ რამდენიმე დღის წინ, პირადად ვესტუმრე. მქონდა რამდენიმე საათიანი საუბარი. ვესაუბრე ქვეყნის მომავალ პერსპექტივებზე. ისიც ვკითხე, იღებენ თუ არა ისინი ხელისუფლებასთან ერთად პასუხისმგებლობას იმ ყველაფერზე, რაც ბოლო ექვს წელს საქართველოში ხდება. პასუხი ვერ მივიღეთ. ის პროგრამა, რომელსაც ფონდი გვთავაზობს, დამანგრეველია. ჩვენი ეკონომიკური მამები და რეფორმატორები კი ამას ვერ, ან არ ხვდებიან.

ფონდს ჩვენი კონკრეტული მოთხოვნებიც გავაცანით. ისინი კატეგორიულად არ დაგვეთანხმნენ, რომ სოციალური გადასახადები მაღალია, რომ დღგ უნდა შემცირდეს და ა.შ. ქვეყნის სინამდვილე მხოლოდ იმით არ შეიძლება შეფასდეს, რომ ევროსაბჭოში შევედით და ჩვენს ტერიტორიაზე ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენი გაივლის. ეროვნული წარმოება კვდება და ამაზე თვალის დახუჭვა შეუძლებელია; კიდევ ერთი მინდა გითხრათ: არავისთვის არ არის დასამალი, რომ ქვეყნიდან ჯართი და ხეტყე გაედინება. მარტო გასულ წელს 500 ათასი ტონა ჯართი და 100 ათასი კუბომეტრი ხეტყე გავიდა. სანაცვლოდ ბიუჯეტში თეთრიც არ შესულა. ვეკითხები სავალუტო ფონდს: რა იქნება ამ ტვირთზე ბეგარა რომ დაწესდეს. მაგალითად 1 ტონა ჯართზე 15 დოლარი. ან საერთოდ, სტრატეგიული რესურსებია და რატომ უნდა გავიდეს-მეთქი? მიპასუხეს: ჯართის გადამამუშავებელი ქარხანა თქვენ არ გაქვთ, ექსპორტზე კი ბეგარა არ შეიძლებაო. იმ დალოცვილებმა, მისცენ საშუალება რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას და გადაამუშავებენ. ის ჯართი ახლა თურქეთში გადის.

თამაზ ცინცაძე, ფაბრიკა „ოქსინო“: დრო იყო, მსუბუქი მრეწველობა ბიუჯეტის 33%-ს ავსებდა. ახლა მსუბუქ მრეწველობაზე კაციშვილი აღარ საუბრობს. 1.300 კაცი დავითხოვე სამსახურიდან. აბა, რა მექნა?! წაგება წაგებაზე მქონდა, მომბეზრდა ამდენი მაიმუნობა. დროება იცვლება, კანონები კი იგივე რჩება პრაქტიკულად. როგორც კომუნისტების დროს ვთაღლითობდით, ისეა ახლაც. ოფიციალურად, კაცს ვაძლევთ 10 ლარს — ხელფასს. აქედან 9 არ იბეგრება, ერთს ვბეგრავთ. სინამდვილეში კი მოსამსახურეს 100 ლარს ვუხდით. რატომ გვაიძულებს სახელმწიფო, წავიდეთ ასეთ სიცრუეზე. გული მომიკვდა, როცა ჩემს ფაბრიკას ბოქლომი ჩემივე ხელით დავადე. ჩვენი საგადასახადო კოდექსი ხალხის მასხრად აგდებაა.

ბონდო ზარიძე, მეწარმე: პუტინზე ამბობენ, ტირანი და დიქტატორი ხელმძღვანელიაო. სწორედ ამ პუტინმა თავისი მთავრობის წევრებს უთხრა: მირჩევნია არ გადაიხადონ გადასახადები და საწარმოებმა მაინც იმუშაონ, იმიტომ, რომ არ იყოს ქვეყანაში უდიდესი ბოროტება — უმუშევრობაო. ჩვენთან პირიქითაა, რაც შეიძლება მეტი უმუშევარი — ასეთია ხელისუფლების პოლიტიკა. ჰოდა, ვსხედვართ კიდეც უმუშევრები. ოთხი თვეა საწარმო დავხურე.

გასული კვირის დასასრულს მრეწველებმა თავი მოიყარეს და საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს და სახელმწიფო მინისტრს მიმართვა გაუგზავნეს. მასში მრეწველები სოციალური აფეთქების, ქვეყანაში უმართავი პროცესების დაწყებას ვარაუდობენ. ამასთანავე აღნიშნავენ, რომ ბევრი მათგანი სავარძლებზე პირადი ინტერესების გამო სხედან და არა ერის ინტერესებიდან გამომდინარე. და აქვე, ერთი საინტერესო დეტალიც, რომელიც „მრეწველთა“ შეკრებაზე არცთუ შეუმჩნეველი დარჩა. შეიძლება უმართავი პროცესები მათ პარტიაშიც დაიწყოს. პარლამენტსგარეთ მყოფმა, მაგრამ პარტიაში გაერთიანებულმა მეწარმეებმა გოგი თოფაძეს და სხვა ლიდერებს ასეთი კითხვები დაუსვეს: რატომ არ იბრძვით აქტიურად, რა გააკეთეთ ამ რვა თვის განმავლობაში (რაც პარლამენტში მოვიდნენ), ვინ ხართ თქვენ? — სმკ-სთან შეკრული პარტია თუ ოპოზიცია, რატომ არ შეიკრიბა პარტია საპარლამენტო არჩევნებიდან დღემდე და სხვა. ომბუდსმენობის ყოფილმა კანდიდატმა ვახტანგ ძაბირაძემ კი ორაზროვნად განაცხადა: ჩვენს გაერთიანებაში არიან ადამიანები, რომელთაც პოლიტიკა ბიზნესისთვის სჭირდებათ, ბიზნესი კი პოლიტიკისთვის. ამ ხალხმა ეს ცნებები ერთმანეთისგან უნდა გამიჯნოსო.

ქეთი ბერეკაშვილი

თბილისის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტი და მასთან არსებული კოლეჯი

აცხადებს მიღებას (სექტორები — ქართული, რუსული; სწავლება — დღის და დაუსწრებელი).

1. იურიდიული ფაკულტეტი — სამართალმცოდნეობა; საერთაშორისო სამართალი; ბიზნესის სამართალი. **2. ეკონომიკური** — საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები; ფინანსები და კრედიტი; საბანკო-საფინანსო საქმე; საგადასახადო-საბაჟო საქმე; ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი; წარმოების მენეჯერი; ტურიზმის მენეჯერი. **3. უცხო ენები** — მთარგმნელი რეფერენტის კვალიფიკაციით.

სტაჟირება უცხოეთში. წარჩინებულ სტუდენტებს დაენიშნებათ სტიპენდია. უნივერსიტეტი იძლევა სახელმწიფო დიპლომს. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ლინგაფონისა და კომპიუტერული ცენტრი სერტიფიკატის მინიჭებით. სტუდენტები თავისუფლდებიან სამხედრო სამსახურიდან. კოლეჯის მოსწავლეები მიიღებენ ერთდროულად როგორც პროფესიულ, ისე საშუალო ზოგად განათლებას.

მის: კოსტავას №70, IX კორპ, IV სართ, მ. „პოლიტექნიკური“. ტ: 36-60-59; 36-63-36; 33-53-92; 77-03-69

პენსიებს დაარიგებენ, ოღონდ პლასტიკური ბარათებით...

ბავშვი ჯერ არ დაბადებულიყო და აბრაამს არქმევდნენო — უთქვამთ. გათანამედროვებულ-გადმოქართულებულ ენაზე ეს ასე შეიძლება ითქვას — ბიუჯეტში ჯერ ფული არ იყო და პენსიონერებს ეძახდნენ, წაიღეთო... ჩვენ, რა თქმა უნდა, არ გვსურს ჩვენი კანონმდებლების გონიერებაში ეჭვის შეტანა, მაგრამ ეს ირონიული ნათქვამი გაგვახსენდა, როცა მათ მსჯელობას ვუსმენდით. აქვე დავძენთ, რომ სხდომის დასასრულს მაინც გაირკვა, რომ აბრაამი ჯერ არ დაბადებულა... თუმცა, კომპეტენტური კომისია სახელის შერჩევაზე მუშაობას გააგრძელებს.

ახლა კონკრეტულად იმაზე, რისი თქმაც გვსურს. (და ქვემოთ აბრაამსაც კიდევ ერთხელ დავუბრუნდებით). სულ მალე, ჩვენი პენსიონერები, შესაძლოა, პლასტიკური ბარათების მფლობელები გახდნენ; ანუ საპენსიო ფულს მიიღებენ ნებისმიერი ბანკიდან, ნებისმიერ რაიონში. ამის პარალერულად, კომპიუტერულ ქსელში თითოეულ პენსიონერზე შეიქმნება ფაილი, სადაც იქნება ინფორმაცია, რამდენი გაქვთ პენსია, როდიდან ხართ პენსიონერი... დაბოლოს, ხართ თუ არა ცოცხალი. პლასტიკური ბარათების პროექტის ავტორი პარლამენტის საფინანსო ქვეკომიტეტი იყო. ავტორები აცხადებენ, რომ იდეას შემდეგი დადებითი მხარე აქვს: ფულის გაცემა და მიღება გაადვილდება იმ მხრივ, რომ საფოსტო უბნებზე არ იქნება უსაშველო რიგები; მოისპობა მკვდარი სულების პრობლემა; შემცირდება საფოსტო ბანკისა და ფოსტის მიერ გაწეული მომსახურების თანხები. პროექტი თავდაპირველად საცდელი ხასიათისა იქნება. ჯერ დამზადდება 40 ათასი პლასტიკური ბარათი, რომლის მფლობელი ნებისმიერ დროს მიიღებს ბანკიდან ფულს. როგორც პროექტის ავტორები გვარწმუნებენ, შეფერხება არ იქნება. შემდეგ, თუ ექსპერიმენტი გაამართლებს, კიდევ 950 ათასი ბარათი დამზადდება. მაგრამ ამ 40 ათასში მოხვედრაზე ოცნებაც ზედმეტია, თუკი თქვენი პენსია ძალოვან სამსახურში მუშაობას არ უკავშირდება. საექსპერიმენტო პენსიონერები მხოლოდ ყოფილი ძალოვნები იქნებიან.

და აი, აქ ჩნდება უამრავი კითხვა: რატომ ძალოვნები და არა, მაგალითად, მასწავლებლები; რატომ 40 ათასი და არა ნაკლები ან მეტი; როგორ მოისპობა მკვდარი სულების პრობლემა. უამრავი მსგავსი ლოგიკური კითხვა დაისვა პროექტის პრეზენტაციაზე. ჩვენ ახლა სიტუაციის ამსახველ ფრაზეოლოგიას შემოგთავაზებთ, რომელიც განხილვაზე სუფევდა. დასკვნები თქვენთვის მოგვინდვია.

დავით გამყრელიძე — ჯანდაცვის კომიტეტი: პენსიების დარიგების პროცესს ფოსტა უნდა ჩამოშორდეს. იგი კორუმპირებულია და მაქინატორობს. მას საპენსიო ფონდი ჩაენაცვლება.

გია საჭაპურიძე — დეპუტატი: უკვე მერამდენედ ვკითხულობ, მითხარით, რა ჯდება პროექტის განხორციელება. როგორ, არ დაგითვლიათ?

ნანა ბიჭაშვილი — ჯანდაცვის კომიტეტი: რატომ ძალოვნები და არა სხვები? იქნებ, ერთ რეგიონში ჩაგვეტარებინა ექსპერიმენტი, მაგალითად, ამბროლაურში, ან კიდევ, ციფრი 40 ათასი საიდან მოიტანეთ?

ყოფილი ძალოვანი, პენსიონერი (ვინაობის გამხელა არ ისურვა): — ჩვენ 23 ათასი ვართ საქართველოს მასშტაბით.

თენგიზ გიორგაძე: აბა, დანარჩენი 17 ათასი ვინ იქნება?

დავით გამყრელიძე: 40 ათასი პირობითი რიცხვია. შეიძლება მეტი იყოს, შეიძლება ნაკლები.

თენგიზ ჯინჯოლია — ჯანდაცვის სამინისტრო: ეს პრობლემა ასე მხატვრულად შეიძლება გაიშიფროს: ურემი სჯობს თუ ბოლო გამოშვების „მერსედესი“. რა თქმა უნდა, „მერსედესი“, მაგრამ თუ მთაში მიდიხარ შეშის ჩამოსატანად, ურემი სჯობს. პროექტს ზოგად შეფასებას ვერ მივცემთ. არის ნიუანსები, რომელმაც შეიძლება პენსიონერები ერთმანეთს დააპირისპიროს.

გია საჭაპურიძე: ვთქვათ, იმ კომერციულმა ბანკმა, სადაც მივედი, ფული არ მომცა, რადგან საპენსიო ფონდს არ გადაურიცხავს მისთვის.

დავით გამყრელიძე — ჯანდაცვის კომიტეტი: მაინტერესებს, ბანკსა და სახელმწიფოს შორის ხელშეკრულება დაიდება? როგორ იქნება ეს საქმე მოგვარებული? კომერციული ბანკი თავის ფულს ხომ არ მისცემს პენსიონერს. სად არის გარანტია, რომ ეს პლასტიკური ბარათები ამაო ხარჯი არ იქნება.

ვილაც ბუზღუნებს: ისე, მართლა დიდხანს გაგრძელდა სხდომა, რაღაც გადავწყვიტოთ.

ერთობლივი გადაწყვეტილება: მართალია, არც ფულია, არც პერსპექტივა, რომ გვექნება (ანუ აბრაამი ჯერ არ დაბადებულა), მაგრამ პროექტზე მუშაობა გაგრძელდება. პლასტიკური ბარათების იდეა კარგია, რადგან ელექტრონული ფულით სარგებლობა მომგებიანია (მაშინაც კი, თუ ის არ გაქვს). პროექტის ზოგიერთი ნიუანსის დახვეწაზე კი კომპეტენტური კომისია იმუშავებს. სავარაუდოდ, პროექტის განხორციელება შეიძლება შემოდგომიდან დაიწყოს.

P.S. როგორც ჩვენთვის კულუარული წყაროდან გახდა ცნობილი, აბრაამის ემბრიონის შექმნაზე ჩვენი პოლიტიკური და ეკონომიკური მამები უკვე მუშაობენ. ზუსტად ივნისის ბოლოს პარლამენტში ახალი ბიუჯეტის პროექტი შევა. ასე რომ, ვილოცოთ აბრაამის (ბიუჯეტის) კეთილად მოვლინებისთვის.

ქეთი ბერეკაშვილი

იაპონელთა ბედი საქართველოში

ყველას კარგად გვახსოვს, თუ რა ღირშესანიშნავი მოვლენა გახლდათ, ჯერ კიდევ ათიოდ წლის წინ, ცოცხალი უცხოელის გამოჩენა თბილისის ქუჩებში. ევროპიდან თუ შორეული ამერიკიდან ჩამოსული სტუმარი ისეთი აღტაცების საგანი ხდებოდა, რომ თავი კაცთა მოდგმის ყველაზე ღირსეული წარმომადგენელი ეგონა. რას იზამ! რაც იშვიათია, ფასობს. უცხოელები კი ჩვენი საბჭოური წარსულისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი დეფიციტი იყო. მაგრამ თუ ევროპელებს კიდევ ნახავდით და ხელსაც შეავლებდით, ამომავალი მზის ქვეყნიდან ჩამოსული კაცი ნამდვილი საოცრება გახლდათ.

თუმცა, ამ ქვეყნის წარმომადგენლებს რაღაც ფათერაკებიანი მოგზაურობა დაებედათ საქართველოში.

თურმე ნუ იტყვით და, გეგუთის კოლონიას ერთი იაპონელი ტუსაღიც ჰყოლია.

ყველაფერი კი ჩვეულებრივად დაიწყო:

ორიოდ წლის წინ, საქმიანი ვიზიტით თბილისს ჩამოსულმა იაპონიის მოქალაქემ დასაბინავებლად სასტუმრო „ფიროსმანი“ არჩია. სტუმარი თვალში მოხვდა ერთ ჩვენებურს, რომელიც ამ სასტუმროში უძველესი პროფესიის პოპულარიზებას ეწეოდა. მან, თავისდა საუბედუროდ, ქართველი ქალის „გემოს გასინჯვა“ იაპონელსაც შესთავაზა. სტუმარიც ეცდუნა, „მასპინძელი“ და „მშვენიერი ასული“ თავის ნომერში შეიწვია და მცირე სუფრაც გაუშალა. უნებურად, შემთვრალმა იაპონელმა წელზე შემორტყმულ საფულეზე შეიტყო ხელი. ფულის დანახვაზე „მასპინძელს“ თვალები აენთო და სტუმრისკენ წაიწია... უღალატა იაპონელს ტრადიციულმა მოთმინებამ, სუფრაზე დადებულ ჰურის დანას წამოავლო ხელი და...

ეს ინციდენტი იმით დამთავრდა, რომ ე.წ. სუტენორი უცხოელმა სიცოცხლეს გამოასალმა, თავად კი ქართული მართლმსაჯულების წინაშე მოუხდა წარდგომა.

თემიდამ სტუმარ-მასპინძლობა არ იცის და მცირე ხნით ჩამოსულ კაცს რვა წლით უკრეს ციხეში თავი. შემდეგ ხათაბალაში გაბმული იაპონელი ყველას მიავიწყდა.

გეგუთის კოლონიაში კი, როგორც ჩანს, აღმოსავლელი ტუსაღი საკმაოდ საინტერესო კომპანიაში მოხვდა. როგორც ახლახან გახდა ცნობილი, იმის მაგივრად, რომ საქართველოში თავისი ჩამოსვლის დღე ეწყევლა, ჩვენმა იაპონელმა რჯული უარყო და მართლმადიდებლურად მოინათლა. ნათლის ვინაობა, მართალია, ვერ დავადგინეთ, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი ერთ-ერთი პატიმართაგანი იყო, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაფერი. როგორც ამბობენ, იაპონელი მონდომებით სწავლობს ქართულს და ცდილობს... ქურდულ ტრადიციებს ეზიაროს! თუმცა ეს ბოლო ინფორმაცია შეიძლება ჭორების მოყვარულთა შეთხზულიც იყოს, მაგრამ ფაქტია, რომ ზის ახლა იაპონელი მსჯავრდებული გეგუთის კოლონიაში და ჩვენს ღმერთს ჩვენს ენაზე ევედრება...

სულ ახლახან, ტურისტული კომპანია „ლევონ თრეველის“ მიერ სამოგზაუროდ ჩამოყვანილ იაპონელთა ჯგუფსაც არ დაამახსოვრდება კარგად საქართველოში მოგზაურობა. თუმცა, ამჯერად ყველაფერი უსისხლოდ დამთავრდა.

იაპონელ ტურისტებს გულმა მთებისკენ გაუწიათ. სვანეთის მთებზე უკეთესს კი რას ნახავს კაცი. ჰოდა, გამგზავრებას წინ არაფერი დასდგომია. ის იყო, სანახაობით დამტკბარმა იაპონელებმა სურათები გადაიღეს და ავტობუსში ასვლა დააპირეს, რომ ტყიდან სვანი ყაჩაღების მცირე ჯგუფი გამოვიდა და სტუმრებს მთელი ავლადიდება მოითხოვა. შეშინებულმა ტურისტებმა მორჩილად ჩააბარეს მძარცველებს ყველა ღირებული ნივთი, რაც თან ჰქონდათ და ასევე მშვიდად მოაშურეს თბილისს. უცნაური კი ის გახლდათ, რომ დიდი პროტესტი და აღშფოთება არც ერთ მათგანს არ ეტყობოდა. ამის მიზეზი მოგვიანებით გაირკვა — თითოეული ტურისტი საკმაოდ სარფიანად გახლდათ დაზღვეული და დაკარგული ამიტომაც არ ადარდებდათ. ჭორად შეიტყვეთ, რომ ერთ-ერთი ქართული სადაზღვევო კომპანია თავის ახალ სარეკლამო რგოლს სწორედ ამ სიუჟეტის მიხედვით იღებს.

ამ ნახევრად ტრაგიკული ამბიდან რამდენიმე დღის შემდეგ კი იაპონელ ტურისტთა კიდევ ერთ ჯგუფს არ გაუმართლა...

მთაწმინდაზე ამავალი ტრამვაის ვაგონი დაგორდა და ბორდიურს შეეჯახა. სამი დაშავებული იაპონელი დღესაც უნივერსიტეტის კლინიკურ საავადმყოფოში იმყოფება. ექიმები ძალღონეს არ ზოგავენ, რომ ჩვენი მოძველებული რელსების გამო დაშავებული სტუმრები ფეხზე დააყენონ. ერთ-ერთი თანამშრომლისგან კი ასეთი რამ გავიგეთ — საავადმყოფოს ტექნიკური აღჭურვილობა სწორედ იაპონური გრანტით ყოფილა შეძენილი. ერთ-ერთ ექიმს სტუმრებისთვის ხუმრობით უთქვამს, თქვენს მოქალაქეებს ისევ თქვენი სახსრებით შეძენილი ტექნიკით ვეხმარებითო. იაპონელს გული აჩუყებია და განუმარტავს, — რაც მითხარით, ის რომ იაპონიის შესაბამის სტრუქტურებს მისწეროთ, კიდევ ერთი სოლიდური გრანტი გარანტირებული გაქვთო.

კულუარულად გვამცნეს, — ამგვარი პროექტის შექმნასა და იაპონიაში გაგზავნაზე გარკვეულ სტრუქტურებში ფიქრი უკვე დაიწყესო...

მაია გაბუნია

„ეს იქნებოდა არაჩვეულებრივი თვითმკვლელობა“

(დასაწყისი იხ. გვ.6)

— რომელმა ძალებმა დაამხეს გამსახურდიას ხელისუფლება ხელმეორედ?

— რუსებმა და ე.წ. სამთავრობო ჯარებმა. მათ შორის იყო მხედრიონი და გვარდია. ლანჩხუთიდან ადგილობრივმა მხედრიონმა და თბილისის სპეცრაზმის 150-მა კაცმა გაგვრეკა. სამეგრელოს ტერიტორიაზე გავიფანტეთ. ამ შეიარაღების შემოსვლამდე პრეზიდენტი ზუგდიდში იყო. 5 ნოემბერს იგი ქალაქიდან გავიდა. ზოგი ამბობდა, — სვანეთში წავიდაო. ამის შემდეგ ბ-ნ ზვიადს საქრთველო არ დაუტოვებია. მას თავისი მისია შესრულებული ჰქონდა, მან ამხილა ვინც ემხრობოდა „პუტჩისტებს“. ბ-ნ ზვიადს საყვედურობდნენ, — ყველას აგენტს ეძახისო. მაგრამ ხომ ფაქტია, რომ სსრკ-ის მოსახლეობის 4% სუკის ნომრიანი ან შტატგარეშე აგენტი იყო.

— ექსპრეზიდენტის მკვლელობაში ვის მიიუძღვის ბრალი?

— ამ საქმეში სპეცსამსახურების ხელი ურევია. თუ კონკრეტული პირები გნებავთ, გეტყვით. აქ ვხედავ დაცვის ღალატს (რამდენიმე კაცისას, რომელიც მკვლელობის ღამეს პრეზიდენტს ახლდა) და სპეცსამსახურების აგენტებს. აბსოლუტურად გამოვრიცხავ ამ საქმეში ბესარიონ გუგუშვილს. ჩემი ვარაუდით, ბ-ნი ზვიადი და ბესარიონ გუგუშვილი იმ ღამეს დააძინეს.

— ციხეში დარჩენილი პოლიტპატიმრების გათავისუფლებასა და პრეზიდენტის რეაბილიტაციაზე რას ფიქრობთ?

— სასჯელს არ უნდა იხდიდეს არც დოკვაძე და არც გელბახიანი. ვინ არის მოწმე, რომ დისტანციური მართვის ასაფეთქებლის ღილაკზე მათ დააჭირეს თითი. როგორ შეიძლება მათი ციხეში ყოფნა, როცა ამ ადამიანებს აღიარებაც არ აქვთ დაწერილი.

ზვიად გამსახურდია ქართველი ხალხის თვალში ისედაც რეაბილიტირებულია, ამიტომ არც არის საჭირო ამ საკითხის წამოჭრა. მაგრამ თუ ამ ხელისუფლებას სინდისი ქენჯნის, სხვა საქმეა. პრეზიდენტის რეაბილიტაციით ხელისუფლება საკუთარი თავის რეაბილიტაციას ახდენს. გულუბრყვილობაა იმის ფიქრი, რომ ამ აქციით ამ ხელისუფლების იმიჯი ამაღლდება, ან ზვიადის პიროვნება გახდება უფრო სუფთა. ყველამ ისედაც კარგად იცის ყველაფერი. პრეზიდენტის გადმოსვენების საკითხი მის ოჯახთან უნდა შეთანხმდეს. ჯერ შორსა ვართ ჭეშმარიტ ეროვნულ თანხმობამდე, არ ვართ მისული იმ ეტაპამდე, რომ ეს აქტი ჩატარდეს. როგორ შეიძლება, რომ აწ გარდაცვლილი პრეზიდენტის გადმოსვენების საკმესთან არ ჰქონდეს შეხება ხელისუფლებას, მაგრამ რამდენად ზნეობრივი იქნება მათი მონაწილეობა ამ პროცესში?

— თქვენ სამ პოლიტპატიმართან ერთად თვითლიკვიდაციით იმუქრებოდით, მაგრამ 9 აპრილს გადარჩით, რამ შეგაჩერათ?

— მე, დათო ბიჭაშვილმა, მურთაზ ჯალაღონიამ და კახა ჯიჭონაიამ გამოვაცხადეთ, რომ 9 აპრილს თვითლიკვიდაციას მოვახდენდით, თუ ხელისუფლება არ დათანხმდებოდა ჩვენი მოთხოვნების შესრულებას. ამათ ეგონათ, რომ ყელს გამოვიღადრავდით, მაგრამ ჩვენ ასე არ ვფიქრობდით. ამ ფაქტის აღსაკვეთად დეპარტამენტის 20 კაცი ჰყავდათ შემოყვანილი ციხეში.

სპეცრაზმს საგანგებო გეგმა ჰქონდა, რომლის ნიუანსები ჩვენ ვიცოდით. არ დავუშვებდით, რომ შეტაკების დროს ცხვრებივით დავეხოცეთ. ისეთ რამეს გავაკეთებდით, მთელი მსოფლიო გაიგებდა ამათ ამბავს. ეს იქნებოდა არაჩვეულებრივი თვითმკვლელობა. ჩვენ საკუთარ თავს კი არ მივაყენებდით ზიანს, არამედ თავს შევაკლავდით ხელისუფლების მოგზავნილ კაციჭამიებს.

— მაინც რის გაკეთებას აპირებდით?

— ვერ გაგიმხელთ. შესაძლოა, კიდევ დაგვჭირდეს მსგავსი აქციის გამართვა და არ მინდა ყველა კარტის გახსნა. მოჩვენებითია, რომ თითქოს ეროვნული შერიგება მიმდინარეობს. ყოფილი პოლიტპატიმრები გამუდმებული მეთვალყურეობის ქვეშ არიან. მათ პოლიციის განყოფილებებში იბარებენ და ცხვირწინ ხელებს უტრიალებენ. ერთ-ერთი ყოფილი პოლიტპატიმარი ამბროლაურში ჩავიდა და იქ აიყვანეს ვითომ შს მინისტრის მითითებით, მეორეს — პროვოცირება მოუწყვეს და ტყეში გააქციეს. მოკლედ, ჯერ შორსა ვართ ჭეშმარიტი ეროვნული თანხმობისაგან.

იზო რიკაძე

სწავლას მოწყურებული მარნეულელები და სოკოებივით მომრავლებული უნივერსიტეტები

„ნეტარსხენებული“ სოციალიზმის დროს საქართველოში თითზე ჩამოსათვლელი იყო უმაღლესი სასწავლებლები. მერე სოციალიზმი ყველაფრის ჩამბარებელმა ისტორიამ ჩაიბარა და ნაწვიმარზე ამოსული სოკოებივით მომრავლდნენ ფასიანი უმაღლესი სასწავლებლები და კოლეჯები. არ დარჩენილა მოზრდილი სოფელიც კი, რაიონსა და ქალაქებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ფასიანი სასწავლებელი რომ არ გახსნილიყო.

მარნეულის რაიონში ამჟამად თორმეტამდე უმაღლესი სასწავლებელია. მათგან ოთხი — სახელმწიფო უნივერსიტეტების ფილიალებია და ლიცენზიაც აქვთ, დანარჩენი კი გამგებელთან მოლაპარაკების საფუძველზე გაიხსნა. რაიონში ფასიანი სასწავლებლის გახსნისთვის, თურმე, ლიცენზია-სერტიფიკატი სულაც არაა აუცილებელი — მსურველები სთხოვენ მარნეულის გამგებელს ზაზა ლაშხს, რომ „საექსპერიმენტოდ“ გახსნან უმაღლესი სასწავლებლების განყოფილებები (ფილიალს ლიცენზია სჭირდება და ამიტომ ვერ არქმევენ). გამგებელსაც უხარია, მისი რაიონის მოსახლეობა განათლებული რომ იქნება, და...

ასეთი ორიგინალური და მოკლე გზით მარნეულში უამრავი ფილიალ-განყოფილება გაიხსნა, რომელთა შორისაც განსაკუთრებულ ყურადღებას ორს მივაქცევ, თუნდაც იმიტომ, რომ ისინი ახლახან გამოჩნდნენ.

მარნეულის V საშუალო სკოლაში ფუნქციონირება დაიწყო რუსთავის სტომატოლოგიური სასწავლებლის ფილიალმა. აქ არც კაბინეტებია (სტომატოლოგიური) და არც ლაბორატორიები. ამ სასწავლებლის კურსდამთავრებულნი თეორიულ ცოდნას (თუ რაიმე ისწავლეს) პრაქტიკულად, ალბათ, მომავალ პაციენტებზე გაიღრმავებენ.

ხოლო მათთვის, ვისაც სურს დაეუფლოს სხვადასხვა — ეკონომისტის, იურისტის, ჟურნალისტის და ა.შ. პროფესიებს, გახსნილია „მოსკოვის უნივერსიტეტის“ ფილიალი (X-ში არ აგერიოთ, ეს თურმე მოსკოვის ეკონომიკის, სტატისტიკის და ინფორმაციის სახელმწიფო უნივერსიტეტია), რომლის პარტნიორი ყოფილა თბილისის ეკონომიკისა და სამართლის აკადემია.

დაახლოებით 7 წლის წინ რაიონში გაიხსნა თსუ სიღნაღის ფილიალის მარნეულის განყოფილება, რომელიც ორი წლის წინ დაამთავრა ოცდაშვიდმა „ფილოლოგმა“, რომელთაც დიმპლომში აზერბაიჯანულ-ქართული ენების სპეციალისტი უწერიათ. აზერბაიჯანულის ცოდნაში ეჭვი არავის შეჰპარვია, რადგან აზერბაიჯანელები არიან, მაგრამ ისინი სკოლებში ქართულის მასწავლებლებად გაამწესეს (შენიშვნა: 3-4 წლის წინ მხარის განათლების სამინისტრომ ენის პალატასთან ერთად 12-წლიანი პროგრამა შეიმუშავა, რომელშიც ერთერთი პუნქტი არაქართულ სკოლებში ქართულის მასწავლებლებზე 100 ლარიან დანამატს ითვალისწინებდა. ამჟამად დაუფინანსებლობის გამო შეიძლება ეს პროექტი ჩავარდეს). როცა ეს მასწავლებლები განათლების სამმართველომ შეამოწმა, გაირკვა, რომ მათ ორი ღერი ქართულიც არ იცოდნენ. მეტიც, ამტკიცებდნენ — „დედაენა“ ეთერ გულდამაშვილმა შეადგინა (რომელსაც აზერბაიჯანული სკოლის - კლასების ქართული ენის სახელმძღვანელო ეკუთვნის — რას იზამ, მათთვის „დედაენა“ ეს წიგნი იყო), ხოლო შოთა რუსთველს გენიალური პოემა კი არა, მხოლოდ 3-4 ლექსი დაუწერია...

ეს მასწავლებლები ახლა მარტო აზერბაიჯანულს ასწავლიან და ქართველი კოლეგებისგან იგებენ, რომელი მწერლები ჰყავთ ქართველებს.

ეს ფაქტი მეტყველებს ამ სოკოებივით მომრავლებული „უნივერსიტეტების“ სტუდენტების დონეზე. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ სტუდენტები სასწავლებლის დამთავრებამდე ეროვნულ ჯარში არ მიდიან და უმრავლესობა სწორედ ამ მიზეზების გამო „სწავლობს“.

თუ ასე „ბარაქიანად“ გაგრძელდება სასწავლებლების მომრავლება და „ღრმა, საფუძვლიანი“ განათლება მარნეულში, თითო კაცს ალბათ ორ-ორი დიპლომი მაინც ექნება, თუმცა, დიპლომი ხშირად ცოდნის დამადასტურებელი არ არის.

მანოლი ლილუაშვილი

NATO საქართველოს სანაპიროს დაცვაში ასწავლის

...გამსახურდიას და შონიას ოდესის აეროპორტში აკავებენ. მათ საბუთებში ფოტოსურათები არ აღმოჩნდა...

...პარალელურად, ოდესის პორტში ამაოდ ელიან ქართულ სამხედრო კატარღა „ქუთაისს“ — იგი ფოთიდან ოდესაში გადასვლისას ძლიერ ღელვაში მოჰყვა...

დაახლოებით ასე არაორდინარულად დაიწყო ქართველების კიდევ ერთი „გასაოცარი მოგზაურობა“ „COOPERATIVE PARTNER-2000“-ში მონაწილეობის მისაღებად.

NATO-ს ეგიდით ორგანიზებული „PARTNERSHIP FOR PIACE“-ის ფარგლებში გამართულ საერთაშორისო სამხედრო-საზღვაო სწავლებებს — ამჯერად უკვე უკრაინა, კერძოდ კი, ოდესა მასპინძლობს.

მასში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-საზღვაო ძალების საზღვაო ქვეითთა ოცეული და სამხედრო კატარღა „ქუთაისი“ გაიგზავნა.

ოდესაში ქართველ საზღვაო ქვეითთა გადასროლა საბერძნეთმა იკისრა. თბილისში ჩამოფრენილი ბერძნული სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავის — C-130 „ჰერკულესის“ ეკიპაჟმა ყველა ხარჯი (აეროპორტში დაფრენა-აფრენის, დგომისა და საწვავის თანხები) თვითონ გასწია, მაგრამ ქართული ოცეულის გაფრენა მაინც კინაღამ ჩაიშალა, რადგან აეროპორტის ხელმძღვანელობა სამხედროებისაგან (მათ შორის, თქვენ წარმოიდგინეთ, ჯარისკაცებისაგანაც კი!) ე.წ. მომსახურების, კომერციული გადასახადის დაფარვას მოითხოვდა. საბედნიეროდ, ბოლოს და ბოლოს, ეს პრობლემაც მოგვარდა, თორემ ქართული რეალობით განცვიფრებული ბერძენი მფრინავები ზემოხსენებულ თანხებს ნამდვილად აღარ გადაიხდიდნენ და ჩვენი ოცეულის გარეშე დატოვებდნენ თბილისს.

ოდესაში ჩამოფრენილ ქართველ სამხედროებში უკრაინელმა მესაზღვრეებმა ორი ჯარისკაცის, გამსახურდიას და შონიას საბუთებში, მათი სურათები ვერ აღმოაჩინეს, ხოლო ქართულ ენაზე კითხვას „სამწუხაროდ“, უკრაინელ სამხედროებს „ჯერჯერობით“ არავინ ასწავლის. ჩვენი სამხედრო დელეგაციის ხელმძღვანელის ვიცე-პოლკოვნიკ ვიქტორ ჭელიძისა და, განსაკუთრებით, ოდესაში საქართველოს საკონსულოს წარმომადგენლების ოპერატიული მოქმედებით, საჭირო საბუთები რამდენიმე საათში გამზადდა.

თუმცა სწრაფად ვერ გადაწყდა ჩვენი კატარღის რთული ბედი. „ქუთაისი“ თურქების ნაჩუქარი კატარღაა. ამ მცირე წყალწყვის კატარღისთვის მძიმე გამოცდად იქცა შავ ზღვაში ამტყდარი ძლიერი ღელვა. აბობოქრებულმა ტალღებმა „დაიმორჩილა“ „ქუთაისი“ — მწყობრიდან გამოვიდა კატარღის დამხმარე ენერგეტიკული მოწყობილობები და უდენოდ დარჩენილი ეკიპაჟი რეალური კატასტროფის წინაშე დადგა — მათ აღარ შეეძლოთ რადიოსადგურით ბაზასთან დაკავშირება. საბედნიეროდ, იქვე ახლოს აღმოჩნდა ბულგარეთის ხომალდი, რომელიც მთელი ღამის განმავლობაში „ქუთაისს“ გარშემო უვლიდა (მიახლოება უძლიერესი ღელვის გამო საშიში იყო, რადგან შეიძლება ერთმანეთს შეჯახებოდნენ) და ჩვენს ჩაბნელებულ კატარღას პროჟექტორებით ანათებდა.

მართვადაკარგულ „ქუთაისს“ ძლიერი ტალღები თურქეთის მიმართულებით მიაქანებდა. საჭირო გახდა საზღვაო ბუქსირის გამოძახება, რომლებმაც დიდი წვალების შემდეგ „ქუთაისი“, როგორც იქნა, ფეოდოსიის საზღვაო პორტში შეიყვანეს.

ბუნებრივია, გამოირიცხა „ქუთაისის“ მონაწილეობა საერთაშორისო სამხედრო-საზღვაო სწავლებაში, ერთადერთ გამოსავლად იქცა „ქუთაისის“ შეცვლა „თბილისით“, რომელიც კარგა ხანია, ისედაც უკრაინის ტერიტორიულ წყლებში იმყოფებოდა.

საქმე ის გახლავთ, რომ რამდენიმე თვეა, ქართული სამხედრო ფლოტის ძირითადი ნაწილი უკრაინაში ბალაკლავის საზღვაო-სარემონტო ქარხანაში შესაკეთებლადაა ჩაყვანილი. როგორც ყოველთვის (საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების საბრძოლო და სამხედრო-სატრანსპორტო შვეულმფრენებისა არ იყოს), აქაც უფულობის გამო ქართული სამხედრო ტექნიკის სარემონტო სამუშაოები კუს ნაბიჯით მიდის, ამით, რა თქმა უნდა, პირველ რიგში თავად საქართველოა წაგებული, რადგან იმავე ბალაკლავაში საზღვაო ნავსადგურის პირსის თითო მეტრის ყოველდღიური გადასახადი ერთი ამერიკული დოლარია. ეს ერთი შეხედვით მცირე თანხა, რამდენიმე თვეში ასტრონომიულ ციფრად იქცა. ამიტომაც, სულაც არ არის გამორიცხული, რომ უკრაინაში გასარემონტებლად გაგზავნილი ოთხი მცურავი საშუალებიდან, რომელიმე, ჟკან, ფოთში უბრალოდ აღარ დაბრუნდეს — იგი გადაუხდელი თანხების კომპენსაციას შეეწირება.

საერთოდ, ეს თემა — საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალებისა თუ საზღვრის დაცვის დეპარტამენტის კატარღების რეალური ტექნიკური და საბრძოლო მდგომარეობა დეტალურადაა შესასწავლი.

რატომ უნდა სჭირდებოდეს იმავე უკრაინაში შეძენილ კატარღებს სულ რამდენიმე თვეში უკანვე, უკრაინაში სარემონტოდ გაბრუნება? ტექნიკურად რა მდგომარეობაში იყო ეს კატარღები შეძენისას? შეესამებოდა თუ არა მათი მდგომარეობა გადახდილ თანხას? ხომ არ მოითბო ვინმემ ხელი, ამ ნახევრად სამხედრო, ნახევრად კრიმინალური ოპერაციით? რომელი მრჩეველი ურჩევს ქართულ გენერალიტეტს ამა თუ იმ სამხედრო და საბრძოლო ტექნიკისა და საჭურვლის შეძენას საზღვარგარეთ?

კითხვები მართლაც რომ საკმარისზე მეტია.

„კვირის პალიტრის“ უკრაინაში, კერძოდ კი, ოდესაში ყოფნისას და ამ ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ძალებისა და მათი ოფიცრების გაცნობის შემდეგ, ბევრი რამ სულ სხვაგვარად გამოჩნდა.

სტატიის ავტორი ეცდება, უახლოეს მომავალში უფრო დაწვრილებით გამოიკვლიოს ეს საკითხი, რადგან აქ, როგორც ჩანს, „ძაღლის დიდი თავია“ ჩამარხული, რამაც, შეიძლება მავანთ თანხების დიდი ოდენობით „ჩამოჭრის“ საშუალება მისცა, სამაგიეროდ, ქართული სამხედრო ფლოტი მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო.

„თბილისი“ ბალაკლავიდან ოდესაში, მხოლოდ პარასკევს, 23 ივნისს საღამოს ჩამოვიდა და, ბუნებრივია საერთაშორისო სწავლების ბევრ ელემენტში მონაწილეობა ვერ მიიღო.

სხვათა შორის, ჩვენი სამხედრო კატარღები თითქოს მოჯადოებულნი გამოდგნენ — ჯერ იყო, 1997 წელს, რუმინეთში, კონსტანცაში გამართულ ამგვარსავე სწავლებებზე, კოოპერატივ „პარტნიორი-97“-ზე ქართულ „ივერიას“ ძრავი გაუფუჭდა და მისი ბუქსირით „თრევა“ 205П პროექტის „ბათუმს“ მოუხდა. თუმცა, იმ დროისთვის მას ეს სახელი ჯერ არ ერქვა და, უბრალოდ, №301-ად იწოდებოდა. მანაც, თავის მხრივ, „არ შეირცხვინა“ თავი და 1998 წლის შემოდგომაზე „სი ბრიზ-98“-ში მონაწილეობის მისაღებად, უკრაინისკენ წასულს, ზღვაში მორი დაეჯახა (ან პირიქით) და სარემონტო გახდა.

ყველაზე წარმატებულად კი მაინც შარშანდელი საზღვაო სწავლებები უნდა იქნეს მიჩნეული, როდესაც იმავე №301-მა უხიფათოდ გადაკვეთა შავი ზღვა — ფოთიდან ვარნამდე (ბულგარეთი), სადაც მიმდინარეობდა „კოოპერატივ პარტნიორ-99“-ი. ამ საზღვაო გადასვლაში, როგორც ჩვენს მკითხველს ემახსოვრება, „კვირის პალიტრაც“ მონაწილეობდა.

ასეთი ხშირი ავარიები ღია ზღვაში შემთხვევითი სულაც არ არის. ქართული სამხედრო ფლოტის კატარღები წყალწყვის, სიძველისა და ხანდახან ეკიპაჟის გამოუცდელობის გამო, ალბათ მხოლოდ სანაპირო წყლებში საცურაოდ თუ გამოდგებიან. შედარებით დიდი კატარღები №301 — „ბათუმი“ და №302 — „თბილისი“ ოთხ-ხუთბალიან ღელვაში მეტ-ნაკლებად კარგად გრძნობენ თავს, მაგრამ იარაღის ზუსტი გამოყენება აღარ შეუძლიათ. თუმცა, რომელ იარაღზეა ლაპარაკი, როდესაც სარაკეტო კატარღა „თბილისში“ დღემდე არ ჩაუდგამთ ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტები — „ტერმინები“ და ისიც ცარიელი სარაკეტო, კონტეინერებით დაცურავს — სწორედ მასზეა ნათქვამი — „გარედან მტერს უბრმავებს თვალს, შიგნიდან კი მოყვარესო“.

სანამ სწავლებები ქართული კატარღის გარეშე მიმდინარეობდა, ქართული საზღვაო ქვეითთა ოცეული თავს არ ირცხვენდა.

საერთოდ, სწავლებებში მონაწილეობს NATO-ს წევრი ბევრი ქვეყანა — ასევე ბელგია, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საბერძნეთი, ესპანეთი, იტალია, აშშ, თურქეთი, აგრეთვე ნიდერლანდები და საფრანგეთი.

მათ გარდა, სწავლებებში მონაწილეობენ „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამის წევრები — აზერბაიჯანი, ბულგარეთი, საქართველო, რუმინეთი და უკრაინა. თავისი წარმომადგენელი გამოგზავნა შვედეთმაც.

სულ სწავლებებში გამოყენებულია 50 სამხედრო ხომალდი და გემი, 30 თვითმფრინავი და 40-მდე საბრძოლო ტექნიკა. ქართულმა საზღვაო ქვეითმა ოცეულმა უკვე შეასრულა პატარ-პატარა სასწავლო-საბრძოლო ამოცანები — ტერიტორიის პატრულირება, საბრძოლო სროლები და, რაც მთავარია, ზღვიდან სანაპიროზე დესანტირება.

საქართველოს რეალური ტერიტორიული პრობლემებიდან გამომდინარე, სწორედ ამ ბოლო საბრძოლო ამოცანის შესრულებას უნდა მიექცეს დიდი ყურადღება, ქართველი საზღვაო ქვეითები ჯავშანტრანსპორტიორებით БТР-80-ებით ახორციელებდნენ დესანტირებას დიდი სადესანტო ხომალდ „ოლშანსკიდან“. შეჯავშნული საზღვაო ქვეითები, მოწინააღმდეგის სანაპირო დაცვის ცეცხლისგან შედარებით დაცულნი არიან და შეუძლიათ წარმატებით დაიკავონ სანაპირო. სამწუხაროდ, საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალებს არც БТР-80-ები ჰყავთ და, მით უმეტეს, არც დიდი სადესანტო ხომალდები, თუმცა აქ ერთი სიკეთე მაინც ის არის, რომ ჩვენმა ბიჭებმა რეალურად ნახეს და არცთუ ისე ცუდად შეასრულეს ის დავალება, რაც საზღვაო ქვეითებს უშუალოდ ეკისრებათ.

არანაკლებ საინტერესო იყო ის, რომ NATO-ს ხმელთაშუა ზღვის მეთაურების მიერ სწავლებაზე გამოგზავნილი მუდმივმოქმედი ნაღმსაწინააღმდეგო შენაერთის ტექტიკა მშვენივრად აითვისეს ქართველმა საზღვაო ქვეითებმა. ამ შენაერთის შეიარაღებაში არსებული რეზინის სადაზვერვო ნავები — „ზოდიაქები“ — საუკეთესო საშუალებას იძლევა, მცირე ჯგუფებით განხორციელდეს მალული შეტევა მოწინააღმდეგის ნავსადგურზე ან გემზე.

„კვირის პალიტრამ“, რა თქმა უნდა, შესაძლებლობა ხელიდან არ გაუშვა და „თავისი“ თავი გამოსცადა ამ სწრაფმავალი ნავებიდან ნაპირზე დესანტირების დროს.

სწავლებები ოდესის აკვატორიასა და სანაპიროზე 1 ივლისამდე უნდა გაგრძელდეს, მასში, საბოლოო ჯამში, თითქმის ათასამდე, სხვადასხვა ქვეყნის საზღვაო ქვეითი მიიღებს მონაწილეობას, რაც, სტატიის ავტორის აზრით, შემთხვევითი სულაც არ უნდა იყოს.

NATO-ს წარმომადგენლები და, მით უმეტეს, ამერიკელები არავითარ ყურადღებას არ აქცევენ იმ მცირერიცხოვან მომიტინგეთა ტრანსპარანტებს, რომელსაც აწერია — „ამერიკელებო, გაეთრიეთ ოდესიდან!“ ეს მომიტინგეები ძირითადად პენსიონერები არიან. იმასაც ამბობენ, რომ ერთ ამერიკელს თითოეული მომიტინგესთვის 5-5 უკრაინული გრივნა დაურიგებია და ისინიც დაშლილან, რადგან ამ მიტინგის მომწყობთ, თურმე თითოეულისთვის მხოლოდ 3 გრივნა გადაუხდიათ — (ერთი ამერიკული დოლარი ოდესაში 5,5 გრივნა ღირს).

დავუბრუნდეთ საქართველოს.

უკრაინაში ამჟამად მიმდინარე წვრთნა გაისად ჩვენს ქვეყანაში გადმოინაცვლებს და გონიოს პოლიგონზე გაიმართება. ეს იქნება პირველი მსხვილმასშტაბიანი სამხედრო-საზღვაო წვრთნები საქართველოში, რომელიც NATO-ს ეგიდით ჩატარდება.

დღევანდელი მძიმე მდგომარეობიდან გამომდინარე, ცოტა საეჭვოდ ჩანს, როგორ უმასპინძლებს საქართველო ამხელა მასშტაბის წვრთნებს. თვით უკრაინელებსაც, რომლებსაც სამხედრო სწავლებების გამართვის დიდი გამოცდილება გააჩნიათ, საკმაოდ უჭირთ სწავლების სწორი და ოპერატიული ორგანიზება.

ხოლო რა ქაოსი შეიძლება მოხდეს ჩვენთან, აღვილი წარმოსადგენია. ამასთან, არის დიდი საშიშროება, რომ მომავალი წლის „COOPERATIVE PARTNER-2001“ ჩვენთან ზოგიერთისთვის დიდი ფულის კეთების ახალი წყარო გახდეს. საქმე ის გახლავთ, რომ თავად NATO გამოყოფს არც ისე პატარა თანხებს, რომელიც პოლიგონების აღდგენას, საწვავის ყიდვასა და სასტუმრებს უნდა მოხმარდეს, ჩვენთან კი, როგორც დიდი ხნის მწარე გამოცდილება გვასწავლის, პოლიგონები ისევ მწყობრიდან გამოსული დარჩება, ხოლო ტრანსპორტი უსაწვავობის გამო, გაჩერდება.

P.S. სხვათა შორის, აზერბაიჯანს ძალიან სურდა, რომ ამ სწავლებაზე თავისი კატარღაც გამოეგზავნა, მაგრამ რუსეთმა მას ვოლგა-დონის არხით სარგებლობის უფლება არ მისცა. ამასთან, თურქეთის ნაჩუქარი ორი კატარღაც ამაოდ ელოდება კასპიის ზღვაში ცურვას, მოსკოვი ბაქოს მათი ტრანზიტის ნებას არ აძლევს.

ირაკლი ალადაშვილი
უკრაინა-ოდესა

რას წერენ ჩვენზე

„ვიღრე მოკვდებოდეს, მინდა არძინბას თვალებში ჩავხედო“...

ზურაბ სამუშია ლეგენდარული პარტიზანული რაზმის „თეთრი ლეგიონის“ მეთაური გახლავთ. საქართველოში მას ეროვნულ გმირად მიიჩნევენ, აფხაზეთში კი — მსოფლიოს №1 ტერორისტად, რომლისგანაც ბევრი რამ უნდა ისწავლოს ბენ ლადენმაც კი.

და მაინც, ვინ არის ზურაბ სამუშია? ქართველი გმირი, რომელიც სამშობლოს თავისუფლებისთვის იბრძვის თუ მკვლელია სისხლიანი ხელებით? გაზეთ „კომერსანტის“ კორესპონდენტი ანდრეი კოლესნიკოვი ესაუბრა ზურაბ სამუშიას თბილისში.

გთავაზობთ ამონარიდს ინტერვიუდან.

— სად იმყოფებოდით აფხაზეთის ომის დროს?

— ვიბრძოდი. ვეომებოდი არძინბას, ბასაევს.

— ბასაევსაც?

— მახსოვს 1993 წლის 3-4 ივლისი. ჩავშალეთ მათი ერთი ოპერაცია, რომელსაც აფხაზეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილე, აფხაზეთის გმირი შამილ ბასაევი ხელმძღვანელობდა. მათი ბევრი მეომარი მივაწვინეთ. სულაც არ მჭირდებოდა მათი ცხედრები ჩემს პოზიციაზე. თეთრი ბაირაღი აღვმართე და მათ შესახვედრად გავედი. მდინარე გუმისთას ხიდზე შამილ ბასაევი, ტარიელ ტაბაღუა და იგორ სერდიუკოვი დამხვდნენ. ვეუბნები: „წაიღეთ თქვენი ცხედრები“. ბასაევმა მიპასუხა: „ისინი თავიანთ მიწაზე წვანან და მალე ამ მიწას ისედაც ავიღებთ“. ვუპასუხე: — „უმჯობესია, დატოვო ეს მხარე, აქ რა საქმე გაქვს, ტარიელთან თავად გავარკვევთ ჩვენს საქმეებს“.

ვიცი, დღეს ბასაევს სოხუმში სახლს უმზადებენ. იქ უმკურნალებენ და ჩეჩნეთში ტერორი კვლავ გაგრძელდება.

— ეს თქვენ ადასტურებთ, რომ ჩეჩნეთში ადგილი აქვს ტერორს? მაშ, რაღას აკეთებთ თქვენ აფხაზეთის ტერიტორიაზე?

— თქვენ სხვაგვარად გესმით. მოგიყვებით. 1993 წლის 10 სექტემბერს საქართველოს თავდაცვის მინისტრმა აფხაზეთის ტერიტორიის დატოვება გვიბრძანა. მაშინ გადავწყვიტე, თავდაცვის სამინისტროდან გასვლა მთელი ჩემი გაერთიანებით. სულ მალე შევქმენით აფხაზეთის წინააღმდეგობის კომიტეტი. ეს იყო ჩვენი პროტესტი ბოროტმოქმედი ვლადისლავ არძინბას კრიმინალური რეჟიმის დამყარების წინააღმდეგ. სწორედ ასე ვამბობ მის შესახებ. კი ვიბრძოდით, მაგრამ ეს არ იყო ნორმალური ბრძოლა. არ იყო სამხედრო ორგანიზაცია. თითოეული ისე ომობდა, როგორც შეეძლო.

— გამოდის, რომ არავითარი კომიტეტი არ არსებობდა.

— როგორ არა! სხვაგვარად, 1996 წლის 2 ნოემბერს როგორ შეიქმნებოდა ჩემი შეიარაღებული რაზმი „თეთრი ლეგიონი“?

— ეს ის ლეგენდარული „თეთრი ლეგიონია“, რომელსაც არძინბას მტკიცებით, აფხაზეთის ტერიტორიაზე ათობით ტერაქტი აწევს ცოდვად?

— ჩვენ ტერორისტები არა ვართ, ჩვენ ვიბრძვით ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისთვის.

— რა ძალებით იბრძვით?

— სანამ არ გავიმარჯვებთ, ამის შესახებ ვერაფერს ვიტყვი. დამივერეთ, ცოტანი არა ვართ, თუმცა ამ წლებში დიდი დანაკარგი განვიცადეთ. 20 ახალგაზრდა გმირულად დაიღუპა.

— შეგიძლიათ მომიყვეთ რაიმე შემთხვევა?

— ერთი ოპერაციის შემდეგ, ორი ჩემი მეომარი თავისიანებს ზურგს უმაგრებდა. თავიანთი ამოცანა კარგად შეასრულეს, რაზმი კი გავიდა, მაგრამ ეს ორი მტრის ხელში ჩავარდა. როცა დარწმუნდნენ, რომ გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულეს.

— გმირული ამბავია.

— მას გაგრძელებაც აქვს. ცხედრები მოწინააღმდეგეებმა წაიღეს.

— იცით, ვინ იყო თქვენი მოწინააღმდეგე?

— რასაკვირველია. რუსეთის 345-ე სადესანტო-საშტურმე პოლკი, რომელიც გუდაუთაში ბაზირებს. ისინი ჩაგვისაფრდნენ. მაშინ ვბრძანე ცოცხლად აეყვანათ რუსი მშვიდობისმყოფელები. ჩემებმა ადვილად შეძლეს ამ ამოცანის შესრულება: ტყვედ აიყვანეს სამი რუსი ოფიცერი და მათი მძღოლი. ეს ძალზე მარტივად გაკეთდა.

— რისთვის გჭირდებოდათ ჩვენი სამხედროები?

— როგორ თუ რისთვის, ისინი ჩემი ბიჭების ცხედრებზე უნდა გამეცვალა. ვიდეოკასეტაზე გადავიღეთ ტყვეები და თქვენი მშვიდობისმყოფელი კონტინგენტის მეთაურს ბაბენკოვს გავუგზავნეთ. მას 24 საათის განმავლობაში გაცვლა უნდა მოეხდინა. დაურეკე ბაბენკოვს: — გყოფნის ეს დროთქო? თავიდან ძალიან ღელავდა. მითხრა პრიმაკოვს ვესაუბრეო (მაშინ სოჭში ისვენებდა) და მისი სიტყვები გადმომცა: „ეს ტერაქტია, ჩვენ ახლავე მოვამზადებთ ნოტას საერთაშორისო საზოგადოებრიობისათვის, ე.ი. 407-ე БТР, რომელიც ჩაგვისაფრდა თქვენი არ არის და არავითარ ბრძოლებს არ აწარმოებთ ჩვენს საწინააღმდეგოდ? — არავითარსო. მაშინ ახლავე ვუბრძანებ, ააფეთქონ ისმეთქი.

(გაგრძელება იხ. გვ. 12)

„ორთაჭალის ციხე ფულის დიდი საამქროა...“

ჩემი თანამოსაუბრე ყოფილი პატიმარია. 80-იან წლებში, ქუჩაში ჩხუბისთვის, 2 წლით მოხვდა ორთაჭალის ციხეში. შემდეგ, 1993-ში, ერთი თვე მოსკოვის „ბუტირკის“ ბინადარი იყო, სულ ახლახან კი, ორიოდ კვირით, კვლავ ორთაჭალის საპატიმროს ესტუმრა.

ციხის თაობაზე ერთგვარი ნოსტალგიით საუბრობს. მიმტკიცებს, მართალია, ძალზე გავიტანჯე, მაგრამ იქ გატარებული დრო დღეს მაინც კარგად მახსენდებაო... და მპირდება, ყოველივე ნანახის შესახებ „ცვეტნოი“ (სიმართლე) მიამბოს:

— ნებისმიერი პატიმარი დამეთანხმება, რომ ციხე ფულის დიდი საამქროა. შესაძლოა, კაცი იქ ღარიბ-ღატაკი შევიდეს და მდიდარი გამოვიდეს. ფულს ბევრი შოულობს: ციხის ადმინისტრაცია, რიგითი „ნადზირატელები“, კანონიერი ქურდები... რა თქმა უნდა, ისევ და ისევ, პატიმრების ხარჯზე.

საპატიმროში ყველაფერს იყიდი. გადაიხადე და მოგართმევენ ტელევიზორსაც და მობილურსაც, ახალ ლეიბსაც და ნებისმიერ ლიტერატურასაც, მწვადსაც და საცივსაც, სასმელსაც და ნარკოტიკსაც, ქალსაც და თქვენ წარმოიდგინეთ, თავისუფლებასაც...

ქუჩაში გაზრდილი კაცი გაცილებით იოლად ეგუება იქაურ პირობებს, ვიდრე „დედიკოს ბიჭი“, თუმცა, თუ ჭკვიანურად მოიქცევა, ამ უკანასკნელსაც აქვს შესაძლებლობა მეტ-ნაკლებად კარგად იცხოვროს.

საერთოდ, პატიმართა ცხოვრება პოლიტიკურ ასპარეზს მაგონებს. ციხეშიც იგივე წესებია: თაღლითობა, ინტრიგა, დასმენა, სხვა ბინძური ხრიკები, ერთმანეთის დასაჩაგრად, ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად და ფულის საშოვნელად რომ იყენებენ... შესაძლოა, ამიტომაც არის, რომ ციხეში მოხვედრილი პოლიტიკოსები (ასეთებიც მინახავს) გისოსებს მიღმა თავს ისე გრძნობენ, როგორც თევზი — წყალში...

თითქმის ყველა პატიმარი თავდაპირველად რამდენიმე დღით ე.წ. კარანტინში ხვდება. იქ უსაშინლესი პირობებია და თუ გსურს ამ მართლაც ჯოჯოხეთს თავი დააღწიო, კეთილი ინებე და ციხის უფროსს ქრთამი მიართვი — ხელად მოგათავსებენ ციხის შედარებით კეთილმოწყობილ საკანში. მახსოვს, დიდი ხნის წინ, პირველად რომ მოვხვდი კარანტინში, თმები ყალყზე დამიდგა. წარმოიდგინეთ, 20 კვმ ფართის სარდაფი, სადაც 14 კაცი ზის! სიბნელე, სუნი, ნესტი, რკინის კარკასი, რომელზეც ჰამაკივით თხელი საბნები აქვთ გაჭიმული და, რამაც ყველაზე მეტად შემზარა — ძაღლის ოდენა ვირთხები, ადამიანს საერთოდ რომ არ ერიდებიან... იქ მხოლოდ „პერვახოდკები“ (პატიმრობაში პირველად მყოფები) დამხვდნენ. ერთნი დარდისგან მოკუნტულები ისხდნენ და დანა პირს არ უხსნიდათ, სხვებს მაგარ ბიჭებად მოჰქონდათ თავი, მაგრამ ცხადი იყო, ყველას ძალიან უჭირდა.

მერე იყო აბანო. ჭერში გამოჭრილი რამდენიმე ხვრელიდან ცივი წყალი მოწანწკარებდა. ორმოცდაათამდე კაცს სარეცხის საპნის ორი ნაჭერი შემოგვიგდეს, დაიბანეთ, როგორც გენებოთო. ხუთ წუთში კი დაგვამწკრივეს და „ხატებში“ (საკნებში) გაგვანაწილეს.

შევდივარ „ხატაში“ და უმალ იქაური „მაყურებელი“ (კანონიერი ქურდის მიერ დანიშნული პატიმარი, რომელიც საკანში წესრიგს ამყარებს) მეგებება. გადმოცემით ვიცოდი, რომ პირველივე წუთიდან საკანში ჩხუბები გელის და ფხიზლად ვიყავი, მაგრამ „მაყურებელმა“ გულთბილად მიმიღო. გამომკითხა, რა „მასტისა“ და სადაური ვიყავი, რისთვის მოვხვდი საპატიმროში, გარეთ ვის ვიცნობდი და ა.შ. მერე მითხრა, აქ შენი უბნელები სხედან და მათ „ოჯახში“ იქნებიო.

ციხეში ყველა „ოჯახებით“ ცხოვრობს. ეს არის ოთხ-ხუთკაციანი ჯგუფი, რომელშიც პატიმრები, ძირითადად, ქალაქების, უბნებისა თუ კუთხეების მიხედვით არიან გაერთიანებულნი. „ოჯახის“ წევრები ერთმანეთს ძმებივით პატრონობენ. თუ რომელიმე მათგანს „დაჩკა“ (ამანათი, რაც, უმეტეს წილად, პროდუქტია) მოუვა, საკვები „ოჯახის“ წევრთა შორის თანაბრად ნაწილდება და დაუპატიჟებლად არავის აქვს უფლება ამ საჭმელს მიეკაროს.

„ოჯახმა“ პირველივე დღეს მირჩია, ციხის უფროსის — „ხაზეინის“ სახელზე განცხადება დამეწერა და მეთხოვა, ციხიდან „ზონაში“ (კოლონიაში) არ გადავეყვანე. იქ გაცილებით ცუდი პირობებიაო, მითხრეს. მათივე განმარტებით, ციხეში დამტოვებდნენ თუ ხუთწლიანი საერთო ან სამწლიანი გაძლიერებული რეჟიმი მქონდა მისჯილი. მადლობა ღმერთს, მოსამართლემ მხოლოდ 2 წელი მომისაჯა და „ხაზეინმაც“ ჩემი თხოვნა დააკმაყოფილა.

„ოჯახის“ წევრთაგან ისიც შევიტყვე, რისი უფლება მქონდა და რისი არა. ეს დაუწერელი კანონებია, რომელთა შეუსრულებლობამაც, შესაძლოა, დიდი პრობლემები შეგიქმნას.

არასოდეს და არავის წინაშე არ შეიძლება გულის ბოლომდე გადახსნა, ჩემი აზრით, მაშინაც კი, როცა თანამოსაუბრეს კარგად იცნობ. ასევე, არ შეიძლება სხვების საუბარსა თუ საქმეში ჩარევა. სჯობს, ნერვებს არ აჰყვე და მუდამ მშვიდად და ღირსეულად გამოიყურებოდე. ნურც მონა გახდები და ნურც იმაზე მაგარის როლს ითამაშებ, რაც სინამდვილეში ხარ — აბსოლუტურად ყველა სტაჟიანი პატიმარი ბრწყინვალე ფსიქოლოგია და ციხეში უმალ მიხვდებიან შენს მსახიობობას.

ნაკლები ილაპარაკე და მეტი ისმინე! დაუფიქრებლად წამოსროლილმა სიტყვამ ბევრი დაღუპა.

თუ ვინმე შენს დაჩაგვრას შეეცდება, იმთავითვე ჩხუბზე ან დედის გინებაზე ნუ გადახვალ. დაელაპარაკე, გაარკვიე, რატომ გიტევს და თუ ბრალდება ვერ დაგისაბუთა, უფლება გაქვს თავი გაუტეხო. მეორე მხრივ, საპატიმროში ზედმეტი აყალმაყალი არც კანონიერ ქურდებს „აწყობთ“ და არც ადმინისტრაციას. ამ დროს ხომ „პალაჟენია“ (მდგომარეობა) ირევა, ამიტომ, როცა უსამართლოდ გავიწროებენ, სჯობს ქურდს მიმართო. უმეტეს შემთხვევაში, იგი ისე მოაგვარებს კონფლიქტს, რომ ნაწყენი არავინ დარჩება.

ერიდე ბანქოს და ერთი შეხედვით, უწყინარი სიტყვების თამაშს. ვთქვათ, თანასაკნელი „უბრალოზე“ თამაშს გთავაზობს. რაც არ უნდა ხათრი გქონდეს ამ კაცის, მაინც უარი თქვი, რადგან ციხის ენაზე ეს ნიშნავს, რომ წაგებულს „გაპეტუხება“ (გაუპატიურება) ელის. „ინტერესზე“ თამაში ფულზე ან ნივთებზე თამაშს ნიშნავს. ერთადერთი უწყინარი სახის თამაში „უინტერესოზეა“ ანუ არაფერზე.

ბანქოსგან უმრავი გაუბედურებული პატიმარი მინახავს. თუ არ გსურს ზედმეტი ხიფათი, სათამაშოდ ნუ დაჯდები, თვით იმ შემთხვევაშიც კი, თუკი უწინ „ჯოკერისა“ და „პრეფერანსის“ ტექნიკას უზადოდ ფლობდი! დარწმუნებული ბრძანდებოდე, მაინც მოგიგებენ, „თავანის“ (წაგებულის) გადახდას მოგთხოვენ და თუ გარკვეულ დრომდე არ მიუტანე, შავი დღე გელის...



ციხის ერთ-ერთი მთავარი კანონია — არასოდეს „აგორო ფუფლო“, ანუ არ იცრუო. ხომ გაგიგონიათ, ტყუილს მოკლე ფეხი აქვსო. აი, ციხეში კი ტყუილს საერთოდ არა აქვს ფეხი!

ერთხელ, ჩვენი „ოჯახის“ ახალბედა წევრი ძლივს გადავარჩინეთ — რის ვაი-ვაგლახით შევუგროვეთ საჭირო თანხა. მეორედ კი სხვა ბიჭს უკვე ვეღარ ვუშველეთ და „ბლატნოებმა“ (ქურდული კანონების მიმდევრებმა) ის უბედური „ჩუხანად“ (ტუალეტის დამლაგებლად) აქციეს.

ციხეში კატეგორიულად იკრძალება სხვისი ნივთისთვის ხელის ხლება. მაგალითად, ვინმეს ასანთი სთხოვე. ის გეუბნება, აგერ, საწოლზე ჩემი ქურთუკი რომ დევს, იმის ჯიბეშია და აიღეო. შენც იღებ, მაგრამ შემდეგ, შესაძლოა, ბრალი დაგდონ, იმ ჯიბეში ფულიც იყო და გაქრაო... გინდა თუ არა, უნდა გადაუხადო.

ციხეში ახალმისულ პატიმარს სხვა არაერთი გამოცდაც ელის. თუ ღირსეულ კაცად არ მიგიჩნიეს, უკეთეს შემთხვევაში, კარგა მაგრად გაგაშაყირებენ. ვთქვათ, „ხატაში“ პირველად შემოდის ახალგაზრდა კაცი. დაბნეულია, თვალებს აცეცებს, წარმოდგენაც არა აქვს, რა თქვას, როგორ მოიქცეს. პატიმრებსაც მეტი რა უნდათ — გასართობი გამოუჩნდათ! ეტყვის ვინმე, ძმაო, ხომ ხედავ რა ბინძური ტანსაცმელი გვაცვია, ჰოდა, გადასძახე გვერდით „ხატაში“, ერთი დღით სარეცხი მანქანა გვათხოვონო. ახალბედაც, როგორც წესი, მიდის „კარმუშკასთან“ (რკინის კარში დატანებული პატარა ფანჯარა) და მეზობელ საკანში ვიღაცას უყვირის, გვათხოვეთ, თუ შეიძლება, სარეცხი მანქანაო. იქიდანაც პასუხობენ, ბევრი სარეცხი დაგვიგროვდა, ორი-სამი დღე თავად გვჭირდება და იმ კვირაში აუცილებლად მოგცემთო... ატყდება მერე ერთი ამბავი, სიცილით იგუდებიან.

ან კიდევ: მიადგება „ძველი ბიჭი“ „ახალს“ — კარგი ბიჭი ჩანხარ და ქურდული „კლიჩკა“ (მეტსახელი) არ გინდაო? „ქურდულს“ საპატიმროში მაგიური ძალა აქვს და ახალბედაც ფიქრობს, უარი რომ ვთქვა, ვაითუ „შავებს“ არ ესიამოვნოთო და უმეტეს შემთხვევაში, მოსაუბრეს თავს უქნევს, მსურს „კლიჩკაო“. „ძველი ბიჭიც“ აკვალიანებს:

— თუ გინდა, მაშინ აქაური წესისამებრ უნდა მოიქცე. დადექი „კარმუშკასთან“ და ხმამაღლა დაიძახე, ციხევ, ერთი „კლიჩკა“ მაჩუქეთქო.

გაბრიყვებული პატიმარიც ეგება ანკესს და მთელი სართულის გასაგონად ყვირის... აი, მაშინ უნდა ნახოთ სეირი! ყველა საკნიდან ხარხარი ისმის და „კლიჩკის“ მსურველს ათობით პატიმარი ეძახის:

— ამიერიდან „შომპოლა“ იქნები!

— „გარშოკას“ ან „მაყვალას“ დაგიძახებთ!

— „უბორნია“ მოგიხდებოდა... და ა.შ. რა ქნან, ერთობიან.

გავრცელებული შეხედულების საწინააღმდეგოდ, პატიმართა უდიდესი ნაწილი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საკუთარ გარეგნულ იერსახეს. მუდამ სუფთად და აკურატულად უნდა გამოიყურებოდე. ბინძურებს და სუნიანებს ვერ იტანენ. მათ „ჩუშკებს“ უწოდებენ. ყურადღება ექცევა საკვების მიღების პროცესსაც. თუ კულტურულად არ მიირთმევ და სუფრასთან ღორივით იქცევი, ავტომატურად ხვდები „ჩუშკათა“ სიაში. კატეგორიულად იკრძალება სხვისი სადილობის დროს ტუალეტით სარგებლობა.

ციხის ერთ-ერთი მთავარი კანონია — არასოდეს „აგორო ფუფლო“, ანუ არ იცრუო. ხომ გაგიგონიათ, ტყუილს მოკლე ფეხი აქვსო. აი, ციხეში კი ტყუილს საერთოდ არა აქვს ფეხი! იმის თქმა მინდა, რომ იქ ვერაფერს დამალავ და ადრე თუ გვიან შენი საიდუმლო ყველასათვის ცნობილი ხდება. განსაკუთრებით, ფულის თაობაზე არ ღირს ტყუილის თქმა. შემოგიგზავნეს, მაგალითად, გარედან ორასი ლარი და იმავე დღეს ვიღაცა ორმოცდაათს გთხოვს, ქურდებს სასწრაფოდ სჭირდებათო. შენ ფული გენანება და უარს ეუბნები: „კაპიკიც არ მიდევს ჯიბეში, ნულზე ვარ“. კარგიო, გეუბნებიან და მიდიან, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, ხომ გინდა იმ ფულის გამოყენება? ან სიგარეტი გაქვს საყიდელი ან კიდევ სახლში უნდა დარეკო. ჰოდა, გადაუხდი თუ არა ამაში „ნადზირატელს“ (ციხის თანამშრომელს) თუნდაც ხუთ ლარს, ის პატიმრები მაშინვე გაიგებენ (საპატიმროში ინფორმატორს რა გამოლევს!) და მოგაკითხავენ, აკი ფული არ გქონდა, შენი ასე და ისეო... ასე რომ, სჯობს არაფერი დამალო. აფერისტს იქ არავინ სცემს პატივს და თუ „ფუფლოობა“ დაგიმტკიცდა, იცოდე, რომ ძალიან დიდი ხნით შეგრჩება.

ინფორმაციის („ქსივის“) გავრცელება სატიმროში ელვის უსწრაფესად ხდება. ორთაჭალაში, მაგალითად, სხვადასხვა სართულზე მდებარე საკნების დიდი ნაწილი ერთმანეთს ვიწრო, თითის სისქე ხვრელებით უკავშირდება, სადაც იოლად შეიძლება დახვეული წერილების გაძვრენა. ადმინისტრაცია ზოგჯერ ამ ხვრელების ამოქოლვას ცდილობს, შიგ ცემენტს ასხამენ, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ პატიმრებს უკვე ახალი ხვრელი აქვთ ხოლმე გაჭრილი. რაც შეეხება ერთ სართულზე მდებარე საკნებს, კავშირი მათ შორის უფრო იოლად მყარდება. თითოეულ „ხატას“ ჰყავს ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც, „მაყურებლის“ დავალებით, თავისი „კარმუშკიდან“ სხვა საკნებს სიტყვიერად გადასცემს საჭირო ცნობას.

ციხის ერთ-ერთი მთავარი კანონია — არასოდეს „აგორო ფუფლო“, ანუ არ იცრუო. ხომ გაგიგონიათ, ტყუილს მოკლე ფეხი აქვსო. აი, ციხეში კი ტყუილს საერთოდ არა აქვს ფეხი!

მეტად საინტერესო სანახავია „პრაგონი“ ანუ გადაძახილი. მოითათბირებენ რაღაცას ქურდები, ქვეშევრდომებს უბრძანებენ, ესა და ეს ინფორმაცია საპატიმროში სასწრაფოდ გაავრცელეთო და იწყება „პრაგონიც“ — ერთი საკანი მეორეს უყვირის (ან ხვრელით დეპეშას უგზავნის), ის კიდევ შემდეგს და ა.შ. დაახლოებით ერთ საათში მთელმა ციხემ, ათასობით ადამიანმა, იცის „სხოდკის“ (ქურდების შეკრების) გადაწყვეტილების თაობაზე.

პრობლემას არ წარმოადგენს ინფორმაციის ერთი საპატიმროდან მეორეში გადაგზავნაც. სქემა უმარტივესია — „სვიდანიაზე“ (ახლობელ-ნათესავთა სტუმრობა პატიმართან) მოსულს აძლევ წერილს. ის ადამიანი შემდეგ სხვა ციხესა ან კოლონიაში მიდის, „სვიდანიას“ უნიშნავს შენს ადრესატს და „ქსივასაც“ გადასცემს.

უკანასკნელ პერიოდში, რაც მობილური ტელეფონები გაჩნდა, საპატიმროთა შორის სულ უფრო და უფრო ხშირად მყარდება პირდაპირი სატელეფონო კავშირები. გაცილებით რთული ვითარებაა რუსეთის ციხეებში, ადმინისტრაციის მხრიდან იქ მეტი სიმკაცრეა და ამიტომ, ინფორმაციის გადასაცემად, იქაური პატიმრები ათასგვარ ეშმაკურ ხერხს იყენებენ.

ყველაზე გავრცელებულია „ტორპედო“. როცა ვინმე განსასჯელი ციხიდან სასამართლოში მიჰყავთ, პატიმრები მას წვრილად დახვეულ და ცელოფანში ჩაკერებულ წერილს („ტორპედოს“) ატანენ. ამ „ტორპედოს“ განსასჯელი სწორ ნაწლავში მალავს. „ავტოზეკით“ (მანქანა, რომლითაც სხვადასხვა ციხის პატიმრებს აგროვებენ და სასამართლოებში მიჰყავთ) მგზავრობისას ეს კაცი იოლად პოულობს საჭირო საპატიმროს წარმომადგენელს და წერილს გადასცემს. ეს უკანასკნელიც „ტორპედოს“ პირველის მსგავსად მალავს და მოგვიანებით ადრესატს აძლევს.

არსებობს კიდევ ერთი ორიგინალური მეთოდი, რომელიც, ეტყობა, ინდიელებისგან ისწავლეს. სქელი ქაღალდისგან ახვევენ დაახლოებით ნახევარი მეტრი სიგრძისა და ორსანტიმეტრიანი დიამეტრის მილს. მასში დებენ ასევე დახვეულ, ვიწრო კონუსის მაგვარ ქაღალდს — წერილს. ეს ერთგვარი ისარია. შემდეგ მილის ერთ ბოლოში ძლიერად ჩაჰბერავენ და ისარი-წერილიც საჭირო მიმართულებით მიფრინავს. საკუთარი თვალით მინახავს, როგორ ისროდნენ ამ იარაღიდან თითქმის ასი მეტრის მანძილზე! ერთი კორპუსის ფანჯრიდან მეორე კორპუსის ფანჯარაში...

იმავე მეთოდით საკნიდან საკანში რამდენიმე კილოგრამიანი ნივთების გადაგზავნაც შეიძლება. ისარს აბამენ გრძელ ძაფს, რომელსაც მერე თოკი მოსდევს. თოკზე ამანათია მიმაგრებული. როდესაც ისარი ადრესატამდე მიფრინდება, ის ფრთხილად იწყებს ძაფის თავისკენ მოქაჩვას და მალე ნივთის მფლობელიც ხდება.

„ტრუბის ტელეფონზეც“ გიამბობთ. მოსკოვში, „ბუტირკის“ ცნობილ ციხეში ყოფნისას ვნახე, რომ პატიმრები ძალიან ხშირად იყენებდნენ ამ მეთოდს. იქ მდებარე საკნები ერთმანეთს საკანალიზაციო მილებით უკავშირდება. იღებ „კრუჟკას“ — რკინის ჭიქას და მილს სამჯერ ურტყამ. შემდეგ „კრუჟკის“ ძირს მილს მიაბჯენ და თავად ჭიქაში (მიკროფონის მსგავსად) ამბობ, ვისთან გსურს საუბარი. ამის მერე „კრუჟკას“ სწრაფად ატრიალებ, ყურს ადებ და ისმენ, რას გელაპარაკება აბონენტი თავისი ჭიქის საშუალებით. ამგვარად, „კრუჟკების“ რიგრიგობით გადატრიალებით, საუბრობენ და მინდა გითხრათ, სმენადობა საუცხოოა.

როგორც უკვე მოგახსენეთ, ჰიგიენას საკმაო ყურადღება ექცევა. სურვილის შემთხვევაში შეგიძლია, ყოველდღე მიიღო შხაპი. დიდ საკნებში, სადაც არანაკლებ 10 პატიმარია, ტუალეტიც იქვე, შემოსასვლელი კარის მახლობლად მდებარეობს. ტუალეტში რკინის დიდი კასრი დგას. კუსტარული გამაცხელებლით წყალს ამ კასრში აცხელებ, „აჩკოს“ (ტუალეტის ნახვრეტის) თავზე დგები და ეგეც, შენი აბანო. თუ „ბლატნოი“ ხარ, „ცუმბუშა“ (ხელქვეითი) გემსახურება და წყალს ქვაბით გასხამს, თუ არ ხარ, თავადვე დაიბან...

ძალიან კარგი რამაა საავადმყოფო — „ბალნიჩკა“ ან უფრო უკეთესი, „რეზბალნიცა“. ორივე ორთაჭალის ციხის შენობებშია. „ბალნიჩკაში“ ორი კვირით დაწოლა ხუთას ლარამდე ჯდება. წევხარ შენთვის „კოიკაზე“ (საწოლზე), მიირთმევ გაუმჯობესებულ „ბალანდას“ (პატიმართათვის გათვალისწინებულ საკვებს) — ქათმის ხორცისა და კატლეტების ჩათვლით და ნებისმიერ დროს შეგიძლია დერეფანში ან სხვა მსგავს საკანში გასვლა. ყოველ დღით ექიმი შემოდის, ვითომდაც გისინჯავს, წოლით რეჟიმს გირჩევს და რაღაც წამლებს გაძლევს... შენ მიერ გადახდილი ფულის ნაწილი ხომ მასაც ერგო... ჩვეულებრივ „ხატასთან“ შედარებით, იქ კუროორტია. რაც შეეხება „რეზბალნიცას“, ეს საერთოდ, მაღალი კლასის სასტუმროა: ფერადი ტელევიზორებით, მაცივრებით და ეზოში გასეირნებით.

ცალკე თემაა ქურდები. საპატიმრო ადგილებში მათ, პრაქტიკულად, განუსაზღვრელი უფლებები გააჩნიათ. ქურდთან მეგობრობა დიდი პატივია — პატიმრები უბოდიშოდ ხმას ვერ გცემენ, გელაქუცებიან, მაგრამ თუ ქურდმა აგითვალწუნა, ჩათვალე, რომ კარგა ხნით პრობლემებს თავს ვერ დააღწევ. მეორე რამაა კიდევ: თუ ვაჟკაცი ხარ და ალალ-მართალი, ქურდი კი არა, მთელი ციხე რომ დაგესიოს, ვერაფერს დაგაკლებს. შეიძლება ერთხელ გცემონ, მეორედ, მესამედ, მაგრამ თუ მოთმინებამ არ გიღალატა და არ გატყდი, ბოლოს და ბოლოს, დაგაფასებენ, შეგეშვებიან და „მარკასაც აგიწევენ“ (ავტორიტეტს აგიმაღლებენ).

დაბოლოს, მინდა ჩემს პირველ გათავისუფლებაზეც მოგითხროთ. ნოდარ დუმბაძისა არ იყოს, ერთხელაც მოხდა სასწაული: „ხატაში“ ოფიცერი შემოვიდა და მეუბნება, შენი ხარახურა წამოკრიფე და წამოდიო.

კარგა ხანს გაშტერებული ვიდექი — არ მჯეროდა, რომ მიშვებდნენ. მერე თანასაკნელებმა მომიყვანეს გონს. დამეხვივნენ, მკოცნეს, იტირეს... შევპირდი, ხმას მალე მოგაწვდენთ-მეთქი.

ქუჩაში რომ გამოვედი, ღამე იყო, ვარსკვლავები დამნათოდა, ხეები შრიალებდა! სახლამდე, რა თქმა უნდა, ფეხით მივედი. ქუჩაში ყველაფერს ისეთი მათრობელი სუნი ჰქონდა, ყველაფერი ისეთი ფერადი იყო!

მეორე დღესვე დავბრუნდი ორთაჭალაში, ოღონდ არა ციხეში. იქვე, ციხის მახლობლად, ქუჩაში დავდექი, შინაგანი ჯარების ოფიცერს ჯიბეში ფული ჩავუდე, ორიოდ წუთი აქედან არ გამაგდო-მეთქი და ჩემი „ხატის“ ნომერი ხმამაღლა დავიყვირე.

უწინ ეს სცენა საკანში მქონდა ნანახი, ამჯერად გარედან ვიხილე (უფრო სწორედ, გავიგონე, რადგან ციხის ფანჯრები ისეა მოწყობილი, რომ გარედან პატიმრის დანახვა შეუძლებელია). ყოფილი თანასაკნელის ხმის გაგონებაზე პატიმრებმა ერთი ამბავი ატეხეს. ყვიროდნენ, უსტვენდნენ... ცრემლი მომადგა — ისე უხაროდათ, თითქოს თავად გათავისუფლებულიყვნენ...

გვერდი მოამზადა მიხეილ ჩერქეზიამ

ცხოვრებისეული კურიოზები

ძაცნე სოფლიდან

დარეჯანს სოფელში მამა გარდაეცვალა. ამბის საცნობად სოფლიდან მეზობელი გამოგზავნეს. ქალაქში ჩამოსულმა იფიქრა, რომ ქალი ინერვიულებდა და შეეცადა პირდაპირ არ ეთქვა მამის გარდაცვალების შესახებ. მხოლოდ ის უთხრა, რომ მამა ცუდად იყო და სასწრაფოდ უნდა ჩასულიყო სოფელში.

დარეჯანი თავს კარგად ვერ გრძნობდა და სთხოვა თან წაეყვანათ. მაგრამ მეზობელი უარზე იყო და უთხრა: სხვაგან უნდა გავიაროო. ქალი არ იშლიდა, იქ წამოგყვებით, სადაც მიდიხართ და მერე სოფელში წამიყვანეთო.

— არა, ჩვენ ვერ წაგიყვანთ, მამაშენის ყინულისთვის მივდივართ — უპასუხა მასთან საუბრით დაბეზღებულმა მეზობელმა.

ინგა ხარებავა
სამტრედია

ახალი ლენინი, სტალინი და სხვები

60-იან წლებში საფეხბურთო სკოლაში ვმუშაობდი, რომელიც 35-ე სკოლის სახელითაა ცნობილი.

ერთ დღეს ფეხბურთის სკოლის ხელმძღვანელი შოთა მერკვილაძე მწვრთნელები და მე, პარტიის რაიკომის მდივანმა დაგვიბარა (რაიკომის მდივანი სპორტს კურირებდა). როგორც კი თათბირი დაიწყო რაიკომის მდივანი შეტევაზე გადმოვიდა და ყვირილი დაგვიწყო. ამდენი სპორტული ორგანიზაციები გაქვთ, გვტუქსავდა მდივანი, სახელმწიფო ამდენ ფულს ხარჯავს თქვენზე და ერთი მიხეილ მესხი და სლავა მეტრეველი ვერ გაზარდეთო. პასუხად შოთა მერკვილაძემ მიუგო. ამდენი პარტიული ორგანიზაციები გაქვთ და ერთი ლენინი და სტალინი რატომ ვერ გაზარდეთო.

ყველას გაეცინა, თვით რაიკომის მდივანსაც.

გია ყაჯრიშვილი

ნაკბენი

ამ გაზაფხულზე ძაღლმა მიკბინა... ამიტყდა ცოლი, შენი გაცოფებაღა მაკლია, წადი, ნემსები გაიკეთეო...

მივედი პოლიკლინიკაში. ავუხსენი გასაჭირი. აიღო ექთანმა „პასტა“, ქაღალდი და მკითხა:

— სახელი?

— ანდუყაფარი! — ვუპასუხე ამაყმა...

— არ ეზარებოდათ ამ სიგრძე სახელის ძაღლისთვის დაძახება — ამომილაპარაკა ქალმა...

— ძაღლს კი არა, მე მქვია ქალბატონო!

ისევ გაიკვირვა ქალმა და — გვარიო — მკითხა...

— ჩემი თუ ძაღლის? — დავიბენი მე...

— ხუმრობთ, არა? ძაღლს რად უნდა გვარი? — კიდევ უფრო გაოცდა ქალი...

ერთი სიტყვით, როგორც იქნა შევავსეთ ანკეტა და — დამარჭვეს ნემსი...

ანდუყაფარ ზ-ძე...

გიგანტური „შორტიკი“

ერთი მეზობელი მყავს 160 კილომდეა. ისე, ნუკრი ჰქვია. მაღაზიაში „შორტიკის“ საყიდლად შესულა. გამყიდველს რომ შეუხედავს უთქვამს, — ამხელა ზომა ჯერ არ გამოსულაო და აგერ „პიანინოს“ ჩიხოლს მოვხსნი და ის გადააკეთეო.

ჯანო ონიანი, ქუთაისი

წიკო და რიტა

მწიფე სოციალიზმის დროს ნიკო მივლინებით გააგზავნეს მოსკოვში. ინსტიტუტში, სადაც მუშაობდა მეცნიერ-მუშაკად, მწირი სამივლინებო თანხა გამოუწერეს და გზა დაულოცეს. წასვლისას თანამშრომელმა მოსკოველი გოგოს ტელეფონი მისცა — ცოტას გაერთობი, აბა მარტო სამუშაოს ხომ არ გადაყვებიო.

კარგი გოგო გამოდგა რტოჩკა, ტანადი, ლამაზი, მოდურად ჩაცმული, მაგრამ როგორც მერე გამოირკვა, ცოტა ხარბი. რესტორანში, სადაც შეხვდნენ, დასხდომა ვერ მოასწრეს, რომ უხმო ოფიციანტს და ნიკოს დაუკითხავად ნაირ-ნაირი შეუკვეთა. ოფიციანტმაც სწრაფად შეასრულა შეკვეთა და მაგიდაზე ისეთი სანოვაგე დაახვავა, რომ ნიკოს გულის წასვლას არაფერი აკლდა. გონებაში სწრაფად გადათვალა სუფრის ღირებულება, მიხვდა, რომ სამივლინებო თანხა მარტო ამ ერთ სადილსაც არ ეყოფოდა, გოგოს ბოდიში მოუხადა, — დასარეკი მაქვსო, გარდერობიდან სწრაფად გამოიტანა პალტო და სახლისკენ მოკურცხლა.

გავიდა რამდენიმე დღე. ნიკომ ეს ინციდენტი ამოწურულად ჩათვალა და მუშაობით გადაღლილი გორკის პარკში წავიდა საციგურაოდ. ციგურაობით გული რომ იჯერა, იქვე სკამზე ჩამოჯდა დასასვენებლად. ისვენებს და თან თვალს ადევნებს რამდენიმე ახალგაზრდას, საციგურაოს თოვლისაგან რომ ასუფთავებენ. პატიმრები არიან, მილიციელი დარაჯობთ.

ფიქრებში იყო გართული ნიკო, რომ რაღაცა დაარტყეს თავში. ხედავს ვიღაცა ტელოგრეიკიანი გოგო მიჰპარვია, ცოცხს ურახუნებს გამეტებით და თან გაჰკივის — შენი გულისთვისა ვარ ამ დღეში, შე გათახსირებულო!

რიტა გამოდგა, ფულის გადაუხდელობის გამო დაუკავებიათ. ძლივს გამოგლიჯა ხელიდან გამძვინვარებულ გოგოს მილიციელმა ჩვენი ძმაკაცი, რომელიც საკმაოდ შელახული დაგვიბრუნდა თბილისში.

ვაჟა ნადირაძე

მკითხველის საყვარელი ანეკდოტი

ფეხბურთის მატჩის დროს კოკისპირული წვიმა წამოვიდა. თავ-ფეხიანად გალუმპული ერთი მაყურებელი გვერდით მჯდომს ეუბნება:

— წარმოგიდგენია, ჩემს ცოლს უნდოდა ასეთ ამინდში სასეირნოდ წავეყვანე.

გიგა გაბრიჩიძე, ქუთაისი

— გამარჯობა ზურიკელა, სანადიროდ მიხვალ?

— არა, ილარიონ ბიძია, პარლამენტარი შემომელახა და სურების ტყეში მივალ თავშესაფრად.

— რა გინდა, შე აბდალა, სურების ტყეში, შედი პარლამენტში ან ცსკ-ში და ერთი კი არა, ნახევარი საქართველო რომ გაწყვიტო, პასუხს არავინ მოგთხოვს.

გ. მაქათუბანსკი



ქიზიყელი ეძახის მეზობელს:

— ჯო, ბახავ, წუხელ თქვენსა ი რატო-იგეთი ყატი-ყუტი იყო, შენ მაიკვდი, თუ შენი ძმა?

— რას ამბობ, ჯო, იგეთი ვირი მოგვიკვდა მშობელ დედაი გვერჩივნა! — უპასუხა მეზობელმა.

მ. ყ.
გურჯაანი

სამტრედიელი ბენზინგასამართ სადგურზე „ბმვ“-თი მივიდა:

— ბონჯორნო, ბამბინო, პეტრო-ლი... (აღარ იცის მეტი უცხოური სიტყვა და რა ქნას?) — გაქვენ? — დააყოლა უცებ.

მაია

ექიმი ბარათს უვსებს ქალაქში ჩამოსულ მაროს.

— გათხოვილი ხარ?

— ორჯერა.

— ბავშვები გყავთ?

— ექვსი: ორი მიხოსაგან, ორიც შაქრუასაგან და ორიც კიდენა ჩემი შემოქმედებაა!

მ.გ

სვანს ავტომანქანის ძრავაზე ღვედი გაუწყდება და იქვე მდებარე ტრიკოტაჟის მაღაზიაში შევა.

— მანქანა გამიფუჭდა და გალუაზის „კალგოტკა“ ხო არა გაქვთ?

მამუკა ხუციშვილი

ბატონო მკითხველო, რედაქცია კვლავ ელის თქვენგან კურიოზებსა და ანეკდოტებს. გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე

„ვიდრე მოკვდებოდეს, მინდა არძინგას თვალებში ჩავხედო“...

(დასაწყისი გვ. 9)

— მერე რაო გენერალმა?

— სულელმა გენერალმა თქვა: „მე უკვე ყოველი შემთხვევისთვის გავეცი ბრძანება, რომ 407-ე БТР პარკიდან არ გამოუშვან, ასე რომ, ვერ ააფეთქებთ“.

— მაშინ თქვენს პარკს ავაფეთქებ — ვეუბნები სტალინის აქცენტით. გენერალმა ხვეწნა დამიწყო, რომ პარკი არ ამეფეთქებინა. მითხრა, რომ ცხედრებს დაგიბრუნებთო.

— დაგიბრუნათ?

— მათ არ ეყოთ 24 საათი.

— მერე?

— 44 საათი დასჭირდათ. დავათვრეთ რუსი ბიჭები და გავუგზავნეთ თავისიანებს. ჩვენ ძირითადად არ ვეხებით თქვენს მშვიდობისმყოფელებს და გვინდა, რომ ჩვენც არ გვეხებოდნენ. მათ აქვთ 12 კმ-იანი ზონა. როცა ამ ტერიტორიიდან გადიან, მაშინ მათზე პასუხს არ ვაგებთ. ჩვენ ჩვენი ტაქტიკა გვაქვს, მათ თავიანთი. ჩვენ ყველაფერი უნდა გავითვალისწინოთ. ამას წინათ სოჭიდან ძაღლები შემოიყვანეს. ეგონათ ცხოვრებას გაგვირთულებდნენ. პილპილს დაუყრი და ძაღლი გარბის!

— როგორ ამზადებთ თქვენს ოპერაციებს?

— ჯერ ფოტოფირზე ვიღებთ ობიექტს. 97-ში ჩვენმა მზვერავმა დააფიქსირა, როგორ შედის არძინბა თავის საიდუმლო რეზიდენციაში. შემდეგ გამოვაქვეყნეთ ფოტოსურათები და მივაწერეთ, ვინ გადაიღო. სასაცილო იყო: შინაგან საქმეთა და უშიშროების მინისტრები მაშინვე მოხსნეს თანამდებობიდან.

ოპერაციის შემსრულებლად ორი ჯგუფი ერთდროულად იგზავნება. მათ არ იციან ერთმანეთის მარშრუტი. ღალატს არ დავუშვებ. ერთ ჯგუფს თუ რაიმე დაემართა, მეორე მივა დანიშნულების ადგილზე. ამოცანა უნდა შესრულდეს.

— გარდა ობიექტის ფოტოგრაფირებისა, როგორ ღებულობთ ინფორმაციას?

— არძინბას ხელისუფლებაში ჩვენი ინფორმატორები გვყავს.

— ამას იმიტომ ამბობთ, რომ კიდევ ვინმე გაათავისუფლონ?

— ამას იმიტომ ვამბობ, რომ სიმართლე ვთქვა. როგორ გგონიათ, საიდან ვიცით, სად და როდის შედგება შინაგან საქმეთა სამინისტროში საანგარიშო სხდომა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ არძინბა და შსს მინისტრი. მინისტრის კაბინეტი დავნაღმეთ, სამწუხაროდ, სხდომა ბოლო მომენტში სხვა დარბაზში გადაიტანეს. დარტყმის მიმართულება ვეღარ შევცვალეთ.

— მშვიდობიან მოქალაქეებსაც ებრძვით?

—რასაკვირველია არა. მაგრამ შემთხვევით მაინც ხდება ხოლმე.

— წარმატებები თუ გაქვთ?

— გვქონია ხოლმე. ჩვენი საყვარელი ტაქტიკაა ჩასაფრება ან რომელიმე უბნის აფეთქება. 1996 წლის 23 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნები აფხაზეთის რიგ რაიონებში ჩაიშალა. გალში, ოჩამჩირეში, ტყვარჩელში ყველა ობიექტი ავაფეთქეთ... ო, რა ვისიამოვნეთ, როცა რუსეთის შვეულმფრენი გალის ცენტრში დაეშვა და მაშინვე აფეთქდა №27 საარჩევნო უბანი. რუსები მაშინვე უკან გაბრუნდნენ.

— მერე რას მიაღწიეთ ამით?

— იმას, რომ მოსახლეობა არ გამოვიდა არჩევნებზე (ამომრჩეველთა 60%).

— ზურაბ, რუსეთის სამშვიდობო ძალები არ არის საჭირო აფხაზეთში?

— როგორ ფიქრობთ შემიძლია ვთქვა, რომ საჭიროა? ჩვენ რთული ურთიერთობა გვაქვს. მათ არ ვებრძვით, მაგრამ ისინი ზოგჯერ მონაწილეობენ ჩვენს საწინააღმდეგო ოპერაციებში. ბრძოლაში ხომ გარჩევა არ არის, ყველა თანაბარია და მტერი უნდა მოკლა. ზოგჯერ ვხვდებით კიდეც ერთმანეთს... ერთხელ ახალ წელს ტყეში ჭაჭაც მიუტანეთ, ისინი „პაცნები“ არიან, პამპერსები სჭირდებათ. შემწვარი გოჭი და ბუნდესვერის კონსერვები მოვიტანეთ. თქვენი კაპიტანი კარგად რომ დათვრა, თქვა: ბუნდესვერი? ე.ი. გასაგებია, ვინ დგას თქვენ უკანო! უნდა გიამბოთ ერთი ამბავი. იგი ჩემს ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესია. კოდორის ხეობაში აქტიური სამხედრო მოქმედებები მიმდინარეობს. იქ ურალის ბატალიონი გადმოისროლეს. ერთი ჩემი მეომარი ნაღმზე აფეთქდა. ქუთაისს დავუკავშირდი, შვეულმფრენი ვითხოვე. იგი მპასუხობს, შვეულმფრენი არა გვაქვს, ჯაბა იოსელიანი ბათუმში გაფრინდაო. მეომარს ტკივილგამაყუჩებელს ვუკეთებთ... ფეხი სანახევროდ კანზე ჰკიდია... გონებას კარგავს ხოლმე ტკივილსგან... გამიჭირდა ამ სურათის ყურება და მისი მოკვლა გადავწყვიტე. მან არ უნდა იწვალოს. მიჭირს მეგობრის მოკვლა. ვზივარ და ვფიქრობ, როგორ მოვიკრიბო მხნეობა. ჭაჭა მოვატანინე და დავიწყე სმა... უცებ აზრად მომივიდა — მოდი რუსებზე გავიდეთ-მეთქი. მომიტანეს რაცია. მპასუხობს. ვეუბნები, კაცი დამეჭრა, ვერტმფრენი მჭირდება-მეთქი. სამი წუთის შემდეგ მიკავშირდება და მეუბნება, ვერტმფრენს მოგაწვდით, ოღონდ შენმა აპაჩებმა არ ესროლონო. რამდენიმე წუთში მოფრინდა კიდეც თქვენი ვერტმფრენი. მეომარი ძლივს ავიყვანეთ... მეც მივყვები. შიგნით მხოლოდ მფრინავი და ის პოლკოვნიკია, ვისაც ველაპარაკე. მე პისტოლეტის ამარა ვარ. ვხედავ, გეზი სოხუმისკენ აიღო, — ნუთუ არძინბასთან მივყავარ?

— შეგეშინდა?

— გუნება წამიხდა. ამოვიღე პისტოლეტი. მომიბრუნდა პოლკოვნიკი და მეუბნება: „სიტყვა მოგეცი და კიდეც შევასრულებ“...

აფხაზეთის გავლით ჩავფრინდით ზუგდიდში. ჩემი სატაბელო იარაღი იმ პოლკოვნიკს ვაჩუქე.

— გადაარჩინეთ თქვენი მეომარი?

— კი. ახლა ამბობს, ჩემი გვარი პაპავა კი არა, სამუშიააო.

— და მაინც, შეგნებული გაქვთ თუ არა, რომ ის, რასაც თქვენ აკეთებთ, ტერორია?

— ტერორი? ჟენევის კონვენციის თანახმად, უფლება მაქვს დავიცვა ჩემი უსაფრთხოება ჩემს მიწაზე. მე ჩემს სახლში მინდა ცხოვრება... მომენატრა... სულ ზღვა მესიზმრება...

— რაიმე ოცნება თუ გაქვთ?

— მაქვს... სურვილი მაქვს შევიდე არძინბას კაბინეტში და ვუთხრა: „გამარჯობა, ვლადისლავ გრიგორიევიჩ“... და გავუღიმო... შესაძლოა ხელიც გავუწოდო, სანამ მოვკლავდე.

კომერსანტი №109

სად იმალებიან ჩეჩენი ბოევიკები

ჩეჩნეთის მეორე კამპანიის შემდეგ, რუსეთ-საქართველოს დიალოგის აუცილებელ თემად იქცა პანკისის ხეობის პრობლემა. კერძოდ კი საკითხი — არიან თუ არა, ჩეჩენი მებრძოლები ხეობაში? ოფიციალური თბილისი პასუხობს — არ არიან. „კომერსანტის“ სპეციალურ კორესპონდენტს კი, რომელმაც მოინახულა პანკისის ხეობა, მიაჩნია, რომ არიან.

საქართველოში რუსეთის ელჩი ფელიქს სტანევსკი პანკისის ხეობაში გამგზავრების წინ დიდხანს მიხსნიდა სიტუაციას. მისი ნათქვამიდან ცხადი გახდა, რომ ელჩს უკვე ჰქონდა ურნალისტებთან ურთიერთობის უსიამოვნო გამოცდილება. ესენი იყვნენ ორტ-ს ჟურნალისტები. ელჩმა მათ ოცწამიანი ინტერვიუ მისცა, რის შემდეგ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან საპროტესტო ნოტა მიიღო. ინტერვიუ პანკისის ხეობას შეეხებოდა. მას შემდეგ ელჩი სტანევსკი ინტერვიუს აღარავის აძლევს.

— თქვენ მეკითხებით, არიან თუ არა ბოევიკები პანკისში? თავად როგორ გგონიათ, არიან? კითხვას მიბრუნებს ბატონი ელჩი.

მაგალითად, ლტოლვილთა საქმეების დარგში გაეროს უმაღლესი კომისრის გამოსვლა მოვისმინე რადიოთი. იგი თბილისში ჩამოფრინდა და განაცხადა — ბოევიკები არ არიანო, მაგრამ ჩვენი მონაცემებით... და ელჩმა მითხრა ეს მონაცემები, მაგრამ ვერ გავამხელ, სიტყვა მივეცი...

თბილისში მხოლოდ ერთ კაცს შეეძლო ამ საიდუმლოსთვის ფარდა აეხადა. ეს გახლდათ ქართული ნაციონალური გვარდიის ყოფილი მეთაური თენგიზ კიტოვანი. პატიმრობიდან გათავისუფლებულ კიტოვანს განუცხადებია: პანკისში 1.500-ზე მეტი ბოევიკია და თუ მენდობით, შემიძლია იქიდან მათი გამოყრაო.

— რა თქმა უნდა, იქ არიან, — მითხრა თენგიზ კიტოვანმა, — თავად ვნახე, როცა სამი თვის წინ იქ ჩავედი. მანქანებში ისხდნენ კბილებამდე შეიარაღებულები.

— ამბობენ, რომ თქვენ ქართველი მესაზღვრეები დაადანაშაულეთ იმაში, რომ ისინი ფულს იღებენ და ჩეჩნებს საზღვარზე ატარებენ.

— დიახ, ატარებენ.

— მართლა ჩახვიდოდით პანკისში წესრიგის დასამყარებლად?

— რა თქმა უნდა. ჩემი ძველი გვარდიელები ხომ ისევ ჩემთან არიან.. მაგრამ საქმე ის არის, რომ ერთხელ უკვე დავჯექი ავტობუსზე და აფხაზეთში წავედი, მერე ციხეში ჩამსვეს. მეტი აღარ მინდა, თუ ხელისუფლება ნდობას გამომიცხადებს, მაშინ ეს სხვა საქმეა.

საქართველოს საზღვრების დაცვის დეპარტამენტის დაზვერვის უფროსმა ირაკლი კოპაძემ მოკლედ მოჭრა:

— არავითარი ბოევიკები. მხოლოდ ლტოლვილები არიან, საზღვარი საიმედოდაა ჩაკეტილი. შარშან დეკემბრის თვიდან პანკისის ხეობაში არ დაუკავებიათ არც ერთი ბოევიკი.

— ალბათ, ყველას ატარებენ?! — გავიკვირვე მე.

— არავინ არ მოდის, — იწყინა მან.

ცოტა ხანში გამიშინაურდა და სხვანაირად ალაპარაკდა.

— გინდაც ბოევიკი იყოს, ადამიანია, საზღვარზე იმიტომ გადმოდის რომ იცოცხლოს. შეგვიძლია ადამიანური დახმარება არ გავუწიოთ?

— ეი. ეხმარებით?

დაზვერვის უფროსი ყურადღებით მომჩერებია.

— არა, რას ამბობ.

ხეობაში გამგზავრების წინ საქართველოს ტელევიზიით ვნახე ასლან მასხადოვის ინტერვიუ ტყეში, არ ვიცი ქართველ თუ ფრანგ ჟურნალისტებთან. მხიარული, საღ-სალამათი მასხადოვი სიცილით ყვებოდა, ერთხელ როგორ მიუტანა ბასაევმა ბერეზოვსკის გამოგზავნილი მილიონი დოლარი.

— რისთვის გამოგზავნა, — შეეკითხა ის ბასაევს.

— ბერეზოვსკის არ უთქვამს, ისე, გამოგიგზავნა.

ბერეზოვსკი ტყუილად არაფერს აკეთებს. უბრალოდ, ჩვენ არ ვიცით რატომ გამოგვიგზავნა. მოდი ავიღოთ. ბერეზოვსკის კი გადაეცი — ჩეჩნები ფულს იღებენ, მაგრამ არ იყიდებიანთქო. ამის თქმისას მასხადოვმა ისე გაიცინა, რომ კინაღამ ჩამოვარდა ხიდან, რომელზეც იჯდა.

...დუისში ერთ-ერთი სახლის წინ შევჩერდით. პატარა სახლში ლტოლვილთა რამდენიმე ოჯახია შეფარებული. ჰუმანიტარული დახმარებით ცხოვრობენ უკეთესის მოლოდინში.

ახალგაზრდა წითური ჩეჩენი მოგვიახლოვდა და გვითხრა — თქვენ ჩემი მტრები ხართ, გკლავდით და მთელი ცხოვრება ისევ ამასვე გავაკეთებთ. მერე დაუმატა — ბევრი მყავს მოკლული. ლტოლვილი ქალები ჩეჩნურად რაღაცას ეუბნებოდნენ, ახალგაზრდა ვერ გააჩუმეს. თბილისიდან ჩეჩენი ალი გამოგვაყოლეს. გაირკვა, რომ პირველ ჩეჩნურ ომში მიუღია მონაწილეობა, მაგრამ მერე დაუფიცავს, რომ იარაღს აღარ აიღებდა ხელში.

ალი და ახალგაზრდა ერთმანეთს წაეკამათნენ, მაგრამ ახალგაზრდა ჩეჩენი მალე გაჩუმდა. ირგვლივ ხალხი შემოგვეხვია, ჩუმად იდგნენ, რაღაცას ელოდნენ. ბოლოს მამაკაცი მოგვიახლოვდა და შეგვეკითხა — რა გინდათო. ჩეჩნების მეთაური აღმოჩნდა. მე ვუთხარი, მოსკოვში ამბობენ, რომ პანკისის ხეობაში ძალიან ბევრი ბოევიკია, შესამოწმებლად ჩამოვედით-მეთქი.

წითურა ჩეჩენი ისევ აღელდა.

— დიახ, ბევრია. ჩვენ ყველანი ბოევიკები ვართ. — ამაყად თქვა მან.

მეთაურმა ანიშნა გაჩუმდიო, მომეჩვენა, რომ წითურას ნათქვამი არ ესიამოვნა.

— წამოდით, ვილაპარაკოთ, დოკუ მქვიაო, — გვითხრა და სახლისკენ წაგვიძღვა.

— ვინ ხართ თქვენ? — ვკითხე მე.

კაცი ჩაფიქრდა. ოთახში ჩვენ გარდა 10 კაცი კიდევ იჯდა.

— მე ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის პარლამენტის დეპუტატი ვარ, — თქვა დოკუმ.

— მითხარით... — წამოვიწყე მე.

— რა უნდა გითხრათ, სხვის ტერიტორიაზე ვართ, ვაითუ რაიმე გითხრათ და სხვამ გაიგოს...

— გინდათ თქვათ, რომ თქვენ შორის გამცემები არიან? — დავაზუსტე მე.

— რა თქმა უნდა, და საკმაოდ ბევრი. ისინი თქვენი უშიშროების სამსახურის აგენტები არიან.

დოკუ ცნობილი ისტორიის მონაწილე აღმოჩნდა. თებერვლის ბოლოს, 28 ბოევიკმა თოვლის 2-3 მეტრიანი საფარი გადალახა, რომელიც ჩეჩნეთს საქართველოდან ჰყოფდა და საქართველოს ხელისუფლებას ჩაბარდა. ისინი მიიღეს და დევნილთა სტატუსიც მიაკუთვნეს.

გგონიათ თქვენს საზღვარს ვერ გადმოვლახავთ, როცა მინდა მაშინ გადმოვალ, თუნდაც რვაჯერ და ვერავინ გამაჩერებს. ჩვენ მონადირეები ვართ და ამით ყველაფერი ნათქვამია, ვერავინ დაგვიჭერს, ვერც ერთი თვითმფრინავი, თოვლში დავიმალებით როგორც მაშინ, თებერვალში.

— საქართველოს ხელისუფლება კი ამბობს, რომ პანკისში ბოევიკები არ არიან, — ვთქვი მე.

— ვინ ამბობს? — იფეთქა დოკუმ, — აქ ჩამოვიდნენ, მე დაველაპარაკები.

— რუსების არ მშურს, — განაგრძო დოკუმ, — თავად იფიქრეთ, რა თქმა უნდა, მთავარი საფრთხე ჩინეთიდან გელით. ჩინეთი ნახტომისთვის ემზადება, ნატოც. პანკისიდან ჩვენ დავეხმარებით. ჰო, ცუდადაა საქმე.

— რას საქმიანობთ ამჟამად? — ვიკითხე მე, — მუშაობთ?

— რა თქმა უნდა, არა, — გაღიზიანებით მიპასუხა დოკუმ. — არავინ არ მუშაობს, ფორმას ვინარჩუნებთ, მე ახალგაზრდებს ვწვრთნი ფიზიკურად და მორალურად.

— კარგით, ბიჭებო, წადით, — უცებ თქვა დოკუმ, — თორემ ჩემები ძალიან ღელავენ, გულახდილად რომ გითხრათ, ბედი გქონიათ.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ალი გახლავთ თან. წადით და ჩინეთზე იფიქრეთ.

ანდრეი კოლესნიკოვი, იბეჭდება შემოკლებით კომერსანტი №107

რას გვმატყვი, მამაო?

— მოძღვარი არა მყავს, მინდა აღსარების თქმა, შეიძლება თუ არა ამისთვის ნებისმიერ მღვდელს მივმართო, თუ აუცილებლად მოძღვარი უნდა ვიყოლიო?

— ყველა მღვდელს აქვს მიცემული სამღვდელო მსახურების მადლი. მაგრამ მოძღვრად ადამიანი ირჩევს მღვდელს, რომელსაც გამოუცხადებს ნდობას და იღებს მისგან სულის მხსნელ რჩევა-დარიგებას. ასეთი ადამიანი კი არ შეიძლება ნებისმიერი მღვდელი იყოს. აღსარებისთვის უარს არც ერთი მღვდელი არ გეტყვით, მაგრამ მომავლისთვის, უნდა იზრუნოთ, რათა გყავდეთ თქვენი მოძღვარი, რომელიც ყოველთვის მოგცემთ სასარგებლო რჩევა-დარიგებას.

— უფალს დავპირდი ცხვრის შეწირვას, რაც გარკვეული მიზეზების გამო ვერ შევასრულე. ჩამეთვლება თუ არა ეს ცოდვად?

— უფლის მიმართ რაიმე პირობის დადება არ არის მართებული საქციელი მართლმადიდებელი ქრისტიანისთვის, რადგან, როგორც წმიდა წერილი გვამცნობს, საკუთარი ძალისხმევით ადამიანს ერთი თმის ღერის შეცვლაც კი არ შეუძლია. უფალს აღთქმა იმიტომ არ უნდა დავუდოთ, რომ ჩვენ, შესაძლოა, ვერ შევძლოთ მისი აღსრულება, მაგრამ თუ მაინც ვდებთ ასეთ პირობას, მაშინ ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ მის შესასრულებლად; თუ ცხვარს ვერ დავკლავთ (ანუ ამ გზით ვერ ვიქმთ მოწყალების მადლს), მაშინ მისი საფასურის შეწირვა შეგვიძლია ეკლესიისთვის — ჯანმრთელის სადღეგრძელოდ თუ გარდაცვლილის მოსახსენიებლად.

— სამი წლის წინ გარდაცვლილ მეუღლეს შემთხვევით ჩავაყოლე ჩემი სრულწლოვანი შვილების კუთვნილი „ადიალები“. ერთი მას ჩაყოლებამდეც სწყრომობდა, სოლო მეორეს აკვანში ვახმარდი. ხომ არ იმოქმედებს ეს ჩემი ვაჟების გამრავლებასა და კეთილდღეობაზე?

— თქვენი ვაჟების გამრავლებასა და კეთილდღეობაზე ეს საქციელი არ იმოქმედებს.

— რას ნიშნავს, როდესაც მიცვალებული დაგწყევლის სიზმარში? როგორ უნდა მოვიქცე?

— თუ არ მიაქცევთ სიზმარს ყურადღებას — არაფერს არ ნიშნავს, მაგრამ თუ აჰყვებით თქვენს სიზმარს, შეიძლება სერიოზულ პრობლემად გექცეთ, რადგან ეშმაკს სწორედ ეს სურს — რაიმე ფორმით აგიხდინოთ სიზმარი და თავის კვალზე გაგიყოლოთ.

— ჩემი ცოლ-შვილი იელოვას მოწმეები არიან. ბევრს ვეცადე გონს მოვეყვანა, მაგრამ ამაოდ. მაქვს თუ არა გაყრის უფლება?

— პავლე მოციქული გვმოძღვრავს, რომ თუ ჩვენი მეუღლე არ არის ჭეშმარიტი რწმენის თანაზიარი, სიყვარულით და მოთმინებით უნდა ვეცადოთ ისინი მოვიყვანოთ რწმენაში. ვიდრე რადიკალურ ნაბიჯზე იფიქრებდეთ, სცადეთ კიდევ: ლოცვით სთხოვეთ მხურვალედ უფალს, რომ გონების თვალი აუხილოს თქვენი ოჯახის წევრებს.

— გამიგია, რომ ადამიანი, რომელიც თავს იკლავს, თავისი სულით პირდაპირ სატანას უვარდება ხელთ და არ შეიძლება მისი სულის მოსახსენიებლად სანთლის დანთება და მისთვის ლოცვაც ცოდვად ითვლება. მაგრამ მისი სული ხომ შველას ითხოვს. ნუთუ ზურგი უნდა ვაქციოთ და არ დავეხმაროთ მას, ვინც გვიყვარს?

— თვითმკვლელობაში ცალკე გამოიყოფა რიგი შემთხვევებისა. თვითმკვლელის ფსიქიკური ავადმყოფობის (თუმცა აქაც არის გარკვეული დეფინიცია) დროს ეკლესია აკურთხებს წესის აგებას; მაგრამ, როდესაც ადამიანი საღი გონებით უარყოფს ღვთის არსებობას, კარგავს სარწმუნოებას და სასოებას, თავს იკლავს სასოწარკვეთილების გამო — ასეთ ადამიანზე არ სრულდება სათანადო სამღვდელო ქმედება. ადამიანის ცხონება და გადარჩენა ხდება თვით ამ ადამიანის მონაწილეობით. როგორც წმიდა მამები გვასწავლიან, ღმერთი ძალად ვერავის აცხოვნებს თუ ადამიანი თვით ეწინააღმდეგება საკუთარი სულის ცხონებას. ადამიანისთვის, ვინც დაგმო ღვთის არსებობა და მისი ყოვლადმოწყალეობა — კატეგორიულად არ შეიძლება ლოცვა. მისი სახელით მხოლოდ მოწყალების გაღება შეიძლება.

— შეიძლება თუ არა ჯადო გაუკეთონ ნაზიარებ პიროვნებას და როგორ შეიძლება ჯადოს მოხსნა მართლმადიდებლური წესით?

— ადამიანზე, რომელიც ეკლესიური ცხოვრებით ცხოვრობს — აღსარებას ამბობს და ეზიარება — ჯადო არ მოქმედებს. თავისთავად ჯადოს არსებობას ეკლესია არ უარყოფს. ეს არის ეშმაკის განგებით მიყენებული ვნება. ურწმუნო ადამიანზე მას აქვს უარყოფითი გავლენა. ჯადოს მოხსნისთვის პირველ რიგში აუცილებელია ეკლესიური ცხოვრება, ხოლო კონკრეტულად ეს ხდება სათანადო ლოცვების მეოხებით, რომლებსაც კითხულობს ეპისკოპოსი, ან მისი კურთხევით რომელიმე მღვდელმსახური.

თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 28

თქვენს შეკითხვებს პასუხობენ მართლმადიდებელი მამები

ძვირფასო მშობლებო და ჩვენო ლამაზო პატარებო!

კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. მადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით, და მოგწონთ თქვენი გვერდი. მოგვიტევეთ, თუ ყველა წერილის გამოქვეყნება ვერ მოვახერხეთ, თუმცა თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.

① რებუსი

ჰაკაჯა ბლის მარცვლები თუკი მოწყდება ტოტს, უმალვე დედას მოაშორებს ლამაზ

ავტორი: გოჩა ჯიბუტი 10 წლის

② სახალისო ამოცანები

1) მე მყავს ექვსი ვაჟი, თითოეულ მათგანს თითო და ჰყავს. რამდენი შვილი მყოლია მე?

2) თუ ღამის 12 საათზე დიდი წვიმაა, შეიძლება თუ არა ვიწინასწარმეტყველოთ, რომ 72 საათის შემდეგ იქნება კაშკაშა, მზიანი ამინდი?

3) ამ გოგონას მამა მამაჩემის შვილია, მაგრამ მე თვითონ არც და მყავს და არც ძმა, მაშ, ვინ არის ამ გოგონას მამა?

4) თვითმფრინავი თბილისიდან ბაქომდე ჩაფრენას უნდება საათ-ნახევარს. იგივე თვითმფრინავი, როდესაც უკან ბრუნდება იმავე მანძილს 90 წუთში ფარავს. რატომ ხდება ასე?

5) ერთ ხეზე იჯდა 5 მწყერი. მონადირემ ესროლა თოფი და მოკლა ორი. რამდენი მწყერი დარჩებოდა ხეზე?

③ გამოიცანით გამოზოვებული ასოები და წაიკითხეთ ისრის მიმართულებით



ვიცინით გულიანად

დათო

— ხვალ საბავშვო ბაღში არ წავალ — გამოაცხადა ძილის წინ დათომ...

— რატომ?

— ნანა მასწავლებლის დაბადების დღეა და საჩუქარს ვუმზადებ — დაისვენოს უჩემოდ.

ანა იორამაშვილი, 6 წლის

ზამთარი ახლოვდებოდა, სინათლე გრაფიკით გვქონდა. საქენერგოს მინისტრი მოხსენეს. დანიშნეს ახალი და ერთი დღე სინათლე სულ გვქონდა. ერთ-ორ დღეში ისევ გრაფიკზე გადავედით. ანა მეკითხება: „დედა, შუქის ახალი მინისტრი დაძველდა?“

— რატომ?

— შუქი ისევ ცუდად გვაქვს“ — მპასუხობს ანა.

2 წლის გიორგი დედას ეკითხება:

— დედიკო, მგელი სად მუშაობს, ტყეში?

4 წლის რეზიკო თმის შესაჭრელად ჩვენი ქალაქის ერთ-ერთ სადალაქოში დამყავს. იქ არის ორი დალაქი. ერთ-ერთ მათგანს ჰქვია ვალოდია. ერთხელ სადალაქოდან დაბრუნებული მეკითხება:

— დედი! „საპარიკმახეროში“ რომ მეორე კაცია იმასაც ვალოდია ჰქვია?

— არა.

— აბა იმასაც, რომ თეთრი ხალათი აცვია?

3 წლის გიორგი სამზარეულოში შემოვარდა და მეუბნება:

— დედიკო ეხლა ოთხი საათია და შუქი მალე მოვა?

— შუქი ოთხზე კი არა შვიდზე უნდა მოვიდეს-მეთქი, ვუპასუხე მე.

— კარგი, მაშინ კიდევ დავატრიალებ — თქვა გიორგიმ და უკან გაბრუნდა. მეც გავყევი და ვხედავ, მაგიდაზე ასულა და საათის ისარს ატრიალებს.

მ. ღვინჯილია

მარიმ ამოტრიალებული ჭიკარტი აიღო ხელში:

— დედა ეს ზღარბის შვილია?

მარის ძმა ზური

4 წლის ელენე რუხაძეს ჯიხურის გამყიდველი ჩუქნის ერთ ცალ საღეჭ რეზინს.

— დედიკო, რა უნდა უთხრა? — ვახსენებ ზრდილობას.

— ერთი რო მომეცი, ივიკოს არ უნდა?!

3 წლის ბაჩი ეუბნება ბებიას:

— არ გეცოდება ეგ ტიტველი ქათამი, მაცივარში ხომ გაიყინება.

ბაჩის ბებია

ბევრი სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვა მთავრდება ამ დაბოლოებით „**ᲛᲔᲜᲢᲘ**“. მოგვწერეთ, თქვენ რამდენი იცით.

④ ჯვრისთვის



თქვენი საყვარელი ხილის არეული სახელები დაალაგეთ სწორად და შეავსეთ კროსვორდი.

ᲨᲔᲣᲡᲚᲐᲓ: 1. რახმუ; 3. იმატა; 4. ყვრიმწა; 6. ფრუნძე; 8. ილაბლუა; 9. მთასროზა; 11. ღველი.

ᲗᲐᲠᲐᲨᲣᲚᲐᲓ: 2. რაგრიგა; 5. ლამაყვი; 7. სანანია; 10. წერობლუი; 12. ანბანი; 13. ვესნი; 14. ლაშვი; 15. მოშკი.

⑤ გამოთიერული თივრები თანკრებით

⑥ ვინ გააკეთა პირველად თბილისში „ჩახოხბილი“?

1) ვახტანგ გორგასალმა;
2) ეკატერინე გაბაშვილმა;
3) ქართლის დედამ;
4) მანანა დეიდამ.



⑦ ამ ქართველი მწერლის კალამს ძვემოთ ჩამოთვლილი მოთხრობებიდან მხოლოდ ერთი არ ეკუთვნის. გამოიცანით მწერალი და გამორიცხეთ სხვისი მოთხრობა.

1) ელისო;
2) მამის მკვლელი;
3) სოლომან მორბელაძე;
4) ხევისბერი გოჩა.

⑧ მოძებნეთ საერთო დაბოლოება ხუთივე სიტყვისთვის



⑨ მოძებნეთ საერთო დასაწყისი ხუთივე სიტყვისთვის



გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა

ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ ᲘᲮᲘᲚᲔᲗᲘ 32-Ე ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ

ძვირფასო მშობლებო! გთხოვთ „ჰვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით გამოგვგზავნოთ თქვენი პატარების ბრძნული გამონათქვამები და კურიოზული ამბები. ჩვენ კი მათ გამოქვეყნებას გპირდებით. გთხოვთ მიუთითოთ რუბრიკა „საბავშვო-სასაღამო“

პარლამენტარ ქალბატონი, ანუ „დიდების ზღაპრის" ყველაზე ყოლოფიკური ოჯახი

ჩვენი რესპონდენტი კვირა საღამოს ყველა ოჯახის სტუმარია, სასიამოვნო, არაორდინარული და ემოციური. მას ხან საოპერო არიას და ქურდულ სიმღერას ამღერებენ, ხან აცეკვებენ; ხან იმისთანა მოსწრებულ სიტყვას ათქმევინებენ, მოგვიანებით ანეკდოტად რომ ვრცელდება. ალბათ, მიხვდით — პარლამენტარ ელენე თევდორაძეს ვგულისხმობთ.

ელენე თევდორაძე პარლამენტის ადამიანის უფლებათა და ეროვნულ უმცირესობათა საკითხების კომიტეტის თავმჯდომარე რომ არის, ეს ყველამ კარგად უწყის, მაგრამ ბევრმა არ იცის, როგორია იგი სამსახურის გარეთ, ანუ პარლამენტს მიღმა. ამიტომაც, ავირჩიეთ ჩვენი რუბრიკის — „შტრიხები საკუთარი პორტრეტისათვის" რესპონდენტად ეს ფუსფუსა, საინტერესო და ემოციური ქალბატონი, რომლის საუბარიც ზოგჯერ თავშეუკავებელ ღიმილს იწვევს. თუმცა, თვითონ ქალბატონ ელენესაც ეღიმება თავის ნათქვამზე და ამბობს: განა არ ვიცი, როგორ უნდა წარმოვთქვა გამართული ქართულით, მაგრამ დიალოგში, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ვღელავ, მაინც მეშლება და ვამახინჯებ სიტყვებს. მე არ მწყინს, როცა სხვის სახეზე ღიმილს ვამჩნევ, მაგრამ აქვე უნდა დავძინო, რომ ადრინდელთან შედარებით გაცილებით დავიხვეწეო.

ელენე თევდორაძის საპარლამენტო კაბინეტი სადაა, კედლებზე ვერ ნახავთ დიდი პოლიტიკოსებისა და პირველი კაცის სურათებს, რაც სხვათა კაბინეტებში უმალ მოგხვდებათ თვალში. მისი ოთახის დეკორაციას წარმოადგენს ქოთნის დიდი ყვავილი, პატიმრების მოძღვნილი ჯვარი და მადლიერი პატარა, მე-8 კლასელი გოგონას ორი ნახატი.

ქალბატონ ელენეს მიღების დღე აქვს, მაგრამ „კვირის პალიტრას" უარს ვერ ეუბნება ინტერვიუზე, ამიტომაც ჩქარობს: დღეს 29 კაცს უნდა ვესაუბრო. ძალიან გთხოვთ, დიდ დროს ნუ წამართმევთ... შევუდგეთ საქმეს.

ჩვენც შევუდექით.

— ქალბატონო ელენე, ვიცი, რომ ბავშვობის წლები, მიუხედავად ომიანობისა და გაჭირვებისა, თქვენთვის ულამაზეს მოგონებად რჩება... ვინ გაგივარდისფერათ ბავშვობა?

— ბაბუაჩემმა, მამის მამამ — ალექსანდრე უფლისაშვილმა. მაგრამ ცოტა შორიდან დავიწყებ... დედამ და მამამ პეტერბურგში გაიცნეს ერთმანეთი. მიუხედავად იმისა, რომ ბაბუაჩემის ოჯახი შეძლებულად ითვლებოდა თბილისში, მან თავის სამივე ვაჟს (მამაჩემი უფროსი შვილი იყო), ჯერ მუშაობა დააწყებინა და მერე მიალებინა უმაღლესი განათლება. მამაჩემიც, სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ქსნის მინის ქარხანაში; ქარხნის ადმინისტრაციამ გარკვეული პერიოდის შემდეგ იგი კომკავშირული საგზურით გააგზავნა ლენინგრადის პოლიტექნიკურ სასწავლებელში. დედაჩემი სწორედ იმ სასწავლებელში საექიმო კაბინეტში ექთანად მუშაობდა. ომი რომ დაიწყო, მამა ფრონტზე წავიდა და უგზო-უკვლოდ დაიკარგა. სხვათა შორის, სულ ვეძებდი მამაჩემის საფლავს, მაგრამ ვერაფრით მივაკვლიე. მერე ლენინგრადის ბლოკადაც დაიწყო. მე და დედა ბლოკადაში მოვყევით. სანამ ლადოგის ტბაზე გზა არ გაიჭრა, მანამდე ლენინგრადში ვიყავით. მე, რა თქმა უნდა, მაშინდელი ამბები არაფერი მახსოვს, მაგრამ დედა სიცოცხლის ბოლო წუთამდე უცრემლოდ და დიდი ემოციების გარეშე ვერ იხსენებდა ბლოკადის დღეებს. მან თავისი თვალით ნახა, როგორ მოახრჩო მამამ შვილი და როგორ შეჭამა. საოცარია, რომ ამ გაუსაძლის გაჭირვებას ყველაზე დიდი მოთმინებით ქალები იტანდნენ. „ლადოგის გზის" გაჭრის მერე ბაბუაჩემი ჩამოვიდა ლენინგრადში და თბილისში წამომიყვანა. დედა კი დარჩა. ის იმდენად იყო გამსჭვალული კომუნისტური სულისკვეთებით, რომ ქალაქის დატოვება ღალატად მიაჩნდა, თან ფიქრობდა, რომ მამაჩემი იქ უფრო მიაწვდენდა ხმას. მაშინ 2 წლისა ვიყავი. ბაბუამ და ბებიამ ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ მე ლაღად და ბედნიერად მეგრძნო თავი. ბაბუაჩემმა გერმანული ენის მცოდნე „გუვერნანტკა" დამიქირავა, იგი გერმანულთან ერთად მასწავლიდა ეთიკურ ნორმებს, შინ დადიოდა მუსიკის მასწავლებელიც. ბაბუაჩემი ძალიან ნიჭიერი პიროვნება გახლდათ. მიუხედავად იმისა, რომ მას 4 კლასის განათლება ჰქონდა, თავისი ნიჭის წყალობით არც პოპულარობა და არც ფული არ აკლდა. ის მხატვარ-დეკორატორი იყო. მისი გაფორმებულია მაშინდელი თბილისის ცენტრალური უნივერმაღის ვიტრინები. ახლაც მახსოვს ერთი ვიტრინა, სადაც დიდი პატეფონი, მოძრავი გრამფირფიტა და მასზე დამაგრებული მოცეკვავე წყვილი იყო... ასეთი მოძრავი დიზაინი (თუ გნებავთ, რეკლამა) მაშინ სიახლეს წარმოადგენდა და ყველას მოსწონდა. ლიკანში სტალინის აგარაკიც ბაბუაჩემის დიზაინით გააფორმეს.

ბაბუა ძალიან მიყვარდა, ბებიაზე მეტადაც. ელიკო ბებია ოჯახის ქალი იყო, სულ შინ ფუსფუსებდა, უგემრიელეს საჭმელებს გვიმზადებდა. 8 წლის ვიყავი, როცა დედა ჩამოვიდა პეტერბურგიდან. ბაბუა ლამაზი კაცი არ იყო, მაგრამ რაღაც ხიბლი უდავოდ ჰქონდა, რადგან მუდამ საზოგადოების ყურადღების ცენტრში იყო. მექალთანეც გახლდათ და პაემნებზე მეც დავყავდი. ალბათ, მე მისი „საფარი" ვიყავი, რათა ოჯახში არ ეჭვიანათ. თუმცა ბაბუამ (მაშინ 10 წლის ვიყავი) ოჯახი მაინც დატოვა — მას შეუყვარდა ჩვენი რუსი მერძევის ქალიშვილი, რომელიც მართლაც, არაჩვეულებრივი სილამაზით გამოირჩეოდა. ჩემს ორივე ბიძას მისი სახელის გაგონებაც არ უნდოდათ. მაგრამ მე ვერ შევძელი ბაბუის გარეშე, ვგრძნობდი, რომ ამით თითქოს ბებიას ვღალატობდი, მაგრამ მაინც ჩუმად დავდიოდი მის სანახავად. როდესაც ვაჟიშვილი შემეძინა, ბაბუამ უყიდა თავის შვილთაშვილს „კალიასკა" და ყველა საჭირო „აქსესუარი", რაც ახალშობილს სჭირდება. ბაბუა და ბებია ოფიციალურად არ გაყრილან. ბებიამ იცოდა, რომ მე მასთან კონტაქტს კვლავაც ვაგრძელებდი, მაგრამ ეს ჩემთვის არასოდეს უგრძნობინებია. რუსთავის ქალაქკომში ვმუშაობდი, როდესაც ერთმა ახლობელმა ბაბუის გარდაცვალების ამბავი შემატყობინა. ქუჩაში ვიყავით. ეს იმხელა ელდა იყო, რომ აღარაფერს და არავის მოვერიდე, შუა ქუჩაში ხმამაღლა ავქვითინდი. ბებიას დავუმალეთ მისი სიკვდილი. ყოველთვის ვგრძნობდი, რომ მიუხედავად დიდი წყენისა, უზომოდ უყვარდა ბაბუა. ბებიამ სიკვდილის ბოლო წუთებში ბაბუას სახელი რამდენჯერმე ახსენა. მე მისი სურათი მივუტანე და გულზე დავადე, ბებიამ ერთი ამოიოხრა და სული დალია. ამდენი იმიტომ გესაუბრეთ ბებია-ბაბუაზე, რომ ისინი ჩემი ცხოვრების დიდ და ნათელ ნაწილს წარმოადგენდნენ. მათი სიკვდილით კი თითქოს ყველაზე ლამაზი და ამაღლებული რამ წაიშალა.

— ცხადია, მამა არ გეხსომებათ, დედაზე რას მეტყვით?

— დედა გვარად აშკენაზი გახლდათ, პოლონელი ებრაელი. როცა თბილისში ჩამოვიდა, მისი ჯანმრთელობა უკვე შერყეული იყო, მიუხედავად ამისა, 1985 წლამდე იცოცხლა. ექიმები სულ მეუბნებოდნენ, დედაშენი შენდამი უზომო სიყვარულმა აცოცხლა ამდენი ხანიო. იგი ყველა ტკივილ ტელევიზორი მიართვა საჩუქრად. ეს ხელზე დაიხვია ერთ-ერთმა „შეძლებულმა ბაბუამ", რომლის შვილიშვილი უზომოდ უწესო საქციელისთვის სკოლიდან გავრიცხე. ეს იყო ერთადერთი პრეცედენტი ჩემი პედაგოგიური მოღვაწეობის დროს, როდესაც ასეთი უკიდურესი გადაწყვეტილება მივიღე. მოყვარულმა ბაბუამ, რა თქმა უნდა, არ მაპატია ეს. იმდენი გააკეთა, რომ მოსკოვამდე ჩაალწია. ჩემი თანამდებობიდან გათავისუფლების ბრძანება პირდაპირ მოსკოვიდან მოვიდა. ეს ჩემთვის იმდენად მოულოდნელი იყო, რომ არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა ან რა მეთქვა. იმ პერიოდში ჩემი შვილი და რძალი ავარიაში მოხვდნენ, მდგომარეობა ურთულესი იყო, ორივეს თავის ქალის ფუძის მოტეხილობა ჰქონდა. ამ უბედურების დროსაც კი ისე არ დავბნეულვარ, როგორც მაშინ, როცა ჩემი გათავისუფლების ბრძანება წავიკითხე. სხვათა შორის, გვიან გავიგე, როდესაც ეს ბაბუა სიკვდილის პირას იყო, ტკივილებით შეჭირვებულს უთქვამს, თევდორაძის ქალის ცოდვებმა მიწიაო.

მაშინდელ მინისტრს, ოთარ ჭინჭარაძეს არ უნდოდა ამ ბრძანებაზე ხელის მოწერა, მაგრამ საბოლოოდ, მაინც გამათავისუფლეს, თუმცა, ახალი სასწავლო წლიდან 64-ე საშუალო სკოლაში სასწავლო ნაწილის გამგის მოადგილედ დავიწყე მუშაობა.

— სკოლის მიმართ ნოსტალგია ახსენეთ, ახლა როგორ ძლებთ სკოლისა და ბავშვების გარეშე?

— იცით, მე იმდენ გაჭირვებულ ადამიანთან (მათ შორის პატიმრებთან) მაქვს ურთიერთობა, რომ მათი დახმარების სურვილით მინელდება ეს ნოსტალგია. ჩემთვის ყოველი დღე იმით არის მნიშვნელოვანი და ღირებული, როცა მოსულთაგან უმეტესობას მაინც დახმარებას ვუწევ.

— რისი პატიება არ შეგიძლიათ?

— არ შემიძლია ერთი ადამიანისგან მეორის შეგნებულად დაჩაგვრისა და წყენის პატიება. არადა, ჩემთან, ძირითადად ასეთები მოდიან. ამიტომაც, ხშირად ჩემი რადიკალური პირდაპირობა და არსებულისადმი შეუგუებლობა ბევრ პარლამენტარს უკვირს.

— პროფესიით პედაგოგმა და გერმანული ენის სპეციალისტმა როგორ მოახერხეთ ამ თანამდებობის შენარჩუნება, რომლისთვისაც უთუოდ საჭიროა იურიდიული განათლება?

— ამ თანამდებობაზე ჩემი ყოფნა, ალბათ, ისევ იმ ადამიანების დამსახურებაა, რომლებიც ჩემთან მოსულან. რაც შეეხება იურიდიულ განათლებას, მე კარგად შევისწავლე კანონები. ხშირად, როდესაც უცხოელ იურისტებს ვხვდები, ისინი მე კოლეგას მიწოდებენ. ჩემთვის ეს სასიამოვნო ფაქტია, ე.ი. მათ მე იურისტი ვგონივარ. თუმცა უკმარისობის გრძნობა სულ მაქვს და ყველგან, სადაც კი ვარ, სესიებზე თუ შეხვედრებზე, მუდამ ვცდილობ ცოდნის გაღრმავებას.

— ბოლო დროს, რომელი მთხოვნელი დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად?

— ამასწინათ ჩემთან მოვიდა 40 წლის „სტაჟიანი" პატიმარი, რომელიც სულ ახლახან გამოსულა ციხიდან. იგი ხონელია. თურმე მის დას ბინა გაუყიდია მისთვის და დარჩენილა ღია ცის ქვეშ. მაშინვე დავუკავშირდი ხონში მცხოვრებ პატიმრის დას. სხვათა შორის, ქალმა კარგი შთაბეჭდილება დამიტოვა. მან მითხრა, რომ მისმა ძმამ ბევრი ახლობელი (მათ შორის 3 პირი ცოლ-შვილი) გაამწარა და 100 წლის მამას და მის რამდენიმე შვილს მე ვინახავო. ეს გამწარებული ადამიანის სიტყვებია, მაგრამ ვინაიდან საქმე გვაქვს ადამიანთან, ცოცხალ არსებასთან, მე მაინც ვცადე მისი დახმარება. დავურეკე ხონის გამგებელს და ვთხოვე ყოფილი პატიმრისთვის საცხოვრებელი ფართი გამოეძებნა. ისიც დამპირდა.

— ძირითადად, რა მოთხოვნებით მოდიან თქვენთან?

— უმრავლესობა სოციალური მოთხოვნით მოდის. მათი მოქალაქეობრივი უფლებები დარღვეულია, რადგან თვეების განმავლობაში ვერ იღებენ კუთვნილ ხელფასებსა და პენსიებს. ბევრია ისეთი, რომელიც უკმაყოფილოა სასამართლო გადაწყვეტილებით. კანონის დაცვით, ვცდილობ მაქსიმალურად დავაკმაყოფილო მათი მოთხოვნები.

— თქვენ ყოველთვის აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდით. რას იტყვით, ქალისთვის რა არის მთავარი: ოჯახი თუ კარიერა?

— რა თქმა უნდა, ოჯახი. ორივე ერთად შერწყმული ძალიან კარგია, მაგრამ თუ არჩევანზე მიდგა საქმე, ოჯახზე წინ ქალმა კარიერა არ უნდა დააყენოს.

— შვილსა და რძალზე რას იტყვით? უძლებენ ახალგაზრდები დღევანდელ ცხოვრებას, ან შვილიშვილებს როგორი ურთიერთობა აქვთ პარლამენტარ ბებიასთან?

— ჩემი ვაჟი კოტე თევდორაძე და რძალი ირინა ჩუბინიძე თანაკლასელები იყვნენ. მოსწავლეობიდანვე უყვარდათ ერთმანეთი, 21 წლის ასაკში შეუღლდნენ, რძალმა სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა, ამდენი ისწავლა და დღეს უმუშევარი ექიმი ჰქვია. ისინი მოთმინებით უძლებენ დღევანდელ გასაჭირს, რადგან იციან, რომ დღეს საქართველოში უმრავლესობა ასეთ დღეშია. რაც შეეხება შვილიშვილებს — თენგოს და სოფოს, ისინი ჩემს ცხოვრებას მაშინაც კი ახალისებენ, როცა ძალიან დაღლილი და გულდამძიმებული ვარ.

— თქვენი ნება რომ იყოს, დღევანდელი მინისტრებიდან ვის შეცვლიდით და რომელს დატოვებდით?

— ახლა ისინი უკვე დამტკიცებულები არიან და ჩემს სიტყვას აზრი აღარა აქვს. თუმცა იმას მაინც გეტყვით, რომ ერთი ახალგაზრდა მინისტრის გარდა, არც ერთს არ დავტოვებდი.

— ეს ახალგაზრდა მინისტრი, იმედია, კახა თარგამაძე არ იქნებოდა!

— რა თქმა უნდა, არა! იცით, მე კახა თარგამაძის თანამშრომლებს შევხვედრივარ და ისეთი უკიდურესი შთაბეჭდილება შემექმნა მათზე, რომ იმათგან ერთ-ერთის მინისტრად მოსვლას, სჯობს ისევ კახა თარგამაძე იჯდეს მინისტრის სავარძელზე.

— ჩვენი ინტერვიუს დასასრულს, უთუოდ უნდა ვკითხოთ „დიდების ზღაპარი". ხომ არ გაღიზიანებთ ხოლმე თქვენი თოჯინა?

— ოო, არა! ყოველთვის სიამოვნებას მანიჭებს „დიდების ზღაპარი", განსაკუთრებით კი ჩემი თოჯინა; მე მართლაც ხშირად მეშლება ქართული, ძნელად წარმოსათქმელი სიტყვები, ამიტომაც ოსტატურად შეარჩიეს სახელი „დურმიშხანი", რომელიც სულ მეშლება და მეშლება, „დურ"-ის მერე ვეღარ ვაგრძელებ და ბატონი პრეზიდენტი მეშველება სახელის სრულად წარმოთქმაში. ჩემგან განსხვავებით, ჩემი თოჯინა სულ მღერის, მე კი არც სმენა გამაჩნია და არც სიმღერის ნიჭი. სახტად დავრჩი, როცა ქურდული სიმღერა „მამღერეს", ერთ-ერთ სერიაში კი პატიმარს მუშტიც მოვდე ცხვირში. ეს, რა თქმა უნდა, სრულიად უცხოა ჩემთვის.

— თქვენი თოჯინის რომელი ფრაზა მოგწონთ ყველაზე მეტად?

— ერთ სერიაში როცა „მინისტრები" ჯერ კიდევ არ არიან დამტკიცებულნი და პორტფელების გადანაწილებას ცდილობენ, კახა თარგამაძის თოჯინა მეკითხება: მე რომ არ ვიყო მინისტრი, აბა, სხვა რა უნდა გავაკეთო, ან სად წავიდეო. მე კი პასუხად მოკლედ ვეუბნები: სვისტოკი პირში და ხელფასის რიგში! ვფიქრობ, მართლაც, არაჩვეულებრივი პასუხია.

— დაბოლოს, როგორ ფიქრობთ, რა გადაარჩენს საქართველოს?

— საქართველოს პატიოსანი ბიზნესმენები, ალალი ადამიანები და კანონიერება გადაარჩენს.

P.S. ვატყობ, ქალბატონი ელენე ვეღარ ისვენებს, რადგან იცის, რომ მას ბევრი ელოდება მოსაცდელში. აკი თქვა, ყოველი დღე მაშინ არის ჩემთვის ღირებული, როცა ვინმეს კეთილ საქმეს ვუკეთებო. ვემშვიდობები პარლამენტარ ქალბატონს და ვუსურვებ უფრო მეტი და მეტი მადლიერი ადამიანი ჰყოლოდეს ამ განაცრისფერებულ ქვეყანაში.

მარინა ბაბუნაშვილი

საქართველოს ბიზნესის ორგანიზაციისა და ტექნოლოგიის ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას შემდეგ კვალიფიკაციებზე:

1. საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობათა მენეჯერი; 2. იურისტი; 3. საბანკო საქმის მენეჯერი, ფინანსისტი, ბუღალტერ-ეკონომისტი; 4. კომერსანტ-მენეჯერი, საქონელმცოდნე, საბაჟო საქმის მენეჯერი; 5. კვების მრეწველობის ტექნოლოგ-მენეჯერი; 6. აგროსამრეწველო წარმოების მენეჯერი; 7. საკურორტო და ტურისტული მეურნეობის მენეჯერი.

სწავლა ფასიანია

მის: ჩიქოვანის (ყოფილი ხილიანის) №26; ტ: 36-33-78; 22-64-24 (რექტორატი). ი. ჭავჭავაძის გამზ. 37, კორპ. 14

თარაზულად:

7

„კონ-ტიკი“, „რა“, „ტიგრისი“ (ნორვეგიელი ეთნოგრაფი და არქეოლოგი)

9

სიტყვა, რომლითაც შეცვლილია სხვა, რაიმე თვალსაზრისით მიუღებელი, უხერხული სიტყვა

10

ორგანიზმის რეაქცია სუნთქვით გამაღიზიანებელზე

11

კაპასი

12



წოდება

15

(1788-1860) გერმანელი ფილოსოფოსი

18

ბრაზილიის ფულის ერთეული

19



ვულკანები: მანუა-კეა, მანუა-ლოა, კალაუეა, პუალალი, კოჰალა (კუნძული)

20

ელექტროენერგიის გამომუშავება

21

გამოსახულებათა გადაცემა შორ მანძილზე

23



ჩონჩხის შემადგენელი ნაწილი — უებარი საშუალება რევმატიზმის სამკურნალოდ

25

ზანგების სასიმღერო და საცეკვაო მუსიკა ლირიკულ-სევდიანი ხასიათისა

27

რაიმე უფლების მაძიებელი

30

(პროფესია)

33

ნაგებობა სამშენებლო ან სარემონტო სამუშაოების წარმოებისათვის

34

მემკვიდრეობითობიდან გადახრილი

35



მე-20 საუკუნის ოქროს ციებ-ცხელების რაიონი კანადის ჩრდილო-დასავლეთში

36

ძნელად გასაგნები შენობა

შვეულად:

1

წამყვანი

2



კუნთოვანი სხეული

3

მბრუნავი ღერო, რომელიც მოძრაობას გადასცემს მექნიზმის სხვა ნაწილებს

4

სახელმწიფოებრიობის აუცილებელი ატრიბუტი

5



ადამიანის განცდა, სულიერი მღელვარება

6

ზღვის სახელწოდება

8

სასმელების სახელწოდება მათში ალკოჰოლის მცირე შემცველობის მიხედვით

13



ბეღურათა ოჯახის წარმომადგენელი

14

სამხედრო მოსამსახურე

16

ტილოს მსგავსად ნაქსოვი ბამბის ან მატყლის რბილი, ხაოიანი ქსოვილი

17



რკინიგზის შენობა

22



სახალხო სეირნობა

24



შეილოკი-ებრაელი, ანტონიო-... ვაჭარი

26



28



სასის ნუშისებრი ჯირკვალი

29

№23-„სუფრის“, №8-?



ერთ-ერთი კანცეროგენული მეტალი

31



32

ამა თუ იმ ეპოქის და ხალხის ჩაცმულობისათვის დამახასიათებელი თავისებურება

კროსვორდი შეადგინა რამაზ ალანიამ

„კვირის პალიტრა“ №25 კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 7. რაისფუდერი; 8. ლამბრეკენი; 10. ისტორია; 11. გენერალი; 12. ლიცენზია; 17. ავგია; 18. დექსტრინი; 19. ფესვი; 20. ინტერვიუ; 21. რეფლექსი; 25. მარკა; 26. გეომეტრია; 27. ზნექა; 30. ეკოლოგია; 31. სანაძლეო; 34. გუმბათი; 35. ერცჰერცოგი; 36. ევქარისტია.

შვეულად: 1. გადანერგვა; 2. ჩემოდანი; 3. ტროსი; 4. მაფია; 5. ტრაპეცია; 6. ენკენისთვე; 9. კონვერტი; 13. ლექსიკონი; 14. ასმენტრია; 15. პიკნიკი; 16. ჯექსონი; 22. ბაროკამერა; 23. შედუღება; 24. ექსპედიცია; 28. მეგობარი; 29. სანაპირო; 32. ტუნგი; 33. უთავო.

MEDI

MEDI ეფექტი

ანტისეპტიკური ნაზი ხსნარი ჭრილობების, ნაკაწრების, დამწვრობის, ნაკბენების, ქირურგიული ოპერაციების შემდგომი ჭრილობების დამუშავებისთვის

- ხსნარი ანტისეპტიკური ნაზი ხსნარი ჭრილობების, ნაკაწრების, დამწვრობის, ნაკბენების, ქირურგიული ოპერაციების შემდგომი ჭრილობების დამუშავებისთვის
- ხსნარი ანტისეპტიკური ნაზი ხსნარი ჭრილობების, ნაკაწრების, დამწვრობის, ნაკბენების, ქირურგიული ოპერაციების შემდგომი ჭრილობების დამუშავებისთვის
- ხსნარი ანტისეპტიკური ნაზი ხსნარი ჭრილობების, ნაკაწრების, დამწვრობის, ნაკბენების, ქირურგიული ოპერაციების შემდგომი ჭრილობების დამუშავებისთვის
- ხსნარი ანტისეპტიკური ნაზი ხსნარი ჭრილობების, ნაკაწრების, დამწვრობის, ნაკბენების, ქირურგიული ოპერაციების შემდგომი ჭრილობების დამუშავებისთვის



ნ. ჭავჭავაძის №70 ტელ.: 23-02-13 22-50-02

ვაზის ჯანმრთელობა

ბიოპრეპარატები ვაზის დაავადებების პროფილაქტიკისა და მკურნალობისთვის

- ბიოპრეპარატი ნაწილობრივ ამცვლის ქიმიკატებს ვაზის დაავადებების პროფილაქტიკისა და მკურნალობისთვის
- ნაწილობრივ ამცვლის ქიმიკატებს
- ეკოლოგიურად სუფთა
- ადამიანისთვის უსაფრთხო
- ბიოპრეპარატი ნაწილობრივ ამცვლის ქიმიკატებს ვაზის დაავადებების პროფილაქტიკისა და მკურნალობისთვის

ნ. ჭავჭავაძის №70 ტელ.: 23-02-13 22-50-02

ვაზის ჯანმრთელობა

ბიოპრეპარატები ვაზის დაავადებების პროფილაქტიკისა და მკურნალობისთვის

- ბიოპრეპარატი ნაწილობრივ ამცვლის ქიმიკატებს ვაზის დაავადებების პროფილაქტიკისა და მკურნალობისთვის

ბინები

სასწრაფოდ! 4 ოთახიანი ჩეხური პროექტის, სუფთა ბინა მე-4 სართულზე, მე-4 შრის დასაწყისში დახურული ლოჯით, ორი ღია ივრით, რკინის კარით, ტელეფონით. საწყისი ფასი 9.000$. ტელ: 68-72-63

2 სართულიანი კერძო, 1989 წელს აშენებული სახლი (ოთახების საერთო 120 კვმ-მდე), ბუნებრივი აირით, გათბობის სისტემით, ტელეფონით, „აივნით", სარდაფით, ორი პატარა ეზოთი, შესაძლო სართულის აშენების პერსპექტივით. სახლი გარემონტებულია, ესაზღვრება ატაკის მოზვერგასესხებას. მის: რუსთაველი, სარაჯიშვილის ქ. ტელ: 899 56-26-69. ნუგზარი

სოფ. იფნიის ჰესთან საკნორებული სახლი – 190 კვმ, არგასული აივნებით, დამტკიცებული პროექტით, სხვადასხვა ხელსაწი, ბაღით, სარწყავი-სასმელი ჭით, მუდმივი დენით, ხეივანით ვახათ. ტელ: 61-97-69. მაჭუა (სადაშის)

ქირავდება

1-ოთახიანი ბინა ლიფტით, ბინერით, ტელეფონით. ტელეფონზორით, მაცივრით, წყლის გამაცხელებლით, საჭირო ავეჯით მუქრი „ვაჟა-ფშაველასთან" (ძველთან) ტ: 32-09-72

2 ოთახიანი ბინა რკინის კარით, გარემონტებული სველი წერტილებით, ავეჯით, ტელეფონით, ტელეფონზორით, კეთილმოწყობილი საშხაპეთი და გარაჟით, 4(8). ფასი 130$. ტელ: 2905-46; 39-67-20. მაშა

ქილოცვა

საყვარელ მეულეს

გია მიქაშავიძეს!

გილოცავ დაბადების დღეს. ჯანმრთელობა, სიკეთე და მეყვარული ცოლიფის შენი და შენი შვილების თანამგზავრი. კიმბლდენეს, მომავალ წელს ჩვენ ყველანი ერთად აღვნიშნავთ შენი დაბადების დღის მრგვალ თარიღს.

შენი მეულელე ლილო კაკია. ნიუ-იორკი, 30 იანვარი

გთავაზობთ სამუშაოს

ორგანიზაცია სთავაზობს 17-25 წლამდე გოგონებს და ვაჟებს გამგზავრებას საერანგეთსა და გერმანიაში, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავაზებით. უზრუნველყოფა – ვიზის ფულით (ხელფასი), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18; 96-07-81

მომსახურება

ეპილაცია ვოლფრამის ნემსით, ანესთეზიით (ყოველგვარი გალიზიანების გარეშე), 1 სთ – 6 ლარი; თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ნაყენით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კომპიუტერული მასაჟის თანხლებით). ვასწავლი კომპიუტერსა და ეპილაციას. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კომპეტენტი ნატო ყიფშიძე. მის: ბ. „300 არაგველი", არამიანის საავადმყოფოს ზედა კართან, ანჯეტის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტ: 77-86-27

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, ბორჩხის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სიუსპეის რაოდენობა ინდივიდუალურია – 1სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დეზინის წყარო. მის: გარკვილი-3, II შრ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12. ლიკა გიორგობიანი

„ფუსფუსი". ყურადღება! კარგად გაკეთებული ეპილაცია ნამდვილად ბორჩხის ნაპრის და გაუხეშებულ თმის. მის უკვალოდ ბორჩხის კი სჭირდება კარგი სპეციალისტი. 1 სთ – 12 ლარი. განსახილველია ინდივიდუალური ნემსი. ეპილაციის შესწავლა – 200$. მის: ილიაწმინდის 53, I სად, I სართ, ბინა 3. ტელ: 37-71-66; 877 44-97-46. ნინო ჭელიძე

ეჩპი-კომპიუტერული ქსეროქს ბიჭამეთილი გთავაზობთ: ეპილაციას ვოლფრამის ნემსით, სწრაფი ეფექტით, სახის გაწმენდას, მასაჟს, ნიღბებს, თმის დაძაბვა კრემებს, ნელსაცხებელს ყველანაირი ქანისთვის, ყურის უმტკივნეულოდ გახვრეტას. მის: მეტრო „ახმეტელის" თეატრის თავზე მდებარა „მარიამის" სილამაზის სალონი. სამუშაო დღეები ლუწი რიცხვები. ტელ: 67-48-44 (მინა)

ვაკეთებ ეპილაციას ინდივიდუალური ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით. უკიდურესად გაუხეშებული თმებიდან შემთხვევაშიც კი განაკურნებით უმოკლეს ვადაში, ყოველგვარი შეშუპებისა და გალიზიანების გარეშე. არ დაგიტყდებათ არც ერთი ნაწიბური. შეხვედრებით სალონში ან ბინაზე. შეხვედრის დანიშვნა შესაძლებელია ტელეფონით. ტელ: 95-64-18; 96-07-81

გამოსახვრება

ეპილაცია ვოლფრამის ნემსით, ანესთეზიით (ყოველგვარი გალიზიანების გარეშე), 1 სთ – 6 ლარი; თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ნაყენით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კომპიუტერული მასაჟის თანხლებით). ვასწავლი კომპიუტერსა და ეპილაციას. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კომპეტენტი ნატო ყიფშიძე. მის: ბ. „300 არაგველი", არამიანის საავადმყოფოს ზედა კართან, ანჯეტის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტ: 77-86-27

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, ბორჩხის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სიუსპეის რაოდენობა ინდივიდუალურია – 1სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დეზინის წყარო. მის: გარკვილი-3, II შრ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12. ლიკა გიორგობიანი

„ფუსფუსი". ყურადღება! კარგად გაკეთებული ეპილაცია ნამდვილად ბორჩხის ნაპრის და გაუხეშებულ თმის. მის უკვალოდ ბორჩხის კი სჭირდება კარგი სპეციალისტი. 1 სთ – 12 ლარი. განსახილველია ინდივიდუალური ნემსი. ეპილაციის შესწავლა – 200$. მის: ილიაწმინდის 53, I სად, I სართ, ბინა 3. ტელ: 37-71-66; 877 44-97-46. ნინო ჭელიძე

ეჩპი-კომპიუტერული ქსეროქს ბიჭამეთილი გთავაზობთ: ეპილაციას ვოლფრამის ნემსით, სწრაფი ეფექტით, სახის გაწმენდას, მასაჟს, ნიღბებს, თმის დაძაბვა კრემებს, ნელსაცხებელს ყველანაირი ქანისთვის, ყურის უმტკივნეულოდ გახვრეტას. მის: მეტრო „ახმეტელის" თეატრის თავზე მდებარა „მარიამის" სილამაზის სალონი. სამუშაო დღეები ლუწი რიცხვები. ტელ: 67-48-44 (მინა)

ვაკეთებ ეპილაციას ინდივიდუალური ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით. უკიდურესად გაუხეშებული თმებიდან შემთხვევაშიც კი განაკურნებით უმოკლეს ვადაში, ყოველგვარი შეშუპებისა და გალიზიანების გარეშე. არ დაგიტყდებათ არც ერთი ნაწიბური. შეხვედრებით სალონში ან ბინაზე. შეხვედრის დანიშვნა შესაძლებელია ტელეფონით. ტელ: 95-64-18; 96-07-81

გამოსახვრება

ეპილაცია ვოლფრამის ნემსით, ანესთეზიით (ყოველგვარი გალიზიანების გარეშე), 1 სთ – 6 ლარი; თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ნაყენით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კომპიუტერული მასაჟის თანხლებით). ვასწავლი კომპიუტერსა და ეპილაციას. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კომპეტენტი ნატო ყიფშიძე. მის: ბ. „300 არაგველი", არამიანის საავადმყოფოს ზედა კართან, ანჯეტის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტ: 77-86-27

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, ბორჩხის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სიუსპეის რაოდენობა ინდივიდუალურია – 1სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დეზინის წყარო. მის: გარკვილი-3, II შრ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12. ლიკა გიორგობიანი

„ფუსფუსი". ყურადღება! კარგად გაკეთებული ეპილაცია ნამდვილად ბორჩხის ნაპრის და გაუხეშებულ თმის. მის უკვალოდ ბორჩხის კი სჭირდება კარგი სპეციალისტი. 1 სთ – 12 ლარი. განსახილველია ინდივიდუალური ნემსი. ეპილაციის შესწავლა – 200$. მის: ილიაწმინდის 53, I სად, I სართ, ბინა 3. ტელ: 37-71-66; 877 44-97-46. ნინო ჭელიძე

ეჩპი-კომპიუტერული ქსეროქს ბიჭამეთილი გთავაზობთ: ეპილაციას ვოლფრამის ნემსით, სწრაფი ეფექტით, სახის გაწმენდას, მასაჟს, ნიღბებს, თმის დაძაბვა კრემებს, ნელსაცხებელს ყველანაირი ქანისთვის, ყურის უმტკივნეულოდ გახვრეტას. მის: მეტრო „ახმეტელის" თეატრის თავზე მდებარა „მარიამის" სილამაზის სალონი. სამუშაო დღეები ლუწი რიცხვები. ტელ: 67-48-44 (მინა)

სილამაზის სალონი „სტილი-2" – თმის მოცილება სახესა და ტანზე მცენარეული დენილატორით, ეპილაცია ინდივიდუალური ვოლფრამის ნემსით, ანესთეზიით (გალიზიანების გარეშე); სახის გაწმენდა, კამილარების გაქრობა, ნაოჭების გასწორება; მასაჟი, მაკიაჟი. თმის მოდელური შეჭრა-დაყარება – 6 ლარი; მელირება – 10 ლარი; შეღებვა WELLA-KOLESTON – 15 ლარი; ქიმიური დაწევა, გასწორება – 10-15 ლარი; სამანკიური გარცხილობა 15-20 ლარი. ასევე წარმოებს კოსმეტიკის და სამარკასხერო კურსები. გაიცემა სერტიფიკატი. საერთაშორისო კვალიფიკის კოსმეტოლოგი ირინა ჯანაშია და სტილისტი ლალი ასთხიძე. მის: დიშენების გამზ. №115. კან. №20 (ცხოში). ტელ: 94-01-82 (სამს); 96-22-89 (მინა)

ახლადაბრძანებული სილამაზის სალონი გურამიშვილის №7-ში (ვინო „საქართველოსთან", ავტოსამრეცხაოს პირდაპირ) მოგეწესრიგებათ 50%-იანი სააბაზანო ფასდაკლებით). თმის შეჭრა: მამაკაცებისათვის – 2 ლარი; ქალებისათვის – 4 ლარი; გასწორება – 3 ლარი; შეღებვა, ქვაზოტიკური ვარცხილობები!

გიყვართ წონაში დაკლება? უმეტესად, კიდევ ერთხელ სცადეთ! დაგეხმარებით – კომფორტულად, გემრიელად. ახალი რეცეპტები, ეფექტური შედეგის!!! ტელ: 95-31-90; 61-77-74; 899 58-25-44

სს „შვილდოსანი" ასრულოების სახლების მშენებლობას, მიწისა და მიწისქვეშა სამუშაოებს, კეთილმოწყობას. აწარდებს საკვლე ქვებს, ზედრკვლისა და სხვა კონსტრუქციებს მაღალი ხარისხით, შედავათიან ფასად. მის: წერეთლის გამზ. №57. ტ: 34-82-30; 34-14-81

ფირმა „საბურთალო" თბილისში ყველაზე იაფად დაგიმზადებთ უმაღლესი ხარისხის, რკინის კარს, ვისოსებს, ჟალუზებს, ფარდა-ჟალუზებს, ავფარებებს, დახვეულ კიბეებს, ხეში, რკინაში. შეკვეთებით სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებს ევროსტანდარტების დონეზე. შეეხებით ყველანაირ მისალას.. ტ: 39-57-00; 39-82-95; 62-38-87; 899 55-90-34

შვს „ხვეული კიბე"! – უახლესი დიზაინითა და მაღალი ხარისხით მუხის კარ-ფანჯრები, ნებისმიერი სირთულის ხის შიდა კიბეები; მარნებისა და ბუხრების ხით მოპირკეთება. ტელ: 22-02-44; 69-19-52; 65-86-62

ვაკეთებ რძილი ავეჯის რესტავრაციას, სამეულებზე მაღლით ბის შეკვეთას და განახლებას; არაბული ტახტების, ნებისმიერი სახის სკამისა და სხვა ავეჯის აღდგენა-განახლებას გარანტიით. ტელ: 96-37-20. ნოდარი

ვაკეთებ ნებისმიერ ავეჯს კატალოგიდან, ფერეიც რძილი და მყარი ავეჯის რესტავრაციას, სამეულებზე მაღლითების შეკვეთას. ვარემონტებ მატრასებს, სკამებს, კარადებს. ტელ: 95-72-98

ვაკეთებ რძილი და მყარი ავეჯის რესტავრაციას, სამეულებზე მაღლითების შეკვეთას; მატრასების, სკამების რემონტს. ტელ: 95-50-57

თუ გსურთ, გაიგოთ თქვენი წარსული, აწმყო, მომავალი, წარუმატებლობის მიზეზი ან თუ გაკეთებული გაქვთ ჯადო, სამუდამოდ გათავისუფლდეთ მისგან, ისე, რომ კიდევ არარ გაკეთდეს, არარ გაჩნდეს, დაამთავროთ თიღლისპური, თვალისა და ჯადოსგან დაცვა, ბედის გახსნის, ბარაქის, ბიზნესის, ალდგინოთ, დაბრუნდეს ოჯახი, მაკეთებელ ნათელმხილველ ანის. მის: აკურის ჭიჭა №13 (სპორტის სასახლესთან, „სიტყვა და საქმის" რედაქციის პირდაპირ). ტელ: 33-19-40 (მიღება ყოველდღე, ორშაბათის გარდა, 12-18 სთ). ნათლობილების ფასი 15 ლარი

წინასწარმეტყველება ეგვიპტური „ტაროს" კარტით, ფსიქოლოგიური და ქარტული ელემენტების გათვალისწინებით, სამომავლო რჩევებით. მაღალი პროფესიონალიზმი და ეფექტურობა გარანტირებულია. ტელ: 95-28-37. მარიამი

მკურნალობა

პროსტატიტს, ქლამიდიოზს, ტრიქომონიაზს, უშვილობას, სქესობრივი პოტენციის დაქვეითებას უახლესი მეთოდებისა და ამპარატურის გამოყენებით მკურნალობს პროფესორი რევაზ სალაყაია. მის. მარჯანიშვილის №23. (მეტროსთან) VI სად. (ეზოდან) ბინა №1. მიღება წინასწარი ჩაწერით, სამშაბათს, ხუთშაბათს, 18-20სთ. შაბათს 12-16სთ. ტ: 35-20-06

ენკურნალის ოპერაციის გარეშე ცხვირის პოლიპებს, ვლანდებს, ბავშვებში ადენოიდებს, ქრონიკულ სუნთქის, ხმაბოხტს, ალერგიულ დაავადებებს. მკურნალობას ატარებს პროფესორი. ლტოლვილებს და ხელმოკლე ოჯახებს ენკურნალობს უფასოდ. მის: ამბროლაურის ქ. №166. XI კორპ. IV სად. ბინა 46. (რესპუბლიკური საავადმყოფოს წინ). ტელ: 37-42-17; 53-60-06

ალერგიის კომპიუტერული დიაგნოსტიკა და მკურნალობა. ჰიპერტონიის (წნევა), ნეკროზის, ქნაბლეობის მკურნალობა უახლესი ამპარატურით. მის. ვაჟა-ფშაველას 18ა, რეაბილიტაციის ცენტრში. VI სართ. ბიორეზონანსული თერაპიის კაბინეტი. ექიმი ზურაბ ხარაიშვილი. ტელ: 39-01-12 (სამს. 10-15 სთ); 39-58-77 ბინა.

პატივცემული მამაკაცებო! ქრონიკული პროსტატიტის, ადენომის, ხშირი შარდვის, დაქვეითებული პოტენციის, უშვილობის, ანთებების მკურნალობა, პროსტატის ჯირკვლის გაწმენდა ოპერაციული ჩარევის, უხერხული მასაჟისა და ნემსების გარეშე, ძალზე ეფექტური, უნიკალური ბალახებით. შედეგი და ანონიმურობა გარანტირებულია. ტელ: 96-62-58

სამკურნალო ტკივარებისა და თერმი მუხისაგან ვამზადებ მალამოებს. ვმკურნალობ: ოსტეოქონდროზს, მარილებს, სახსრებს, საშვილო ნერვის ანთებას, რადიკულიტს, კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულს, (ზრდილად ჰაიმორიტი აკურნება 4-8 დღეში გარანტით). მის: გორის ქ. №3, I სად, 1 სართ. (მ. „წერეთელთან"). მიღება ყოველდღე, გარდა შაბათისა, 13-15 სთ. ტელ: 34-05-69. მაკალა

მეჭეჭებისა და სხვა ხორცტუბების მოცილება სახესა და ტანზე უმტკივნეულოდ და ნაკვალევის გარეშე. მიღება რუსთაველ საყვარელიძესთან, სამკურნალო ცენტრში. მის: დავით აღმაშენებლის გამზ. №115 (პოლიციის შენობის უკან, ეზოში). ტელ: 95-83-54

ხალხური მკურნალობა მაქსიმალური შედეგები. ჩაქრის, კისტის, ფიბრომის, მოიმის, მასტოპათიის მკურნალობა უმტკივნეულოდ! დ. აღმაშენებლის №115 (ეზოში), „ფანსკრტელის" პოლიკლინიკა, კან. №3, ექიმი ტასო ელიზბარაშვილი. მიღება 10-18 სთ, კვირის გარდა. ტ: 96-68-03 (მინა); 95-83-54 (სამს)

სამკურნალო განცხადებები ლიცენზიის გარეშე არ გამოქვეყნდება

ვასაჩქარი

სწრაფი, დაჩქარებული კურსით შეგასწავლით პერსონალურ კომპიუტერზე მუშაობას ინდივიდუალურად, ხარისხიანად (S DOC, NC, WINDOWS-98, WORD, EXCEL, PAGE MAKER). ტელ: 34-32-79

გერმანულ-ქართული ფირმა „DAWIT"-ი გთავაზობთ უცხო ენებისა და კომპიუტერზე მუშაობის შესწავლას ინდივიდუალურად. თქვენ მოგეწვევით კვალიფიციური პედაგოგები, რომლებიც შეგიქმნიან საუკეთესო პირობებს, თქვენთვის სასურველ დროს. ტელ: 98-78-26 „DAWIT"-ი – ბედნიერი მომავალი თქვენს ცხოვრებაში!

შპს აუდიტური ფირმა „შელიტა" გთავაზობთ: თანამედროვე პრაქტიკული ბუღალტერიას; ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს, კომპიუტერული პროგრამების და „ინფო-ბუღალტრის" შესწავლას. გაიცემა სერტიფიკატი. მის: წერეთლის გამზ. №142. „სამოთ ქობის" შენობა, ოთახი 80. ტელ: 34-22-64; 899 56-32-64; 899 56-32-09

მიღება კომპიუტერის კურსებზე შესასწავლად: ქანის ანატომია, დერმატიტები, მკურნალობა, მალამოების დამზადება (მკურნალი, დერმატიული, სამკურნალო), ეპილაცია, მასაჟი, ლპობინები, ნიღბები და სხვა. შეიძლება სწავლა დაუსწრებლადაც – თვეში 2-ჯერ გამოცხადებით. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ნასალადვილი, დადიანის ქ. №26. (მეტრო „ვაგზლის მოედანი"). ტელ: 66-53-56

იყიდება

ნაყარბლანი ფარდა (1.20X2.00). ფასი 150 ლარი. ტელ: 23-07-65

მკურნალობთ კბილებს? ჯერ მოიწესრიგეთ ღრძილები! ჯანმრთელი ღრძილები ხომ ისევ კბილების საწინდარია! ღრძილების ანთებას, დაწეპას, მტკივან და სისხლმდენ ღრძილებს, კბილების მორყევას, კარიესულ კბილის არხში განვითარებულ ანთებას.... მკურნალობს მცენარეული ექსტრაქტი „სტომგინი". ტელ: 37-38-13. მოზრდილთა პოლიკლინიკა №13 (ტაბორის პირდაპირ), კან. №26

შეხვედრა

შეხვედრით გრძელ თმას. დასაჩეხად ქალთა პარიკმახერებს ვთავაზობთ თანამშრომლობას. მის: ცენტრალური რკინიგზის სადგური, II სართ. მაღაზია „ესთეტი". 12-17 სთ, დასვენება შაბათ-კვირას.

სხვადასხვა

მრავალდარგოვანი კოლეგა „ცოდნა-XXI" გიწვევთ სასწავლებლად ცხრა სპეციალობაზე. ყველა სპეციალობაზე. 3 წლის განმავლობაში გაძლიერებით ისწავლეთ უცხო ენები და გამოთვლითი ტექნიკა. გამოყენებულია ტექნიკური და სამედიცინო უნივერსიტეტების სასწავლო პაზები, პროფესორ-მასწავლებლებიც უნივერსიტეტებიდან არიან. სწავლა იწყება 10 სექტემბერს. მის: თორნიკე ერისთავის ქ №8. ტელ: 66-24-58

ხსოვნა

დათო კვიჭიძის ხსოვნას

ჩვენი დათო, სამხედრო ტრავმაში გავიდა 6 თვე იმ აკადმოსავარჯი 5 დეკემბრიდან. ჯან იფიქრებდა, ასეთი ჯანმრთელი, დენის მსხვერპლი გახდებოდა. შენი მშობლების ერთადერთ 17 წლის ვაჟკაცო, გენაცვალოს მამიდა, გონებას არ სცილდება შენზე ფიქრი და უზომო სევდა, გვენატრები და გვეყვარხარ. შენ ხომ ჩემ თვალწინ დაღე შენი უმანკო სული და სამუდამოდ გადასახლდი ზეკეთ სამყაროში.

სამძიმარს გიცხადებს შენს სახლში მისვლა. შენი ზვიადი და გოგა სულდაი თვალებით ათვალიერებენ შენს ოთახს, გარშემო ხომ შენი სურათების აურაცხელი რაოდენობა გვიმზერს ყველგანდან. ერთი წუთითაც არ გიფიქრებენ შენი მეგობრები. შენს ეზოში პატარა სკვერი გააშენეს და წყაროს „დათოს წყარო" უწოდეს.

გვენატრები არასდეს ჩაქრება შენს სახელზე ანთებული სანთელი ჩვენი ლამპრი და ცქრიალა ბიჭი.

რუსიკო მამიდა, მურმან, ზვიად, გიორგი სამუშაიები

სონია ლომიძის ხსოვნას

დღა, რა უცებ გავიდა 40 ტკივილიანი, ცრემლიანი დღე უშენოდ.

შენი მეულე, შვილები და შვილიშვილები დიდი სიხარულით მოველოდით შენს 70 წლისთავს, რომელსაც შენი სული სამუდამოდ ზეკეთ საუფლოში შეხვდება.

ნამდვილად ბედნიერი ქალი იყავი. რომ არა შენი სათაყვანებელი სიძის „ზურიკო ჯაფის" ტრაგიკული დაღუპვა, ვერ გაიგებო შენს სულის მასთან განშორებას და შენდა თვის შეხვედ შენც დაგვტოვე. ერთი იმედი გვასულდგმულებს, იქ ზეკეთ საუფლოში ალბათ უკვე შეხვდი ზურას, მეუტყე ჩვენს ცრემლებს გატანებული სიყვარული და მონატრება მისი პატარა, თბილი ოჯახისაგან.

ნათელი დადგეს თქვენს ლამპრ სულებს, იძინეთ მშვიდად.

მეულელე. შვილები, შვილიშვილები

გია გაფრინდაშვილის ხსოვნას

2 ივლისს გარდაცვალებიდან 40 დღე, ხოლო 26 ივლისს დაბადებიდან 40 წელი შეგისრულდება გია. გვაკლიხარ, გვენატრება შენი ხმის გაგონება. შენ ჭირსა და ლხინში შეუცვლელი პიროვნება იყავი, შენთან შეხვედრა ხომ ზეცის ნაშუადღეა. მწუხარებამ დაისადგურა შენ ოჯახში, თითქოს ეზოში ხეებიც ტირიან. შენი გვერდში დგომა მოაკლდა შენს სამ შვილს.

მხნედ რჩენელია ცვლილი ისეთი უჭველი სიმტკიცით და ალალი ცრემლებით დატირება, როგორიც შენ გერგო.

იძინე მშვიდად, ჩვენი სიცოცხლით გაუმაძღარი, მარადისობად ქცეული ბიძაშვილი.

ქორწილიშვილების ოჯახი

ოთარ ავალიშვილის გახსენება

წელიწადი სრულდება იმ საბედისწერო დღიდან.

ძალიან გვაკლიხარ და გვენატრები. განსაკუთრებით საყვარელ შვილიშვილებს, ასევე ნათესავებს, მეგობრებს.

გვეჩვენება, რომ შენ ჩვენს მონატრების გრძნობ და ჩვენთან ხარ, უსაზღვროდ მოყვარული, ერთგული, უღალატო, სამაგალითო მამაც, მეულელე, ძმაც.

იძინე მშვიდად, ჩვენგან ანთებული სანთლები გაგინათებს მარადიულ სასუფეველს. მშობელ იყოს შენთვის საქართველოს მიწა.

შენი ოჯახი

ირინა ხვედელიანი-ხათაშვილის ნათელ ხსოვნას



40 ტკივილიანი დღე გავდა რაც შენ დაკლდა საყვარელ ოჯახს, ნათესავებს, მეგობრებს.

შენი წესიერი და მაღალზნეობრივი პედაგოგიური მოღვაწეობით, პირადი მაგალითით ვინ მოსთვლის რამდენი პატარის ნორჩ გულებში ჩანერგე ფესვი სათნოებისა, სიყვარულის და პატრიოტული რწმენისა და კიდევ ვინ მოსთვლის ამ ნორჩებიდან რამდენი ღირსეული პიროვნება შეკმნა შენს ისაყვარელ სამშობლოს. ეს ხომ ქვეყნის სიმდიდრეა, რომლის დაფროვებაშიც შენი მარქებელი წვლილია.

ბენებით დაჯილდოებული ყველა სკეთით უკიდურესობამდე სიდ ნამდვილი ინტელიგენტი, თანების ალმდის პროფესიონალი, ფაქიზი სულის და ლამაზი გარეგნობის ადამიანი ასეთი დარჩეს ჩვენს მეხსიერებაში.

ოჯახის, ახლობლების და სამშობლოს უზომო სიყვარულში დაფერფლილა შენი გული.

ღვთის მადლი გენთიწოს გზას სამარადისო სასუფეველში.

ირაკლი, ზურაბი, პაატა, ირინა, ლილი, ნანა, მაია, გიორგი, თათული

ავთო ბექაური

ყველა ღირსეულს რაღაც განსაკუთრებულს არგუნებსო ბედი. როგორ შემთვალეწა სიკვდილმა ბედნიერების კარი, მაგრამ... ღმერთსაც ხომ რნელები უნდათ ზეციურ სამყაროში. აქ რითი ვინუგეშოთ თავი ჩვენ, შენს დამკარგველებმა და განსაკუთრებით კი შენმა უკვე ცალეულმა მეულემ, რომელსაც ბედნიერებიდან სულ რაღაც სამ თვეში შეატყვე გატეხილი უღელი მხრებზე. სანუგეში ერთია, ვიცოცხლოთ შენი ხსოვნის პატივსაცემად და ცრემლითა და სურათებით მოგეგონოთ.

ჩვენო ახალწასულო, პირველ დაბადების დღეს ვეხვდებით უშენოდ. გელოცავი ატნდა. გაუსაძლისი ტკივილების სათავე ხარ, მაგრამ რით შეგცვალოთ ეერეთ დაუნებელი.

ნათელი გეფარებეს, ჩვენ ვილოცავთ შენი მშვიდობის სულისათვის.

დათო და გოჩა რომელაშვილები

ელენე (ცაცა) ვარსიმაშვილის ხსოვნას

ჩემო ტკბილო, თავდადებულო დედაკო! მუსტრები, ძალიან მუსტრები. უკვე ერთმა წელმა გაირბინა. უშენობით გამოწვეული დარდი არ გენელდება მე და მამას. შენი უსაყვარლესი ლუკასა და პაპუსათვის ლამპრ და სათაყვანებელ მოგონებად იქცა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ულამაზესი სული.

შენი ერთადერთი ნინო



თამუნა ყოჩიაშვილი-ცერცვაძის გახსენება!

ჩემო თვალნათელო, დიდო სიხარულო და დიდო ტკივილო, დედა. გაუსაძლისია ცხოვრება უშენოდ. ყველაფერი გადაფასდა ირგვლივ ჩემთვის. ნაკარვე გულს მხოლოდ შენი სანდრო ედება მალამოდ.

მენატრები, მენატრება სიცოცხლეზე მეტად.

დედა



ნინო ჩერქეზიშვილი



ნინო 25 ივნისი შენი დაბადების დღეა, რომელსაც უშენოდ ვხვდებით საფლავზე შენი მეგობრები. ჩვენთვის ისევ ის ოცდერთი წლის ლამაზი, მხიარული, სიკეთის მთესველი ხარ და დარჩები ამდამ. ნათელში ამყოფოს შენი სული. მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური მიწა.

მეგობრები

ჭირი დაუკითხავად მოგვევლა გვერდით, თვალებში ცივი შეჩერით ჩაგვაშტერდა, ვერ გამოვეცალეთ, ბავშვური გული შეარე ტკივილით დაგვსერა. ჩვენს სამეგობროს დაკლდა სიცოცხლე ერთი... ჩვენგან ბავშვობა წაიღო სრულად...

უკვე შერამდენედ უცლებლივ გსტუმრობთ, გიო. ამდენი სტუმარი!!! ასე გეგონა, ქვეყანას აქ მთელია თავი... გუშინ ანთებული სანთლები ცოცხალ ყვლად გადეკით, ჩვენო ნამდვილო მეგობარო. ყველს მოწოლილი ბურთი სუნთქვას გვიკრავდა, გული ვერ ეგუება შენთან სამუდამო დამშვიდობებას...

შენ ჩვენზე ძლიერი იყავი ყოველთვის, გამორჩეული ნიჭით, გონით და სხვანაირი სიყვარულით... ახლაც გვაკლიხარ, გიო. ისე მძიმარ და ისეთ დროს, უშენობა ყველაზე მეტად რომ გაგვიმეცნდება.

ეთხოვ გვაკლია საკვდილმა? – ვერაფერიც, თუ შენს ხალისიან თვალებს ყველა შეეხედებით, გულში ისე ჩაგიხუტებ, ვერავინ წაგვართმევს შენს თავს...

პირველ სექტემბერს უკრენლად ვიტირებთ შენს მერხთან (შენ ხომ ცრემლს არასდეს დაიშვებდი). შენ ყველა გაკვეთილს დაესწრები, როგორც უწინ. შენს კეთილ აზრებს შენი მოღიმარი სახე საშვადამდ შეარჩენს – სურათს მეუჩენთ ბინას. ამ მერხთან შეეკრიბებით ბიჭები საქმის გასარკვევად – შენ ისევ ჩვენთან იქნები, გიო.

ხომ ვიცით, შენ ახლაც გვაკვირდები, ჰოდა, შენებური ვაკვირდებით იქიდან დაკვირვება, ძმაო!!!

VI კლასის მოსწავლეები, 186-ე საჯ. სკოლა

თამაზ ნონაშვილის გახსენება

ჩვენო საყვარელო თამაზ!

უცნაური რამ არის ბედისწერა, აძლევენად მოვლენილ ნიჭიერსა და სხვებისაგან გამორჩეულ ადამიანს განსხვავებული გზით წაიყვანს და ხშირად სიკვდილსაც ელანები გვერგებით შეახვედრებს, სწორედ ასეთი გზით გატარა ბედმა და სიკვდილი უცნო მხარეში, სამშობლოდან შორს, სათაყვანებელი ხუთი შვილის, შვილიშვილების, მეულის, სიონო, საყვარელი მოხუცებული დედის, დების, ძმის და ურიცხვი ნათესავის და ახლობლის ნატრულს გარეშე.

ვერ კიდევ ახალგაზრდა 54-წლისა წაგიყვანა განგებამ თავის ზეციურ სასუფეველში.

უშენოდ დარჩენილებს გვაკლია შენი სითბო, ყველას სიცრად ტკივილამდე გვენატრები.

განსაკუთრებით ძნელი სანუგეშებელია მოხუცი დედა, რომელიც ჩვენ ცრემლებით დაგტირის ყოველ წუთს და ცრემლები არ ელევა.

ერთი წელიწადი გავიდა შენი გარდაცვალებიდან. დაუცრებელია, მაგრამ მარადისობად იქნები, იძინე მშვიდად, დე. ჩვენგან დანთებული სანთლების შუქი გინათებდეს მარადიულ სასუფეველს.

მსუბუქი იყოს შენთვის საქართველოს მიწა.

შენი ოჯახები

სოსო კვიციანის ხსოვნას

„დამიანი მხოლოდ იმას წარმადგენს, რამდენადაც შეუძლია დაიხარჯოს სხვისთვის",– წერდა ჰერმან ჰესე.

სოსო კვიციანი სხვებისთვის დახარჯული კაცი იყო, იმ განსვავებით, რომ მისთვის „სხვა" არ არსებობდა. სოსო კვიციანის სიკვდილზე უდარდა, ყველას უფრთხილდებოდა, ეხმარებოდა. გულით კი უდიდეს დუმილსა და ტკივილს დაატარებდა. შინაგანად. ნატურით, ცხოვრების წესით, ჭეშმარიტი ქრისტიანის ყველაზე დიდი კულტი მისი ოჯახი, საქმე და ახლობელთა უზომოზარი წრე გახლდათ.

კარგად იცოდა, რომ უმრალო მოკვდავთ არ ძალუძთ, ცხოვრების მკლავებში მომწყვდეულ. რომ ცხოვრება შეილებთან ერთად მიდის...

ეს ჩემი, ტკბილი, ფუტკარივით შრომელი კაცი ერთნაირად დაკლდა ოჯახის წევრებს, ნათესავებს, მეგობრებს, კოლეგებს. სოსო ხომ ყველასთვის იყო, ყველას ყოფილა – უყოყმანობელესი, მარიალი, ულალატო, უბრკვინველი, პატიოსანი, ერთგული, ძლიერი კაცი.

ამბტომაც, მისი სახელის წარსულ დროში მოხსენიებას ძნელად ეგუება ყურიც და გულიც. კვიციანების ოჯახში ვერ კიდევ ხშირად რეკავს ტელეფონი; სოსოს კითხულობენ – სჭირდებათ...

ლოლა ცირეკიძე

თითქმის ორმოცი დღე გავდა შენი გარდაცვალებიდან და ვერაფერი გეთქვას იმ საკარიელეს გულებში შენ წასვლით რომ დაგვტოვე. ჩვენო საყვარელო და კეთილო ბებია! ვერც სურათიდან მომზირალი შენი ლამაზი სახე, ვერც შენი ხელშესახები ნივთები ვერ გვანუგეშებს, ვერ გვიმსუბუქებს იმ

GSM

ჩართვა 68 ლარი

SMS VOICE MAIL FAX-DATA INTERNATIONAL ROAMING

საერთაშორისო რეკვიზიტი 300

დეპოზიტი (საერთაშორისო კავშირის ჩათვლით):

საერთაშორისო კვეთი 100

დეპოზიტი:

ფიქსი/მობილებიდან ბედნიერება 130

თითოეული სერვისის ჩართვის ფასი:

ხმოვანი ფოსტა 0,288

ჩართვა უფასოა წუთობრივი გადასახადი:

მოკლე შეტყობინებები 0,06

ჩართვა უფასოა ერთი შეტყობინების ფასი:

თქვენი ქსელი ჯეოსელი

*ფასები მოყვანილია ეროვნულ ვალუტაში (ლარი) დღგ-ს ჩათვლით.

თბილისი: ბაქოს ქ. 2; კოსტავას ქ. 35. საინფორმაციო ცენტრი 928.

ბუვარი

ჯონი დეპი

ჯონი დეპის საუკეთესო მსახიობთა 25 კაციან ახალ სიაში დე ნიროს, ალეკ ბოლდუინის, ნიკოლას ქეიჯისა და სხვა ვარსკვლავთა გვერდითაა ჯონი დეპის სახელი. ეს მსახიობი დაკუნთული სხეულით სულაც არ გამოირჩევა, სუპერგმირსაც ვერ დაარქმევ. 36 წლის ასაკში, მუდმივად გამოუძინებელი სახით, უფრო ყმაწვილს წააგავს, ვიდრე მოწიფულ კაცს. მაგრამ მისი გარეგნობა იზიდავს ყველას — კაცებს თუ ქალებს, თინეიჯერებსა თუ პენსიონერებს. „იგი ღესბოსელებსაც კი მოსწონთ“ — ამტკიცებს რეჟისორი ჯონ უოტერსი, რომელმაც პირველმა ანდო ჯონი დეპს სერიოზული როლი. ერთი წელიც არ იყო გასული, როცა დეპი უკვე თავად ირჩევდა როლებს, ზოგჯერ ანაზღაურებაზე უარსაც ამბობდა. იგი ერთადერთი მსახიობია ჰოლივუდში, ვინც მდიდრულ და გახმაურებულ პრემიერებში მონაწილეობის გარეშე მოიპოვა გამაოგნებელი წარმატება.



11 წლისა იყო ჯონი, პირველად რომ მოწია „ბალახი“, თორმეტისამ გიტარაზე დაკვრა ისწავლა, ერთი წლის შემდეგ კი უბიწოება დაკარგა. 16 წლისამ სკოლა მიატოვა და საკუთარი როკ-ჯგუფი ჩამოაყალიბა. მოზარდის გამხდარ ხელს ტატუირება ამშვენებდა — „ბეტი სიუ“ — ყველაზე ძვირფასი ადამიანის, საყვარელი დედის სახელი. სწორედ მისგან და არა ძლიერი ნებისყოფის მქონე ინჟინერ-მშენებელი მამისგან დაჰყვა ჯონის ცხოვრებისეული სიმძიმეების დაძლევის უნარი.

ოჯახი მუდმივად იცვლიდა საცხოვრებელ ადგილს კენტუკის მთელ შტატში, ერთი მშენებლობიდან მეორეზე. როცა ჯონი 15 წლისა გახდა, მამამ ოჯახი მიატოვა და ბეტი სიუს ბინა და ოთხი შვილი დაუტოვა. მას შემდეგ დეპი ცდილობდა მამა აღარ გაეხსენებინა, სამაგიეროდ, სხეულზე სამუდამოდ აღბეჭდა სახელი დარდისაგან გატეხილი და მიტოვებული ქალისა, რომელმაც უმცროს შვილში პოვა ერთადერთი ერთგული სიყვარული და ცხოვრების საყრდენი.

ბავშვობაში ჯონი, სხვა ბიჭების მსგავსად, კარატისტობაზე ოცნებობდა, ბრუს ლისნაირი უნდოდა გამხდარიყო. მოგვიანებით მუსიკის მწვერვალების დაპყრობა ელანდებოდა. „ჩემი განვითარება 17 წლის ასაკში შეწყდა, მას შემდეგ მეტად აღარ დავჭკვიანებულვარ“ — აღიარებს დეპი.

მაგრამ ის, რაც კარგია 17 წლისას, 20 წლის ასაკში გაცილებით სულელურად გამოიყურება. ლოს-ანჯელესში მუსიკოსები დასტებად ეყარა, გამოსვლებში გროშებს ღებულობდნენ. ჯონის უხდებოდა ბენზინგასამართ სადგურზე მუშაობით გაეტანა თავი.

პირველი ქალი, ვინც ვერ გაუძლო ჯონის მამაკაცურ მომხიბლაობას, ლორი ენ ელისონი იყო, ჰოლივუდელი ვიზაჟისტი, მასზე 5 წლით უფროსი. ქალიშვილს სიგიჟემდე შეუყვარდა დეპი და ისინი 5 წლით დაქორწინდნენ. თავიდან ლორის შემოსავლით ცხოვრობდნენ, შემდეგ ცოლი შეეცადა ქმარი ჰოლივუდში მოეწყო.

როგორც იქნა, ნიკოლას ქეიჯმა თანხმობა განაცხადა დეპის მოსმენაზე. „უნდა დავუკრა?“ — გამოცოცხლდა ჯონი. „არა, სულელო! მსახიობად გიპირებს აყვანას. ღამაზი ბიჭები სჭირდებათ“, — უპასუხა ლორიმ. დეპი მოიღუშა: თავისი გარეგნობა არასოდეს მოსწონდა და ეს მაშინ, როცა ღმერთმა მეფურად დააჯილდოვა. მიუხედავად იმისა, რომ ადრიდანვე ეტანებოდა წითელ ღვინოს და დღეში რამდენიმე კოლოფ მარლბოროსაც ეწეოდა, ჯონის გადატკეცილი, სუფთა პირისახე თითქოს არ ემორჩილებოდა ჟამთა სვლას.

პირველად ეკრანზე ცნობილ საშინელებათა ფილმებში გამოჩნდა — „კოშმარი თელების ქუჩაზე“. მაყურებელს დიდი ყურადღება არ მიუქცევია ფრედი კრიუგერის უბედური მსხვერპლისთვის. ამის შემდეგ ეროტიკულ ფილმში ითამაშა, შემდეგ კი ოთხწლიან კონტრაქტის მიხედვით ტელესერიალში გადაიღეს. სწორედ ამ სერიალის წყალობით იქცა იგი მილიონობით მაყურებლის გულთამპყრობელად. თინეიჯერთა პრესის პირველ გვერდებს ამშვენებდა დეპის ფოტოები, ყოველთვიურად 10 ათასობით წერილს იღებდა და ფანებისაგან მოსვენება აღარ ჰქონდა.

„მტირალას“ შემდეგ ჯონი დეპი მილიონერი გახდა. ფილმის შემდეგ მას იწვევს ოლივერ სტოუნი, შემდეგ კი ტიმ ბარტონი, ლეგენდარული „ბეტმენის“ შემქმნელი, თავის იდუმალ ფილმში „ედვარდი — ხელ-მაკრატელა“. ბარტონის შემდეგი ფილმი, რომელშიც დეპმა ითამაშა, იყო „ედ ვუდი“, რომელშიც, თითქმის ნეიჯერთა გულის გასახეთქად, ტრანსვესტიტს ასახიერებდა. ბრემ სტოკერის „დრაკულაში“, „ინტერვიუ ვამპირთან“ და „სიჩქარეში“ მიწვევაზე ჯონმა თავაზიანად განაცხადა უარი და მისი როლები წილად ხვდათ კინუ რივზს და ბრედ პიტს. ამავე დროს, ჯიმ ჯარმუშის შესანიშნავ ფილმში „მკვდარი“ მას ერთი ცენტიც არ აუღია.

ჯონი დეპმა ძალები რეჟისურაშიც მოსინჯა. გადაიღო ფილმი „მამაცი“, რომელშიც სრულიად უფასოდ ითამაშა მისმა მეგობარმა, სახელგანთქმულმა მარლონ ბრანდომ.

ღოს-ანჯელესში ჯონმა საკუთარი კლუბი „ასპიტთა ბუდე“ გახსნა. აქ ხშირად დადიან ხოლმე მისი მეგობრები, ნიკ ქეიჯი და ჩარლი შინი. საერთოდ, დეპის კლუბში ყველა ცნობილი ადამიანი დაიარება; სხვა მსგავსი კლუბებისაგან განსხვავებით, აქ შეიძლება მოწევა, დეპი კი, დაუფარავად, მარიხუანასაც შეუკეთებს ხოლმე თუთუნში. მას საერთოდ არ უყვარს თავისი სურვილების შეზღუდვა. ერთხელ ღინდა მაკარტნიმ დაარწმუნა, უარი ეთქვა ხორცის ჭამაზე. დეპი 9 თვის მანძილზე მტკიცედ იდგა, შემდეგ კი ვეღარ გაუძლო. ამის შესახებ ახლა ძრწოლვით იხსენებს და ხუმრობს: „არცთუ ძალიან ვენდობი ადამიანს, რომელიც ღორის ხორცს არ ჭამს“.

მუსიკაზე ნაკლებ არ სიამოვნებს დეპს წიგნების მაღაზიათა მონახულება. მეგობრები ცდილობენ სასწრაფოდ მოაშორონ იგი წიგნების ვიტრინას, თორემ თუ მაღაზიაში შევიდა, 2-3 საათი იქიდან გამომსვლელი არ არის. „ხალხმა თავი ანება წიგნების კითხვას — აღშფოთებულია ტელეეკრანის ვარსკვლავი, — მათთვის საკმარისია ტელევიზორს მიუწვნენ და მისი ძუძუ წოვონ“.

ქალებთან დამოკიდებულება — სულაც არ არის დეპის ბიოგრაფიის ყველაზე საინტერესო ნაწილი. ასეთი შესანიშნავი ბიჭისთვის მათი რაოდენობა ძალზე მწირი იყო. იმიტომ ხომ არა, რომ ყველა მათგანის სახელის აღბეჭდვა გადაწყვიტა საკუთარ სხეულზე? პირველი, როგორც გახსოვთ, დედამისი იყო. მეორედ მხარზე ამაყად წაიწერა: Winona Forever, ანუ „მარად ვაინონა“. მალე გაირკვა, რომ იჩქარა. ამის შემდეგ ქირურგის დახმარებით პირველ სიტყვას ბოლო მარცვალი მოაშორა და ღათინურ ყაიდაზე გამოუვიდა „მარად ღვინო“, რაც ჭეშმარიტებასთან ახლოს დგას.

იყვნენ აგრეთვე შერილინ ფენი და ჯენიფერ გრეი... ქეით მოსთან რომანის შესახებ ჯონი დუმილს ამჯობინებს, თუ ჰკითხავენ, რაღაცას გაურკვევლად ბურტყუნებს „ზღვასავით უსასრულო სიამოვნებაზე“. თოფ-მოდელის ადგილი ბრიტანელმა კინოვარსკვლავმა, სამანტა იანუსმა დაიკავა.

თითქმის წელიწადია, რაც ჯონი დეპი და ფრანგი მსახიობი და მომღერალი ვანესა პარადი ერთად ცხოვრობენ. მათ პარიზში გაიცნეს ერთმანეთი, სადაც მას რომან პოლანსკის ფილმში იღებდნენ. ფრანგული ყვითელი პრესა სავსე იყო წყვილის ფოტოებით, რომელზეც ისინი ერთმანეთს ეხვეოდნენ და კოცნიდნენ. მალე გავრცელდა ჭორები პარადის ფეხმძიმობასა და მოსალოდნელ ქორწინებაზე.

მაისის თვეში ვანესამ გოგონა გააჩინა. მას ლილი-როუზ მელოდი დაარქვეს. მშობლები ბედნიერებისაგან მეშვიდე ცაზე არიან. მიუხედავად ამისა, მსახიობი არაფერს ამბობს ქორწინებაზე, ვანესაც დუმს.

ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებით დეპმა საფრანგეთში გადაწყვიტა დამკვიდრება და სენ-ტრაპეზთან ახლოს მდიდრული ვილა შეიძინა. „ბედნიერი ვარ, რომ შემიძლია ღუზა ასეთ მშვენიერ ქვეყანაში ჩავუშვა, — თქვა დეპმა ერთ ინტერვიუში. — ბოლო 8 წლის მანძილზე აქ უფრო ხშირად ვარ, ვიდრე სამშობლოში. ფრანგ ქალთან შეხვედრაც საბედისწერო აღმოჩნდა ჩემთვის. აქ ყველაფერი მიყვარს: სამზარეულო, მუსიკა, პარფიუმერია, ღაჟვარდოვანი ნაპირი. ვოცნებობ, დავრჩე აქ. სამუდამოდ“.

ონა

21 წლის მოსკოველი მომღერლის, **დიანა ღურწკაიას** ფენომენს მთელ მსოფლიოში არა აქვს ანალოგი: „მედისონ სკვერ გარდენში“ ახლახან ჩატარებულ იგორ ნიკოლაევის შემოქმედებით საღამოზე, სცენაზე გამოსულ დიანას მსმენელი დიდხანს არ უშვებდა. შეიძლება ბევრმა არც იცოდა, რომ ეს მომხიბვლელი, ტანკენარი ქალიშვილი დაბადებიდან ბრმაა.

დიანა სოხუმში დაიბადა. მას სრულიად ჯანმრთელი, თვალხილული მშობლები ჰყავს. უცნაური კი ის არის, რომ გოგონა 1 წლისა იყო, მშობლებმა სიბრმავე რომ შეამჩნიეს. თავზარი დაეცათ და დაიწყო დაუსრულებელი სიარული ქვეყნის საუკეთესო ოფთალმოლოგებთან, მაგრამ დიაგნოზი ულმობელი იყო — უკურნებელი სრული სიბრმავე. ამის შესახებ გოგონამ მოგვიანებით გაიგო.

— მშობლები დიდხანს ვერ ახერხებდნენ, ჩემთვის ჩემი მდგომარეობა აეხსნათ, მე კი ვერ ვხვდებოდი, რატომ იყო სამყარო ასეთი შავი, ისინი ხომ თავის მეგობრებთან რაღაც ფერებსა და ყვავილებზე საუბრობდნენ... თანდათანობით გამიჩნდა რაღაც მეშვიდე თუ მერვე გრძნობა, რომელმაც დამიხატა მხოლოდ ჩემთვის გასაგები სამყარო, რომელშიც ვცხოვრობ. უნდა ვაღიარო, რომ ეს სამყარო არც ისე მოსაწყენია. მე იქ მშვიდად ვგრძნობ თავს, — გვიამბობს დიანა.

სკოლის ასაკს მიღწეული გოგონა მშობლებმა თბილისის უსინათლო ბავშვთა პანსიონატში მიაბარეს, სადაც მან საშუალო განათლება მიიღო. ოჯახს მოშორებულს ძალიან ენატრებოდა მშობლები და ახლობლები, რომლებიც სოხუმში დარჩნენ.

— მე ისე მიყვარს დედა, რომ შიშის გრძნობა მიპყრობს, როცა ის ჩემ გვერდით არ არის. ისე მოხდა, რომ დედამ დიდხანს ვერ მოახერხა ჩემთან ჩამოსვლა. გადავწყვიტე, თავად მომენახულებინა და ამხანაგთან ერთად პანსიონატიდან გავიპარე. ჩვენ ვიღაც ქალებს ვთხოვეთ, მატარებელში ჩავესვით. დედას კინაღამ გული წაუვიდა, როცა შინ მივედი და შემპირდა, რომ ასე დიდხანს არასოდეს მიმატოვებდა.

შემდეგ სწავლობდა მუსიკალურ სკოლაში პირველად იმღერა თბილისის ფილარმონიის სცენაზე...

მალე ქართულ-აფხაზური კონფლიქტი დაიწყო.

— რაღაც უცნაური შეშფოთების, განგაშის გრძნობა დამეუფლა ომის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე. მამას გავუმხილე შიში, მაგრამ დამამშვიდა, — რას ამბობ, შვილო, შენს ცხოვრებაში ომი ნამდვილად არ იქნებაო.

მამა შეცდა. ომის დაწყებისთანავე ღურწკაიების ოჯახმა სოხუმი დატოვა. დიანას მშობლები იხსენებენ იმ დღეს, როცა ევაკუაცია დაიწყო და ისინი სასწრაფოდ კრავდნენ ბარგს და მანქანაში აწყობდნენ. ამ დროს, გოგონა როიალს მიუჯდა და დაკვრა დაიწყო.

— ძალიან ხმამაღლა ვუკრავდი, თითქოს მინდოდა მუსიკით დამეხშო ბავშვების ტირილი და მანქანების გუგუნი. მაგრამ ეს საშინელება არ თავდებოდა. კლავიშებზე დავემხე და ავტირდი... ეს ყველაზე „ნათელი“ სურათია, რაც ბავშვობიდან შემომრჩა.

ღურწკაიები მოსკოვში გადავიდნენ. დიანამ გნესინების სახელობის მუსიკალურ სასწავლებელში განაგრძო სწავლა, რომლის დამთავრების შემდეგ დამოუკიდებელი სცენური კარიერა დაიწყო. წარმატება მალე მოვიდა. ფართო მაყურებელი მოხიბლა მისმა სიმღერამ ფესტივალზე „იალტა-მოსკოვი-ტრანზიტი“ და ჟიურის სპეციალური პრიზიც დაიმსახურა. ჟიურის ერთ-ერთი წევრი იყო კომპოზიტორი იგორ ნიკოლაევი.

გოგონას სავიზიტო ბარათად იქცა სიმღერა „შენ აქ ხარ“. ეს სიმღერა ნიკოლაევის ბინაში დაიბადა. კომპოზიტორმა დიანა შემოქმედებითი თანამშრომლობისთვის თავისთან მიიწვია.

...კომპოზიტორი ფეხაკრეფით შევიდა იმ ოთახში, სადაც დიანა იჯდა. მაგრამ გოგონამ თავი მოაბრუნა და თქვა: „შენ აქ ხარ, მე ამას ვგრძნობ...“ ეს იქცა იმ სიმღერის პირველ სტრიქონად, რომელიც ნიკოლაევმა დიანას დაუწერა.

— დიანა საოცრად სუფთა და მიმზიდველი სულის მომღერალია, — ამბობს კომპოზიტორი. ძნელია თქმა, ვინ უფრო მეტს იღებს ჩვენი ურთიერთობიდან, ის თუ მე.

დიანამ კარგად იცის საკუთარი თავის ფასი და არ დარბის ნებისმიერ საესტრადო მეტრთან. ახლახან, ერთმა რუსმა კომპოზიტორმა ღურწკაიას თავისი ახალი სიმღერა შესთავაზა და ძალიან გაუკვირდა, როცა უარი მიიღო. გოგონამ კომპოზიტორს უთხრა, — ჩემმა სულმა არ მიიღო ეს მელოდიაო.

— ძვირფასო, — საკმაოდ მკვახედ შენიშნა კომპოზიტორმა, — შენთვის ადრეა სიმღერების დახარისხება, ყველაფერი უნდა იმღერო. შენ ხომ ვარსკვლავი არა ხარ.

— მაშინ რატომ გაიმეტეთ თქვენი სიმღერა დამწყები მომღერლისთვის?

— ჩემი სიმღერა შენ სახელს შეგიქმნიდა.

— მე მშვენიერი და მელოდიური სახელი მაქვს, — დიანა ღურწკაია, — გაიცინა ქალიშვილმა.

სიბრმავის მიუხედავად, დიანამ, პრაქტიკულად, ყველა ფერი იცის. ერთხელ, ღამით შეშინებულმა გაიღვიძა და მეზობელ ოთახში მძინარე დას დაუძახა. როცა დამ მოირბინა, დიანამ უამბო საშინელი სიზმარი, — თითქოს მე „როსიის“ საკონცერტო დარბაზში უნდა გამოვსულიყავი და შინ დამრჩა ჩემი საყვარელი წითელი საკონცერტო კაბაო.

— და გაშრა, — ამბობს დიანა, — ჩემთვის ხომ არავის უთქვამს, რომ ის კაბა წითელი იყო, მე ეს ისედაც ვიცოდი.

ხმები დიანას არსებაში ბადებენ ასოციაციებს, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში, რეალურად ადამიანის გარეგნული ნიშნების იდენტურია. მომღერალს შეუძლია განსაზღვროს მოსაუბრის ასაკი, სიმაღლე, თმის ფერი მისი ლაპარაკის მანერითა და ხმის ინტონაციით.

— არ მიყვარს, როცა მიბრალებენ. მე მაქვს ხელ-ფეხი, თავი და, რაც მთავარია, ხმა, რომელიც მსმენელთან ურთიერთობის საშუალებას მაძლევს. გახსოვთ ვისოცკის სიტყვები: „მე ვსუნთქავ, ესე იგი ვცოცხლობ“. მე ისე ვოცნებობდი თვალები ამხელოდა, რომ ეს ოცნება გარდაისახა უკიდეგანო სიყვარულში გარემოს, ადამიანების მიმართ, რაც უდიდეს ძალას მაძლევს.

ორაკული №7

ჯოლეგები მას ყველაფერს პატიობდნენ

ოლეგ დალი დღემდე ახსოვთ და უყვართ კინოს თაყვანისმცემლებს.

— მეგონა, ოლეგს კარგად ვიცნობდი, მაგრამ ხანდახან ვხვდებოდი, რომ ის შეუცნობელი იყო, ზოგჯერ ვახერხებდი მისი აზრებისა და სურვილების ამოცნობას, — ამბობს მისი მეუღლე.

მისი გარდაცვალების შემდეგ აღმოჩენილმა არქივმა ყველა გააოგნა. აქ იყო სცენარები, სტატიები, მოთხრობები და ყველაზე მოულოდნელი — დღიური. უდიდესი მსახიობი თავის დაკვირვებებსა და იდეებს რამდენიმე წლის მანძილზე პატარა წიგნაკში იწერდა თურმე.

ჩანაწერების წაკითხვის შემდეგ დალის მეუღლემ დანანებით თქვა, — მასზე არაფერი გვცოდნიაო.

„მსახიობი — იდუმალი პიროვნებაა. მან მუშაობაში მხოლოდ თავისი სახე უნდა აჩვენოს“, — ასე მიაჩნდა დალის.

...ყმაწვილობაში ოლეგი ენას უკიდებდა, რაც ხელს უშლიდა ეოცნება თეატრზე, თან მშობლებიც უარზე იყვნენ. სწორედ მაშინ გამოჩნდა ვინ იყო: თავად, ექიმების დაუხმარებლად, გამოასწორა დიქცია, ჩააბარა თეატრალურ სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ მთლიანად შეერწყა თეატრალურ სამყაროს. ბევრი რამით გაკვირვებული და გაწბილებული დარჩა. ვერ ეგუებოდა იმას, რასაც ხედავდა და ესმოდა. ამას მძიმე დეპრესია და ალკოჰოლში დარდის ჩახშობა მოჰყვებოდა. ძალიან ძნელი იყო მასთან მუშაობა, მაგრამ შედეგი ყველა სიძნელეს ამართლებდა.

„მეფე ლირის“ გადაღების დროს ოლეგი კოლექტივის ერთადერთი წევრი იყო, რომელსაც ყველაფერს პატიობდნენ. მაშინაც კი, როცა მან ჩაგდო უკანასკნელი ურთულესი სცენა, რეჟისორმა გრიგორი კოზინცევმა საკუთარი თავი დაიდანაშაულა. ვიღაცას წამოსცდა კიდეც — ოლეგი ამდენ განცდებს დიდხანს ვერ გაუძლებსო.

1980 წლის თებერვალში ვისოცკისთან გატარებული კიდევ ერთი საღამოს შემდეგ ოლეგმა თქვა: „ჯერ წავა ვლადი, შემდეგ — მე“, არც შემცდარა. ის ვისოცკის 5 თვეში მიჰყვა, მაგრამ მილიონობით მაყურებლის მეხსიერებაში დარჩა, როგორც ასწლეულის ერთ-ერთი ბრწყინვალე მსახიობი.

...დალის ბინაში გამუდმებით სტუმრებია, რომელთაც მისი ქვრივი გულთბილად იღებს. ოლეგის სამუშაო ოთახი სავსეა წიგნებით, კედლებზე მისი ფოტოები ჰკიდია, რომლებიც თავად შეარჩია — ჩემი სახე — ჩემი სამუშაოა, მე მას განუწყვეტლივ უნდა ვხედავდეო, — ამბობდა.

ოლეგმა მომავალი მეუღლე, ელიზავეტა პეტროვნა, „მეფე ლირის“ გადაღებების დროს გაიცნო და ძალიან მალე შეირთო კიდეც. მას არ უნდოდა, რომ ცოლს ემუშავა. როცა შენ მე მემსახურები, მეტი სარგებლობა აქვს კინემატოგრაფს, ვიდრე მაშინ, როცა სამონტაჟო მაგიდას უზიხარ. იქ შეიძლება შენი შეცვლა, აქ კი არა, — მტკიცედ განუცხადა დალმა მეუღლეს.

— ჩვენი ცხოვრება არ იყო ადვილი, მაგრამ ჩემი აზრით, არც ადვილი ბედნიერება არსებობს, — ამბობს მსახიობის ქვრივი...

ოტდოხნი №24

ბაქო-ჯეიჰანის პროექტის მეორე სიცოცხლე

ამ დღეებში ყაზახეთის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ კასიმჟომარტ ტოკაევმა აღნიშნა, რომ სადაზვერვო ბურღვის წინასწარი მონაცემებით, ჩრდილო კასპიაში აღმოჩენილია ნავთობის დიდი მარაგი. იგი მოცულობით რამდენჯერმე აღემატება ყაზახეთის თენგიზის საბადოს. ამასთან, ტოკაევმა განაცხადა, რომ ყაზახეთის ნავთობის ექსპორტი განხორციელდება ორი მარშრუტით — კნკ (კასპიის ნათობსადენის კონსორციუმი) და ბაქო-ჯეიჰანის გზით.

კნკ-ს პროექტი დასასრულს უახლოვდება. დაახლოებით ერთი წლის შემდეგ ნავთობსადენი უკვე დააკავშირებს თენგიზის ნავთობს რუსეთის პორტ ნოვოროსიისკთან. ამ პროექტის განხორციელებაში წამყვან როლს თამაშობენ ისეთი მსხვილი კომპანიები, როგორიცაა „ბრიტიშ პეტროლეუმი-ამოკო“ და „ლუკოილი“. გარდა ამისა, კნკ-ს აქციათა 24% რუსეთის მთავრობის საკუთრებაა, 19% კი — ყაზახეთისა. კნკ საგანგებოდ იქმნებოდა ყაზახეთის ნავთობისათვის და ერთი შეხედვით სრულიად გაუგებარია, როგორ აპირებენ ყაზახები თავისი ნავთობის გაშვებას აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოდან, რომელიც კასპიის ზღვის საპირისპირო მხარეს მდებარეობს. ამ შეკითხვას კვლავ ტოკაევმა უპასუხა. მან აღნიშნა, რომ მუშავდება ბაქომდე ნავთობის ტანკერებით ჩატანის გეგმა. ნავთობის ტრანსპორტირების ეროვნულმა კომპანიამ „კაზტრანსოილ“-მა დაიქირავა რამდენიმე აზერბაიჯანული ტანკერი და უკვე დაიწყო ნავთობის ტრანსპორტირება. როგორც ტოკაევმა აღნიშნა, ყაზახეთის ნავთობის გარეშე ბაქო-ჯეიჰანის პროექტის რეალიზება უაზრობა იქნება. იგი მართალია ამ საკითხში, რამდენადაც, აზერბაიჯანის შელფში ნავთობის დიდი მარაგი, ჯერჯერობით, არ აღმოჩენილა.

ყაზახეთის ხელმძღვანელობის ბოლო განცხადება მეტყველებს, რომ ამ ქვეყანამ გადაწყვიტა ითამაშოს რუსეთთანაც და აშშ-სთანაც. ყაზახეთმა ვერ შეძლეს მათ შორის არჩევანის გაკეთება და ამიტომ ფსონს ორივე მათგანზე ჩავიდნენ. შედეგად, ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობა შეიძლება უკვე 2004 წლისათვის დასრულდეს. პრობლემა მხოლოდ ის იქნება, თუ ვინ აანაზღაურებს პროექტის რეალიზებას.

აშშ-ის ადმინისტრაციის აქტიური ქმედებებით თუ ვიმსჯელებთ, იგი აიძულებს თავის კომპანიებს, ფული გაიღონ.

როგორც ჩანს, უკვე ახლა შეიძლება საუბარი რუსეთის სერიოზულ მარცხზე. ჩვენმა მთავრობამ ვერ შეძლო საბოლოოდ მიება რუსეთზე ყაზახეთი და ახლა მას ამ რესპუბლიკაზე გავლენის შესანარჩუნებლად აშშ-სთან ბრძოლა მოუწევს. გარდა ამისა, ჩეჩნეთის გვერდის ავლით ნავთობსადენის მშენებლობაზე დახარჯული თანხები ამაო აღმოჩნდა, რადგან იგი სწორედ აზერბაიჯანის ნავთობისათვის იქმნებოდა. ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის შედეგად რუსეთი აზერბაიჯანული ნავთობის ბაქო-ნოვოროსიისკის არსებული მილსადენით ტრანსპორტირების გამო დაკარგავს შემოსავალს. უფრო მეტიც, ნავთობის გატარება ჩვენი ქვეყნის გვერდის ავლით მკვეთრად შეასუსტებს რუსეთის კავშირს ამიერკავკასიასა და ცენტრალურ აზიასთან, რომლებიც სულ უფრო მეტად მოექცევიან ნატოს ქვეყნების გავლენის ქვეშ.

ნიშანდობლივია, რომ ბაქო-ჯეიჰანის პროექტის მონაწილეები უკვე აღარც მალავენ მის ანტირუსულ მიმართულებას. თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მეთაურმა ისმაილ ჯემმა განაცხადა, რომ ბაქო-ჯეიჰანის პროექტი მნიშვნელოვანია, როგორც სტრატეგიული თვალსაზრისით, ისე უშიშროებისათვისაც. კომენტარები, როგორც იტყვიან, ზედმეტია.

ნეზავისიმაია გაზეტა №109

თაგუნა

ამ ოცდაათი წლის წინ, კომპანია XEROX-ის თანამშრომლებმა უამრავი სასარგებლო რამ გამოიგონეს, რამაც დიდი გავლენა მოახდინა მაღალი ტექნოლოგიის მთელ ინდუსტრიაზე. გადმოცემით, კომპიუტერული „თაგუნა“ ქვეყნად სწორედ XEROX-ის საკვლევ ლაბორატორიებში „გაჩნდა“. მაშინ იგი დიდი, რკინისა და მოუხერხებელი იყო. ნელ-ნელა „თაგუნა“ იხვეწებოდა, მსუბუქი, უფრო მოქნილი გახდა, რამდენიმე წლის წინ კი „კუდიც“ მოშორდა. მერე ზოგიერთმა მომხმარებელმა უარი თქვა სპეციალურ ფარდაგებზე („თაგუნას“ სატარებელი, მაუსპედი). მაგრამ მომხმარებელს კვლავ ძველებურად უნდა ეტარებინა „თაგუნა“ მაგიდაზე ან ნებისმიერ ფართო სიბრტყეზე, თანაც ამისათვის კლავიატურისთვის ხელი უნდა მოეცილებინა. და აი, ბოლოს და ბოლოს, ტაივანურმა კომპანია XEROX-მა „თაგუნას“ გენეზისში ახალი (ვფიქრობთ, არცთუ უკანასკნელი) კორექტივი შეიტანა. ტაივანური „თაგუნა“ თავის თანამოძმეებს აღარ ჰგავს, მომხმარებლის თითზე დასახლდა და არც ხელების მოძრაობას უშლის ხელს. მაგრამ თავის მთავარ ფუნქციას — კურსორის მართვა ეკრანზე — მომავლის „თაგუნა“ შესანიშნავად ასრულებს და სულ 80 დოლარი ღირს, თუმცა მარტო ტაივანში — საზღვრებს გარეთ იგი ბევრად ძვირი იქნება.

იტოგი №22

ეს საინტერესოა

ბრიტანეთის „ფეინენშნლ თაიმსმა“ 1999 წლის შედეგების მიხედვით გამოაქვეყნა პლანეტის ყველაზე მდიდარი და ძლიერი 500 კომპანიის სია. პირველი ადგილი დაიკავა ბილ გეიტსის ამერიკულმა კომპანიამ, „მაიკროსოფტმა“, რომლის საბაზრო კაპიტალი შეფასებულია 586 მილიარდზე მეტ დოლარად. მეორე ადგილზეა — „ჯენერალ ელექტრიკი“ (აშშ) — თითქმის 575 მილიარდი დოლარი. პირველ ხუთეულში მოხვდნენ „ენ-თი-თი — მობილი კომუნიქეიშნზი“ (იაპონია), „სისკო სისტემას“ (აშშ) და „უოლ მარტ სტორზი“ (აშშ). შემდეგ მოდის „ინტელი“ (აშშ), „ენ-თი-თი“ (იაპონია), „ექსონ-მობილი“ (აშშ) „ლუჟენტ თექნოლოდკიზი“ (აშშ). მსოფლიოს უმსხვილეს კორპორაციას ხურავს გერმანული გიგანტი „დოიჩე ტელეკომი“. დიდი ნახტომი გააკეთა რუსეთის ნავთობის კომპანია „ლუკოილმა“. ევროპის 500 მსხვილი ფირმის სიაში „ლუკოილმა“ დაიკავა 191-ე ადგილი. შარშან მას 485-ე პოზიცია ეკავა.

ეხო პლანეტი №20

გაუმახჯოს ევხოს!

ამ დღეებში „ბანკ დე ფრანსმა“ გამოუშვა უკანასკნელი 500 ფრანკიანი ბანკნოტი პიერ კიურისა და მარია სკლადოვსკაიას გამოსახულებით. ქაღალდის ფრანკებს ქვეყანაში მეტს აღარ გამოუშვებენ, რადგან ბეჭდვითი სიმძლავრეები ერთიანი ევროპული ვალუტის — ევროს გამოშვებაზე გადაირთვება.

საფრანგეთში ქაღალდის ფრანკების ემისიის შეწყვეტა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი თავის მყიდველობით უნარს კარგავს. უბრალოდ, „ბანკ დე ფრანსმა“ შეავსო თავისი მარაგი, რომელიც 2002 წლის იანვრამდე ეყოფა, როცა ევროკავშირის 11 ქვეყანაში ეროვნულ ვალუტას ევროს შეცვლის. საფრანგეთში ქაღალდის ფულის გამოშვების შემცირება თანდათანობით მოხდა — 1999 წელს 50 და 100 ფრანკიანების გამოშვება შეწყვიტეს, რომელზეც გამოსახულები იყვნენ ანტუან დე სენტ ეკზიუპერი და პოლ სეზანი, მერე დადგა გუსტავ ეიფელის ჯერი, მისი პორტრეტი 200 ფრანკიან ბანკნოტებს ამშვენებდა, ახლა კი ყველაზე მსხვილი ბანკნოტის — 500 ფრანკიანის დრო მოვიდა.

ევროს 13 მილიარდი კუპიურიდან, რომელიც ევროპას დასჭირდება პირველ ეტაპზე, საფრანგეთმა უნდა გამოუშვას 2,5 მილიარდი. უკვე დაბეჭდილია გარკვეული რაოდენობა, რომელიც საფრანგეთის ხაზინაში ინახება. ევროს ბანკნოტების გამოშვება გაცილებით ძნელია, ვიდრე ნაციონალური ვალუტისა. წარმოების პროცესი ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ სხვადასხვა ქვეყანაში დამზადებული კუპიურები აბსოლუტურად იდენტური იყოს.

ეხო პლანეტი №22

კითხვა-პასუხი

სად შეიძლება აღმოსავლური ორთაბრძოლის — აიკიდოს შესწავლა, ასევე, ვის მივმართო ავტომობილის ტარების შესასწავლად, მსგავსად ადრე არსებული „დოსააფისა“?

თეიმურაზ იოსელიანი

აიკიდო კარატეს ერთ-ერთი სახეობაა, რომელშიც შეჯიბრება არასოდეს ტარდება და მას ეუფლებიან მხოლოდ საკუთარი ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად. სპორტის ამ სახეობაში, მართალია, ეწყობა საჩვენებელი გამოსვლები, მაგრამ გამარჯვებულის, ჩემპიონის, გამოვლენა არ ხდება. აიკიდოს რამდენიმე სახეობაა და საქართველოში არსებობს კიდეც აიკიდო-ტაკენოსის, აიკიდო-ოსინკაეს, აიკიდო-აიკიკაის ფედერაცია, ასევე, აიკიდო — შემეცნებითი კლუბი. რადგან შეკითხვაში დაკონკრეტებული არ არის, თუ რომელი სახეობის შესწავლას აპირებთ, მიმართეთ სპორტის დეპარტამენტს (ჭავჭავაძის 49ა), სადაც ყოველ პარასკევს, 12 საათიდან იკრიბებიან საბრძოლო ხელოვნებათა საკოორდინაციო საბჭოს წევრები (ხელმძღვანელი ზურაბ ლეჟავა) და აღმოსავლური ორთაბრძოლათა წარმომადგენლები.

რაც შეეხება ავტომობილის ტარების შესწავლას, თბილისში ბევრგან ფუნქციონირებს ამგვარი დაწესებულება, მათ შორის, დავით აღმაშენებლის 116-ში.

ვაჟა ნუცუბიძე, სპორტის არაოლიმპიურ სახეობათა ეროვნული კომიტეტის გენერალური მდივანი

გთხოვთ განმიმარტოთ, რა მიზნით გაიყო ქრისტიანობა კათოლიკედ და მართლმადიდებლებად? ეს იყო პოლიტიკური თუ რელიგიური გაყოფა?

მ. აბრამიძე

ქრისტიანობის ორ ნაწილად (კათოლიკეებად და მართლმადიდებებლად) გაყოფის მიზეზად ღვთისმეტყველები ტრადიციულად ასახელებენ. თეოლოგიურ დავას სხვადასხვა რელიგიურ დოგმატებზე, მათ ინტერპრეტაციაზე, ქრისტიანული მოძღვრების არასწორად გაგებაზე, ერესების წარმოშობაზე და ა.შ. საუკუნეთა მანძილზე კათოლიკეები მართლმადიდებლებს, ხოლო მართლმადიდებლები კათოლიკეებს ადანაშაულებდნენ რელიგიური განხეთქილების გამო. ამ მიმდინარეობებს შორის მართლაც ბევრი თეოლოგიური განსხვავებაა რჯულთმოძღვრებაში, დოგმატებში, კულტში, ტრადიციებში, დღესასწაულებსა თუ წესებში, მაგრამ ქრისტიანობის ორად გაყოფას უფრო პოლიტიკური მიზეზები ედო საფუძვლად, ვიდრე — თეოლოგიური დავა. გაყოფის საბაბის დასაზუსტებლად ძიება უნდა დავიწყოთ არა X ს-დან, როცა ოფიციალურად მოხდა ქრისტიანობის ორი მიმართულების გაფორმება, არამედ V ს-დან, როცა თვით რომის იმპერია გაიყო ორად — დასავლეთ და აღმოსავლეთ (ბიზანტიის) იმპერიებად. ამან განაპირობა კიდევ ერთი რელიგიური ცენტრის — კონსტანტინეპოლის წარმოშობა, რომლის სასულიერო მეთაური — პატრიარქი ამ დროიდან კონკურენციას უწევდა რომის პაპს. ეს ბრძოლა მეტი გავლენისათვის საუკუნეთა მანძილზე გრძელდება და რელიგიური გაყოფა მხოლოდ საბაბად შეიძლება მოვიაზროთ.

თემურ ფანჯიკიძე, რელიგიათმცოდნეობისა და ეთიკის კათედრის გამგე, რელიგიური კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი

ვცხოვრობ მთიან რაიონში. მაქვს თუ არა უფლება, წყლის გენერატორის დამონტაჟებით მოვაწყო განათება საცხოვრებელ ოთახში?

თიანეთის რ-ნი, სოფ. ქვაბაური

რადგან თქვენი საცხოვრებელი სახლი კერძო საკუთრებაა, უფლება გაქვთ წყლის გენერატორის დამონტაჟებით მოაწყოთ განათება თქვენსავე საცხოვრებელ სახლში.

ეი-ი-ეს თელასის იურიდიული განყოფილება

გთხოვთ მიპასუხოთ, არსებობს თუ არა საქართველოში ან თბილისში ისეთი ორგანიზაცია ან პირი, ვისაც გააჩნია ე.წ. ოქროს საძებნი აპარატი? თუ შეიძლება, იქნებ განმიმარტოთ ამ აპარატის შესაძლებლობების შესახებ?

გივი ჯაფარიძე

ოქროს საძებნი აპარატი დღესდღეობით უნივერსალური არ არის. იგი მოითხოვს დახვეწა-გაუმჯობესებას, რადგან მხოლოდ 1 მეტრამდე სიღრმეში აჩვენებს ოქროს არსებობას და ე.წ. ნაყარში ოქროს მოსაძებნად არის განკუთვნილი. ამგვარი აპარატის შეძენა შეიძლება მოსკოვში, ნიკოლსკაიას ქუჩის 4/05-ში მდებარე სპეციმაღაზიაში „ინტერსტილს“, რომლის ფასიც 700-დან 3000$-მდე მერყეობს, რაც ოქროს საძებნი აპარატის ხარისხიანობაზეა დამოკიდებული. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, სრულყოფილებას ეს აპარატებიც მოკლებულნი არიან.

მიხეილ ჭოხონელიძე, გეოლოგიური დეპარტამენტის „მნეის“ გეოლოგიური ორგანიზაციის დირექტორი

მძღოლის მოწმობის წინა მხარე ქართულ-ინგლისურადაა შესრულებული, მეორე მხარე კი — ინგლისურად. მაინტერესებს, ლათინური B და C პუნქტები რომელი კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლებას იძლევა?

რამაზ დანელია

ავტომანქანის მძღოლის მოწმობაში მითითებული B პუნქტი მსუბუქი ავტომანქანის მართვის უფლებას იძლევა, C პუნქტი — სატვირთო მანქანის, D — სამარშრუტოსი (ტაქსი ან ავტობუსი), E — მისაბმელი ავტომანქანების. რაც შეეხება A პუნქტს, იგი მოტოტელის სამართავ საშუალებას იძლევა.

საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველო

არაპრივატიზებული ბინის ჭერის შეკეთება ორ ოჯახს დაგვიჯდა 600 ლარი. გთხოვთ გვიპასუხოთ, ჩაგვეთვლება თუ არა ეს თანხა კომუნალური გადასახადის დავალიანების დაფარვაში?

მარტა შვილი, თბილისი

არაპრივატიზებული ბინის მფლობელმა ამ შემთხვევაში განცხადებით უნდა მიმართოს თავისივე რაიონის სერვისული მომსახურების ცენტრს და აცნობოს ჭერის შეკეთების თაობაზე, რის შემდეგაც სერვისცენტრი შეაფასებს დანახარჯს და განსაზღვრულ თანხას გამოგიქვითავთ გადასახდელი ბინის ქირიდან, სხვა სახის კომუნალური გადასახადისგან გათავისუფლება არ შეგეხებათ.

საბურთალოს რაიონის სერვისული მომსახურების ცენტრი

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 24 ივნისიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

აშშ დოლარი	1,960
გერმანული მარკა	0,949
ინგლ. გირვანქა სტერლინგი	2.960
ევრო	1,856
რუსული რუბლი	0,069
თურქული ლირა (10.000)	0,031

შტამპების და ბეჭდების დამზადების ფირმების რეგისტრაცია აუდიტი
რუსთაველის 22
☎99-86-09; 38-37-89

თბილისის საინჟინრო-პუმანიტარული ინსტიტუტი „მთიები“
აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას შემდეგ ფაკულტეტებზე:
იურიდიული; ფილოლოგიის, ეკონომიკის, ისტორიის, მათემატიკის, პედაგოგიური, ჟურნალისტიკის, უცხო ენების.
წარმოებს სტუდენტების სტაჟირება საზღვარგარეთ.
9 კლასდამთავრებულთათვის ფუნქციონირებს ლიცეუმი
მის: დავით აღმაშენებლის 178, მე-18 სკოლა, III-IV სართ.
☎ 35-27-00; 38-00-83; 52-67-67; 62-05-07; 38-87-26

ვმკურნალობთ ქრონიკულ პროსტატიტს
— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;
— ექოსკოპია, თანამედროვე იაპონური აპარატურით;
— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული უკეთესი მეთოდებით და აპარატურით, მათ შორის, ჰროფ. გუსკოვის მეთოდით, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.
მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №20 (სპორტის სასახლის უკან) 10-14 სთ.

საშკოთესო ხარისხის კერამიკული კრამიტი „ინვესტრეისი“
☎38-58-24
95-53-32

სკანდალის მიზეზები

რა დგას ვლ. გუსინსკის დაჭერა-გამოშვების უკან?

დღეს უკვე შეიძლება ლაპარაკი სკანდალის გაკვეთილებზე, აგრეთვე იმათზე, ვინც ამ ბრძოლაში გამარჯვებული თუ დამარცხებული გამოვიდა.

მიზეზი №1: — რუსეთის ელიტაში მოქიშპე დაჯგუფებათა ურთიერთბრძოლა გაჩაღდა.

ოლიგარქები არა მარტო ერთმანეთის ციხეში გამოსამწყვდევად არიან მზად, არამედ სიამოვნებით გამოლადრავენ კიდეც ერთმანეთს ყელს. გუსინსკის დაპატიმრებაც შეიძლება განხილული იქნეს, როგორც მედია-იმპერიის მეპატრონეების — ბორის ბერეზოვსკისა და ვლადიმირ გუსინსკის შებმის ფაქტი. თავდაპირველად, ბორის აბრამოვიჩის კომენტარებში კონკურენტის დაპატიმრებით გამოწვეული ერთგვარი კმაყოფილებაც კი იგრძნობოდა, — გუსინსკი თავის მიერ აგებულ მანქანის ბორბლებქვეშ მოექცაო. სხვათა შორის, ბერეზოვსკის ხელი არ მოუწერია ქვეყნის წამყვან ბიზნესმენთა მოთხოვნაზე, რომელშიც ისინი კოლეგის გათავისუფლებას ითხოვდნენ. თუმცა ბერეზოვსკი იმასაც მიხვდა, რომ ანტიოლიგარქიული ინკვიზიციის კოცონის ალი შეიძლებოდა მასაც მისწვდომოდა.

მიზეზი №2: — სპეცსამსახურებს დიდი ხანია სურთ განვლილ ათწლეულში განცდილი დამცირების გამო რევანშის აღება. ორგანოებს, რომლებიც დაიღალნენ ელცინისეული გაერთიანება-გაცალკევებით, ძლიერებისა და გავლენის მოპოვება სურთ და ის ფაქტი, რომ სახელმწიფოს სათავეში ყოფილი კგბ-ს ოფიცერი ჩაუდგა, მათ შეტევაზე გადასასვლელ სიგნალად მიიჩნიეს.

რეპრესიების გასაძლიერებლად დრო შემთხვევით არ შეურჩევიათ, საზოგადოებრიობა მოითხოვს „ძლიერ ხელს“, რომელიც წესრიგს დაამყარებს.

10 წლის წინ დაწყებულმა დემოკრატიულმა რევოლუციამ, რომელმაც ოლიგარქები წარმოშვა, ეტყობა, საკუთარი შვილების შთანთქმა დაიწყო. ჰაერში რესტავრაციის სუნი დატრიალდა.

ახლა, როგორც ჩანს, 90-იანი წლების დემოკრატიულ რევოლუციაში გარდატეხა იწყება. მართალია, ელცინის დროსაც იყო ბევრი ისეთი რამ, რასაც პესიმისტები ტოტალიტარიზმთან დაბრუნებად აღიქვამდნენ, — მაგრამ ქვეყნის მოძრაობის საერთო ვექტორი მაინც დემოკრატიული რჩებოდა. ახლა რა ხდება?

გუსინსკის დაპატიმრებით, პუტინს ძალიან საეჭვო საჩუქარი მიართვეს, თანაც საზღვარგარეთ ყოფნისას. თუ პრეზიდენტმა არაფერი იცოდა, ეს იმას ნიშნავს, რომ გამოუცდელობით თავის გუნდს ენდო.

ჩვენი აზრით, პუტინმა იცოდა, მაგრამ ვარაუდობდნენ, რომ რუსეთის პრეზიდენტის პირველი ოფიციალური ვიზიტი ევროპაში დაჩრდილავდა „ვიღაც“ მედია-მაგნატის დაპატიმრებას. პირიქით კი მოხდა, პუტინს საზღვარგარეთ ჟურნალისტთა უსიამოვნო შეკითხვებზე მოუწია პასუხის გაცემა. ძალიან უხერხულად გაიჟღერა ბირთვული სუპერ-სახელმწიფოს თავკაცის ნათქვამმა — გენპროკურორს ტელეფონით ვერ დავუკავშირდიო.

გამარჯვებული ვინღა გამოვიდა? პირველ რიგში, რუსეთის ინფორმაციის საზოგადოებრიობა, რომელმაც გარკვეული დროით მაინც დაიცვა მასობრივ საშუალებათა თავისუფლება.

არგუმენტი ი ფაქტი №25

დუვრის ტრაგედია

ბრიტანეთის საპორტო ქალაქ დუვრის პოლიციელებმა კონტინენტიდან ჩამოსულ სატვირთო მანქანის გასინჯვისას, რომელსაც ჰოლანდიის ნომრები ჰქონდა, 58 გვამი და 2 ცოცხლად გადარჩენილი ადამიანი იპოვეს. როგორც ჩანს, ესენი იყვნენ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან არალეგალური მიგრანტები.

ადგილობრივი პოლიციელები კონტინენტიდან ჩამოსულ კოლეგებთან ერთად ცდილობენ რეფრეჟირატორიანი მანქანის მარშრუტის დადგენას. „ასეთი მასშტაბის ინციდენტი კენტის საგრაფოში დიდი ხანია არ მომხდარა. „არალეგალებს“ მანქანების შემოწმებისას ხშირად ვიჭერთ და უკან ვაბრუნებთ. მაგრამ ისინი ცოცხალი ადამიანები არიან, ახლა კი საშინელება დატრიალდა — ამბობს ადგილობრივი პოლიციის პრეს-სამსახურის უფროსი მ. პუგაში. მედიკოსები ვარაუდობენ, რომ საცოდავი იმიგრანტები ინგლისის საზღვრებთან ახლოს უჰაერობით გაიგუდნენ. 2 ცოცხლად გადარჩენილი საავადმყოფოშია და, ჯერ-ჯერობით, ჩვენების მიცემა არ შეუძლია. მანქანის მძღოლი ამბობს, — არ ვიცი, ჩინელები საიდან აღმოჩნდნენ მანქანაშიო. არც მანქანის მფლობელი ჰოლანდიური ფირმის დასახელება იძლევა რამეს.

ყოველწლიურად ევროპაში ნახევარ მილიონამდე არალეგალური იმიგრანტი სახლდება. ამ მხრივ, პირველ ადგილზე გერმანიაა, მეორეზე — დიდი ბრიტანეთი, სადაც სამსახურის მოძებნა შედარებით ადვილია.

კომსომოლსკაია პრავდა №14

შენგენის კარი ყველასთვის ღია როდია

მოქალაქეთა თავისუფალი გადაადგილების შესახებ შეთანხმება 1985 წელს დაიდო. შეთანხმებაში მონაწილეობდა ხუთი ქვეყანა: საფრანგეთი, გერმანია, ბელგია, ლუქსემბურგი და ჰოლანდია. პირველი შეთანხმება დაიდო ლუქსემბურგის პატარა სოფელ — შენგენში. დროთა განმავლობაში კონვენციაში სხვა ქვეყნებიც გაერთიანდნენ: იტალია, ესპანეთი, პორტუგალია, საბერძნეთი და ავსტრია. მომდევნო წელს მათ შეუერთდა — დანია, შვედეთი და ფინეთი. სპეციალისტების აზრით, საპასპორტო კონტროლის ლიკვიდაციას არ გაუღია ევროპის კარები დამნაშავეთა სამყაროსთვის. პოლიციის აზრით, იმის მიუხედავად, რომ საზღვრები გამჭვირვალეა, ახალ პირობებში მუშაობა არ გართულებულა. პირიქით, საფრანგეთმა და ესპანეთმა რამდენიმე ერთობლივი ეფექტური ოპერაცია ჩაატარეს (ბასკთა არალეგალური ორგანიზაციის წევრთა დაპატიმრება). დაბოლოს, საზღვრებზე სასაზღვრო და საბაჟო პუნქტის დახურვამ ათობით მილიონი დოლარი დაზოგა.

„უსაზღვრო“ სივრცის მთავარი ელემენტია — შენგენის საინფორმაციო სისტემა — ინფორმაციის გაცვლის საკომპიუტერო ქსელი, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია კონვენციის წევრი ქვეყნების სამართალდამცავ ორგანოებსა და „არასასურველი ელემენტების“ უვიზო სივრცეში შესვლის ხელისშემშლელთა შორის ეფექტური თანამშრომლობისათვის. პრაქტიკულად, ეს იმას ნიშნავს, რომ, მაგალითად, რუსი მოქალაქე X, რომელიც პორტუგალიის პოლიციის „შავ სიაშია“ შეტანილი, ვერ მიიღებს შენგენის ვიზას საფრანგეთსა თუ საბერძნეთში. იმავდროულად, კონვენციის ნებისმიერი წევრი სასაზღვრო კონტროლის დროებითი შემოღების უფლებას ინარჩუნებს.

იზვესტია №106

ისრაელმა ძლიერ სახელმწიფოებს გაუსწრო

ინდოეთის ოკეანის სივრცეები ხელსაყრელი აღმოჩნდა ისრაელის სტრატეგიული იარაღის გამოცდისათვის. რაკეტა გაუშვეს გასულ თვეში, მაგრამ ეს ამბავი მხოლოდ ახლახან გახდა ცნობილი. ისრაელის განკარგულებაში იყო გერმანული წარმოების „დელფინის“ კლასის სამი სუპერთანამედროვე წყალქვეშა ნავი. სხვათა შორის, გერმანიის ხელისუფლება განაცვიფრა ისრაელის სამხედრო აქტიურობამ. საქმე ის არის, რომ გერმანელებმა არაბების მიერ ისრაელის ტერიტორიის დაბომბვის შემდეგ, კომპენსაციის სახით, ისრაელს „დელფინები“ აჩუქეს და ვერ წარმოიდგენდნენ, თუ ამ საჩუქარს ისრაელი „ამ საქმეებისთვის“ გამოიყენებდა. ამჟამად ისრაელი მსოფლიოში მესამე ქვეყანაა (რუსეთისა და აშშ-ის შემდეგ), რომელმაც ბირთვული იარაღი წყალქვეშა ნავიდან გაუშვა. ებრაელთა სახელმწიფო საკმაოდ დიდ ბირთვულ არსენალს ფლობს, თუმცა თელ-ავივი ამ ფაქტს არასოდეს აღიარებდა. ამჟამად თელ-ავივს მომაკვდინებელი იარაღის 200-მდე ერთეული გააჩნია, მათ შორის რამდენიმე უძლიერეს ქობინიანია. ისრაელის სამხედრო ხელმძღვანელობამ დაადგინა, რომ „დელფინებს“ განალაგებს ხმელთაშუა ზღვაში, მეწამულ ზღვასა და სპარსეთის ყურეში და მუდმივ მზადყოფნაში ექნება. ბირთვულქობინიანი რაკეტის გამოყენება სანქცირებული უნდა იყოს ქვეყნის პრემიერ-მინისტრის, თავდაცვის მინისტრის, გენერალური შტაბის მეთაურისა და სამხედრო-საზღვაო ძალების ხელმძღვანელის მიერ. —„მზად ვართ დავუპირისპირდეთ ნებისმიერ მუქარას,“ — ამბობენ ისრაელელები, რომლებიც დღემდე მალავდნენ თავის ბირთვულ პოტენციალს.

სანდი თაიმსი №111

მოკლედ

საბერძნეთის შრომის ნაციონალური ინსტიტუტის გამოკვლევის თანახმად, საბერძნეთში ამჟამად უცხოეთის 120 ქვეყნის მოქალაქე ცხოვრობს. პირველი ადგილი რაოდენობით აღბანელებს უჭირავთ — 65%. 2,9% — უკრაინელია, 2% — ქართველი, 1,2% — მოლდაველი.

პრეზიდენტმა **ბილ კლინტონმა** გამოაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეწყვიტეს ეკონომიკური სანქციები ფხენიანის წინააღმდეგ. ფორმალურად ეს სანქციები ნახევარი საუკუნის წინ შემოიღეს, როცა კორეის ნახევარკუნძულზე დაიწყო ომი „კომუნისტურ ჩრდილოეთსა“ და „დემოკრატიულ სამხრეთს“ შორის.

ჩრდილოეთ ოსეთის დედაქალაქში ფერადი წვიმა წამოვიდა. პირველად ეს ღია ფერის მანქანების მფლობელებმა შეამჩნიეს — მანქანები ფორთოხლისფერ-ვარდისფერი „ჭორფლით“ დაიწინწკლა. ვლადიკავკაზელები ამბობენ, — ეს პირველი შემთხვევა არ არის. ერთი თვის წინ ფერადად წვიმდაო.

მუშთი აჰმად კადიროვის ჩეჩნეთის ადმინისტრაციის მეთაურად დანიშვნისთანავე ჩეჩნეთის მოხელეების უმრავლესობა „იდეური მოსაზრებების გამო“ გადადგა. მიუხედავად ამგვარი უარყოფითი დამოკიდებულებისა, კადიროვი შეუდგა მუშაობას.

თალიბთა სამშობლოში ისლამური რევოლუციისათვის ემზადებიან

მდინარე ბარაზე გადებული ხიდიდან თუ შეხედავ პეშავარას, გგონია, ორი სამყაროს მიჯნაზე დგახარ. ერთი მხრივ, ჭრელი აზიური თანამედროვე ქალაქი, მეორე მხრივ — მეზობელი ავღანეთიდან დევნილთა ბანაკები. ასობით ათასმა ავღანელმა, რომლებმაც თავი გამოარიდეს ომს, 80-იან წლებში პაკისტანის სასაზღვრო პროვინციის თანამედროვე დედაქალაქ პეშავარაში ავღანეთის საზღვრის მახლობლად, ლტოლვილთა თავშესაფრები დააარსეს. მაშინ ქალაქი საბჭოთა ჯარების მოწინააღმდეგე ძალთა ხელმძღვანელ ცენტრად იქცა. აქ იყო მოჯაჰედთა ორგანიზაციების შტაბბინები, ახალწვეულთა მომზადების ცენტრები. დღეს ეს ცენტრები აღარ არსებობს, მაგრამ ბანაკებში სხვები გაჩნდნენ — თალიბები, რომელთა გავლენას დღეს განიცდის ყველა ქვეყანა, არაბეთის ზღვიდან დაწყებული — შუა აზიით დამთავრებული.



ალბათ, არც ერთი პოლიტიკური მოძრაობა არ იწვევს ისეთ ურთიერთგამომრიცხავ შეფასებას, როგორსაც „თალიბანი“. მათ რადიკალურ ისლამისტებსაც უწოდებენ და პუშტუანელ ნაციონალისტებსაც. ერთნი ფიქრობენ, რომ მათი მიზანია ომით გაპარტახებულ ავღანეთში წესრიგის დამყარება, მეორენი კი დარწმუნებულნი არიან, რომ თალიბები ამას არ იკმარებენ და შავჩალმიანი ალაჰის მეომრები, მეზობელი ქვეყნებისკენაც დაიძრებიან.

თალიბთა სისასტიკეს საზღვარი არა აქვს, მაგრამ ამის მიუხედავად, ავღანეთში მათი პოპულარობა იზრდება. მათ მეთაურს, მოლა ომარს 1994 წელს უკვე 12 ათასამდე მეომარი ჰყავდა, რომელთა დიდი ნაწილი პეშავარას ავღანელ ლტოლვილთა ბანაკიდან იყო. ასე დაიწყო „თალიბანის“ ტრიუმფული სვლა ავღანეთში. თუ მოჯაჰედები საბჭოთა ჯარის შეჭრით გამოწვეული რეაქცია იყო, თალიბები „რეაქციის რეაქციად“ იქცნენ.

თალიბთა ისლამი — გლეხებისა და ქალაქის დაბალი ფენების ისლამია, მათი, ვინც ავღანეთში შეავსო იდეოლოგიური ვაკუუმი, როცა დისკრედიტებული აღმოჩნდნენ სოციალისტური ბელადებიც და „განათლებულ ისლამისტთა“ ლიდერებიც.

პაკისტანელი ჟურნალისტის აზრით, „თალიბანის“ წარმოშობაში დიდი წვლილი შეიტანა საბჭოთა კავშირმა, რომელმაც დაანგრია ტრადიციული ავღანეთი, მისი მკვეთრად გამოხატული სოციალური სტრუქტურით, სადაც ყველას თავისი ადგილი ჰქონდა მიჩენილი და დანერგა სოციალური ერთობისა და სამართლიანობის იდეები“. თუმცა „თალიბანის“ „მამობას“ ბევრს მიაწერენ — პაკისტანის სპეცსამსახურებიდან დაწყებული, ამერიკის ნავთობის გიგანტის „იუნოკალით“ დამთავრებული. კორუმპირებულ ხელისუფლებათა ცვლით დაღლილი პაკისტანელებიც სიმპათიით არიან განწყობილი „თალიბების“ მიმართ. „სამართლიანი ისლამური წესრიგის“ იდეოლოგია ბევრ მუსულმანურ ქვეყანაში ვრცელდება, მათ შორის შუა აზიაშიც.

ოგონიოკი №25

რუსეთის თავდაცვის სამინისტრო საიდუმლო დოკუმენტებს ანადგურებს

რუსეთის შინაგან საქმეთა ყოფილმა მინისტრმა ანატოლი კულიკოვმა სენსაციური განცხადება გააკეთა პრესკონფერენციაზე. თურმე, თავდაცვის სამინისტრო გამალებული ანადგურებს ჩეჩნეთის პირველ კამპანიასთან დაკავშირებულ საიდუმლო საბუთებს. არც ერთ სამხედრო არქივში აღარ არსებობს იმ ბრძანებების ასლები, რომლებსაც 1994-96 წ.წ. გასცემდნენ მეთაურები.

კულიკოვმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ ჩეჩნეთში დაღუპულთა რაოდენობა უკვე უტოლდება ავღანეთში დაღუპულთა ნახევარს. „ჩეჩნეთში, ჩვენ მრავალწლიანი ოლსტერი მივიღეთ“, — ამბობს კულიკოვი და აცხადებს, რომ მისთვის ცნობილი ინფორმაციის თანახმად, ერთ-ერთ სახელმწიფოში სწავლებას გადის 15 ათასი ბოევიკი, რომლებსაც შემდგომ რუსეთის ტერიტორიაზე ტერაქტების ჩასატარებლად გამოიყენებენ.

ვერსია №22

ევროკავშირის სამიტზე „რევოლუციური“ ცვლილებებია

ევროპის ფორუმზე ფრანგები ყველაზე მეტად აქტიურობდნენ

ევროკავშირის სახელმწიფოების მეთაურების ჰელსინკის სამიტზე, სადაც ევროპის დამოუკიდებელი თავდაცვის შექმნა დადგინდა, სწრაფი რეაგირების (50-60 ათასი ჯარისკაცი) ძალების ჩათვლით. ამჟამინდელ შეხვედრაზე, რომელიც პორტუგალიის ქალაქ სანტა-მარია-დაფეირაში მიმდინარეობს, ევროკავშირი შეუდგა ნატოსთან სამხედრო სფეროში თანამშრომლობის ოფიციალურად გაფორმებას. ამ მიზნით შეიქმნება ოთხი ერთობლივი სამუშაო ჯგუფი. კერძოდ, — სამხედრო პოტენციალის საკითხების შემსწავლელი, უშიშროების, სამხედრო არსენალის გადამცემი და ამ ორ ორგანიზაციას შორის მუდმივი კონტაქტების მაწარმოებელი ჯგუფი. ეს ყველაზე მეტად ხელს აძლევს აშშ-ს, რადგანაც შიშობს, რომ ბებერი კონტინენტი მანევრირებისათვის მეტ თავისუფლებას მიიღებს ჩრდილოეთ ატლანტიკური (და ამერიკული) ალიანსის ინტერესების საზიანოდ. ამასთან 2003 წლისთვის შედგება ევროპის პოლიციის ძალთა ფორმირება (5.000 კაცი) სამშვიდობო მისიის შესასრულებლად.

პორტუგალიის სამიტი განაგრძობს პრობლემების შესწავლას, რომელიც დაკავშირებულია ევროკავშირის ურთულეს საინსტიტუციო რეფორმებთან.

პარიზი და ბონი მოითხოვენ, რომ ევროკავშირში საინტეგრაციო პროცესები სხვადასხვა ქვეყნებში მათი შესაძლებლობების შესაბამისად, სხვადასხვაბარად წარიმართოს.

დღის წესრიგში შეტანილია საკითხი ევროკავშირში 12 ახალი სახელმწიფოს მიღების შესახებ.

საგულისხმოა ერთი მომენტი: ევროკავშირის ქვეყნების ფინანსთა მინისტრები (გარდა ავსტრიისა და ლუქსემბურგისა) მოითხოვენ გადასახადის შემოღებას იმ მეანაბრეთათვის, რომლებიც არ არიან ევროკავშირის ქვეყნების მოქალაქეები.

... 1 ივლისიდან ევროკავშირს ნახევარი წლით თავმჯდომარეობს საფრანგეთი. ფრანგი პოლიტიკოსები (ალენ ჟუპე და ჟაკ ტუბონი) „რევოლუციური“ ინიციატივით გამოვიდნენ; კერძოდ, ამჟამინდელი ევროპის კომისია, რომელიც ევროკავშირის მთავარ აღმასრულებელ ორგანოს წარმოადგენს, შეიცვალოს პრეზიდენტით, პრემიერ-მინისტრითა და მთავრობით, რომელთაც ინტერნაციონალური ხასიათი ექნებათ. „ჩვენ გვსურს, ევროპა რეალურ პოლიტიკურ ძალად იქცეს“, — აცხადებს საფრანგეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ალენ ჟუპე.

ნოვოე იზვესტია №106

პაკისტანელი ლიდერი შხამრხშლ მდგომარეობაში აღმოჩნდა

რამდენიმე ხნის წინ ბაქოდან სენსაციური ამბავი მოვიდა — თეირანში გამართულ ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის სამიტზე, გენერალი მუშარაფი აზერბაიჯანის პრეზიდენტ ალიევს მთიანი ყარაბაღის მოწესრიგებაში სამხედრო დახმარებას დაჰპირდა. საპასუხოდ ალიევმა დაუჭირა მხარი ისლამაბადის პოზიციას ქაშმირის საკითხში.

ამასთან დაკავშირებით, ინდოეთმა აზერბაიჯანის მთავრობას საპროტესტო ნოტა გაუგზავნა. ქაშმირის გამო პაკისტანთან კონფლიქტი ინდოეთის ერთ-ერთი ყველაზე მძაფრი საგარეო პრობლემაა და, ამდენად, გასაგებია მისი გაღიზიანება. ნოტას მოჰყვა ოფიციალური ისლამაბადის ახსნა-განმარტება. ბაქოში, პაკისტანის საელჩომ უარყო ის ფაქტი, თითქოს ყარაბაღის პრობლემის გადაწყვეტაში სამხედრო დახმარებას დაჰპირდა აზერბაიჯანს და განაცხადა, რომ პაკისტანი მზად არის, ტერიტორიული მთლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, აზერბაიჯანს აღმოუჩინოს პოლიტიკური მხარდაჭერა.

აზერბაიჯანის ადმინისტრაციაში კი მუშარაფის ნათქვამი ძალზე სერიოზულად მიიჩნიეს. როგორც არაოფიციალურმა წყარომ გვაცნობა, გაუგებრობის მიზეზი გახდა ის, რომ ალიევთან შეხვედრისას პაკისტანელმა ლიდერმა პროტოკოლის ნორმებს გადაუხვია. ახალგაზრდობაში მუშარაფი თურქეთში სწავლობდა და ფლობს საყველპურო თურქულს, რომელიც აზერბაიჯანულთან ახლოს დგას. როცა აზერბაიჯანის ტელეკომპანიის ჟურნალისტებმა მას შეკითხვა დაუსვეს სამხედრო თანამშრომლობის თაობაზე, მუშარაფმა პასუხი თურქულად გასცა. თურქულ ენაზე რეპლიკების გაცვლა-გამოცვლის დროს ორი ცნება „სამხედრო დახმარება“ და „ყარაბაღის კონფლიქტი“ ერთმანეთის გვერდით აღმოჩნდა, რამაც გამოიწვია გაუგებრობა.

კომერსანტი №109

ეს სერიოზული დაავადებაა

ხმაური ყურებში — საკმაოდ სერიოზული ავადმყოფობაა. მისი გამომწვევი მიზეზი კი დღემდე — უცნობი.

ამერიკელი მეცნიერის, პროფესორ შიუს აზრით, ხმები ესმით, ძირითადად, მენიერით დაავადებულებს, სმენადაქვეითებულებს, მათ, ვისაც აწუხებს თავბრუსხვევა და იღებს ასპირინს. ამ პროცესს ხშირად ახლავს დეპრესია და შველას ფსიქიატრს სთხოვენ. გენიალური ჰოლანდიელი მხატვარი ვან გოგიც მენიერით ყოფილა დაავადებული, რასაც თვითმკვლელობამდე მიუყვანია.

მეცნიერებმა მიაგნეს ამ დაავადების საწინააღმდეგო საშუალებას — ესაა პრეპარატი ლიდოკაინი, რომელსაც სტომატოლოგები გამაყუჩებლად (ადგილობრივი ანესთეზიისათვის) იყენებენ. საკმარისია ლიდოკაინი ერთი თვის მანძილზე გაიკეთოთ ვენაში და ჩაიწვეთოთ ყურში, ხმაური გაქრება.

მეგაპოლის-ექსპრესი №23

თუ იმუნოდეფიციტი გაქვთ

იმუნოდეფიციტის მკურნალობა ექიმის ამოცანაა. მხოლოდ სპეციალისტს შეუძლია თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით დაადგინოს იმუნოდეფიციტის მიზეზი და სახეობა, დანიშნოს პაციენტისათვის საჭირო მკურნალობა.

პროფილაქტიკისათვის კი შეგიძლიათ მიმართოთ ხალხური მედიცინის საშუალებებს. არსებობს ნივთიერებები, რომელთაც იმუნომოდულირებადი მოქმედება ახასიათებს. აი, ზოგიერთი მათგანი: ნიორი, ხახვი, ხაჭო, ნაღები, კარგი ღვინო პატარა ულუფებად და სხვ.

ლიზა №22

პირველად საქართველოში ლაზერული ეპილაციის საშიშროს გარანტი - RUBY STAR

დღეს მსოფლიოში ლაზერული ეპილაციის რამდენიმე სახე არსებობს. მათ შორის კი ყველაზე ბუნებრივად ლალის ლაზერია აღიარებული. RUBY STAR-ის ასეთ პოპულარობას მისი დიდი ეფექტურობა განაპირობებს. ეფექტურობა კი ლალის ლაზერის მოქმედების პრინციპებად განისაზღვრება.

საქმე იმაში გახლავთ, რომ ლალის ლაზერული სხივი სხვა ლაზერებთან შედარებით ყველაზე ღრმად ჩადის კანის სიღრმეში, მთლიანად გასდევს თმის სიგრძეს ბუდებდე და მის ფესვს სრულად ანადგურებს.

მცდარია ის აზრი, რომ თითქოს ლალის ლაზერი კანის დამწვრობას, მისი ფერის ცვალებას იწვევდეს. ასეთი მოვლენები შესაძლოა ნებისმიერმა ტიპის ლაზერულმა სხივმა გამოიწვიოს თუკი ის არასწორად იქნა გამოყენებული. მაგრამ RUBY STAR-ის შემთხვევაში ეს ფაქტორად გამორიცხულია, რადგანაც აპარატის სპეციალური კანის ტესტირების სისტემა (EPI CHECK) ახლავს თან.

RUBY STAR-ის წარმატების კიდევ ერთი საიდუმლო ის არის, რომ ლალის ლაზერულ სხივს ადამიანის ორგანიზმის ბიოლოგიური სახეები მინიმალური რაოდენობით შთანთქავს — ეს კი მას ძალზე უსაფრთხო და სანდო ეპილაციად აქცევს.

დღეს მსოფლიოში ლაზერული ეპილაციის სახეობათა შორის RUBY STAR-ის გამოყენების სამედიცინო გამოცდილება ყველაზე ხანგრძლივია. სწორედ ამიტომაც ენდობიან ლალის ლაზერის და მისვე ურჩევენ გამოცდილი სპეციალისტები ქალთა მანდილოსნებსაც.

ასე რომ ენდეთ ლალის ლაზერულ ეპილაციას, ის თქვენი სილამაზისა და მშვენიერების საუკეთესო გარანტიაა.

შეტრაბანამედრომ გერმანული აპარატი „RUBY STAR“
მის: ირ. აბაშიძის ქ. №29 ტ: 25-18-88; 25-18-90

ყურადღება!
100%-იანი გარანტიით

ქალებს, რომელთაც გაწუხებთ ჭარბთმიანობა, ნებისმიერი სახით გამოხატული (ნაპარსი, პინცეტით ამონაღები, ეპილაციით გაღიზიანებული და ა.შ.) გეძლევათ შესაძლებლობა, განიკურნოთ, მხოლოდ ერთი პროცედურით თითოეულ თმაზე. მკურნალობა გრძელდება მანამ, სანამ არ შეეხებით თითოეულ თმას (რა თქმა უნდა, მხოლოდ ერთხელ). მკურნალობის ხანგრძლივობა დამოკიდებულია თმის სიხშირეზე. პროცედურის ჩატარების შემდეგ ყველანაირი პასუხისმგებლობით გრჩებათ უვნებელი კანი და მთელი ცხოვრება დაგზღვეული ხართ ჭარბთმიანობისაგან. ანაგზღაურება - 1 სთ. - 20$.

მის: რჩეულიშვილის ქ. (ზემო ვერა), კორპ. 6 სად. II სართ. 9
☎ 29-42-58; 899-53-01-41

სერთმლის დაავადებათა (ოსტეოქონდროზი, დისკოზი, ართროზი, სპონდილოზი) და მათი ნერვული, კუნთოვანი, მყესოვანი, სახსროვანი და სისხლძარღვოვანი გართულებების კომპლექსური მკურნალობა

ექიმი ვერტებრონევროლოგი, მანუალური თერაპევტი დავით ჭურთუბაძე

თბილისი, ილ ჭავჭავაძის 51, I სართ, ოთახი 9
ტელ: 96-95-69; 877-43-31-26

SGS – მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი
SGS – თანამედროვე ტექნიკური ბაზა
SGS – მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები
SGS – განკურნების მაქსიმალური გარანტია
SGS – აბსოლუტური ანონიმურობა

ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!

ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.

1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის:
„პირველი საქორწინო ღამის“ პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან საერთოდ დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.

ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური **SGS**
თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლეჩკომბინატი“),
მე-3 სართ. კაბ. 40-41-42-43. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე

აღკოჰოლით ყველაფრის მკურნალობა შეიძლება, ღვიძლის გარდა

ყველამ იცის, რომ ალკოჰოლი მავნებელია, მაგრამ ცოტა ვიმეს თუ სმენია მისი მარგებლობის შესახებ. ეს იმის ბრალია, რომ ამ გამაბრუებელი სითხის მარგებლობაზე სულ უფრო და უფრო იშვიათად საუბრობენ.

ჰიპერტონია. ფრანგმა ექიმმა ჟან პოლ ბრუსტერმა შეძლო დაემტკიცებინა, რომ ღვინო „კაბერნე სოვინიონს“ შეუძლია წნევის დაწევა. ეს ხდება ნივთიერება კვეცეტინის წყალობით, რომლის კონცენტრაცია ზემოთ აღნიშნულ ღვინოში განსაკუთრებით მაღალია, ვინაიდან მისი დამზადებისას ყურძენს განსაკუთრებული ტექნოლოგიით წურავენ.

შოტლანდიელი ექიმები კი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ იგივე „კაბერნე სოვინიონი“ შეუცვლელი საშუალებაა კიბოს პროფილაქტიკისა და, ზოგ შემთხვევაში, მკურნალობისთვისაც. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სამკურნალო თვისებები აქვს მხოლოდ ჩილეში დამზადებულ „კაბერნეს“, ვინაიდან სწორედ იქ არის ანტიოქსიდანტების ყველაზე მაღალი კონცენტრაცია. ნაკლებ სამკურნალო აღმოჩნდა 1993 წლის ესპანური „მერლო“.

ცუდი მეხსიერება. მილანის უნივერსიტეტის პროფესორმა ალბერტო ბორტელიმ აღმოაჩინა, რომ წითელი ღვინო 7-ჯერ ზრდის ტვინის ზოგიერთი ფერმენტის აქტივობას. ისინი კი, თავის მხრივ, აღადგენენ მოშღილ ნერვულ უჯრედებს. მოარული ფრაზა, რომ მკვდარი ნერვული უჯრედების აღდგენა არ შეიძლება, ტყუილი გამოდგა. არსებობს შანსი, რომ აღდგეს აზროვნებისა და მახსოვრობის ნერვებიც.

ინსულტი. ტეხასის უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფი უსაფუძვლოდ არ თვლის, რომ ტვინის მუშაობის დარღვევის პროფილაქტიკის საუკეთესო საშუალებაა (ინსულტის დროს) კონიაკიანი ყავა. კოფეინი მაღლა სწევს წნევას, აღკოჰოლი აფართოებს სისხლძარღვებს, ხოლო ორივე ერთად აღადგენს მოქმედების კოორდინაციას 80%-ით.

დეპრესია. დანიელმა ექიმმა მორტენ გრონბეკმა, ცდილობდა რა დაედგინა სპირტიანი სასმელების ზემოქმედება, 12 ათასი პაციენტი გამოიკვლია, რის შედეგადაც დაადგინა, რომ ყველაზე უბედური ხალხი — ღუდის მოყვარულებია. მათ ყოველთვის დამძიმებული აქვთ გული, უხასიათობა სჩვევიათ. ხოლო სუფთა ყურძნის ღვინის მოყვარულები ბედნიერები არიან, ყოველთვის ჰარმონიას პოულობენ საკუთარ სულთან. ასეთი მდგომარეობის მისაღწევად საჭიროა დღეში 1-დან 5 ჭიქამდე მიღება.

ორგანიზმის დაბერება. ყურძნის მარცვლები შეიცავენ სიბერის საწინააღმდეგო ნივთიერებას — პოლიფენოლს, რაც 50-ჯერ ეფექტურია E ვიტამინზე და 25-ჯერ C ვიტამინზე. შემთხვევითი არ არის, რომ ბოლო დროს ღვინის მწარმოებლები „ბორდოსაგან“ გამაახალგაზრდავებელ კრემებსა და ლოსიონებს ამზადებენ.

...და ბოლოს, ღვიძლი.

სამწუხაროა, მაგრამ მეცნიერებამ, ჯერჯერობით, ვერ აღმოაჩინა ამ ორგანოზე დადებითად მომქმედი ალკოჰოლი.

ევეიჩ ემი №34

რა მივირთვათ, რომ არ გავოფლიანდეთ?

მთელი წლის მანძილზე მოუთმენლად ველით ზაფხულის მოსვლას და სამწუხაროდ, ამას მოჰყვება საშინელი ოფლის სუნი, მზის დამწვრობა, წყურვილი... ინგლისელმა ფიზიოლოგმა ანჯელა დოუდენმა განაცხადა, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ყველა „საოცრება“ შეიძლება გახდეს ნაკლებ მტანჯველი, თუ სწორად შევარჩევთ საკვებს. მივირთვათ კარტოფილი, მაკარონი, ბრინჯი, ფაფა, ხილი, მაწონი, რძე, ერთი სიტყვით, ნახშირწყლებით მდიდარი ნებისმიერი პროდუქტი, რომელიც ენერგიით მოგვამარაგებს. ბანანი, რომელიც მდიდარია კალიუმით, უნარჩუნებს ორგანიზმს სინოტივის ბალანსს. მწვანე ხილათა, ყვავილოვანი კომბოსტო შეავსებს კალციუმისა და რკინის ნაკლებობას. ორივე მინერალი ოფლთან ერთად გამოდის ორგანიზმიდან. თხილში შემავალი ცხიმოვანი მჟავები კანს გამოშრობისგან დაიცავს. ნუში მდიდარია მაგნიუმით, რომლის ნაკლებობამ სიცხეში შეიძლება გამოიწვიოს სპაზმები და კრუნჩხვები. წითელი ხახვი შესანიშნავი საშუალებაა ყვავილებისა და მზის ალერგიის პროფილაქტიკისათვის. აუცილებელია წითელი ხახვის ყოველდღიურ მენიუში შეტანა. ბიოიოგურტი, ბიოკეფირი ორგანიზმს შველის საკვებით მოწამვლის წინააღმდეგ ბრძოლაში, რაც არ არის იშვიათი ცხელ დღეებში.

ზაფხულში უარი უნდა ვთქვათ ცილებით მდიდარ საკვებზე, ვინაიდან პროტეინები გამოყოფენ დიდი რაოდენობით სითბოს. ცხარე სუნელი, მარილი მაქსიმალურად უნდა შევამციროთ, ვინაიდან მატულობს წნევის მომატების რისკი. კატეგორიულად იკრძალება სიცხეში ბევრი საკვების მიღება, სჯობს ხშირი კვება და ცოტა პროდუქტის მიღება. გაითვალისწინეთ, რომ ზაფხულში ნებისმიერი ფიზიკური შრომის შესრულება მოითხოვს ენერგიის გაცილებით ნაკლებ ხარჯვას, ვიდრე ზამთარში.

რა დავლიოთ? არაფერი, რაც შეიცავს კოფეინს — არც ყავა, არც ჩაი და არც კოკა-კოლა. თუ ვერ იკავებთ თავს, მაშინ აუცილებლად მიირთვით 2-3 ჭიქა სუფთა წყალი. ამ გზით თქვენ აღიდგენთ დაკარგული სითხის მარაგს — კოფეინი ხომ ორგანიზმის გაუწყლოებას იწვევს, ხანდახან კუჭის აშლილობასაც კი, ასევე აღკოჰოლი. ზემოჩამოთვლილი სასმელები სიცხეში ბალახეული ჩაით უნდა შეიცვალოს, ანდა ხილის წვენით. უბრალო ცივი წყალი ზაფხულში 8-12 ჭიქა მაინც უნდა დავლიოთ. დასავლეთში დღეს დიდი პოპულარობით სარგებლობს იზოტონური სასმელები. განსაკუთრებით სასარგებლოა მათთვის, ვინც ზაფხულშიც ფიზიკური ვარჯიშებს ასრულებს. ამ სასმელში შაქრისა და მარილის ბალანსირებული შემცველობა ორგანიზმს ხელს უწყობს სწრაფად და ეფექტურად აღიდგინოს ტენი. სახლის პირობებში მის მოსამზადებლად აუცილებელია 0,5 ლ ნებისმიერი ხილის წვენი გავაზავოთ იმავე რაოდენობის წყალთან და დავუმატოთ 1/5 ჩაის კოვზი მარილი. არცთუ გემრიელია, მაგრამ სასარგებლო.

პოსლედნე ნოვოსტი №23

ჯარა–ექიმი გვირჩევს

გაზებისგან გაგათავისუფლებთ: ერთმანეთში აურიეთ 120გ გვირილის ყვავილები, 80გ კატაბალახას ფესვები და 20გ კვლიავის თესლი. აიღეთ 1ს/კ ეს ნარევი, დაასხით 1ჩ/ჭიქა მდუღარე წყალი, დადგით 20 წუთი, შემდეგ გაწურეთ. შეგრილდება თუ არა, მიიღეთ დილით. ასევე მოიქეციით საღამოსაც და გაზებისაგან გათავისუფლდებით. ორი კვირის შემდეგ შეისვენეთ.

ხველებას შველის: 2-3 გარეცხილ ლეღვს დაასხით 1ჩ/ჭ რძე და ადუღეთ ნელ ცეცხლზე იმდენ ხანს, სანამ რძე არ გაყავისფერდება. ეს წამალი მეტად ეფექტურია და შველის არა მარტო ხველებას, არამედ აძლიერებს იმუნიტეტს, დაგეხმარებათ თავი დაანებოთ სიგარეტს. ამავე დროს უვნებელი და ძალიან გემრიელია. დალიეთ რძე და დააყოლეთ ლეღვი — 2-3-ჯერ დღეში ჭამასა და ჭამას შუა. ხველება გაგივლით ერთ კვირაში.

ორგანიზმიდან ქოლესტერინის გამოდევნა არც ისე ადვილი საქმეა. ყველაზე სასარგებლოა თბილი ძმრის, 1/2 ჩაის კოვზი ნივრის წვენისა და 3ჩ/კოვზი თაფლის ნარევი. თაფლიანი წამალი დალიეთ ყოველ დილით საუზმემდე.

ეს ნარევი ასევე სასარგებლოა კუჭ-ნაწლავის ტრაქტის გასასუფთავებლად, აუმჯობესებს და აძლიერებს იმუნურ სისტემას.

გასახდომად: დიეტოლოგებს ფსიქოლოგებმა ერთი საინტერესო რჩევა მისცეს: ჭურჭლის ფერი ზეგავლენას ახდენს მადაზე.

ცივი ფერები: მწვანე და ლურჯი, ასევე ღია ფერის მწვანე და ყვითელი, ნაცრისფერი და მუქი ყავისფერი აქვეითებს მადას.

თეთრი ნეიტრალური ფერია და — ისიც ამცირებს ჭამის სურვილს.

რაც შეეხება ნათელ, თბილ ფერებს — **წითელი, ნარინჯისფერი** — ზეგავლენას ახდენს ნერვულ სისტემასა და გრძნობათა ორგანოებზე, აძლიერებს მადას. იმის მიხედვით, თუ რამდენად დიდია გახდომის სურვილი — შეარჩიეთ საჭირო ფერის თეფში.

რადიკულიტს უძველესი დროიდან ებრძვის ადამიანი არყის კვირტებით: არყიან ბოთლში ნახევრამდე ჩაყარეთ არყის კვირტები, თავი მჭიდროდ დაახურეთ და დადგით 40 დღე. დროდადრო შეანჯღრიეთ, შედეგ 40 წვეთი გახსენით მცირე რაოდენობის წყალში და მიიღეთ დღეში 2-3-ჯერ. გაუზავებელ ამ ნაყენს იყენებენ დასაზელად.

ᲒᲔᲡᲢᲘ

ქრონიკული გასტრიტი

თანამედროვე გაუკუღმართებული კვებისა და მავნე ჩვევების ფონზე, ალბათ არც არის საკვირველი, რომ მკვეთრად იმატა კუჭ-ნაწლავის დაავადებებმა. მათ შორისაა ქრონიკული გასტრიტიც — კუჭის ლორწოვანი გარსის ქრონიკულად (გახანგრძლივებულად) მიმდინარე ანთება. მისი წარმოშობისა და განვითარების მიზეზები საბოლოოდ დადგენილი არ არის. ერთი კი ცნობილია: პათოლოგიის კლინიკური გამოვლინებები მჭიდრო კავშირშია კვების რეჟიმის დარღვევასთან, უხარისხო, მყარი საკვების მილებასთან, ალკოჰოლისა და ნიკოტინის ბორტად გამოყენებასთან. ალსანიშნავია მემკვიდრეობის როლიც.

გამოყოფენ ქრონიკული გასტრიტის ორ ფორმას:

1. კუჭის წვენის ნორმალური ან მომატებული გამოყოფით;
2. კუჭის წვენის შემცირებული წარმოქმნით.

მოცემული ტესტი ე.წ. ჰიპერაციდიულ გასტრიტს (პირველ ფორმას) შეესაბამება. 3-4 დადებითი პასუხის შემთხვევაში საფიქრებელია ქრონიკული გასტრიტის არსებობა.

მაშ, ასე:

1. საკვების მიღებიდან 15-30 წუთის შემდეგ კუჭის პროექციაზე ტკივილი აღინიშნება;
2. იშვიათად, ტკივილი შეიძლება საკვების მიღებიდან 2 საათის შემდეგ ან უზმოზეც წარმოიშვას;
3. დამახასიათებელია გულძმარვა;
4. ჭამის მადა ჩვეულებრივია, ან ზოგჯერ გაძლიერებული;
5. მიღებული სიმპტომები დიეტის დარღვევისას ძლიერდება (შემწვარი ხორცის, მწარე, მჟავე საჭმლის, გაზიანი ან ალკოჰოლური სასმელების მიღების შემდეგ);
6. სიმპტომები 1-2 სთ-ის განმავლობაშია გამოხატული და შესაძლოა სოდიანი, მინერალური წყლის, ჩაის ან მცირე საკვების მიღების ფონზე ჩაწყნარდეს;
7. კვების რეჟიმის დარღვევისას შეიძლება განვითარდეს ღებინება მჟავე მასებად;
8. არ აღინიშნება სეზონური გამწვავებები.

ურჩხულები მრავლდებიან



იაკუტიაში არის ერთი პატარა ტბა, ლაბინკირი. ამ ტბაზე საშინელი ხმები დადის. ახლომახლო სოფლების მცხოვრებნი ამტკიცებენ, — ლაბინკირში უბოროტესი ეშმაკი ბინადრობსო. თურმე, ურჩხული უზარმაზარია, დიდი, ნაცრისფერი თავი აქვს, ცეცხლოვანი თვალები. ტბა ზამთარ-ზაფხულ ყინულითაა დაფარული. ხანდახან ყინულის ზედაპირზე ვეება ჭრილი (მას სოფლელები „ეშმაკის სარკმელს“ ეძახიან) ჩნდება, მის მახლობლად — უზარმაზარი ცხოველის ნაფეხურები. ურჩხული არ ინდობს ძაღლებს — თავს აგლეჯს ხოლმე და იმით იკოკლოზინებს ყელს.

ტბებსა და მდინარეებში მობინადრე გველეშაპებზე მსოფლიოში უამრავი ლეგენდაა გავრცელებული.

პუერტო-რიკოს პატარა სოფლის, კამპოს მცხოვრებნი ეფიცებოდნენ ჟურნალისტებს, — ჩვენს სოფელს მფრინავი ურჩხული შემოეჩვია. იგი მწვანე კენგურუს ჰგავს, ზურგი მკვრივი ქერცლით აქვს დაფარული, წითელი თვალები კი ბნელსაც კვეთენო.

ურჩხულს, რომელსაც აქაურები ჩუკაბრასს ეძახიან, სოფელს ღამღამობით ეწვევა. თურმე, დამფრთხალ ძაღლებს დაერევა და თავებს აწყვეტს, ძროხებს და ცხვრებს — ყელს ღადრავს და მათ სისხლს ნთქავს.

მთელი ჩინეთი შეძრა ცნობამ — ხანას ტბის ურჩხული გაცოცხლდაო. იგი 1989 წელს ნახეს სტუდენტებმა. ურჩხული, თურმე, თავს ესხმოდა შინაურ ცხოველებსა და ფრინველებს, ტბაში ითრევდა და სანსლავდა. ცოტა ხნის წინ ეს საოცრება ყველას თვალწინ ამოცურდა ტბის ზედაპირზე.

შვედეთში, სტურშის ტბაშიც გამოჩენილა საშინელი გველეშაპი. ეს ახალი ამბავი არ არის. ამ საუკუნის დასაწყისში მთელი ევროპის პრესა შეშფოთებული იყო — ტბიდან ურჩხულები ამოდიან და ხალხს ჭამენო. მაგრამ რასაც შოტლანდიაში, ლოხ-ნესის ტბის ბინადარ უზარმაზარ ხვლიკზე ყვებიან, მართლაც რომ დაუჯერებელი და უცნაურია. ხალხს რომ აფრთხობდა, ეს ერთია, მაგრამ იმდენად თავხედი გამოდგა, რომ ტბის ზედაპირზე ამოცურდა, კარგა ხანს ინებივრა და დამკვირვებლებს ყველა რაკურსიდან სურათის გადაღების საშუალება მისცა. მკვლევარებმა ტბაში, 52 მ სიღრმეზე თუჯის ბადე-გალია ჩაუშვეს. ღრმა-ნესი შიგ გაება. მეცნიერებმა გულმოდგინედ დაათვალიერეს ეს საოცრება და განაცხადეს, — დარწმუნებული ვართ, რომ დედამიწის ბინადარი უკანასკნელი დინოზავრი დავიჭირეთო.

ლეგენდის თანახმად, ჩილეში დღემდე ცხოვრობს ისტორიამდელი ხვლიკი თეთრ ტბაში;

ავსტრალიაში, ვიატორეკას ტბაში ნახეს უზარმაზარი ურჩხული; ყაზახეთში, კოკ-კოლის ტბაში მწყემსები წააწყდნენ საშინელ არსებებს, რომლებიც წყალქვეშ მიათრევდნენ ცხოველ-ფრინველს.

ამბობენ, რომ მანიპოგის ტბაში (კანადა) მობინადრე გველეშაპი ძალიან ჰგავს იმ მონსტრებს, მილიონი წლის წინ რომ ცხოვრობდაო; კანადაშივე, ოგოპოგოს ღრმა წყალსატევში ცხოვრობს ისტორიამდელი ურჩხული, რომელსაც მუქი, კასრისებური ტანი, გრძელი კისერი და პატარა თავი აქვს.

ვოტ ტაკ №25

P.S. ***საგულისხმოა, რომ ერთმა ჩვენმა მკითხველმა გვითხრა, — ქართლში, მთის ტყიან მწვერვალზე მდებარე ბატეტის ტბაში ბინადრობს უცნაური, მუქი ნაცრისფერი, მცირე ზომის ცხოველი, რომელიც ძალიან ჰგავს გადაშენებულ დინოზავრებსო...***

ნახაცი საიდუმლოს ხვრის

როდესაც რაიმე მნიშვნელოვან საკითხზე ვფიქრობთ, ვინმეს ვუსმენთ, ხელი უნებლიეთ ხატავს. ერთი შეხედვით, თითქოს უაზრობაა, მაგრამ სინამდვილეში ამ ფენომენს ფსიქოგრაფიას უწოდებენ და უკვე 200 წელიწადია, შესწავლის საგანია.

ადამიანები დაუფიქრებლად ხატავენ ქაღალდის ნაგლეჯსა თუ რვეულის მინდორზე...

პარაფსიქოლოგების აზრით, ხელს არაამქვეყნიური ძალები მართავენ. მრავალი წლის კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ამ მოქმედების „რეჟისორი“ ტვინი ყოფილა. იხარჯება ენერგია, რომელსაც ხელმძღვანელობს ტვინის „ენერგეტიკული ბლოკი“. ფსიქოლოგები ირწმუნებიან, რომ ადამიანის ცნობიერება უსაზღვროა. ავტომატური წერის თუ ხატვის დახმარებით აღმოვაჩენთ ადამიანის საოცარ უნარს. ამიტომ უნდა მოუსმინოთ, რას გვირჩევს ჩვენი ქვეცნობიერება.

თუ ტანწვრილ და მოკლეტოტებიან ხეს ხატავთ, პესიმისტი ბრძანდებით, მსხვილტანიან და დაფოთლილ ხეს ენერგიული და სიცოცხლის მოყვარული ადამიანი ხატავს.

სახლს ხატავს — თავის თავში დარწმუნებული ადამიანი, უიმედო — კიბეს. ციფრების კორიანტელს დააყენებს ფულის მოყვარული; რვეულის კუთხეებში ყვავილი შენიშნეთ? — ე.ი. ვალებზე ფიქრობთ. მზე და ნათურა ადამიანის სიმშვიდეზე მეტყველებს. მართკუთხედები, სამკუთხედები და წრეები — მანიშნებელია იმისა, რომ ავტორს რთული პრობლემები აქვს გადასაწყვეტი. ვარსკვლავი დაიხატა? — დიდი ხნის საიდუმლოს აეხადა ფარდა: ოცნებობთ ფულზე, სიყვარულსა და მაღალ პოსტზე. მაგრამ ბავშვი თუ ავტომატურად ვარსკვლავებს ხატავს, მაშასადამე, იგი ეგოისტი და გულგრილია. ქალებს ძირითადად ადამიანის სახეები და ფიგურები გამოჰყავთ. მამაკაცებისთვის კი — გეომეტრიული ფიგურებია დამახასიათებელი. ავტომატური დაწერილობის პრინციპზეა აგებული ესპანელი ფსიქოლოგის ლოპიცას „მიოკინესთეტიკური ფსიქოდიაგნოსტიკა“. ექსპერიმენტის (თვალდახუჭული ხატვის) დროს სხვადასხვა ფიგურის უზომოდ გრძელი ფორმები ძლიერ ემოციურ აღგზნებაზე მიუთითებს, ზოგ შემთხვევაში კი დაფარული ნერვული დაავადების სიმპტომებზე მეტყველებს.

ფსიქოლოგები ავტომატური ნახატის მიხედვით არკვევენ ბავშვის ნერვული დაავადების მიზეზებს. მაგალითად, ბავშვმა თუ მოკლეხელებიანი კაცუნა დახატა, მას ახლობლის სითბო აკლია. მაგრამ კაცუნა თუ ძალზე გრძელხელებიანია, ე.ი. ბავშვში „ნაპოლეონის კომპლექსი“ მწიფდება: აიღოს ცხოვრებისგან ყველაფერი. ბავშვმა თუ ფეხებს ტერფები არ მიუხატა, ეს შიშის მანიშნებელია, ეშინია ვინმესთან შეხვედრისა. თუკი მის კაცუნას პატარა თავი და სხეული აქვს, მაშასადამე, ბავშვის გონება დამუხრუჭებულია.

შავი ფერის სიუხვე დეპრესიის მაჩვენებელია.

ახლო მომავალში პოლიკლინიკებში ანალიზებთან ერთად მოგთხოვენ თქვენი დაავადების დახატვას.

კომსომოლსკაია პრავდა №205

ამო სანაგვეზე გადააგდეს



რამდენიმე წელიწადი გრძელდებოდა ნლოს ნამსხვრევების ძებნა კალუგის რაიონში. ათზე მეტი ექსპედიცია ჯიუტად იჩხრიკებოდა სოფ. კორინოვოს შემოგარენში, რომლის მახლობლად, თვითმხილველთა მოწმობით, მოხდა კოსმოსური კატასტროფა. მიუხედავად დიდი ძალისხმევისა, ძიება უშედეგო აღმოჩნდა.

მაგრამ მოულოდნელად ჯართის მიმღებ პუნქტში აღმოაჩინეს დაღუპული ხომალდის დეტალები. თურმე, ჯერ კიდევ ორი წლის წინ, ამ მიდამოებში ბომჟები გამოჩენილან. შემთხვევით უპოვიათ ლითონის ნამსხვრევები, ალუმინი ჰგონებიათ და სასწრაფოდ დიდი საზღაურის იმედით, მიუტანიათ ჯართის მიმღებ პუნქტში, მაგრამ ქარხნებს დაუწუნებიათ და გარეთ გამოუყრიათ.

ამო დიდხანს ეყარა ქუჩაში, სანამ ვიღაცამ არ მოიფიქრა, შეემოწმებინა ლაბორატორიაში — შედეგი გამოაგნებელი გამოდგა. ნამსხვრევები საკმაოდ უცნაური და უცნობი შემადგენლობისაა და მეტალო-კერამიკას უფრო ჰგავს. შეიცავს დედამიწისათვის იშვიათ ელემენტებს.

სასწაულით გადარჩენილი ცივილიზაციის ნარჩენები ზარ-ზეიმით გადასცეს მეცნიერების წარმომადგენლებს.

მეგაპოლის-ექსპრესი №2

მუხლოვნება

ზალცბურგიდან 60 კილომეტრის დაშორებით, მთებში მდებარეობს ტოპლიცზეეს ტბა. იგი საკმაოდ ღრმაა, სიგრძე 2 კილომეტრამდე იქნება, სიგანე — 300-400 მეტრი. მნახველებს მაინცდამაინც არ იზიდავს.

...1945 წლის მაისის ერთ დღეს ტბასთან მყოფმა მეთევზემ რაღაც ქაღალდი დაინახა, რომელზე ამოუხსნელი ნიშნები იყო გამოყვანილი. მეთევზემ ბანკნოტს მიამსგავსა, გააშრო და ბად-აუსზუეს ბანკში მიიტანა, სანაცვლოდ საკმაოდ ბევრი ავსტრიული შილინგი მისცეს. მეთევზემ კიდევ რამდენჯერმე იპოვა ბანკნოტი, ისე რომ, ბოლოს და ბოლოს ბანკში აშშ-ის არმიის ოფიცერი დაახვედრეს...

მალე ცნობილი გახდა, რომ SS ტოპლიცზეეს თავისი საგანძურის შესანახად იყენებდა, ისიც ითქვა, ტბაშია ჩამარხული „ნიბელუნგების განძი“ და გერმანიის რაიხსბანკის ოქროს მარაგიო...

იმხანად ავსტრიის გზები ჯარისკაცებით იყო სავსე, ისინი ამერიკელთა მოწინავე ნაწილებს გაურბოდნენ და თან მიჰქონდათ ნაძარცვი. ამ ქაოსში ორი სატვირთო მანქანა ზალცბურგსა და ლინცს შორის აღმოჩნდა ჩახერგილი. როცა SS-ის კაპიტანმა, რომელსაც მათი დაცვა ევალებოდა, გაღწევის ყოველგვარი იმედი დაკარგა; ჯარისკაცებს უბრძანა, ერთ მანქანაზე დაწყობილი ყუთები მდინარეში გადაეყარათ. ორი კვირის შემდეგ ძლიერმა დინებამ ყუთებს თავი მოხადა და გაოცებულმა ავსტრიელებმა ინგლისური გირვანქა სტერლინგების მდინარეში მოცურავე ათასობით ბანკნოტი დაინახეს...

დაახლოებით იმავე პერიოდში ბადაუსზეედან მოვიდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ნაპოვნია ინგლისური სტერლინგებით დატვირთული მანქანა. მანქანაში მართლაც იყო ფული — 1 მილიონი გირვანქა სტერლინგი. ამერიკელების მიერ ჩატარებულმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ ეს მანქანა ნაწილი იყო ტოპლიცზეეს ტბასთან გამქრალი კოლონისა, თვითმხილველებიც გამოჩნდნენ, მათი თქმით, 1945 წლის აპრილში ესესელები წყალში ყრიდნენ ლითონის დიდ ყუთებს, რომლებსაც ეწერა — იმპერიის ტვირთი.

ამერიკელმა სამხედრო მეზღვაურებმა განძის ძებნა დაიწყეს, მაგრამ როცა ერთი მყვინთავი მკვდარი ამოიყვანეს, სამუშაოები შეწყდა. საოცარი იყო, მაგრამ ისინი, ვისაც რაიმე კავშირი ჰქონდა რაიხის ოქროსთან და ენას კბილი ვერ დააჭირა, დაიღუპნენ ან უკვალოდ გაქრნენ. მაგალითად, 1946 წელს ტოპლიცზეეში ორი ავსტრიელი პროფესიონალი კლდეზე მცოცავი ჩავიდა, მათ სურდათ რაიხენშტანის კლდიდან დაეთვალიერებინათ ტბა, მაგრამ ერთი მათგანი ჩამოვარდა, მეორე უკვალოდ გაქრა.

1959 წელს აკვალანგისტებმა, რომელთაც ყოველკვირეული გერმანული ჟურნალი „შტერნი“ აფინანსებდათ, ტოპლიცზეეს ტბიდან ორი ყუთი ამოიღეს, მათში 1935-37 წლების ყალბი ინგლისური ბანკნოტები იყო. ამან შუქი მოჰფინა ოპერაცია „ბერნგარდს“, ეს იყო უმსხვილესი აფერა ყალბი ფულის დიდი პარტიის გამოშვების დარგში, რაც მიმართული იყო ჰიტლერული გერმანიის ფინანსურ სისტემაში ქაოსის შესატანად.

ვარაუდობენ, რომ ტბაში ყალბი ბანკნოტების გარდა, ჩამარხულია გერმანიის საიდუმლო სამსახურის აგენტთა სია. ბევრი მათგანი დღეს ცოცხალია და დიდი თანამდებობაც უჭირავს. თავად ავსტრიაშიც ბევრ დიდჩინოსანს არ სურს ომისდროინდელი ამბების გამოაშკარავება. გარდა ამისა, შესაძლოა, ლითონის ყუთებში იდო შვეიცარიის ბანკის ანგარიშის ნომრები, რომლებიც ნაცისტების მიერ მიტაცებული ქონების საიდუმლოს ინახავენ.

სოვერშენო სეკრეტნო №6

ხრის თუ ხრა სიცოცხლე მახსზე?

სავსებით შესაძლებელია



არცთუ შორეულ წარსულში მარსის ზედაპირზე პლანეტის წიაღიდან გამომავალი ცხელი წყაროები იღვრებოდა. ამგვარ სენსაციურ დასკვნამდე მივიდნენ ნასას სპეციალისტები, რომლებმაც კოსმოსური რობოტის „მარს გლობალ სერვეიერ“-ის მიერ გამოგზავნილი სურათები შეისწავლეს. თუმცა „არცთუ შორეული წარსული“ შეიძლება ათასობით წლებით გაიზომოს.

მეცნიერები დიდი ხანია შეთანხმდნენ, რომ მარსზე იყო წყალი. მაგრამ მას შემდეგ, რაც ატმოსფერო გათხელდა, იგი მხოლოდ პოლარული ყინულისა და ატმოსფეროში ორთქლის სახით შენარჩუნდა. ახლანდელი აღმოჩენა ადასტურებს ჰიპოთეზას ყინულის პლასტების არსებობის შესახებ მარსის ზედა ფენებშიც. ოდესღაც მძაფრმა ვულკანურმა აქტივობამ გააღნო ყინული. ცხელმა წყაროებმა წარმოშვა ღრმა კანიონები და კრატერები, რომლებიც „გლობალ სერვეიერმა“ დაინახა ორბიტიდან.

„ეს გასაოცარია. ახლა გვაქვს რეალური შანსი, აღმოვაჩინოთ იქ სიცოცხლის ნიშნები“ — თქვა აშშ-ის მარსული საზოგადოების პრეზიდენტმა რობერტ ზუბრინმა. მიჩნეულია, რომ სწორედ ცხელი წყაროების ირგვლივ ისახებოდა სიცოცხლის პირველი ფორმები დედამიწაზე. აღმოჩენა მარსის ათვისების იმედს უსახავს დედამიწელებს. პლანეტის წიაღში არსებული წყალი ადამიანებს საშუალებას მისცემს, მიიღონ სუნთქვისთვის აუცილებელი ჟანგბადი და კოსმოსური ძრავებისთვის საჭირო წყალბადი.

კომსომოლსკაია პრავდა №112

ფირმა «გარანტი»

აწარმოებს ბრტყელი სახურავების, ღია აივნების, საცურაო აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებს იმპორტული მასალით, საუკეთესო ხარისხით. გარანტია — 10 წელი

ანგარიშსწორება ნებისმიერი ფორმით.

სამუშაოები სრულდება რესპუბლიკის ფარგლებში.

მის: ნერეთლის გამზ. №142, „სავთო ქივიის“ შენობა, მე-3 სართ, ოთახი 78

სარეალიზაციოდ გვაქვს იმპორტული ჰიდროსაიზოლაციო მასალები

☎ 34-05-52; 63-05-26; 877-43-85-69

ფირმების რეგისტრაცია

თარგმნა და გეჭდება

სწრაფად. იაფად

თავისუფლების მოედანი 7. ცეკავშირის შენობა. VI სართ. ოთ. 639

☎ 99-02-80; 899-53-91-91

ცნობილი მკურნალი ირინა ლომთათიძე თაობათა მანძილზე გამოცდილი ცნობარული ნაკლებით მკურნალობს:

- ბოტკინით დაავადებულებს;
- ორგანიზმში დაგროვილ სითხეს;
- პირის ღრუში უსიამოვნო სუნს;
- ფრჩხილების სოკოს; ყელის კატარს;
- ქავილი სხვადასხვა ადგილებში;
- ფრჩხილების ჩაბრუნება; ფეხების ოფლიანობა;
- თმის ცვენა, სებორეა; ბუასილი;
- ტროფიკული წყლული, წითელი ქარი

ვეფხვი გარანტირებულია ! ღრიდან. მკურნალობის კურსი 5-10 დღიანია აღგილზევე ხდება კომპიუტერული დიაგნოსტიკური გამოკვლევები მაღალ დონეზე. ფასი 40 ლარი.

მის: აღმაშენებლის გამზ. №115, „ფანასკერტელი“. ირინა ლომთათიძის აუთიაჯი. ს: 77-68-50 (საღ.); 899-51-76-08

თენგრის რჩეულის დიდი იმპერია

იმ დროს, როცა მომავალი ჩინგის-ხანი დაიბადა, ერთერთი ვერსიის თანახმად 1155 წელს, მეჯოგე-მომთაბარე მონგოლთა დაქუცმაცებული ტომები ხშირად ებრძოდნენ ერთმანეთს. ჭაბუკობაში დაკარგა თემუჩინმა (რაც „მჭედელს“ ნიშნავს) მამა და იძულებული გახდა, დედასა და ძმებთან ერთად მტრული კლანების დევნას დამალვოდა. პირველი სისხლი მან საკუთარ იურტაში დაღვარა, როცა მოკლა თავისი ნახევარძმა, რომელიც ოჯახის უფროსობას ეცილებოდა. მონღოლის თაობაზე საკმაოდ მაღალი, ღონიერი, ფართოშუბლიანი თემუჩინი 16 წლისა იყო, როცა ულამაზესი ბორტე შეირთო („ლაჟვარდოვანი“). მზითევი, სიასამურის ქურქი, მან მამის ძმობილს, თოგრულუ ხანს აჩუქა. გულუხვმა ძღვენმა გაამართლა: როცა მოქიშპე ტომის მეომრებმა, თემუჩინის კლანის ძველმა მტრებმა, მისი ახალგაზრდა ცოლი გაიტაცეს, თოგრულუსა და მის მეომრებთან ერთად დაეწია მომხდურს, ბორტეც დაიბრუნა და დიდი ნადავლიც წამოიღო. გამარჯვებით მთვრალი თემუჩინი გარშემო მამაც მეომრებს იკრებს. მხეცური სისასტიკით ან არნახული გულუხვობით იმსახურებს იგი თავისი მსახურებისა და თანამოსაგრეების ერთგულებას. თემუჩინმა მთელ სტეპში გაითქვა სახელი, როგორც მამაცმა, იღბლიანმა და თავის მეომრებზე მზრუნველმა წინამძღოლმა. როგორც მგელი მიუძღვის თავის ხროვას, ისე მიჰყავდა თავისი მებრძოლები გამარჯვებისაკენ, რისთვისაც ნადავლის საუკეთესო წილი მას ერგებოდა. მის ბანაკში სულ უფრო იზრდებოდა იურტათა და შეიარაღებულ მხედართა რიცხვი. 1203 წელს თემუჩინი იპყრობს აღმოსავლეთ, ხოლო სამი წლის შემდეგ კი დასავლეთ მონღოლეთს და ქვეყანას თავისი ძალაუფლების ქვეშ აერთიანებს.

1206 წელს თემუჩინი მონღოლეთის ხანი ხდება. მიიღო რა სახელი ჩინგისი (ერთ-ერთი მნიშვნელობით „ოკეანის გამგებელი“), მან შექმნა მობილური და დისციპლინებული არმია, რომელშიც მთავარი ადგილი ცხენოსან ჯარს ეკავა. ჯარის საფუძველი იყო საბრძოლო ერთეული — ათასკაციანი რაზმი, რომელიც იყოფოდა ასეულებად, იგი კი, თავის მხრივ, ათეულებად. თუკი რომელიმე მებრძოლი დეზერტირობას გაბედავდა, მის ცხრა მეგობარს ხმლით ცემა არ ასცდებოდა. ასე ინერგებოდა კოლექტიური პასუხისმგებლობა.

თითოეულ მხედარს რამდენიმე სათადარიგო ცხენი ჰყავდა ზოგიერთს 30-ც კი. მეომრის აღჭურვილობა გამოირჩეოდა სისადავით: ორი კაპარჭი (საისრე) 60-60 ისრით, ზოგჯერ მოღუნული ხმალი, შუბი. ჯავშანი ნაკლებად ჰქონდათ — მონღოლები ფარს ამჯობინებდნენ. მას ან უნაგირზე აბამდნენ, ან ზურგზე იკიდებდნენ. ამგვარად ფარი იცავდა მეისრეს, როცა იგი ბრძოლის ველიდან გაქცევის იმიტაციას ახდენდა. სინამდვილეში ეს ცბიერი მანევრი იყო, რაც თავ-გზას უბნევდა მოწინააღმდეგეს: უკუგდებული მეისრეები უნაგირში უკუღმა ჯდებოდნენ და ისრებს ისროდნენ. მსუბუქი აღჭურვილობა, დასავლელ მებრძოლთა მძიმე ეკიპირებასთან შედარებით, ჩინგის-ხანის ცხენოსნებს ხანგრძლივი გადაადგილების და მანევრირების საშუალებას აძლევდა. ამავე დროს, ხანი იყენებდა მძიმე კავალერიასაც, ჯავშანაღჭურვილ მხედრებს, რომლებსაც შეეძლოთ მოწინააღმდეგის დაცვის გარღვევა.

თავისივე ცხენების მსგავსად დაბალი, უპრეტენზიო და ამტანი მონღოლი მხედრები კმაყოფილდებოდნენ შებოლილი ხორცით, მაგარი ყველით, კუმისით და ყოველივე ამის ჟქონლობისას — ცხენის სისხლით, რომელსაც ისინი პირდაპირ ცხოველის გადახსნილი ვენიდან სვამდნენ. მათ რამდენიმე დღის მანძილზე შეეძლოთ ყოფილიყვნენ უჭმელი და უძინარი, გაუჩერებლად მიიწევდნენ წინ რამდენიმე დღე-ღამის განმავლობაში და ჩნდებოდნენ იქ, სადაც მათ არავინ ელოდა. მებრძოლები არ იღებდნენ არავითარ საფასურს, მაგრამ ნადავლს კი მკაცრად იყოფდნენ; მესამედი — მეომარს, მესამედი — მეთაურს, მესამედი — ხანს.

ჩინგის-ხანმა უამრავი ეშმაკური სამხედრო ხრიკი მოიფიქრა, რათა მოწინააღმდეგეზე უზარმაზარი არმიის შთაბეჭდილება მოეხდინა — იგი ათასობით მანეკენს სვამდა სათადარიგო ცხენებზე; ბანაკებში ათჯერ მეტ კოცონს ანთებინებდა, ვიდრე ეს მის მეომრებს ესაჭიროებოდათ. მხედართმთავარი იმგვარ შთაბეჭდილებას ქმნიდა, თითქოს ძირითადი ძალები ცენტრში იყო მოქცეული, როცა იქ სინამდვილეში მონღოლებად გადაცმული ტყვეები იმყოფებოდნენ. ჩინგის-ხანმა შენიშნა, რომ ქალაქების აღება ალყით უფრო მოსახერხებელია, ვიდრე მოწინააღმდეგის ჯართან პირისპირ შებმა. მას მოსწონდა ალყაში მოქცევა, რადგან მისი თქმით, „ამ დროს მტერი მიმწყვდეულ ცხვრის ფარას ემსგავსება“.

მონღოლურმა ურდოებმა დაიპყრეს აღმოსავლეთ თურქისტანი, სემირეჩიე, მავერანახრი და ავღანეთი, შტურმით აიღეს პეკინი, ოტრარი, სამარყანდი, ბუხარა და ურგენჩი. 10 ათასი მეომრით ალყაშემორტყმული ხორეზმის დაცემას თან ახლდა სისხლისღვრა, რომელმაც თავისი შემზარავი მასშტაბებით ჩინგის-ხანის სხვა გამარჯვებათა საშინელებას გადააჭარბა. იმათ, ვინც წინააღმდეგობის გარეშე დანებდა, ცოცხალ ფარად იყენებდნენ. დანარჩენებს კლავდნენ; მკვდრებს მუცელს უფატრავდნენ, რათა გადაყლაპული ძვირფასეულობა ამოეღოთ. დაღუპა არა მხოლოდ ქალაქები, არამედ ოაზისები, ვენახები, მინდვრები — ყველაფერი განადგურდა და გადაიბუგა. სისხლის მდინარეები წითლად მიედინებოდა... ამ კამპანიის გვირგვინად იქცა ფანტასტიკური, 8.000 კილომეტრიანი საცხენოსნო რეიდი, რომელიც დაიწყო ჯებესა და სუბედაიდან და გაიარა სპარსეთი, კავკასია, ყივჩაღთა სტეპი და რუსეთის სამხრეთამდე მიაღწია. თავის გზაზე იგი ყველაფერს აოხრებდა და ძარცვავდა.

მხედართმთავრის ნიჭიერება, ჩინგის-ხანში შერწმული იყო სახელმწიფო მოღვაწის ტალანტთან. მისი უდრეკი ნებისყოფის შერყევა არ შეეძლო არც წარუმატებლობას, არც ტყუილს. ჩინგის-ხანის დიადი იდეა ემყარებოდა პოსტულატს: „როგორც ერთია ღმერთი ზეცაში, ასევე ერთი ხანი უნდა მართავდეს დედამიწას“. მან შეიმუშავა კანონთა სისტემა — იასუ — და თავის ქვეშევრდომთათვის შემოიღო დამწერლობა, მან შექმნა ჩინურის მსგავსი საფოსტო სადგურის სისტემა, სადაც ყოველთვის იდგა სათადარიგო ცხენები, რაც საშუალებას აძლევდა ხანს, გაევრცელებინა თავისი ბრძანებები იმპერიის ნებისმიერ წერტილში... შუა აზიასა და სპარსეთში გასული საუკუნის ბოლომდე შემორჩა მონღოლების მიერ შემოღებული მრავალი თანამდებობა და დაწესებულება.

ჩინგის-ხანი თავს ზეციური სულის, თენგარის რჩეულად მიიჩნევდა ანუ უკვდავად. ერთმა ჩინელმა ბრძენმა შეძლო მისი გადარწმუნება. მას შემდეგ ხანი უფრო წყნარი ცხოვრებისკენ მიიდრიკა, იგი ოცნებობდა სიცოცხლე საკუთარ იურტაში დაესრულებინა, შვილიშვილებითა და თავისი ჯოგით გარშემორტყმულს, მაგრამ ამას მოულოდნელად ხელი შეუშალეს თანგუტებმა (ტომია), რომლებმაც ჟღალატეს და იმ დროს დაარღვიეს შეთანხმება მოკავშირეობის შესახებ, როცა მონღოლთა მრავალრიცხოვანი არმია შუა აზიის დასაპყრობად დაიძრა. თავისი ბოლო ლაშქრობისას ჩინგის-ხანი ცხენიდან ჩამოვარდა. მიუხედავად ტკივილებისა, მან ლაშქრობა განაგრძო. ჩინგის-ხანი შინა სისხლის ღვრით გარდაიცვალა 1227 წელს, თანამედროვე ჩინეთის აღმოსავლეთით.

გეო №11

სან-ფრანცისკოელი მეოცნებე

ქალიშვილები ჟურნალებიდან ჭრიდნენ მის ფოტოებს, გამომცემლები ერთმანეთს ექიშპებოდნენ მისი ხელნაწერების გამოცემის უფლების მოსაპოვებლად. ინტელექტუალები ერთერთ ყველაზე საინტერესო მოსაუბრედ მიიჩნევდნენ. მასთან შინ მისულმა მოხეტიალეებმა კი იცოდნენ — ჯეკი აუცილებლად გაუმასპინძლდებოდა ერთი ჭიქა ვისკით ... მთელი ცხოვრება უყვარდათ იგი და მთელი ცხოვრება არ ტოვებდა მარტოობის შეგრძნება.

იქნებ იმიტომ იყო ასე, რომ მშობელმა მამამ შვილად არ ცნო? ან იქნებ იმიტომ, რომ შეყვარებულის დედამ არ ისურვა მისთვის შვილი ეწოდებინა. ან იქნებ, იმიტომ, რომ ვაჟი, რომლის ყოლაც ასე უნდოდა, ღმერთმა არ მისცა.

...16 წლის ჯეკს თავისი პატარა ნავი ჰყავდა და უფროსებთან ერთად ეწეოდა ძნელი ცხოვრების ჭაპანს. ვისკის დიდი კაცივით სვამდა, ჩხუბობდა, ისეთ კუნპეტ ღამეში გადიოდა ზღვაში ნავით, როცა სხვებს, მასზე ბევრად უფროსებს, ამის წარმოდგენაც კი არ შეეძლოთ. ეს ბიჭი დიდხანს ვერ იცოცხლებს, არადა კარგი კაპიტანი დადგებაო, — ამბობდნენ ოკლენდელი მამაკაცები.

ჯეკის ყველაზე დიდი გატაცების შესახებ თითქმის არავინ იცოდა. რადგან საათობით იყო ხოლმე კაიუტაში ჩაკეტილი და კითხულობდა.

გაბედული ბიჭი იყო ჯეკ ლონდონი, ძალიან უყვარდა ზღვა და შესაძლოა მთელი ცხოვრება მეზღვაური ყოფილიყო, რომ არა ოცნება, რომელიც სულ თან სდევდა. ჯეკს მწერლობა უნდოდა და სჯეროდა, რომ დიდი მწერალი გახდებოდა. მანამდე კი დიდი გზა იყო გასავლელი.

ჯეკი გზის რაინდი გახდა, მთელი ამერიკა მოიარა, ხან ვაგონის სახურავზე ეძინა, კიბეზე ჩამოკიდებულსაც უმგზავრია, მშიერ-მწყურვალი, მსმენელს ყოველთვის პოულობდა, უყვებოდა თავისივე შეთხზულ ისტორიებს და საჭმელს შოულობდა. 19 წლის ჯეკი ისევ დედასთან დაბრუნდა ოკლენდში, როგორღაც კოლეჯი დაამთავრა და კალიფორნიის უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. იმ პერიოდში შეუყვარდა თანაკურსელი, ინტელიგენტური ოჯახის შვილი — მეიბლ ეპლგარტი, იგი კარგად უკრავდა ფორტეპიანოზე და ცხოვრებაში არასოდეს გაერეცხა ჭურჭელი. ქალიშვილი საყოველთაო თანასწორობის იდეით იყო შეპყრობილი. მეიბლის ძმას ძალიან მოსწონდა კარგი შესახედაობის ჯეკი, რომელიც ძალიან ბევრს კითხულობდა და გამჭრიახი გონებაც ჰქონდა. ზოგჯერ მათ საუბრებს მეიბლიც უერთდებოდა და ჯეკი მაშინ განსაკუთრებით მჭერმეტყველებდა. არც მეიბლ ეპლგარტი გახლდათ გულგრილი მდაბიური წარმოშობის ჯეკ ლონდონის მიმართ (ლონდონი მამინაცვლის გვარი იყო, რადგან ნამდვილმა მამამ გვარის მიცემა არ ისურვა და დაბეჯითებით არც არავინ იცოდა, ვინ იყო). მეიბლს იზიდავდა მისი მამაკაცური ძალა, რაც ქალიშვილს თავისი წრის ყმაწვილკაცებისთვის არ შეუმჩნევია. ჯეკმა მასაც აუწყა — მწერალი გავხდებიო და მეიბლი პირველი იყო, ვისაც არ გასცინებია. თუმცა არსებობდა კიდევ ერთი ქალი, რომელსაც სჯეროდა ლონდონის ნათქვამი. ეს დედამისი — ფლორა იყო. ალასკაზე ოქროს საძიებლად წასულ შვილს დაბრუნებისთანავე უთხრა — გაზეთი კონკურსს აცხადებს საუკეთესო მოთხრობაზეო. ჯეკმა მოთხრობა გაგზავნა და გაიმარჯვა! მწერლური შრომით იშოვა რამდენიმე დოლარი. მიხვდა, რომ ის, რაც ამდენი ხეტიალის დროს დაუგროვდა, ფურცელზე უნდა გადაეტანა, დღეში 100 გვერდს წერდა, ოჯახის ბიუჯეტის დიდი ნაწილი ქალაქდზე და კონვერტებზე იხარჯებოდა, ჟურნალის რედაქციები ხელნაწერს უკან უბრუნებდნენ. ჯეკი კვირაში ერთხელ სადილობდა მეიბლის სახლში, მაგრამ არავის უნდა შეემჩნია, რომ ჯეკი მთელი კვირის მშიერი იყო. სასოწარკვეთილი უკვე თვითმკვლელობაზე ფიქრობდა, როცა ერთმა ცნობილმა ჟურნალმა მისი მოთხრობა გამოაქვეყნა. ერთს მეორე მოჰყვა. მეორე დღეს, მთელი ამ წლების განმავლობაში პირველად, ჯეკ ლონდონმა თავს ნება მისცა მეიბლისათვის ეკოცნა. მერე ცოლობაც სთხოვა და თანხმობა მიიღო. იმედი ჰქონდა, რომ ერთი წლის განმავლობაში იმდენად პოპულარული მწერალი გახდებოდა, რომ სახსარი გაუჩნდებოდა და ცოლის შერთვას შეძლებდა: ყველაფერი კი სრულიად სხვაგვარად წარიმართა. 5 გამოქვეყნებულ მოთხრობაში სულ 20 დოლარი გადაუხადეს. არნახული ჰონორარები, გამომცემელთა ბრძოლა მისი ხელნაწერების ხელში ჩასაგდებად, საკუთარი გემის მშენებლობა — ეს ყველაფერი იყო, მაგრამ გაცილებით გვიან.

ჯეკის და მეიბლის ნიშნობა ჩაიშალა. ჯეკს კვლავაც უყვარდა, დღეში 40კმ-ს ველოსიპედით მგზავრობდა, რომ მისთვის თვალი მოეკრა, მაგრამ სამსახური არ უძებნია, როგორც ამას მეიბლი ურჩევდა, არც წერისთვის დაუნებებია თავი, თუმცა მეიბლი იმასაც ეუბნებოდა დიდი ვერაფერი მწერალი ხარო. მერე ჯეკმა თანდათანობით ისიც შენიშნა, რომ ღამაზი, კარგად აღზრდილი გოგონები სიამოვნებით ეცნობოდნენ და სულაც არ ერცხვინებოდათ მასთან მეგობრობა. ჯეკმა ცოლად მეიბლის მეგობარი შეირთო იმიტომ, რომ ქალს უყვარდა მისი მოთხრობები. ბესიმ მას ორი ქალიშვილი გაუჩინა. ჯეკი კი ყოველთვის ვაჟზე ოცნებობდა... რამდენიმე წლის შემდეგ ბესის გაშორდა და ჩარმიანი შეირთო, სიყვარულის გამო კი არა, იმიტომ, რომ ბესიმ თავი მოაბეზრა. არც ჩარმიანს გაუჩენია მისთვის ვაჟი. ჯეკი მასთანაც აპირებდა გაყრას. 41 წლის სახელგანთქმულმა მწერალმა თავი მოიკლა, მორფინის სასიკვდილო დოზა მიიღო.

მეიბლ ეპლგარტი არ გათხოვილა, არც არავინ შეჰყვარებია. ჩარმიანი ერთხელ „მარტინ იდენის“ საჯარო კითხვის საღამოზე შეხვდა. გამხდარი, სათნო და სევდიანი მეიბლი მეხუთე რიგში იჯდა, უსმენდა თავისი სიყვარულის ისტორიას და ტიროდა.

კარავან

მზვერავმა კალამს მოჰკიდა ხელი

პატარა ოთახს, სადაც სპეცსამსახურების შეფებს მოეყარათ თავი, სტეფლა რიმინგტონი კარგად იცნობდა. 1992-1996 წლებში ის ედგა სათავეში ბრიტანეთის კონტრდაზვერვას MI-5, მისი კაბინეტიც სწორედ აქ იყო. რიმინგტონი ახლა მემუარების გამოქვეყნებას აპირებს. ასეთი რამ ბრიტანეთის დაზვერვაში ჯერ არ მომხდარა.

ბრიტანეთის სპეცსამსახურების თავკაცები სერიოზულად შეაშფოთა იმან, რომ მათ ყოფილ კოლეგებს მეტად „საშიში სენი“ შეეყარათ — კალამს მოჰკიდეს ხელი. ის კი არა, ზოგიერთი საიდუმლო ოპერაციების გამჟღავნებასაც კი აპირებენ.

ამიტომაც ატყდა ასეთი აურზაური, 64 წლის სტელა რიმინგტონის ჯერ გამოუქვეყნებელი მემუარების გარშემო. სტელა გაერთიანებული სამეფოს ისტორიაში ერთადერთი ქალია, რომელიც დიდი ბრიტანეთის ორი უმნიშვნელოვანესი სპეცსამსახურებიდან ერთ-ერთს ხელმძღვანელობდა.

...სტივენ ლანდერის, MI-5-ის ახალი შეფის მაგიდაზე (რომელსაც ოდესღაც რიმინგტონი უჯდა) ხელნაწერის ასლები იდო. 3 საათიანი დისკუსიის შემდეგ, მისმა მონაწილეებმა წიგნის შინაარსთან დაკავშირებით საერთო აზრი ვერ გამოიტანეს. მაგრამ ოპონენტთა უმეტესობამ (მათ შორის მთავრობის დიდი მოხელეებიც იყვნენ) რიმინგტონის განზრახვა ღამის ღალატად მიიჩნია. მინისტრთა კაბინეტის ერთ-ერთი წარმომადგენლის აზრით, მემუარების შინაარსი თავისი ინტერესებისთვის შეიძლება გამოიყენონ ძებნაში მყოფმა ორმა თანამშრომელმა — დევიდ შეილერმა და რიჩარდ ტომლინსონმა. ოფიციალური ლონდონი სახელმწიფო საიდუმლოს გამხელისთვის მათ პასუხისმგებაში მიცემას აპირებს. თუმცა ფართო საზოგადოებრიობისთვის ცნობილი არ არის, სად იმყოფებიან ისინი, ან რა საიდუმლო გაამხილეს.

თავად სტელა რიმინგტონი, რომელმაც დაზვერვაში 27 წელი იმუშავა, ცდილობს, სპეცსამსახურების ახლანდელი ხელმძღვანელობა დაარწმუნოს, რომ არანაირი საიდუმლოს გამჟღავნებას არ აპირებდა. ისინი, ვინც ხელნაწერის გადაფურცვლა მოასწრო, ირწმუნებიან, საიდუმლო აგენტების სახელებს და ოპერაციების აღწერას მემუარებში ვერ იპოვითო. სამაგიეროდ, და სწორედ ეს არის თავიდათავი, ხელნაწერი შეიცავს ინფორმაციას მეთოდიკის თაობაზე. „ბევრი დეტალი შეიძლება უაღრესად საინტერესო იყოს დიდი ბრიტანეთის მტრებისთვის, — განაცხადა სპეცსამსახურების ერთ-ერთმა ექსპერტმა. მემუარების გამოქვეყნების მოწინააღმდეგეებმა სახელმწიფო საიდუმლოს გამჟღავნებისათვის რიმინგტონის დასპატიმრებაც კი მოითხოვეს.

პირველად სტელა რიმინგტონზე 1991 წელს ალაპარაკდნენ, როცა ცნობილი გახდა, რომ იგი ბრიტანეთის სპეცსამსახურის მორიგი ხელმძღვანელი გახდებოდა. მისი ფოტო სწორედ მაშინ გამოჩნდა პრესაში პირველად, მანამდე სპეცსამსახურის ხელმძღვანელის ფოტო არასოდეს გამოქვეყნებულა.

სტელამ ოქსფორდის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ თავი გამოიჩინა როგორც კარგმა არქივარიუსმა. 1963 წელს დიპლომატ ჯონ რიმინგტონს გაჰყვა ცოლად და მასთან ერთად ინდოეთში ბრიტანეთის საელჩოში სამუშაოდ გაემგზავრა. იქ დაწყო მისი, როგორც მზვერავის, კარიერა — იგი რეზიდენტის თანაშემწედ მუშაობდა. ლონდონში დაბრუნების შემდეგ კი MI-5-ის შტატიანი თანამშრომელი გახდა. სამსახურებრივ კიბეს საკმაოდ სწრაფად დაიპყრო. ხელმძღვანელობდა აგენტთა ქსელს, რომელიც სუკ-ის, აღმოსავლეთ ევროპის დაზვერვის, აგრეთვე ირლანდიის იატაკქვეშა რესპუბლიკური არმიის წინააღმდეგ მუშაობდა. თავის დროზე სტელამ დაჰკითხა ჯენ კეირნკროსი, რომელიც მოსკოვს გადასცემდა მონაცემებს ინგლისის ბირთვული პროექტის თაობაზე. როცა MI-5-ის ხელმძღვანელი პატრიკ უოლოკერი პენსიაზე გადიოდა, თავის ადგილზე სწორედ გამჭრიახი და ენერგიული სტელა დატოვა.

ბერლინის კედლის დაცემამ ბრიტანეთის საზოგადოების წინაშე კანონზომიერად წამოჭრა საკითხი: საჭიროა თუ არა, საერთოდ კონტრდაზვერვა? ასეთ ვითარებაში რიმინგტონის დანიშვნამ მნიშვნელოვანად შეცვალა MI-5-ის სახე. სტელა, როგორც კონტრდაზვერვის ხელმძღვანელი, ხშირად გამოდიოდა ტელევიზიით, კითხულობდა ლექციებს სასწავლო დაწესებულებებში, ბეჭდავდა სტატიებს. 1995 წლისთვის ბრიტანელებმა შეიცავალეს აზრი კონტრდაზვერვაზე. გავიდა დრო და სტელა რიმინგტონმა რატომღაც მმართველი წრეების ნდობა დაკარგა, ალბათ თავისი მოურიდებელი ხასიათის გამო. იგი გადააყენეს.

მემუარების ირგვლივ ატეხილ ახლანდელ სკანდალთან დაკავშირებით ინგლისელთა წინაშე წამოიჭრა საკითხი — რატომ მოინდომა რიმინგტონმა წიგნის გამოცემა? ფული არ უჭირს — კარგი სახელმწიფო პენსია აქვს (მისი წლიური ხელფასი 90 ათასი გირვანქა სტერლინგი იყო).. სავაჭრო კომპანიათა „მარკს ენდ სპენსერის“ დირექტორთა საბჭოს წევრია... ერთ-ერთმა გამომცემლობამ მემუარებში მილიარდი გირვანქა სტერლინგი შესთავაზა...

რით დამთავრდება მემუარებთან დაკავშირებული ამბავი? ალბათ, არ დაბეჭდავენ. ინფორმაციის „გაჟონვის“ შიშით ბრიტანეთის სპეცსამსახურებმა გაანადგურეს 10 ასლიდან 9. ერთადერთი ასლი კი საგანგებოდაა შენახული.

ეხო პლენეტი №23

კოსმოსური სექსის მსხვერპლნი

ორბიტაზე ადამიანის რეპროდუქციული სფეროს კვლევის დასაწყისი კოსმოსში პირველ პილოტირებულ ფრენებს განეკუთვნება. მეთორმეტე ადამიანს კოსმოსში — ვალენტინა ტერეშკოვას, რომელმაც 3 დღე-ღამე გაატარა „ვოსტოკ-6“-ის ბორტზე — საცდელი კურდღლის საშინელი ხვედრი არგუნეს. 60 საათი კოსმოსში, მრავალჯერადი გადატვირთვა, უწონადობა — როგორ იმოქმედებს ყოველივე ეს ქალის ორგანიზმზე? შეძლებს თუ არა იგი, ფრენის შემდეგ, შეასრულოს ცოლისა და დედის მარადიული მოვალეობა? იდეალისტმა კოროლიოვმა გრანდიოზული ექსპერიმენტი წამოიწყო — წარმატებით დასრულებული გაფრენის შემდეგ შედგა ტერეშკოვასა და ანდრეი ნიკოლაევის „ვარსკვლავური ქორწინება“. 35 წლის ჩუვაში კოსმონავტისა და ვალენტინას ერთობლივი ცხოვრება, რომელიც სულ რამდენიმე წელს გაგრძელდა და უხმაუროდ დაირღვა, კოშმარი იყო — ყოველკვირეული სამედიცინო დაკვირვებებით, ტესტებით, ანალიზებით. 1966 წელს ქალიშვილის, ელენეს დაბადებამ სასურველი სიხარული ვერ მოუტანა წყვილს: პრაქტიკულად ჯანმრთელი ბავშვი სრულწლოვანებამდე კლინიკებში იმყოფებოდა — გრძელდებოდა კვლევები.

ციოლკოვსკის ერთგული მოწაფე კოროლიოვი ამერიკელებზე ადრე ცდილობდა მოეხდინა მთვარეზე გაფრენა. 1965-ში, გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე, იგი გეგმავს, გაუშვას მთვარის გარშემო კოსმოსური ხომალდი „ვოსხოდი“ სამი კოსმონავტით, რომელთა შორის უნდა ყოფილიყვნენ ტერეშკოვას მეგობარი ლუდმილა ტოკოვა და მისი ქმარი — ხომალდის მეთაური. ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ ცოლ-ქმარს იმ დროისათვის წარმოუდგენელი ექსპერიმენტი უნდა ჩაეტარებინათ — კოსმოსში ჩასახვა. კოროლიოვი ოცნებობდა შორეული პლანეტებისა და მთვარის ადამიანებით დასახლებაზე. ახალი თაობა კოსმოსში უნდა ჩასახულიყო.

მაგრამ ეს გაფრენა არ შედგა. კოროლიოვის გარდაცვალებამ და მის ადგილას გლუშკოს მოსვლამ დაასრულა სექსუალურ-კოსმოსური ეიფორიის პირველი ეტაპი. კოსმოსური ოჯახის წევრთა ბედი ტრაგიკული აღმოჩნდა. ლუდმილამ ვერ იხილა დედამიწა კოსმოსიდან, კოსმონავტი ტოკოვი კი საავიაციო ცდების დროს დაიღუპა.

ექსპერიმენტი 1973 წელს განახლდა, ავარიების კოშმარული ხუთწლედის შემდეგ. სანფრანცისკოს 1985 წლის კოსმოსური ბიოლოგიის საკითხებისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმის მონაწილე ვიქტორ კალინიჩენკო 5 წლის წინ ყვებოდა:

კლიმუკი და ლებედევი, რომლებიც ერთი კვირის მანძილზე იმყოფებოდნენ ორბიტაზე, ცდილობდნენ მიეღოთ და გამოეკვლიათ ეაკუულატი. ბუნებრივია, ყველაფერს ვერ გიამბობთ, მაგრამ ერთს ვიტყვი — ბიჭები სამუშაოს იუმორით ეკიდებოდნენ და თუ ყველაფერი არ გამოსდიოდათ, იმედს არ კარგავდნენ...

იმედს კარგავდნენ მედიკოსები. ადამიანის ჩასახვა კოსმოსში შეუძლებელი აღმოჩნდა ხელოვნური გრავიტაციის შექმნის გარეშე. სპერმატოზოიდები გაცილებით ცუდად იქცეოდნენ, ვიდრე ორგანიზმის ალკოჰოლური მოწამვლის დროს — მთლიანად დარღვეული იყო

მათი მოძრაობის უნარი. გაყინული ეაკულატი, რომელიც დედამიწაზე სპეციალური აპარატით ჩამოდიოდა, შეჰყავდათ კოსმონავტების ცოლების საშვილოსნოში, მაგრამ დადებითი შედეგის გარეშე.

80-იანი წლების ხანგრძლივი ექსპედიციები „საღიუტ-7“-სა და „მირ“-ზე ძველებური აზარტის გარეშე განაგრძობდა ცდებს — როგორც სამეცნიერო პროგრამის ნაწილს.

პირველი სქესობრივი აქტი კოსმოსში 1984 წელს განხორციელდა, ჯუდიტ რეზნიკსა და რობერტ მალეინს შორის „დისქოვერის“ მისიის დროს. უცოლო რობერტი და გაუთხოვარი ჯუდიტი საყვარლები არ ყოფილან — ისინი მკვლევარები იყვნენ. ხელოვნური გრავიტაციის მოწყობილობამ ნორმალურად იმუშავა, მაგრამ აქაც — წარუმატებლობა...

დედამიწაზე ჩამოფრენისთანავე რეზნიკი ავიაბაზის ჰოსპიტალში მოათავსეს — იხსენებს ბიოლოგი კარენ სმიტი, — მას სისხლის დენა დაეწყო, მტკივნეული და ძლიერი. თავი იჩინა სექსუალურმა სტრესმა და გადატვირთვამ. ჯუდიტი 2 თვე იმყოფებოდა საავადმყოფოში.

რეზნიკმა და მალეინმა „დისქოვერის“ ეკიპაჟის სხვა წევრებზე 200 ათასი დოლარით მეტი ჰონორარი მიიღეს. NASA-ს ხელმძღვანელობამ ბიოლოგთა და მედიკოსთა ჯგუფს მოსთხოვა, შეეწყვიტათ კვლევები წარუმატებლობის მიზეზთა გარკვევამდე.

ასტრონავტთა ტრიუმფი კოსმოსში დედამიწაზე ტრაგედიად იქცევა ხოლმე. კოსმოსურ გაფრენათა შედეგების 15 ტომეულში აღწერილია, რომ სქესობრივი დისფუნქციები აღენიშნებათ ასტრონავტი ქალების 80%-ს და მამაკაცების 63%-ს. კოსმოსში ნამყოფ ასტრონავტ მამაკაცთა მხოლოდ 10% ქორწინდება, ხოლო 28% შორდება ცოლს. ყოველი მე-8 ქალი, რომელიც ნამყოფია კოსმოსში — ბერწია.

ადამიანი ფაქიზი და დაუცველი არსებაა — საჭირო კია მისი ყოფნა კოსმოსში? იქნებ უმჯობესია კოსმოსური სამუშაოები ავტომატურად შესრულდეს? ციოლკოვსკის უტოპია განუხორციელებელია: კაცობრიობა მიწიერია, მხოლოდ და მხოლოდ მიწიერი. ღირს კი ბუნებასთან უაზრო ჭიდილი, რაც ექსპერიმენტთა ობიექტებს ართმევს ადამიანურ ბედნიერებას, ისინი ხომ ამ ექსპერიმენტთა მსხვერპლნი არიან.

ჯეიმს ობერგი
ევიეიშენ უიკ №10

ლეონარდო და ვინჩი — მკვლელი

„მე ვიცი მსუბუქი ზარბაზნის გაკეთება, რომელიც გამოტყორცნის ცხელ მასას, მისი კვამლი თავზარს დასცემს ადამიანებს, რასაც მოხვდება, ყველაფერს დაანგრევს. შემიძლია შევქმნა ქვემეხები და ცეცხლმსროლი მანქანები. მოკლედ, მე შემიძლია თავდასხმისთვის უამრავი ქვემეხის დამზადება“. აი, ასეთი რეზიუმე გაუგზავნა სამსახურში მოწყობის წინ ლეონარდო და ვინჩიმ მილანის მმართველს.



გზავნილში ჩამოთვლილი იყო არა ერთი სამხედრო საიდუმლო, რომელსაც 1481 წელს ფლობდა 30 წლის გამომგონებელი და მხატვარი ლეონარდო და ვინჩი, ადამიანი, რომელმაც ომს „უამრავ სისულელეთაგან ყველაზე მხეცური“ უწოდა. სხვათა შორის, მის ჩანაწერებში არსებობს წყალქვეშა ბრძოლის პროექტიც. აქ თავად გამომგონებელი მიმართავს მტერს: „თუკი ოთხი საათის შემდეგ არ დაგვნებდებით, ფსკერისკენ წახვალთ. ღ...“

როგორც ჩანს, „მხეცურმა სისასტიკემ“ გაიტაცა იმ სისხლიანი საუკუნის უდიდესი მხატვარიც კი. ფორმით უზადო და, იმავდროულად, „საჭირო“ მანქანებს შორის, რომელიც ლეონარდოს გენიამ შექმნა, მის არქივში ინახება არაერთი პროექტი საომარი ეტლის, საბრძოლო მასალების, არტილერიის ახალი სახეობების, ტანკების, წყალქვეშა ნავების, საფრენი აპარატების — თვითმფრინავის, შვეულმფრენისა და პარაშუტის წინამორბედებისა.

გაუმჯობესებულ უძველეს სამხედრო გამოგონებებს მშვენივრად იყენებენ თანამედროვე არმიაშიც. თვით ტყვიამფრქვეველებიც კი აგებულია ანტიკური დროის გამოგონების პრინციპის საფუძველზე. მშვილდის ღარის მექანიკური დაჭიმვით შექმნეს ახალი მრისხანე იარაღი „სკორპიონი“, ისრების სასროლად. დიონისე ალექსანდრიელმა ამ გამოგონებას დაუმატა ისრების სწრაფად მიმწოდებელი მოწყობილობა და მიიღეს „პოლიბული“. სწორედ ეს იყო ანტიკური ხანის „ტყვიამფრქვევი“. როდესაც მკვრივი ელემენტის ნაცვლად გამოიყენეს შეკუმშული ჰაერი, გაჩნდა კიდევ ერთი ახალი სამხედრო მანქანა — „აეროტონი“.

უძველეს დროში უკვე ჰქონდათ კარგად ორგანიზებული სამხედრო წარმოება. როცა კართაგენი აიღეს, რომაელებმა ხელთ იგდეს 476 მძიმე ქვემეხი, 2.500 „სკორპიონი“.

დავუბრუნდეთ ისევ ლეონარდოს. საყურადღებოა, რომ თავისი რეზიუმეს წარდგენიდან სულ რამდენიმე წლის შემდეგ და ვინჩი ცნობილი სამხედრო ინჟინერი გახდა. 1503 წლის შემოდგომაზე ფლორენციის რესპუბლიკის გონფალიონერმა პიერო სოდერინიმ ლეონარდო მიიწვია სამხედრო მექანიკოსად და გაგზავნა პიზის სამხედრო ბანაკში საალყო მანქანების გასაკეთებლად. ლეონარდოს მსგავსი სამსახური ცეზარე ბორჯიამაც შესთავაზა.

იმ დროისთვის ლეონარდომ უკვე შექმნა ხელოვნური თვალი და... გამოიგონა ორთქლის ზარბაზანი. გახურებულ კამერაში შეჰყავდათ თბილი წყალი, რომელიც წამიერად ორთქლად გადაიქცეოდა და ბირთვს გამოაგდებდა. ეს უდიდესი საიდუმლო გახლდათ. ლეონარდოს ეს გამოგონება შეიძლება ჩაითვალოს უაიტის ორთქლის მანქანის წინამორბედად.

სხვადასხვა გამოგონების შედეგად, რომლებიც დენთის, ფისისა და გოგირდის საშუალებით მილიდან ცეცხლსა და კვამლს გამოსტყორცნიდნენ. ლეონარდო და ვინჩიმ აღმოაჩინა ერთი უცნაური რამ, რომელიც თავად მარცხად მიაჩნდა. ეს იყო ეტლი, მოძრავი ნამგლებით. მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარის ნაწილებში შეჭრილ ამ ნამგლებიან ეტლს უნდა ამოეხოცა მტერი, მაგრამ დამფრთხალი ცხენების გამო, რომლებიც შეშინებულები გარბოდნენ და არეულობა შეჰქონდათ საკუთარ ჯარში, ამ გამოგონებამ არ გაამართლა. მაგრამ ამ სასტიკმა სამხედრო მანქანამ დასაბამი მისცა მშვიდობიან კომბაინს, თოვლის სახვეტ მანქანას და სათიბელას.

ნლო №23

ამორძალების მემკვიდრენი

მეცნიერები ფიქრობენ, რომ მითური ამორძალები აფრიკაში ცხოვრობდნენ და მათ შორეულ შთამომავლებად ბერბერებს მიიჩნევენ. ბერბერების უძველესი სახელია „ამაზიგი“ ანუ „ამაზისი“. მისი ფუძე წააგავს სიტყვა „ამაზონს“.

ცნობილია, რომ ბერბერ ქალებს საზოგადოებაში განსაკუთრებული ადგილი ეკავათ. ისინი მეთაურობდნენ ქვეყანას, იყვნენ მთავარსარდლები, საუკეთესო მშენებლები.

სამწუხაროდ, 1300 წლის განმავლობაში არაბების მიერ დაპყრობილმა ამ ტომმა ასიმილაცია განიცადა.

ჩვ.წ.აღ-მდე 700 წელს ბერბერთა ტომს მართავდა ქალი, სახელად კახინა, რომელიც მტერს სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა და არაერთგზის გააქცია კიდეც. თუმცა, შემდეგ არაბები ისევ დაბრუნდნენ, მამაცი დედოფლის ჯარი დაამარცხეს, თავად კახინა კი სიკვდილით დასაჯეს.

კახინას ბიოგრაფია და მისი მტკიცე ხასიათი ძალიან მოგვაგონებს ცნობილ ამორძალს პერტესილეას და შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ეს არ არის უბრალო დამთხვევა.

არაბი დამპყრობლები დიდი ხნის წინ დამკვიდრდნენ აფრიკაში. ბერბერთა მხოლოდ იმ ტომებმა შემოინახეს თვითმყოფადი კულტურა და წეს-ჩვეულებები, რომლებიც კონტინენტის სიღრმეში გაექცნენ არაბებს.

თანამედროვე ბერბერების ყოფასა და ლეგენდარულ ამორძალებს შორის ბევრი საერთოა.

შუა უდაბნოში აღმართულია ციხესიმაგრეები. მათი მსგავსი ამორძალთა ციხესიმაგრეები გვხვდება ბერძნულ ღარნაკებზე. ასეთი ქონგურებიანი ციტადელები მრავლად იდგა ამორძალების ქვეყანაში. მომთაბარე ხალხს, ჩვეულებრივ, არა აქვს ცოდნა და გამოცდილება ასეთი დიდი არქიტექტურული შენობების აგებისა.

სავარაუდოა, რომ ბერბერებმა ეს ცოდნა და ციხესიმაგრეები მემკვიდრეობით მიიღეს თავისი ანტიკური წინაპრების — ამორძალების ტომისაგან.

ბერბერების საზოგადოებრივი ცხოვრების წესი დღესაც მკვეთრად განსხვავდება მათი მეზობელი ხალხებისაგან. მაგალითად, ბერბერმა ქალებმა იციან წერა-კითხვა — ისინი ფლობენ ორიგინალურ ანბანს „ტიფინაგის“.

ბერბერთა ტომებს შორის უძველესი ტრადიციები ყველაზე მყარად შემოინახეს ტუარეგებმა, რომლებიც საჰარის უდაბნოში ცხოვრობდნენ. სწორედ გარემოსგან იზოლირებამ შემოუნახა მათ თვითმყოფადობა და დამოუკიდებლობა.

მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისში შეძლეს ამ ამაყი ხალხის დამორჩილება ფრანგმა კოლონისტებმა.

ტუარეგების რწმენით, მათი ტომის წინაპარი იყო ქალი, სახელად ტინ ხინანი, რომელიც ძალიან ჰგავს ლეგენდარულ ამორძალების დედოფალს.

ხოგარის მხარის უძველეს დედაქალაქ ებალესში შემონახულია ტუარეგების სახელოვანი მმართველის, ტინ ხინანის სამარხი. ამ საარაკო ქალზე ყვებიან, რომ ის იყო პირველი დედოფალი ტუარეგებისა. მისი სახელი შარავანდითაა მოსილი. დღემდე ტუარეგები მას „დედად“ იხსენიებენ.

ტინ ხინანის აკლდამასთან უამრავი თაყვანისმცემელი და მომლოცველი მოდის. ამბობენ, მის სარკოფაგს რაც უნდა მძიმე და უკურნებელი სენით შეპყრობილი ავადმყოფი შეეხოს, უსათუოდ განიკურნებაო.

არქეოლოგებმა გახსნეს ტინ ხინანის სამარხი. მოჩუქურთმებულ ხის ფიცარზე იდო ქალის ჩონჩხი, რომელიც დაფარული იყო ოქროს, ვერცხლისა და ძვირფასი ქვების სამკაულებით. დედოფალს მარჯვენა ხელზე ეკეთა ვერცხლის შვიდი, ხოლო მარცხენაზე — ამდენივე ოქროს სამაჯური.

საბედნიეროდ, სამარხი არასოდეს გაძარცულა, რადგან ვერავინ გაბედა მისი აკლდამის წაბილწვა.

ნიუზუიქი

მხოფლიოს ყველაზე ეგზოტიკური ტომი

რამდენიმე ხნის წინ მკვლევარები ამაზონის ჯუნგლებში გადაეყარნენ ინდიელთა უძველესი ტომის ავა გუაიას წარმომადგენლებს. თეთრკანიანები გაოგნებულები დარჩნენ ავა გუაიელთა უცნაური წეს-ჩვეულებებით. კერძოდ, ქალებს, ბავშვების ნაცვლად, ხელში პაწია მაიმუნები ეკავათ და ძუძუთი კვებავდნენ. მაიმუნები მათ თავზე, მხრებზე ესხდნენ და მეტი ყურადღებით სარგებლობდნენ, ვიდრე საკუთარი შვილები.

თურმე, ტომის ყველა ქალი ვალდებულია, გამოკვებოს თავისი მაიმუნი; ხოლო ის ძიძა, რომელსაც უეცრად რძე გაუქრება, ბოროტი სულების მიერ მოჯადოებულად ითვლება.

გაზრდილი მაიმუნები აღარ წარმოადგენენ ყურადღების საგანს, „ძიძები“ აღარ ზრუნავენ მათზე. მეტიც, ინდიელები მათ გემრიელად მირთმევენ პალმის ნაყოფის გარნირთან ერთად.

მეცნიერები პირველად შეხვდნენ მსგავს ფენომენს. დიდი ფიქრისა და განსჯის შემდეგ ივარაუდეს, რომ ტომის მდედრობითი სქესი მაიმუნებს იყენებს როგორც საშუალებას, ფეხმძიმობის წინააღმდეგ. ცხოვრების მკაცრი პირობები უფლებას არ აძლევს ტომის მოსახლეობას, იყოლიოს ბევრი შვილი. ამიტომ, სულ ცოტა, 5 წელიწადში ერთხელ რომ იმშობიარონ, ქალები ჩვილ მაიმუნებს ძუძუს აწოვებენ, რათა გაუხანგრძლივდეთ რძის წარმოქმნა, რაც დაფეხმძიმებას უშლის ხელს.

ინდიელთა ტომების მკვლევარები კიდევ ერთ უნიკალურ შემთხვევას წააწყდნენ. ავა გუაიაში სრული მატრიარქატი სუფევს. იქაურობას მართავს ქალი, სახელად მერეკიდია, რომელიც წყვეტს ყველა სადავო საკითხს, ხელმძღვანელობს ქორწილებს და ბავშვების უზრუნველყოფას მედიკამენტებითა და სამედიცინო მომსახურებით. მას 4 ქმარი და 12 მაიმუნი ჰყავს. სხვა ქალებს უფლება აქვთ, იყოლიონ მხოლოდ 2-3 ქმარი, ხოლო მამაკაცს აუცილებლად უნდა ჰყავდეს მხოლოდ ერთი ცოლი.

საიდუმლოებითაა მოცული ტომის საკლაპარაკო ენაც, რომელიც მყვირალა ბგერებისაგან შედგება.

მსოფლიოს ყველაზე ეგზოტიკური ტომი განაცვიფრა თეთრკანიანი ადამიანების გამოცხადებამ.

მიზეზი გაინტერესებთ?

ტომის წარმომადგენლები გააოგნა იმ ფაქტმა, რომ თურმე ისინი ერთადერთნი არ ყოფილან დედამიწაზე.

მანამდე ინდიელები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ისინი ერთადერთი მოაზროვნე არსებები იყვნენ პლანეტაზე. გარშემო უზარმაზარი სამყაროს აღმოჩენამ, რომელიც საგრძნობლად აღემატება მათ განვითარებით, თავზარი დასცა ჯუნგლების საცოდავ მკვიდრთ, შეერყათ თავიანთი ღმერთების რწმენაც, რამაც მეტად დამთრგუნველად იმოქმედა ავა გუაიელთა ფსიქიკაზე.

ნა გრანი ნევოზმოუნოგო №23

როგორ მოისყიდეს ძველმა რომაელებმა ძველი ბერძნები

ფეხბურთში კორუფციასთან დაკავშირებული სკანდალები ყოველთვის საზოგადოებისა და პრესის ყურადღების ცენტრში იყო. ბევრი აფერა თუ „თამაშის ჩაწყობა“ ოფიციალურად დადასტურდა და მისმა ორგანიზატორებმა პასუხიც აგეს, მაგრამ ყველაზე პრესტიჟული ტურნირი — მსოფლიო ჩემპიონატი ასეთი ამბებისგან თითქოს შორს იდგა, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე გამონაკლისს (არგენტინა-პერუ, 1978; გფრ-ავსტრია, 1982) — მატჩებს, რომლის ანგარიშებმაც და თვით თამაშის მსვლელობამაც ეჭვი აღძრა, თუმცა იქ კორუფციის, ანუ რომელიმე მხარის მიერ მეორისგან ქრთამის აღების დამტკიცება არავის უფიქრია.

ასე იყო 1995 წლამდე. სანამ 90-ს მიღწეულმა საბერძნეთის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელებმა აღიარეს, რომ ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ 1934 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის წაგება დააკალა თავის ნაკრებს იტალიის გუნდთან და მათაც „პირნათლად“ შეასრულეს მოთხოვნა.

საბერძნეთის ნაკრების მეკარე აქილეოს გრამატიკოპულოსი — თუ თამაში „ჩაწყობილი“ არ იყო, იგი საკმაოდ საიმედოდ თამაშობდა. საიმედო აღმოჩნდა სხვა საქმეშიც: სწორედ მან ჩამოიტანა მილანიდან ათენში ბერძნების მიერ ქრთამად აღებული 400.000 დრაჰმის ღირებულების ჩეკი.



ათენი, ფილისის ქუჩა №1. ომონიის მოედნის გვერდით — ქალაქის ცენტრში. ეს ის სახლია, რომელიც „რომაელებმა“ „ათენელებს“ უბრძოლველად დანებების საფასურად უყიდეს.

1934 წლის მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა ლუის მონტიმ (იტალიაში მას სახელი გადაუკეთეს და ლუიჯი დაარქვეს), არგენტინის ნაკრებში თავისი ბოლო მატჩი 1931 წლის 4 ივნისს ითამაშა. ასე რომ, საბერძნეთ-იტალიის შეხვედრისას „აკლიმატიზაციის ვადა“ დასრულებული არ იყო. უფრო გვიან, 1933 წლის 5 თებერვალს ითამაშა იმავე არგენტინის ნაკრებში მისმა თანამემამულემ, ენრიკე (იტალიაში ენრიკო დაირქვა) გუაიტამ. მესამე იყო ბრაზილიელი ფორვარდი ამფილოკიო მარკესი, მეტსახელად — ფილო. დედამისი იტალიაში ყოფილა დაბადებული და ქალიშვილობაში გუარიზის გვარს ატარებდა, რომლითაც ჩარიცხეს კიდეც ბრაზილიელი „სკუადრა აძურაში“. თუმცა, თავისი უკანასკნელი მატჩი ფილო-გუარიზიმ ბრაზილიის ნაკრებში დიდი ხნით ადრე, 1925 წელს ჩაატარა, მაგრამ წესით, არც მისთვის უნდა დაერთოთ იტალიაში თამაშის ნება: იგი ხომ აპენინებზე მხოლოდ 1931 წლის 22 ივლისს ჩავიდა, ე.ი. საბერძნეთის ნაკრებთან მატჩისას სამი წელი ჯერ კიდევ არ იყო გასული.

აღსანიშნავია, რომ „ცრუიტალიელთაგან“ ორმა — მონტიმ და გუაიტამ მსოფლიო ჩემპიონატის ყველა მატჩში მიიღეს მონაწილეობა და ოქროს მედლებითაც დაჯილდოვდნენ. მსოფლიო ჩემპიონთა შემადგენლობაში კიდევ ერთი ექსსამხრეთ-ამერიკელი იყო — ბრაზილიელი ნახევარმცველი ოქტავიო ფანტონი, მაგრამ მასთან დაკავშირებით ყველა ფორმალობა დაცული იყო.

მეორე წესი, რომელიც იტალიელებმა დაარღვიეს, თამაშის მსვლელობისას მოთამაშეთა შეცვლას შეეხებოდა. მაშინ ფიფა ნაკრებებს მხოლოდ ერთი ფეხბურთელის შეცვლის უფლებას აძლევდა, ისიც მხოლოდ ამხანაგურ მატჩში და თანაც იმ შემთხვევაში, თუ ფეხბურთელი თამაშის მეორმოცე წუთამდე ტრავმას მიიღებდა. მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებში კი ნებისმიერი შეცვლა აკრძლული იყო. იტალიელებმა, ამის მიუხედავად, ბერძნებთან თამაშში შესვენების შემდეგ ნერეო როკოს (შემდგომში ცნობილი მწვრთნელი) მაგივრად ჯოვანი ფერარი გამოიყვანეს. სხვათა შორის, ორმა „უკანონომ“, ფილომ და ფერარიმ თითო გოლი გაიტანეს, კიდევ ორი, ლეგენდარულმა ჯუზეპე მეაცამ შეაგდო და „სკუადრა აძურამ“ გამანადგურებელი ანგარიშით გაიმარჯვა — 4:0.

აღსანიშნავია, რომ ამ დარღვევებს არავითარი წინააღმდეგობა არ შეხვედრია არც არბიტრის, არც ფიფას და, რაც ყველაზე საოცარია, არც თვით ბერძნებისგან.

მაშ, რა ხდებოდა? იქნებ იმ დროს მსოფლიო ფეხბურთში ანარქია მეფობდა და ვისაც არ ეზარებოდა, ყველა კანონს არღვევდა? სულაც არა — საკმარისია იმავე შესარჩევი ციკლის მატჩი გავიხსენოთ შვეიცარიასა და რუმინეთს შორის (2:2). იქაც მოხდა ცვლილება: 49-ე წუთზე რუმინელთა მეკარე უილიამ ზომბური თავში ძლიერი დარტყმის შემდეგ იძულებული იყო, მოედანი დაეტოვებინა და მისი ადგილი კარში, არბიტრის თანხმობით, ალბერტ პიულკმა დაიკავა. თუმცა, სკანდალი ამის გამო არ მომხდარა, არამედ იმიტომ, რომ რუმინეთის ნაკრებში უნგრელი იულიუ ბარატკი თამაშობდა. უნგრული წარმოშობის ფეხბურთელები ყოველთვის წარმოადგენდნენ რუმინეთის ნაკრების ხერხემალს, მაგრამ ბარატკი ოთხიოდე თვით ადრე უნგრეთის ნაკრების ღირსებას იცავდა! ბერძნებისგან განსხვავებით, შვეიცარიელებმა პროტესტის შანსი ხელიდან არ გაუშვეს. ფიფამ დააკმაყოფილა ეს პროტესტი და ფრე — 2:2 რუმინელთა დამარცხებად (0:2) „გადააკეთა“ (თუმცა ამას რუმინელთათვის ხელი არ შეუშლია, რომ ფინალურ ტურნირზე მოხვედრილიყვნენ). რა არის ეს, თუ არა ორმაგი სტანდარტის მაგალითი?!

დავუბრუნდეთ იტალიისა და საბერძნეთის თამაშებს. უფრო ზუსტად, პირველ მათგანს, რადგან მეორე, რომელიც ათენში უნდა შემდგარიყო, აღარ ჩატარდა.

ყველა საფეხბურთო ცნობარსა და ენციკლოპედიაში ამასთან დაკავშირებით წერია: „ბერძნებმა უარი თქვეს თამაშზე“. რატომ უარი? მაშინდელი პრესა ამაზე ბევრს არ ლაპარაკობდა. იტალიაში წერდნენ, რომ თითქოს მოწინააღმდეგე მიხვდა სიტუაციის უიმედობას: ოთხი ბურთის გაქვითვა მაშინდელი მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთ ლიდერთან წარმოუდგენელი იყო. ბერძნული გაზეთები კი, თუმცა დაწვრილებით არაფერს ამბობდნენ, ამტკიცებდნენ, რომ მიზეზი მოთამაშეთა გამოუცხადებლობა იყო.

ჭეშმარიტების დადგენაში მთავარი როლი, საბერძნეთის ნაკრების მაშინდელი ფეხბურთელების დიდხანს სიცოცხლემ ითამაშა. ხუთი მათგანი: ლეონიდას ანდრიანოპულოსი, აქილეას გრამატიკოპულოსი, არისტიდეს ქრიზაფოპულოსი, ანდრონიოს მიაკისი და დიმიტრიოს ბალთაზისი 1995 წელს, ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ, 90 წელს მიღწეულები. მაგრამ მხოლოდ ბალთაზისი, რომელსაც დამბლა დაეცა, ვერ იხსენებდა ვერაფერს და ვერ დაეხმარა „გამოძიებას“. დანარჩენმა ოთხმა ძველი ისტორია დეტალებში გაიხსენეს, თანაც ეს გააკეთეს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, რაც „ჩვენებებს“ მეტ დამაჯერებლობას სძენს.

მაშ ასე, 1934 წლის გაზაფხულზე იტალიის საფეხბურთო ბოსები, რომლებსაც არავითარი სურვილი არ ჰქონდათ თავიანთი ნაკრები დამღლელ საზღვაო მოგზაურობაში გაეშვათ, დაფიქრდნენ, თუ როგორ დაეტოვებინათ იგი სახლში, რათა თავისუფლად მომზადებულიყვნენ მომავალი ჩემპიონატისთვის. და მოიფიქრეს! მდიდარმა იტალიელებმა ღარიბ ბერძნებს ფეხბურთის ფედერაციის შტაბბინისთვის შენობა აჩუქეს, თურმე მანამდე ბერძნებს მუდმივი ადგილსამყოფელი არც ჰქონიათ. ორსართულიანი სახლი, ათენის ცენტრში, ფილისის ქუჩის №1-ში, ომონიის მოედნის გვერდით, თითქმის 50 წლის მანძილზე ემსახურა, შემდეგ ბერძნულ ფეხბურთს. მხოლოდ 1980 წელს გადავიდა ფედერაცია უფრო ფართო შენობაში სინგრუს პროსპექტზე, ხოლო „იტალიური საჩუქარი“ საბერძნეთის მწვრთნელთა ასოციაციას გადაეცა.

„იტალიელებმა ჩვენ ქრთამი შემოგვთავაზეს, რათა ისინი ფინალური ეტაპისკენ უბრძოლველად გაგვეშვა — იხსენებს ქრიზაფოპულოსი — რადგან ფედერაცია დათანხმდა,— მოთამაშეებს აღარაფერი გვრჩებოდა გარდა იმისა, რომ მოლაპარაკებას დავთანხმებოდით“. ანდრიანაპულოსმა დაასახელა თანხა, რომელიც იტალიელებმა გადაიხადეს შენობისათვის — 700 ათასი დრაჰმა (ეს დაახლოებით 100 მილიონი თანამედროვე დრაჰმაა, ანუ 4 მილიონი დოლარი). ხოლო გრამატიკოპულოსმა, ნაკრების მეკარემ ისიც კი აღიარა, რომ სახელდობრ მას დაევალა ყველაზე საპასუხისმგებლო როლი: მილანში პირველი მატჩის შემდეგ იტალიელებმა გოლკიპერს გადასცეს ავანსი — 400 ათასი დრაჰმა ჩეკის სახით, რომელიც მან ათენში ჩაიტანა და ფედერაციის წარმომადგენლებს გადასცა.

1934 წლის „სკუადრა აძურა“ — მუსოლინის სიამაყის მიზეზი, მან „დაუმტკიცა“ მთელ მსოფლიოს, რომ ფაშისტურ რეჟიმს ჩემპიონატის უმაღლეს დონეზე ორგანიზებაც შეუძლია და უძლიერესი გუნდის მომზადებაც.

„გამარჯვებულს არ ასამართლებენ“ — მაგრამ იმდროინდელი პრესა მაინც ქილიკობდა და ამ შემადგენლობას „იტალიისა და სამხრეთ ამერიკის ნაკრებს“ ეძახდა.

ალბათ ეს საიდუმლო ასევე დაიმარხებოდა ფეხბურთის ისტორიკოსებსა და სტატისტიკოსებს რომ არ მოსვლოდათ იდეა, გამოეკითხათ 1934 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილენი, რათა რაც შეიძლება სრული სურათი შეექმნათ იმ ტურნირისა, რომლის შესახებაც ბოლო დრომდე ბევრი არაფერი იყო ცნობილი.

რჩება კითხვა: მაინც როგორ შეეძლო ფიფას ყოველივე ამაზე თვალი დაეხუჭა? მიუხედავად კონტროლის მაშინდელი მექანიზმების დაუხვეწაობისა, ერთადერთი შესაძლო ახსნა შემდეგია — ზეწოლა, რომელსაც საერთაშორისო ფედერაცია მუსოლინის რეჟიმისგან განიცდიდა. კონკრეტულად როგორ კეთდებოდა ეს, ძნელი სათქმელია, მაგრამ დანამდვილებით ერთია ცნობილი — რომში მტკიცედ გადაწყდა: ჯერ ერთი, მსოფლიო ჩემპიონატი იტალიაში უნდა ჩატარდეს და მეორე, ის მხოლოდ მასპინძლებმა უნდა მოიგონ, რადაც არ უნდა დაუჯდეთ.

ჩემპიონატის ჩატარების ადგილი ფიფას კონგრესზე უნდა დამტკიცებულიყო 1932 წელს სტოკჰოლმში. იტალიის ფაშისტურმა მთავრობამ იქ სოლიდური დელეგაცია მიავლინა ჯოვანი მაუროს, იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტისა და რეჟიმის ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგის მეთაურობით. უნდა ითქვას, რომ იტალიაში ყველა სპორტული თანამდებობა ფაშისტური პარტიის ცნობილ მოღვაწეებს ეკავათ.

ტურნირის ჩატარებაზე ბევრი პრეტენდენტი არც ყოფილა: ევროპაც და ამერიკაც ეკონომიკურ კრიზისს განიცდიდნენ. ურუგვაის მაგალითიც ბევრს აშინებდა — იქ ხომ ოთხი წლით ადრე ჩატარებულმა ჩემპიონატმა დიდი ფინანსური დანაკარგები მოიტანა. მაგრამ მუსოლინის ეკონომიკური მხარე არ აინტერესებდა. მთავარი იყო სპორტის საშუალებით ეჩვენებინა მსოფლიოსთვის, თუ რა შეუძლია ფაშიზმს. თავიდან იტალიელებს ერთი კონკურენტი მაინც ჰყავდათ — შვედეთი. მაგრამ სკანდინავიელებმა თავიანთი კანდიდატურა მალევე მოხსნეს. ხოლო ფიფამ, რომელმაც უარყო ცნობილი ავსტრიელი მწვრთნელის ჰუგო მეიზლის წინადადება ჩემპიონატის უკეთესი დროისთვის გადატანის შესახებ, ტურნირი იტალიელებს „მისცა“.

მაურო, რომელიც საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნა, საქმეს ენერგიულად შეუდგა.

158-მა მხატვარმა მიიღო მონაწილეობა კონკურსში, რომელსაც ჩემპიონატის საუკეთესო ემბლემა უნდა გამოევლინა. გაიმარჯვა ლუიჯი მარტინატის წმინდა საფეხბურთო სიუჟეტმა: კარის კუთხე ბადით და მანათობელი ბურთით. აი, მეორე ადგილი კი, აშკარად პოლიტიკური მოტივებით მიანიჭეს მარტინ გროსს: მან იტალიელი ფეხბურთელი აღბეჭდა ფაშისტური მისალმების ნიშნად ზეაღმართული ხელით.

მოგვიანებით, როდესაც ცნობილი გახდა, თუ როგორ იხარჯებოდა ჩემპიონატისთვის გამოყოფილი თანხები, გამოირკვა, რომ სტადიონების მშენებლობასა და რეკონსტრუქციას მინიმუმი მოხმარდა. გაცილებით მეტი ფული სტადიონებზე მაყურებელთა დაუბრკოლებელი მიყვანისთვის დაიხარჯა, ასევე პროპაგანდაზე (რადიოტრანსლაციები, კინოგადაღებები, სპეციალური საფოსტო მარკების გამოშვება და ა.შ.). იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი გენერალი ვაკარო პირადად მოუწოდებდა თანამემამულეებს თავის რადიოგამოსვლაში, რომ „გამოეჩინათ პოლიტიკური შეგნება“ და მატჩებზე ევლოთ. ეს მოწოდება ყველაზე დიდი ხალისით, თვით დუჩემ აიტაცა. ხანდახან მუსოლინი, როდესაც ფეხბურთზე მიდიოდა, ტრადიციული სამხედრო ფორმის ნაცვლად იტალიის ნაკრების მაისურსაც იცვამდა, როგორც რიგითი ფანატი.

...რა უნდა ითქვას, თუ იტალიელებს ჩემპიონატის სპექტაკლად ქცევა უნდოდათ, მათ ეს გამოუვიდათ. სამწუხაროდ, არა მხოლოდ პროპაგანდისტული, არამედ წმინდა სპორტული კუთხითაც.

გვერდი მოამზადა
ლუკა დოლიძემ

უფრო ძველი ამბები

1872 წელს ბრიტანეთის კუნძულებზე პირველად ჩატარდა თასის გათამაშება, რომელიც პოპულარობით ქვეყნის ჩემპიონატსაც კი გაუტოლდა. ამ ტურნირის ფინალი დღესაც მაისის პირველ შაბათ დღეს იმართება და გამარჯვებულებს თასს თვით სამეფო ოჯახის რომელიმე წევრი გადასცემს ხოლმე.

* * *

1878 წლის 10 ივლისს პირველად გაისმა მსაჯის სასტვენის ხმა საფეხბურთო მოედანზე. მანამდე მსაჯებს ყვირილით უხდებოდათ თავიანთი „ბრძანებების“ გამოცხადება, რაც ცხადია, საკმაოდ ძნელი იყო — მათ ხმას მოთამაშეთა და მით უმეტეს, მაყურებელთა ხმა უნდა დაეფარა.

* * *

პენალტის დაბადების წლად შეიძლება 1891 წელი მივიჩნიოთ. ინგლისის თასის გათამაშების მატჩში „ნოთს ქაუნთი“ და „სტოკ სიტი“ ხვდებოდნენ ერთმანეთს. მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე, როდესაც „სტოკ სიტი“ ერთით ნოლს აგებდა, მეტოქეთა მცველმა კარისკენ დარტყმული ბურთი მუშტით მოიგერია. დაინიშნა საჯარიმო დარტყმა. მეტოქე გუნდი, მთელი შემადგენლობით, კარში ჩადგა და „სტოკ სიტიმ“ ვერ შეძლო გოლის გატანა, თუმცა მან სასწრაფოდ შეიტანა საჩივარი საფეხბურთო კავშირში, არასრულყოფილი წესების გამო. განცხადება განიხილეს და განსაზღვრეს მანძილი კარიდან, საიდანაც უნდა შესრულებულიყო საჯარიმო დარტყმა — 12 იარდი (10,97 მეტრი), რაც საჯარიმო მოედნის სიგანის 2/3-ს შეადგენს.

უახლოეს ხანში ამ წესის დახვეწა მოუხდათ და ისევ „სტოკ სიტის“ გამო. ეს გუნდი ამჯერად „ასტონ ვილასთან“ აგებდა, ისევ მინიმალური ანგარიშით და საფინალო სასტვენამდე 30 წამით ადრე პენალტის დარტყმის უფლება მოიპოვა. „ასტონ ვილას“ მწვრთნელმა თავის მოთამაშეებს დაუძახა, რომ მატჩი მთავრდებოდა და ერთ-ერთმა მათგანმა ბურთი ტრიბუნებზე გაგზავნა ძლიერი დარტყმით (სათადარიგო ბურთები მაშინ, ცხადია, ჯერ არ გამოიყენებოდა)... დრო ამოიწურა. ისევ აფრინა საფეხბურთო კავშირში პროტესტი „სტოკ სიტიმ“ და ისევ ისტორიული გადაწყვეტილება „დაიბადა“ — პენალტის დარტყმა იმ დღიდან მატჩისთვის განკუთვნილი დროის ამოწურვის შემდეგაც შეიძლება.

ვინ გახდება ჩემპიონი?

A ჯგუფი. III ტური

ინგლისი-რუმინეთი 2:3
გერმანია-პორტუგალია 0:3

პორტუგალია	3	3	0	0	7:2	9
რუმინეთი	3	1	1	0	4:4	4
ინგლისი	3	1	0	2	5:6	3
გერმანია	3	0	1	2	1:5	1

B ჯგუფი III ტური

ბელგია-თურქეთი 0:2
შვედეთი-იტალია 1:2

იტალია	3	3	0	0	6:2	9
თურქეთი	3	1	1	1	3:2	4
ბელგია	3	1	0	2	2:5	3
შვედეთი	3	0	1	2	2:4	1

C ჯგუფი III ტური

ესპანეთი-იუგოსლავია 4:3
ნორვეგია-სლოვენია 0:0

ესპანეთი	3	2	0	1	6:5	6
იუგოსლავია	3	1	1	1	7:7	4
ნორვეგია	3	1	1	1	1:1	4
სლოვენია	3	0	1	1	4:5	2

D ჯგუფი III ტური

საფრანგეთი-ჰოლანდია 2:3
დანია-ჩეხეთი 0:2

ჰოლანდია	3	3	0	0	7:2	9
საფრანგეთი	3	2	0	1	7:4	6
ჩეხეთი	3	1	0	2	3:3	3
დანია	3	0	0	3	0:8	0

მეოთხედფინალები

1. პორტუგალია-თურქეთი 2:0
2. იტალია-რუმინეთი 2:0
3. ჰოლანდია-იუგოსლავია?
4. საფრანგეთი-ესპანეთი?

ვინ გახდება ევროპის ჩემპიონი? ეს კითხვა 2 ივლისამდე დარჩება საფეხბურთო სამყაროში ყველაზე აქტუალურად, შემდეგ, კონტინენტს ახალი ჩემპიონი ეყოლება, ცხოვრებაც ჩვეულ კალაპოტს დაუბრუნდება. გულშემატკივრებს ერთხანს მოგვიწევს მოწყენა, შემდეგ ახალი ტურნირები დაიწყება. ეროვნული ჩემპიონატები, ჩემპიონთა ლიგა და ლოდინი 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატამდე. თუმცა, ჯერ — ევრო-2000-ის გადამწყვეტი მატჩებია წინ, ყველაზე მთავარი და ალბათ ყველაზე დრამატულიც. როგორც არ უნდა დასრულდეს მიმდინარე ევროპის ჩემპიონატი, დღეს უკვე შეიძლება ითქვას, რომ ტურნირმა სრულად გაამართლა იმედები. მარტო ინგლის-პორტუგალიისა და ესპანეთ-იუგოსლავიის შეხვედრები რად ღირს. არასდროს, არც ერთ დიდ შეჯიბრზე არ მომხდარა იმდენი სენსაცია, რამდენიც წელს მოხდა ბელგიასა და ჰოლანდიაში. ვინ წარმოიდგენდა, რომ ჯგუფიდან, სადაც ინგლისი და გერმანია თამაშობდნენ, პორტუგალია და რუმინეთი გააგრძელებდნენ ბრძოლას მეოთხედფინალებში? გნებავთ სლოვენიის გუნდი გაიხსენეთ, აშკარა აუტსაიდერად რომ თელიდნენ და კინაღამ მათაც თურქების მსგავსი სასწაული მოახდინეს. წლიდან წლამდე ფეხბურთი სულ უფრო და უფრო სრულყოფილი და უნივერსალური ხდება, სადაც უსაშველოდ დიდია ერთი შეცდომის ფასი და მაინც გამარჯვებულის ვინაობას ვარსკვლავები წყვეტენ, ვარსკვლავები კი არც საფრანგეთსა და ჰოლანდიას და არც იტალიასა და ესპანეთს არ აკლია, მიუხედავად იმისა, რომ ამ წერილის წერისას მხოლოდ ორი ნახევარფინალისტის ვინაობა იყო ცნობილი, გავრისკავთ და ვიტყვით, რომ ჩემპიონი ზემოთ ნახსენები ოთხი გუნდიდან ერთ-ერთი გახდება. რაც შეეხება პირველ ორ მეოთხედფინალს, ორივემ უსენსაციოდ ჩაიარა. არც იტალიელებს და არც პორტუგალიელებს შესაბამისად რუმინეთსა და თურქეთთან არანაირი პრობლემა არ ჰქონიათ და ფაქტობრივად დიდი ოფლის ღვრის გარეშე გავიდნენ ნახევარფინალში.

წინ ფინალია, მანამდე — ნახევარფინალები. ფინალი და ნახევარფინალი უინტერესო არ შეიძლება იყოს, მშვენიერი სანახაობაა ევროპის ჩემპიონატი — ღირდა კიდეც ორი წლის ლოდინად...

„ტორპედოს“ ბედი არ სწყალობს

პარასკევს შვეიცარიის ქალაქ ჟენევის სასტუმრო „ნოგა ჰილტონში“ ჩემპიონთა ლიგისა და უეფას თასის 2000/01 წლის გათამაშების პირველი წილისყრა გაიმართა. მოგეხსენებათ, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე საქართველოს წელს ქუთაისის „ტორპედო“ წარმოადგენს. უეფას თასისათვის ბრძოლაში კი თბილისის „ლოკომოტივი“ და „ვიტ ჯორჯია“ ჩაებმებიან. შეიძლება ითქვას, რომ წილისყრამ არ გაუმართლა ქუთაისის „ტორპედოს“ და პირველ მეტოქედ ფარერების „კლაკსვიკარისა“ და იუგოსლავიის „ცრვენა ზვეზდას“ შორის გამარჯვებული არგუნა. ვინ იქნება ამ ორში მოგებული, ამთავითვე ცნობილია, „ცრვენა ზვეზდა“ 1991 წელს ჩემპიონთა თასს ფლობდა, ორი წლის წინ კი ფოთის „კოლხეთს“ „გადაურბინა“ და ორი მატჩის ჯამში 11:0 მოუგო. ვერ გეტყვით როგორ დასრულდება იუგოსლავთა და ქუთაისელთა ორმატჩიანი დუელი, თუმცა ფაქტია — ჩვენს ჩემპიონს სლავური ბარიერის დაძლევის მიზერული შანსი აქვს.

შედარებით უკეთ აქვთ საქმე „ლოკომოტივსა“ და „ვიტ-ჯორჯიას“. რკინიგზელთა პირველი მეტოქე სლოვაკეთის „სლოვანი“ იქნება, „ვიტ ჯორჯიას“ კი ებრაულ „ბეითართან“ მოუწევს ურთიერთობის გარკვევა. ქუთაისის „ტორპედო“ პირველ შეხვედრას სტუმრად გამართავს 26 ივლისს, ერთი კვირის შემდეგ კი შინ — ქუთაისში, სტუმრადვე გამართავს პირველ შეხვედრას „ლოკომოტივიც“, „ვიტ ჯორჯია“ კი პირველად შინ ითამაშებს. უეფას თასის პირველ მატჩები 10 აგვისტოს გაიმართება, საპასუხო კი - 24 აგვისტოს.

ამასობაში თბილისის „დინამომ“ გაასრულა წლევანდელი ევროსარბიელი. ლიეჟის „სტანდარტის“ ახალგაზრდულ გუნდთან შინ ფრედ ნათამაშები მატჩის შემდეგ, ჩვენებმა სტუმრადაც ფრედ ითამაშეს, მატჩი 1:1 დასრულდა და სტუმრად გატანილი ნაკლები გოლის გამო „დინამო“ ეროვნული ჩემპიონატის ამარა დარჩა.

საჭადრაკო კლუბი

„კვირის პალიტრა“ აქვეყნებს საჭადრაკო ამოცანებს, მათი ამოხსნისათვის საჭადრაკო დაფა არ არის აუცილებელი.

შავების დაშამათება არ უნდა გაუჭირდეთ (თუ, რა თქმა უნდა, მოიხდომებთ).

წინა ამოცანის ამოხსნა: 1. ♗h1



რიბეკი მიდის, კიგანი რჩება

მიუხედავად იმისა, რომ ინგლისის ეროვნულმა ნაკრებმა სრული ფიასკო განიცადა და მეოთხედფინალის მიღმა დარჩა, გუნდის მთავარი მწვრთნელი კევინ კიგანი თანამდებობაზე დარჩება და ინგლისელებს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირშიც მოამზადებს. „სადღეისოდ ინგლისში კიგანის სრულფასოვანი შემცვლელი არ გვეგულება, იმედია მომავალში იგი უკეთ გაართმევს თავს მოვალეობას“ — განაცხადა ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის წარმომადგენელმა.

კევინ კიგანისაგან განსხვავებით გერმანიის ნაკრების გამასხარავების მთავარმა შემოქმედმა ერიხ რიბეკმა პორტუგალიასთან სამარცხვინო მატჩის დასრულებისთანავე განაცხადა, რომ მისი მწვრთნელად დარჩენა გამორიცხულია, „პასუხისმგებლობას მთლიანად ჩემს თავზე ვიღებ და თავს უპირველეს დამნაშავედ ვცნობ“. ამ განცხადებამ ბევრი გააოცა, ვინაიდან ბევრი ფიქრობდა, რომ რიბეკი ნაკრების მთავარ მწვრთნელად ეროვნული ჩემპიონატის დასრულებამდე დარჩებოდა. ამ ამბავმა ყველაზე მეტად ალბათ ბაიერნის ფანები გააოცა, ვინაიდან ბოლო სეზონში ბავარიელებმა ორმაგი გვირგვინი მოიპოვეს და ბუნდესლიგაში ჩემპიონობა მეხუთედ მოიგეს. ამ ამბავმა ყველაზე მეტად ალბათ ბაიერნის ფანები გააოცა, ვინაიდან ბოლო სეზონში ბავარიელებმა ორმაგი გვირგვინი მოიპოვეს და ბუნდესლიგაში ჩემპიონობა მეხუთედ მოიგეს. ამ ამბავმა ყველაზე მეტად ალბათ ბაიერნის ფანები გააოცა, ვინაიდან ბოლო სეზონში ბავარიელებმა ორმაგი გვირგვინი მოიპოვეს და ბუნდესლიგაში ჩემპიონობა მეხუთედ მოიგეს.

ლი“ აღიარა ერიხ რიბეკმა, თუმცა ამ აღიარებამ გერმანიის ნაკრებს ყერაფერი უშველა. ლაპარაკი იყო, რომ ბუნდესნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე ლევერკუზენის „ბაიერნის“ თავკაცი კრისტოფ დაუმი მოუწვიათ, თუმცა დაუმმა უარი განაცხადა, ისევე როგორც „ბაიერნის“ მწვრთნელმა ჰიტცფელდმა. ახლა განიხილავენ იუპ ჰაინკესისა და ოტო რეჰაგელის კანდიდატურებს

„უიმბლდონის“ ტურნირი დაიწყო

26 ივნისს სტარტს იღებს მსოფლიოში ყველაზე პოპულარული საჩოგბურთო ტურნირი. „უიმბლდონის“ კორტებზე პლანეტის უძლიერესი ჩოგბურთელები „მსოფლიოს არაოფიციალური ჩემპიონატის“ ბატალიებში ჩაებმებიან. რა შეიძლება ითქვას ფავორიტებზე? ქალთა შორის მსოფლიო ჩოგბურთს დღეს ორი გამოკვეთილი ლიდერი ჰყავს. სპეციალისტთა აზრით, „უიმბლდონის“ ჩემპიონობას მარტინა ჰინგისსა და ლინდსი დევენპორტს სხვა ვერავინ შეეცილება და გამარჯვებულის ვინაობაც ამ ორ სპორტსმენს შორის გაირკვევა. რა შეიძლება ითქვას ვაჟთა ტურნირზე? აქაც ორ ლიდერს ასახელებენ, ამერიკელებს — პიტ სამპრასსა და ანდრე აგასის. თავხოტორა ამერიკელს ახლავე შეუძლია ეს სეზონი ნარმატებულად ჩათვალოს, მან ხომ ავსტრალიის ღია პირველობა მოიგო. სამპრასს კი წელს განსაკუთრებული ნარმატებისათვის არ მიუღწევია და „უიმბლდონის“ ტურნირი მისთვის რეაბილიტირების ჩინებული შანსია. თუმცა ეს შეჯიბრი სიურპრიზებითაცაა სახელგანთქმული და პროგნოზების კეთებას თავად ტურნირის თვალყურის დევნება სჯობს.

ერიდეთ მაიკ ტაისონს!

„რკინის მაიკი“ ჩემპიონის ტიტულის დაბრუნებას აპირებს



შაბათს, შოტლანდიის ქალაქ გლაზგოში მაიკ ტაისონმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ არა მარტო თანამედროვეობის, არამედ ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი მოკრივეა. „რკინის მაიკის“ მსხვერპლი, ამჯერად მისივე თანამემამულე ლუ სევარეზე შეიქნა. ბრძოლა ხეირიანად არც დაწყებულიყო, როცა სევარეზეს უკვე ადგომის თავი აღარ ჰქონდა. ტაისონმა სევარეზეს ამბიციებს რამდენიმე წამში მოუღო ბოლო და ბრძოლას მოწყურებული გულშემატკივრები, რომელთაც მაიკის სანახავად ასობით დოლარი ჰქონდათ გადახდილი, 38 წამში შინ გაისტუმრა. სპეციალისტები ბრძოლამდე ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ სევარეზე ყველაზე სერიოზული მეტოქე იყო ტაისონისთვის მას შემდეგ, რაც ყოფილი ჩემპიონი რინგს დაუბრუნდა. ჯერჯერობით უცნობია, როდის გამართავს მომდევნო ბრძოლას „რკინის მაიკი“, თუმცა ახლავე შეიძლება ითქვას, რომ მისი ყველა გზა აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულისაკენ მიდის. სულ უფრო და უფრო რეალური ხდება მაიკ ტაისონისა და ლენოქს ლუისის შერკინება, ბრძოლა, რომელიც საუკუნის უკანასკნელი ჩემპიონის ვინაობას დაადგენს.

მართალია, ამ გამარჯვებით ტაისონმა ამერიკელთა გულები კი მოიგო (ამერიკელები ვერაფრით ეგუებიან იმას, რომ პლანეტის უძლიერესი მოკრივის ტიტულს ამჟამად ბრიტანელი ლუისი ფლობს), მაგრამ იანკებს მათივე „ოქროს ბიჭმა“ — ოსკარ დე ლა ჰოიამ დასწყვიტა გული, ამერიკული პუბლიკის კერპი, გასულ სამშაბათს ლოს-ანჯელესში არცთუ პოპულარულ მოკრივესთან, შეინ ბოსლისთან დამარცხდა, პრესკონფერენციაზე კი თაყვანისმცემლები შოკში ჩააგდო, როდესაც განუცხადა, რომ მობეზრდა მოკრივეობა და კარიერის დასრულების შესახებ ისაუბრა. შეგახსენებთ, რომ ოსკარ დე ლა ჰოია მხოლოდ 27 წლისაა. ეს ასაკი კი საუკეთესოა მოკრივეთათვის.

ჯექსონმა ლოს-ანჯელესში ახალი «ჩიკაგო» შექმნა



გასული სამშაბათის ღამეს ლოს-ანჯელესი თავის თავს არ ჰგავდა. ასიათასობით ადამიანი გამოვიდა ქუჩაში, რათა „ლეიკერსის“ გამარჯვება ეზეიმათ NBA-ს რეგულარულ ჩემპიონატში. ფეიერვერკი ფეირვერკს ცვლიდა. ულამაზესი სანახაობა დილამდე გაგრძელდა.

ამ დიდ გამარჯვებას ერთერთი ყველაზე პოპულარული და ტიტულოვანი კლუბის გულშემატკივრები საკმაოდ დიდხანს ელოდნენ, 12 წელია „ლეიკერსი“ NBA-ს ჩემპიონი არ გამხდარა, ემოციების მოზღვავებაც სწორედ ამან გამოიწვია. ნარსულის დიდი გამარჯვებები კი „ლეიკერსისათვის“ NBA-ს ნამდვილ ლეგენდებს მოუტანიათ — 50-60-იან წლებში კლუბის ღირსებას უილტ ჩემბერლენი იცავდა, ორი ათეული წლის შემდეგ კი — ქარიმ აბდულ ჯაბარი, წლევანდელ ტრიუმფამდე, კალიფორნიელთა უკანასკნელი გაჩემპიონების სულისჩამდგმელი დიდი მექიქ ჯონსონი გახლდათ. ლოს-ანჯელესში სამივე მათგანის სახელი დღესაც კი საფიცრად აქვთ ქცეული. წლევანდელი გამარჯვების მთავარი შემოქმედი კი „ლეიკერსის“ დღევანდელი ლიდერი შაკილ ონილი შეიქნა. „ინდიანასთან“ ფინალური სერიის გადამწყვეტ მატჩში შაკილმა 41 ქულა მოიპოვა და სასწორიც თავისი გუნდის სასარგებლოდ გადახარა. ფინალური სასტვენის შემდეგ ფანებმა ალყაში მოაქციეს თაეიანთი კერპი და რამდენიმე საათის განმავლობაში მოედნის დატოვების საშუალება არ მისცეს. ცოტა მოშორებით კი კლუბის მთავარი მწვრთნელი — ფილ ჯექსონი იღებდა მილოცვებს. ახლა უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ფილ ჯექსონი ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი მწვრთნელია NBA-ს ისტორიაში.

„ჩემზე მეტად ამ გამარჯვებაში ფილ ჯექსონს მიუძღვის ღვაწლი, ის უდიდესი მწვრთნელი და გენიალური ადამიანია“ — ამ სიტყვებით დაემშვიდობა შაკილ ონილი პუბლიკას. ძნელია არ დაეთანხმო „ლეიკერსის“ ლიდერს. ჯექსონი სწორედ ის კაცია, ვისი ხელმძღვანელობითაც დიდმა მაიკლ ჯორდანმა და მისმა თანაგუნდელებმა ეექსჯერ მოუტანეს ჩემპიონის ტიტული „ჩიკაგო ბულსს“, ფილმა წელს ჩაიბარა „ლოს-ანჯელესი“ და ისევ ჩემპიონი გახადა. მომაკვდინებელ პერსპექტივებზე საუბრისაგან მწვრთნელმა თავი შეიკავა, სამაგიეროდ ჟურნალისტთა შეკითხვას — გაისადაც გაუძღვება თუ არა იგი კლუბს, შაკილ ონილმა გასცა პასუხი: „გპირდებით, ჩემპიონები გაისადაც ფილ ჯექსონის ხელმძღვანელობით გავხდებით!“.

ჰინგვინს ლუდი ჰყვარებია

ინგლისის ერთ-ერთი ბარის პატრონს, ჰენრის, უერთგულესი პაწია მეგობარი ჰყავს — ჯოი, რომელსაც ის თავის თილისმად მიიჩნევს. მისი გამოჩენის შემდეგ კლუბი იმდენად პოპულარული გახდა, რომ იქ სტუმრად მიდიან ისეთი ცნობილი ტელე და რადიოკომპანიები, როგორიცაა ბი-ბი-სი, მტვ, რათა მიესიყვარულონ ჯოის, თან რეპორტაჟიც გააკეთონ მასზე.

პინგვინი ჰენრის მეგობარმა აჩუქა. მას ჯერ გაუხარდა, რამდენიმე დღე კარგად გაერთო პოლარეთის მკვიდრთან. მერე სადარდელი გაუჩნდა — აღარ იცოდა, რა ექნა ამ უჩვეულო ძღვენისთვის. ბოლოს, მისმა მეუღლემ მოიფიქრა, — ჯოი საუცხოოდ იგრძნობს თავს კლუბ-ბარშიო. იმ დროს „ნახევარმთვარე“ (ასე ჰქვია კლუბს) ვალებში იყო ჩაფლული, მუშტარიც ცოტა ჰყავდა და მის მომავალსაც კარგი პირი არ უჩანდა.

კი, მაგრამ რა უნდა გააკეთოს კლუბში ჯოიმო, — შეიცხადა ჰენრიმ. ცოლმა დაამშვიდა, — აი, ნახავ, როგორ აეწყობა საქმეები. ჯოის ხათრით მუშტარს ვერ აუვალთო.

ქეთლინი მართალი გამოდგა.

ჯოი პირველი დღიდანვე შესანიშნავ ბარმენად იქცა. ის ბეჯითად ეხმარება ქეთლინს. თუ ვინმეს დაავიწყდება კათხა ლუდის საფასურის გადახდა, ჯოი ფარფლებით ტაშის ცემას იწყებს და პინგვინურ ენაზე ბუზღუნებს.

ჯოის ნამდვილი გატაცება ბილიარდია. ჯერჯერობით, არც ერთი პარტია არ ჩატარებულა მისი მონაწილეობის გარეშე. რა თქმა უნდა, არ შეუძლია კიის დაკავება, მაგრამ, სამაგიეროდ, სწრაფად ისწავლა ქულების ანგარიში და თვალყურს ადევნებს, რომ მოთამაშეები პატიოსნად მოიქცნენ. ერთი არასწორი ნაბიჯი და — პინგვინი მოთამაშეს აგდებს. რას იზამ, მსაჯი — მსაჯია! ყველა ცდილობს, არ შეეკამათოს ჯოის.

იმისათვის, რომ ასიამოვნონ ბარის პატრონის „თანაშემწეს“, სტუმრები ხშირად თავიანთ მაგიდასთან იწვევენ. ჯოი არასოდეს ამბობს უარს, ვინაიდან იცის, რომ ღუდით გაუმასპინძლდებიან. ერთი კათხის შემდეგ ხალისი ემატება, ბილიარდის მაგიდისაკენ მიიწევს და საკუთარ წესებს აკანონებს, რაც შეიძლება ვინმეს არ მოეწონოს. ამის დაშვება კი ჰენრის არ შეუძლია. ბიზნესი — ბიზნესია.

ჯოიმ უნდა დაუჯეროს პატრონს.

ოტდოხნი №24

რა სახის ხელშეკრულება აღარ არსებობს...

ბრიტანეთის ქალაქ კოლჩესტერის მკვიდრმა ენდრიუ ფრაიმ 21 წლის ჯილ კლარის ცოლად შერთვა მხოლოდ მას შემდეგ გადაწყვიტა, როცა მომავალმა პატარძალმა საქორწინო ხელშეკრულებაში ჩაწერა, — აუცილებლად ვისწავლი მზარეულობას, არ გავსუქდები, არ მოვწევ სიგარეტს ღრეობში და არ ჩავიცვამ ქმრის სვიტერებსა და პერანგებსო. ჯილმა კი, თავის მხრივ, მოითხოვა, რომ მომავალი ქმარი ხელსაწყოიარაღებს შეინახავს მანქანის ფარეხში და არა სახლში, საათზე მეტხანს არ დაჰყოფს აბაზანაში, ბინაში რემონტს ღამღამობით არ დაიწყებს და, რაც მთავარია, არ გამელოტდება!



მათი ქორწინება, საზოგადოების აზრით, იღბლიანი გამოდგა. ისინი უკვე 15 წელია, ერთად ცხოვრობენ და ძალიან ბედნიერად გრძნობენ თავს.

ერთმა მანდილოსანმა ჯანეტმა, იმიტომ გადაწყვიტა ქმართან გაყრა, რომ მან ვერ დაიცავა საქორწინო ხელშეკრულების ყველა პირობა. იგი 8 პუნქტისაგან შედგებოდა. საცოდავ ჯანეტს არ ჰქონდა უფლება, ქმრის ოჯახში მშობლების სახელი ეხსენებინა, მხოლოდ ორ თვეში ერთხელ შეეძლო მათი მონახულება, ხოლო დედმამის ავადმყოფობის შემთხვევაში მხოლოდ ორი დღით გაუშვებდნენ მათ მოსავლელად. ერთერთი მშობლის გარდაცვალებისას 3 დღე ეძლეოდა დასაკრძალად. მშობლებს ქალიშვილთან სტუმრად მისვლა შეეძლოთ თვეში ერთხელ, როცა სიძე შინ არ იქნებოდა. ჯანეტს ეკრძალებოდა მათთვის საჩუქრების მირთმევა. არადა, რას იყიდდა, როცა კვირაში ჯიბის ფულად მხოლოდ 2 გირვანქას აძლევდნენ.

საქორწინო კონტრაქტით, ძალიან ბევრი მოითხოვს თავისი მეორე ნახევრისაგან სპორტული ფორმის შენარჩუნებას. ხელშეკრულებით, აგრეთვე, ეკრძალებათ ძილში ხვრინვა, განსაზღვრულია, რამდენ ხანში უნდა იყოლიონ შვილები. ზოგიერთი კონტრაქტში იმასაც კი წერს, რომელ საათზე უნდა დაიძინოს და რომელზე ადგეს.

ყველაფერი ამის ფონზე საკმაოდ კარგად აეწყო ერთი მიუხედავად ქალბატონის ცხოვრება, რომელიც ცოლად გაჰყვა საქვეყნოდ ცნობილ მექალთანე-ბიზნესმენს. ქორწილის წინ საქმრომ ხელშეკრულებაში ჩაწერა, რომ ცოლს ძვირფას სამკაულებსა და ქურქს უყიდის ყოველთვის, როცა ღალატს გადაწყვეტს. უნდა აღინიშნოს, რომ ბიზნესმენი პატიოსნად ასრულებს დანაპირებს...

პოსლედნიე ნოვოსტი №23

დეპარდიე _ ყველაზე მაგდური ფრანგი

ის არც ახალგაზრდა და არც მომხიბვლელია, საკმაოდ ჩასუქებულიც გახლავთ, საოცრად ენამახვილი და თანაც ლოთი. მიუხედავად ყველაფრისა, ჭოლივუდის ლამაზმანებს ჭკუას აკარგვინებს. პროდიუსერები ცდილობენ მის ხელში ჩაგდებას.

რაც შეეხება ქალებს, დეპარდიეს მათთან დიდი დავიდარაბა აქვს ხოლმე. ისინი ძალიან ბევრნი არიან. ერთი მხრივ, კანონიერი ცოლი ელიზაბეტი, მეორე მხრივ უკანონო, მაგრამ ისიც ცოლი — მოდელი არინ სილია, რომელსაც ჟერარისაგან 7 წლის გოგონა ჰყავს. თავად დეპარდიეს, ეტყობა, ასეთი მდგომარეობა სავსებით აძლევს ხელს, მაგრამ ამ ბოლო დროს სილია გაჯიუტდა. ჟერარს სთხოვს, ჩვენი ურთიერთობა ოფიციალურად აღიარეო. ელიზაბეტთან შეძენილი შვილები უკვე დიდები არიან. ჩვენი პაწია გოგონა კი ცოცხალი მამის ხელში ობოლიაო.

ჟერარი თითქოს არ იყო უარზე, მაგრამ უეცრად გამოჩნდა კაროლ ბუკე და დეპარდიე სიყვარულის მორევში გადაეშვა. ცხოვრება თავიდან დაიწყო და საკმაოდ იოლადაც. მსახიობი ევედრება სატრფოს, შვილი გამიჩინეო, მაგრამ კაროლი უარზეა — მე ორი მშვენიერი შვილი უკვე მყავს და შენც. ჩვენს სიყვარულს კი, თუ ბზარი შეეპარა, ათი ბავშვი რომ გაგიჩინო, მაინც ვერ ვუშველით. განა საკმარისი არ არის, რომ უერთმანეთოდ ცოცხლე არ შეგვიძლიაო.

ჟერარის მამა უვიცი ლოთი იყო. ბავშვობაში ბიჭი ძალიან ჩამორჩებოდა თანატოლებს განვითარებაში. 20 წლამდე ენაბლუც გახლდათ და მაინც, ის გახდა მსოფლიოში ერთ-ერთი ცნობილი მსახიობი. მას იწვევენ მთავარი როლების შესასრულებლად არა მარტო საფრანგეთში, არამედ ჰოლივუდშიც. დეპარდიეც არასოდეს ამბობს უარს. მას ხომ სამი რამ უყვარს ამ ქვეყანაზე: კინო, ღვინო და ქალები.

პარი მატჩი №26/69

უკვე შესაძლებელია ბირთვული იარაღის პრივატიზება

საზოგადოებას უყვარს სენსაციები.

მაგრამ ახლახან ამერიკაში გავრცელებულმა ამბავმა ბევრი შეაშფოთა. იარაღის კონტროლის ფედერალური ბიუროდან ჟურნალისტების მიერ მოპოვებული მონაცემების თანახმად, ტეხასელ დონალდ ტემპლოუს ჰქონია ბირთვული არსენალი, რომელსაც შეუძლია მთლიანად გაანადგუროს ევროპის რამდენიმე ქვეყანა.

52 წლის ბიზნესმენი ტემპლოუ მთელი სიცოცხლე ებრძოდა კანონს, რომელიც კრძალავდა ცეცხლსასროლი იარაღის შენახვას. მან შესანიშნავად იცოდა, რომ აშშ-ის მთავარი კანონი — კონსტიტუცია — თავის მოქალაქეებს ნებისმიერი იარაღის ტარებისა და შენახვის უფლებას აძლევს.

ტემპლოუ აცხადებს, რომ იარაღი შეიძინა რამდენიმე წლის წინ, შავ ბაზარზე. რაკეტები იყიდა აღმოსავლეთ ევროპაში, სსრ კავშირის დაშლის შემდეგ. გაინტერესებთ თანხა, რომელიც ბიზნესმენმა გადაიხადა ატომურ იარაღში? 400.000 დოლარი! სასიკვდილო იარაღი მის უზარმაზარ რანჩოში ინახება, ზუსტად სად, რა თქმა უნდა, არ ამხელს, არც რაკეტების მუხტის სიძლიერეს აკონკრეტებს და არც დროს.

ტემპლოუს „კოლექცია“ შიშის ზარს სცემს ფედერალურ ხელისუფლებას, რომელსაც, კანონის თანახმად, უფლება არა აქვს, დააპატიმროს ბირთვული მანიაკი ან თუნდაც გაჩხრიკოს მის სამფლობელოში: დღემდე მას ხომ კანონი არ დაურღვევია. თუმცა, როცა დაარღვევს, გვიანი იქნება.

— თუ ჩვენ თავს დაგვესხმებიან ვიღაც ჭუჭყიანი მექსიკელები, — იმუქრება ტემპლოუ, — არ დაველოდები თეთრი სახლის კრეტინების ამოქმედებას და დავცხებ მათ დედაქალაქს.

ჟურნალისტთან საუბრისას იარაღის კონტროლის ბიუროს წარმომადგენელმა ეჭვი გამოთქვა, რომ ტეხასელს შეუძლია თავისი რაკეტებით მიზანში მოხვედრა. ის შიშობს, რომ ტემპლოუ არ იცავს ბირთვული იარაღის შენახვის წესებს.

ძნელი წარმოსადგენია, რით შეიძლება ყველაფერი დასრულდეს მთელი მსოფლიოსათვის.

უიქლი უორლდ ნიუზი №28

ჰიინც უილიამსს ახ სუის ინგლისის მეფობა

პრინცმა უილიამსმა მამა კინაღამ აატირა, — არ სურს ტახტზე ასვლა. ბოლო დროს ჩარლზსა და მის მემკვიდრეს შორის არაერთხელ ყოფილა უთანხმოება, მაგრამ სკანდალი, რომელიც მოხდა ბრიტანეთის სამეფო ოჯახის შვეიცარიაში გამგზავრების წინ, ისეთი სერიოზული აღმოჩნდა, რომ ინგლისური მასმედიის განხილვის საგნად იქცა. საინტერესოა, საიდან შეიტყვეს ჟურნალისტებმა სკანდალის დეტალები?

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ უილიამსმა პროტესტი გამოთქვა, რომ მას უამრავი მცველი ყველგან კუდში დასდევს. ჩარლზმა ვაჟს უპასუხა, — ეს შენი ხვედრია და როგორც მომავალი მონარქი, ამას უნდა შეეგუოო.

— მე არასოდეს ვიქნები მეფე! მინდა ნორმალური ცხოვრება. ჩემი ნება რომ იყოს, საერთოდ მოვსპობდი მონარქიას. მონარქიამ მომიკლა დედა და არ მსურს, რომ მან ცხოვრება დამიმახინჯოს, ისე, როგორც შენ, — ყვიროდა პრინცი.

ამ მონოლოგის მოსმენის შემდეგ ჩარლზი აქვითინდა.

თავისი წინამორბედებისაგან განსხვავებით, ყმაწვილმა პრინცმა ცივი უარი განაცხადა მომავალი როლისათვის მზადებაზე. ის არ სწავლობს კონსტიტუციურ ისტორიას, არ ცდილობს მიიღოს საპატიო ტიტულები და წოდებები. არ ხელმძღვანელობს გვარდიას.

ჩარლზი ძალიან განიცდის შვილის ჭირვეულობას. ახალგაზრდობაში ისიც ფიცხობდა, მაგრამ ასე შორს, ოცნებებშიც კი არ შეუტოპავს.

ოტდოხნი №24

ვის მა ყვნია ჰპინცს?!

თურქეთის საზოგადოებრიობა გააოგნა გერმანელი პრინცის ერნსტ ავგუსტ ფონ ჰანოვერის — მონაკოს პრინცესა კაროლინას მეუღლის საქციელმა. ჰანოვერში, გამოფენა „ექსპო-2000-ის“ დათვალიერების დროს, პრინცმა თურქეთის პავილიონის შენობის გვერდით მოშარდა. ამას ადასტურებენ თვითმხილველები.

როცა ამ სასირცხვილო საქმეს სჩადიოდა, პრინცს თან მეუღლეც ახლდა.

ერნსტ ჰანოვერი ხშირად ხვდება ხოლმე სკანდალურ ქრონიკებში, ამ გაზაფხულზე მეგობრებთან ერთად კენიაში იმყოფებოდა და ღამის კლუბის პატრონი სცემა. შარშან, დეკემბერში, 10 ათასი გერმანული მარკით დააჯარიმეს, რადგან ფოტორეპორტიორს, რომელიც მისთვის სურათის გადაღებას ცდილობდა, ქოლგა ჩაარტყა და შუბლი გაუხეთქა.

ამჯერად პრინცმა გერმანიაში მოსახლე ორი მილიონი თურქისა და აგრეთვე მთელი თურქეთის რისხვა გამოიწვია. პრემიერ-მინისტრის პრესმდივანი აცხადებს: „ვფიქრობ პრინცი ავადმყოფია, მისი საქციელის გამართლება მხოლოდ იმით შეიძლება, რომ საშარდე ბუშტი აქვს დაზიანებული“.

გერმანიის ბუნდესტაგის დეპუტატმა ჩემ ოზდემირმა (იგი ეროვნებით თურქია) ისიც განაცხადა, — ავადმყოფია თუ არა, არ ვიცი, თურქი ხალხი კი აღშფოთებულია მისი ქცევითო.

თავად სკანდალის მიზეზმა კომენტარისაგან თავი შეიკავა.

ველთ ამ ზონთაგი №109



თარაზულად: 4. რადიო, ობობა; 6. კოლხეთი, საბერძნეთი; 9. სარდაფი, გემი; 10. პალტო, მეცხვარე; 14. ვალი, ქონება; 15. მაგიდა, სავარძელი; 17. რომი, ნორვეგია; 19. სახურავი, ჭაობი; 21. იარაღი, გუშაგი; 23. ქარავანი, გემი; 24. ვიოლინო, ჩონგური; 28. წვეთი, თოვლი; 30. უნივერსიტეტი, გერმანია; 33. მთა, მწვერვალი; 34. სომბრერო, ეპისკოპოსი; 35. გერი, ინტერნატი; 36. წითელა, ძროხა; 39. ჭიდაობა, იაპონია; 40. არაყი, შოტლანდია; 41. მტკვარი, ევროპა.

შვეულად: 1. კატა, ლეოპარდი; 2. ფუტკარი, ბზიკი; 3. დირექტორი, ჯარი; 5. ხორუმი, ქალი; 7. საბერძნეთი, ლარი; 8. ნემსი, მახათი; 11. ოსვენციმი, გერმანია; 12. გიმნაზია, კლასი; 13. მარტინი, ტომ კრუზი; 16. ეკზიუპერი, „მაუგლი“; 18. გუფთა, ტაფა; 20. ჩვილი, მერი პოპინსი; 22. ხე, ჯირკი; 25. ტომარა, დიოგენე; 26. ხერხი, ფრჩხილი; 27. ცხენი, სავარძელი; 29. კაპიკი, პირამიდა; 31. იორი, გორი; 32. „ვისრამიანი“, ჰომეროსი; 37. რუსი, ისრაელი; 38. ავგაროზი, მაგია.

წინა კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 7. პირამიდა; 8. პითაგორა; 9. სფერო; 10. ნაგაზი; 11. არხოტი; 16. ბიგმაკი; 18. სარკე; 19. კაკაო; 20. ენა; 21. ოდა; 22. ასული; 25. ოდინი; 27. ალაბამა; 30. ბეკინა; 33. ბარაბა; 34. პიერო; 35. ალმანახი; 36. ბილიარდი.

შვეულად: 1. სორდარია; 2. ემბაზი; 3. სარფი; 4. ოპერა; 5. სალარო; 6. პრაქტიკა; 12. სიგნალი; 13. ყმა; 14. აკლდამა; 15. ეკალი; 17. ლანდი; 23. სარეველა; 24. ობი; 26. ნალბანდი; 28. ანგინა; 29. მანტია; 31. მისია; 32. კრება.

№25 (194) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 563 მკითხველი გამოეხმაურა. 9 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 128 ქალმა და 426-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რომელი ქვეყნის ნაკრების თამაში მოგწონთ ყველაზე მეტად ევრო-პის მიმდინარე ჩემპიონატზე?“**

მკითხველთა 45 ყველაზე მეტად მსოფლიო ჩემპიონის — საფრანგეთის ნაკრების თამაშითაა მოხიბლული. **7,83** საშუალო ქულით საფრანგეთი პირველ ადგილზეა. მინიმალური — 1 ქულა მას მკითხველთა მხოლოდ 2-მა დაუწერა. შემდეგ ადგილზეა პორტუგალია, საშუალო ქულაა 7,19. აღსანიშნავია, რომ პორტუგალიისა და ესპანეთის ნაკრებებმა თანაბარი რაოდენობის მინიმალური ქულა (1,81) დაიმსახურეს.

საფრანგეთისა და პორტუგალიის ნაკრებების შემდეგ, აშკარად ლიდერობენ იტალია და ჰოლანდია. უნდა აღინიშნოს, რომ იტალიის ნაკრებს მხოლოდ ერთმა მკითხველმა დაუწერა მინიმალური — 1 ქულა.

როგორც ჩანს, ჩვენს მკითხველებს სხვა ქვეყნების ნაკრებებთან შედარებით ნაკლებად მოეწონათ გერმანიის, ნორვეგიისა და ბელგიის გუნდების თამაში.

ყველაზე ცოტა მაქსიმალური ქულა (0,54) ესპანეთის ნაკრებმა დაიმსახურა; ყველაზე მეტი მინიმალური ქულა კი (39,60) წილად ხვდა ბელგიის ნაკრებს და 2,27 საშუალო ქულით რეიტინგშიც ბოლო ადგილზე აღმოჩნდა.



საპრიზოს ზუსტად 7 ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. შვიდივე გამარჯვებული მამაკაცია: 25 წლის **მამუკა მაისურაძე,** 32 წლის **გრიგოლ ასათიანი,** 31 წლის **არჩილ ჯგერენაია,** 22 წლის **ზურაბ ზუბაშვილი,** 59 წლის **გონდო მაღლაფერიძე,** 46 წლის **მიხეილ მენთეშაშვილი** და 33 წლის **ზაალ კალანადარიშვილი** (შვიდივე თბილისიდან).

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში სამშაბათს, 27 ივნისს, 17 საათზე.

№26 (195) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება **„კვირის პალიტრის“** მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, უპასუხოთ დამატებით კითხვას.

№26 (195) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათის, 28 ივნისის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 29 ივნისის 13 საათამდე.

© თბილისი, 1997

თემა №26 (195) — ნოსტალგია

რის ნოსტალგიას განიცდით ყველაზე მეტად (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს 7 — და ა.შ. 1-მდე.

№26(195) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი		
№		ქულა
1	ერის მთლიანობა	
2	ბავშვობის წლები	
3	გმირული წარსული	
4	დაკარგული ტერიტორიები	
5	დაუგვიანებელი პენსია-ხელფასები	
6	მშვიდი, ბედნიერი სახეები	
7	ტრადიციების, ადათ-წესების ერთგულება, დაცვა	
8	გარდაცვლილი ახლობლები	

დამატებითი კითხვა

თქვენი აზრით, გამოხატავს თუ არა საქართველოს პარლამენტი ქართველი ხალხის ნებას?

დიახ	მეტ-ნაკლებად	არა

(შესაბამისი უჯრა გადახაზეთ)

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

„კვირის პალიტრის“ ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს

მკითხველის რეიტინგის ჭეშმარიტება

მკითხველის რეიტინგში 476-მა რესპონდენტმა უპასუხა კითხვას: **„ვინ გახდება ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი?“**

მიუხედავად იმისა, რომ სავო მილოშევიჩს უკვე 4 გოლი აქვს გატანილი, მკითხველთა უმრავლესობა თვლის, რომ ბომბარდირი ტიერი ანრი გახდება.

პირველი ათეული ასეთია:

1. ტიერი ანრი	**32.2%**
2. სავო მილოშევიჩი	**13.4%**
3. რაული	**8.2%**
4. ლუიშ ფიგუ	**7.1%**
5. პატრიკ კლუივერტი	**6.9%**
6. სერჟიო კონსეისაო	**6.7%**
7. ალესანდრო დელ პიერო	**5.0%**
8. ზინედინ ზიდანი	**3.6%**
9. ნიკოლა ანელკა	**2.5%**
10. ფილიპო ინძაღი	**1.5%**

მკითხველთა დაახლოებით 3-ს გაუჭირდა კითხვაზე პასუხის გაცემა.

© · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა ·

გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.

რას დაარქმევდით?

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ბილ კლინტონი, ჩელსი კლინტონი და ედუარდ შევარდნაძე

3.ბ. — ბატონო ზურაბ, დავაწესოთ, კიდევ ერთი ორდენი სახელწოდებით — „რატომ მუცელში არ გაუწყალდი დედაშენს“. თქვენი გუნდის ზოგიერთ წევრს უყოყმანოდ მოგანიჭებდით.

ზურებიანი თამუნა, მესტია

3.ბ. — ზურაბ, ვინ გახდება „ევრო-2000“-ის ბომბარდირი?

ზ.ჟ. — რივალდო ან ბატისტუტა, ან ბაბანგიდა.

3.ბ. — შენ როგორც პოლიტიკაში, გეოგრაფიაშიც „მაგარი“ ყოფილხარ! ყოჩაღ!

გიგანი მურმანი, თბილისი

3.ბ. — ზურიკელა, შენ ნუ გეშინია, მე რომ გწყევლი, სამაგიეროდ, ჩემი ძუძუები გლოცავენ.

(კ/ფ „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი) კობა, თბილისი

ზ.ჟ. — ხელი გამიშვი, თორემ „ცხოვრების“ ინტერესს დაგაკარგვინებ.

3.ბ. — შენ იდარდე შვილო, თორემ მე დასაკარგი აღარაფერი გამაჩნია. მით უმეტეს მანდ.

პაატა ნაზღაიძე, რუსთავი

3.ბ. — ჩემო ზურაბ! კაცი უნდა იყოს კაცური, თორემ რა მნიშვნელობა აქვს პოზიციაში ილოცებს თუ ოპოზიციაში.

ზურაბ ჟვანია, ვახტანგ ბოჭორიშვილი

წინა ნომერში გამოქვეყნებულ „ფოტოპალიტრას“ 108 მკითხველი გამოეხმაურა, მადლობას ვუხდით მათ. ვაქვეყნებთ რამდენიმე ორიგინალურ პასუხს.

ზ.ჟ. — მართალი ბრძანებაა ბატონო ვახტანგ, თუმცა ჩვენ მოგვრეები უფრო გვჭირდება, ვიდრე კაცები.

რევაზ რაზმაძე, თბილისი

ზ.ჟ. — ვახტანგ, ხედავ რა ცვეტნოი პარლამენტი გვაქვს: მწვანეები, ცისფერები, წითლები, შავები არ გვაკლია და შენ რომელ ცვეტში ჩაჯდები.

ნოდარ კვერნაძე, თბილისი

3.ბ. — აბა თუ მეტყვი ზურა, რა ფერის ტრუსი მაცვია?

ზ.ჟ. — ლურჯი, თეთრი ზოლებით.

3.ბ. — ახლა კი ჩავარდი! — ჩემი ტრუსის ფერი მხოლოდ „სუკ“-ის აგენტმა იცოდა.

ზ.ჟ. — ბატონო ვახტანგ, შარვალს თუ არ შეიკრავთ, ამის შესახებ მთელი პარლამენტი გაიგებს, მალე.

ლელა — „გოგიტა“, თბილისი

3.ბ. — ჩემო ზურაბ, მე ვარ ყველაზე კოლორიტული პარლამენტარი და თუ შეიძლება, დამითმეთ ადგილი.

ზ.ჟ. — ამაზე რას იტყოდით კოლეგა (აჩვენებს სამი თითის კომბინაციას).

გ. ბეგიაშვილი, სიღნაღი

ზ.ჟ. — აბა, ბატონო ვახტანგ, რა სარგებლობა მოაქვს მოქკავშირს?

3.ბ. — მოქკავშირი გვაძლევს მინისტრებს.

ზ.ჟ. — კიდევ, კიდევ?

3.ბ. — დემოკრატიას.

ზ.ჟ. — კიდევ, კიდევ?

3.ბ. — მთელ საქართველოს ჩინჩლავს.

(კ/ფ „იმერული ესკიზები“) ალფრედო

ზ.ჟ. — ეჟაი... ატეც დამოი!

3.ბ. — დავაი ბაროტსა, ესლი ტი მენია პაბაროლ ია იდუ პრიამო დამოი, ესლი ნეტ, ტი იდიოშ პრიამო დამოი...

(კ/ფ „ჯარისკაცის მამა“) ნიკოლოზი, თბილისი



ფეხბურთელის ოცნება

— იმ დღეს პარლამენტის სხდომას ვუყურე...

***

სომეხი ტრაბახობს — რუსების პუგაჩოვიც სომეხი ყოფილა — ემელიან.

***

თურმე...

თბილისელებისთვის სტრესული მოშლილობის და ნერვების „დამფუტკვნელი“ ელექტროგანათება შემოიღეს 1897 წელს.



წინა სკანვორდის პასუხები

წამალი „სალხინო“ – მართლაც ქართული ფლორის საოცრება

თუ გსურთ განიკურნოთ პროსტატიტის, ცისტიტის, ქალური დაავადების და სხვა შარდსასქესო ორგანოების დაავადებებისაგან, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, სათესლე ჯირკვლებში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, სქესობრივი კავშირის დროს თესლის ნაადრევი გამოყოფა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი „სალხინო“ და მოგიხსნით ამ პრობლემებს. „სალხინო“ აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

„სალხინო“ გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტი, გასტრიტი, ნეფრიტი, გინგივიტი, სტომატიტი, ბრონქიტი და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. „სალხინო“ აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი „სალხინო“ კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ „სალხინოს“ სამკურნალო და პროფილაქტიკური თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანის და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ და რეგისტრირებულია, მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია. იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

ჩვენი მისამართია: დავით აღმაშენებლის 115, პოლიციის ეზოში, ფირცა „სალხინო“

წრიულად მოძრავი გრიგალი


1
აპონა-წერი გვაძგიდან
ქალის ვიბუარის ქარბილაკ საკრდენი
გუსგავ ფლიგერი „ვაღა...“
პოხვები-არე ბერი
ქალის პირ-ბაღე
ლიდერების ფიზიკური
„წიოელი ეშვაკუნები“ (რევიზორი)
უფლებაში გამანავ-რება
პანგი-ვიის მანიფესტი
„შრანგეს-ა და ...“
ყარის სამაული
ნაკვლეთში შეჭრილი ზღვა
ლედაგინის ქვრის ზედა შრე
ეკონომიკის კონკისტა-დორი
ცხენებაშვ-ბული ვაგონი
ჯუჯა ცხენი
პაპიული საკრაველზე
სასაწლე (ქველად)
შენაგი აშშ-ში
მაგის გვინის ავა-დეყოფნება
შვაღლები პანქო დანაშაში
ქართული ფილვი-ზღვააარი
პენარე I დაარსებული ციხესიმაგრე
გერმანული აინანიის მარკა
ცოლის მამა
„ულისე“ ავტორი
ქედლის, პარაქტის არშია
ქართველ შვილთა ღინაცია
ოთახი სოლოში
სანდომეშო-ლის ბაჟარი რაჭაში
ორნისელთა საუნივერ-სიო ქალაქი
გაეკაგრი-ლებული სანელი
ქვეყანა-მაული
ლუგეციის თანამედროვე სახელწიფოება
სანთქაო ნანიში
შეადგინა რამაზ ალანიამ
შენაგნარ საერან-გეთში
ეკონომიკური ეროვნების გაკიცხვა ლიტერატურ.
სიმღიდრის ღვთაება კრ. აღმოსავლ.
საქართველოს ისტორიული მხარე
ყველაზე აანგარა თითი
თევზის შეკრული ვარსი
მანწვნის ნათქვეფი (ხაჭა)
„ალიგაგორული“ მხატვარი

ჰუმანიტარულ-ტექნიკური ინსტიტუტი (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სპეც. ფაკულტეტი)

აცხადებს მიღებას 2000/2001 სასწავლო წლისათვის: 1. სამართალმცოდნეობა; 2. მთარგმნელობითი საქმიანობა: ა) ინგლისური ენა; ბ) გერმანული ენა; გ) ფრანგული ენა; 3. ეკონომიკური: ა) საბანკო საქმე; ბ) საბაჟო საქმე; გ) საგადასახადო საქმე; დ) საერთაშორისო ეკ. ურთიერთობები; ე) საგარეო ვაჭრობა; 4. საგამომცემლო საქმე; 5. ჟურნალისტიკა; 6. რეჟისურა (რეპორტიორი).

სამხედრო სწავლებისათვის წარმოდგენილი უნდა იყოს მიწერის მოწმობა, სწავლა ფასიანია. საბუთების მიღება წარმოებს 1 ივლისიდან, შაბათ-კვირის გარდა 10-15 სთ-მდე. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 36-60-78.

მის: ტექნიკური უნივერსიტეტის VIII კორპ, II სართ.

„კვირის პალიტრის“ **უფასო განცხადების ძვითრით** შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ დამატებაში — გაზეთში **„სიტყვა და საქმე“** (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე“ არანაკლებ ეფექტიანია). **„კვირის პალიტრაში“** კი, ქვეყნდება მხოლოდ **ფასიანი განცხადების ძვითრით** შემოსული განცხადებები, რომლებიც იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

*„უფასო განცხადების ქვითარი“ ჩააგდეთ „კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთებში. **ყუთები იცლება თბილისში ხუთშაბათობით 13 სთ-დან**. მათი განთავსების ადგილებია - თბილისში: მეტროპოლიტენის ყველა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე; დოლიძის ქუჩის კუთხეში; საბურთალოს ბაზრის შესასვლელთან; ორთაჭალაში - გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან); მოსკოვის გამზირის ბოლოში; ჩოლოყაშვილის (5 დეკემბრის) ქუჩის ბოლოში; დიდუბის ავტოსადგურთან; დიდ დიღომში:იოანე პეტრიწის ქ. 3 - სურსათის მაღაზიის წინ, მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ - ავტობუსების გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის გამზ. მუსკომედიის წინ, გაჩერებასთან; ნაძალადევში კ/თ „საქართველოსთან“, წერეთლის გამზ. გამოფენის წინ, გაჩერებასთან; დიდუბეში, „სამოთ ქიმიის“ გაჩერებასთან; დიღომში - მეგობრობის გამზ. მილიციასთან, უნივერსამის მიმდებარე გაჩერებასთან; მანქანების ბაზრობის ორივე შესასვლელთან; ვაკეში - კავსაძის ქუჩაზე; ჭავჭავაძის 46; რუსთაველის 34; ბაგებში - გაჩერებასთან; გამსახურდიას გამზ. - ვ.ფშაველას დასაწყისში; ქავთარაძის ქუჩაზე - იზოტოპების ინსტიტუტთან, ბოლო (უნივერსიტეტის) გაჩერებასთან; წუცუბიძის ქუჩაზე: II მკრ-ის ასახვევთან და „საქართველოს ბანკთან“.*

ქალაქებში და რაიონებში**: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური; სურამი; ზესტაფონი; ქუთაისი, წყალტუბო, სამტრედია, თერჯოლა, ხონი; აბაშა, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი; ქობულეთი, ბათუმი; ოზურგეთი, ლანჩხუთი; რუსთავი, საგარეჯო, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი; ბორჯომი, ახალციხე; დუშეთი, ჟინვალი; **არსებული „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება ოთხშაბათობით 10 საათიდან.** ბოლნისსა **და** ახმეტაში **ყუთები დაიცლება ყოველი თვის I და III კვირას, ოთხშაბათს 10 სთ.-დან.

ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©

26 უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი

სიტყვა და საქმე

გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№26 ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 29 ივნისის (ხუთშაბათი), 13.00 სთ-მდე.

„საბალღო-სალაღო“ გვერდის პასუხები

ხილვორდი

შვეულად: 1. ხურმა, 3. ატამი, 4. მარწყვი; 6. ყურძენი; 8. ალუბალი; 9. საზამთრო; 11. ლელვი.

თარაზულად: 2. გარგარი; 5. მაყვალი; 7. ანანასი; 10. ბროწეული; 12. ბანანი; 13. ნესვი; 14. ვაშლი; 15. კომში.

ბუხარი

სახალისო გამოცანები:

1) სულ მყავს 7 შვილი: 6 ვაჟი და 1 ქალი.

2) არ შეიძლება, ვინაიდან 72 საათი შეადგენს სამ დღე-ღამეს, სამი დღე-ღამის შემდეგ კი ისევ ღამის 12 საათი იქნება.

3) მე თვითონ;

4) საათ-ნახევარი იგივეა, რაც 90 წუთი;

5) არც ერთი, რადგან მწყერი ხეზე არ ჯდება;

ა) ხაჭაპური, ბ) ევერესტი;

V ა) ალექსანდრე ყაზბეგი „სოლომან მორბელაძე“;

ბ) ვახტანგ გორგასალი;

V ა) „ქანი“, ბ) „კომბ.“

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადების შინაარსსა და სტილზე.

ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი

მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი.

სარედაქციო კოლეგია.

მის: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ **რედაქცია:** 33-39-54

რეკლამა: 98-74-44

palitra@access.sanet.ge

palitra@geo.net.ge

სარეგისტრაციო ნომერი 1518

„კვირის პალიტრა“

გამოდის ორშაბათობით

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.